	<p>ე ჩ ლ ე ლ</p> <p>მ ს ე ჯ ბ ი</p> <p>ე ბ ე ჯ ი</p>
---	--

თარგმანი და წინასიტყვაობა  
 ვაჟა ზმანაძის მიერ

გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო»  
 თბილისი — 1967

In schönen Traditionen der vorgeschrittenen Kultur von ganz Europa gediehen, erhellte der Nachloß von G. F. Händel den Weg solcher Genies, wie W. A. Mozart, R. Wagner. Ihres progressives Denken und Schaffen umfaßten Sujets mit der Thematik aus dem Antiken Osten und Mittelarten beginnend bis zu den ihm gegenwärtigen.

Händels Name ist mit der alten Kultur des georgischen Volkes verknüpft.

In der Oper «Radamisto» schildert er uns eine Erzählung aus der Geschichte des georgischen Volkes, die sich auf das I Jahrhundert bezieht.

G. F. Händels «Radamisto» «D. Messias», «Judas Maccabäus», «Acis und Galatea», W. A. Mozarts «Don Giovanni», R. Wagners «Tannhäuser», «Tristan und Isolde» hat ins georgische übersetzt Träger des Händelpreises 1967, Dr. Washa Gwacharija.

---

ГЕНДЕЛЬ  
МОЦАРТ  
ВАГНЕР

(На грузинском языке)

---

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5  
1967

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

1851 წელს თბილისის ქარვასლაში აშენდა ოპერის თეატრი და მოიწვიეს იტალიური დასი. ეს თეატრი ერთ-ერთი ულამაზესი იყო ევროპაში. პარიზის „მსოფლიოს ილუსტრირებულმა ჟურნალმა“ 1851 წლის 25 ოქტომბერს ორი გვერდი დაუთმო მის აღწერას. ამავე წლის 8 ნოემბერს სეზონი გაიხსნა დონიცეტის „ლუჩია ღი ლამერმურით“.

თბილისის საოპერო სცენაზე სამოცდაათი წლის განმავლობაში მაღალ აკადემიურ დონეზე იდგმებოდა სექტაკლები იტალიურად, ფრანგულად და რუსულად, მაგრამ ქართულ ენაზე ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ოპერა არ შესრულებულა. რეცენზენტი დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმის შესახებ წერდა, რომ დ. არაყიშვილსა და ალ. წუწუნავას მრავალი წლის ბრძოლა გადახდათ, რათა ეს ოპერა ქართული თეატრის სცენაზე დადგმულიყო.

„თქმულებას შოთა რუსთაველზე“ მოჰყვა ქართული საოპერო ხელოვნების გვირგვინი „აბესალომ და ეთერის“. ამ ორი ნაწარმოებით საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართულ საოპერო ხელოვნებას. ვისაც უნახავს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პირველი პარტიტურა, მას ახსოვს საგუნდო პარტიტურების ტექსტი. ქართული სიტყვები რუსულ ასოებითაა ჩაწერილი.

ეროვნული კულტურის განვითარებას კიდევ უფრო ფართო გზა მიეცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საქართველოში განვითარდა არა მარტო საგუნდო, სარომანსო და საოპერო ხელოვნება, არამედ მუსიკის ყველა დარგი. ამჟამად ქართული მუსიკალური ნიმუშები აშშ-სა და სხვა საბჭოთა მუსიკალური კულტურის საგანძურს.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კლასიკოსების საოპერო ნაწარმოების ქართულ ენაზე შესრულების ცდები ჯერ კიდევ 1905 წელს დაიწყო. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა „ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ“. აღნიშნულ საზოგადოებასთან დაარსდა „ქართულ ენაზე ოპერების დადგმის ამხანაგობა“. 1906 წლის 18 აპრილს ქართულ ენაზე დადგმულ ოპერა „ფაუსტი“ დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილი. კერძო თეატრში ქართულ ენაზე აქლერდა „დემონი“, „კარმენი“, „აიდა“, „რიგოლეტო“ და „სევილიელი დალაქი“.

1957 წელს ლენინგრადში ყოფნისას მოვისმინე მოცარტის „დონ ჟუანი“. მთავარ პარტიას ესტონურ ენაზე ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი გეორ ოტსი. ევროპული ოპერები ეროვნულ ენებზე ქლერს ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვასა და უკრაინაში, ჩვენში კი, ამ მხრივ, მიუხედავად ყოველგვარი პირობებისა, არაფერი გაკეთებულა.

ოპერის ტექსტის თარგმნა ურთულესი საქმეა. მსოფლიოს არც ერთ ენაზე არ არსებობს ისეთი თარგმანი, რომელიც მეცნიერული სიზუსტით დაიცავს დედანს და იქნება მისი ადეკვატი. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სიტყვა ნოტების რაოდენობაში უნდა „ჩაჯდეს“, მაგალითად, რუსული „народик“-ის ქართული თარგმანია „წინასწარმეტყველი“, გვაქვს ორი ნოტი, მისი შესატყვისია რუსული სიტყვის ორი ზარცვალი „народ“ და „народик“, „წინასწარმეტყველში“ კი ექვსი მარცვალა, მთარგმნელი იძულებულია მიმართოს არა ზუსტ, არამედ მიახლოებით თარგმანს. ასეთი შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, იტალიური ოპერების რუსულად თარგმნის დროს, გერმანულის — ინგლისურად და ა. შ. ლექსის მეტრი ქართულში მუსიკალური მეტრი-საგან საკმაოდ განსხვავდება, ასევეა სხვა ენებშიც. ანის გამოა, რომ ისეთი გენიოსებიც კი, როგორებიც მოცარტი და ბეთჰოვენი იყვნენ, ხშირად არღვევდნენ ჩვეულებრივი ლექსის სტრუქტურას და ზოგიერთ სიტყვას ათჯერ და ოცჯერ იმეორებდნენ.

მიუტევებელია, როდესაც საოპერო ტექსტიდან თარგმანის აკეთებენ. ასეთი კურონოზები საკმაოდ ბევრი იყო. მაგალითად, ოცდაათიოდე წლის წინ რუსეთის სცენებზე და ჩვენში „ფაუსტი“ იდგმებოდა რუსულ ენაზე, რომელიც იტალიურიდან ითარგმნა; თავის მხრივ, იტალიური ფრანგულიდან იყო გადმოთარგმნილი; ამის გამო რუსული ტექსტი ფრანგულს ძალზე სცილდებოდა. ასევე მიუტევებელია თარგმნილი ევროპული ოპერების რუსულიდან ქართულზე გადმოტანა, რადგანაც ასეთი თარგმანის თარგმანი ორიგინალისაგან საკმაოდ შორს დგას. ოპერის ტექსტის მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს მუსიკალური მახვილები, ფრაზები, მას უნდა შეუერთოს წინადადების წყობა, ხმოვნების თავის ადგილზე ხმარება. იქ, სადაც „ი“ ხმოვანია, თარგმნის დროს ამ მახვილიან „ი-ზე“ „ა“-სიტყვიან შესაბამის ნათარგმნ სიტყვას ვერ გამოიყენებ, ამის გამო საოპერო ტექსტის მთარგმნელი ჯერ



მუსიკოსი უნდა იყოს და შემდეგ თავისი ენის კარგი მცოდნე. თარგმნის დროს აუცილებელია ნაწარმოების სტილისა და სპეციფიკურობის დაცვა-შენარჩუნება.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართულ ენაზე ცალკე წიგნად ვინმეს გამოქვეყნებინოს ორატორიების თუ საოპერო ტექსტების ისეთი თარგმანები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკალურ ფაქტურასთან. ეს ცდა პირველია და, ცხადია, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ ამ ტექსტების გამოქვეყნებით მსურს სტიმული მიეცე ამ საქმეს. მე ვიფარგლები კლასიკოსების უაღრესად ცნობილი ნაწარმოებებით, რომლებიც თარგმნილია დედნებიდან. ისინი წარმოადგენენ მსოფლიო შედეგებს და სასურველია ისევე მიიღოს ქართველმა მსმენელებმა, როგორც ვერდის, ბიზესა და ჩაიკოვსკის უკვდავი ქმნილებანი.

ქენდელი იკვივა მუსიკაში, რაც შესაძირი მწერლობაში. მისი ოპერა „რადამისტი“ დაწერილია ქართულ ისტორიულ სიუჟეტზე, ლიბრეტო ეკუთვნის ნიკოლა ჰაიმს. იგი დაიდგა 1720 წელს ლონდონის ახლად გახსნილ მუსიკალურ აკადემიაში და უდიდესი წარმატება ჰქონდა. თარგმნილი ტექსტი მოცემულია კრიზანდერის გამოცემის 53-ე ტომში (I ვარიანტი). ამის შესახებ არსებობს ლიტერატურა — აკ. გაწერელია „ტაციტი, ქენდელი და საქართველო“ (ლიტერატურული ნარკვევები, 1948 წ., თბილისი); ე. გეახარია, „ქენდელის ოპერა ქართულ ისტორიულ სიუჟეტზე“ (საბჭოთა ხელოვნება, 1955 წ. № 4) და ჩემივე გამოკვლევა „Eine Oper von G. F. Händel mit einem grusinischen historischen Sujet“ (Händel-Jahrbuch Leipzig, 1960, Deutsche Verlag für Musik, S. 163 — 173); ქენდელის პასტორალის „აყის და გალათა“. (გამოცემა „Acis und Galatea“, C. F. Peters, Leipzig, 11433). გერმანული თარგმანი ეკუთვნის გ. გერვინიუსს. ჰენდელის „მესია“, „იუდა მაკაბელი“ და „სამსონი“ მსოფლიო მუსიკალური კულტურის შედეგებია და ისეთივე მაღალმხატვრული ღირებულება აქვთ, როგორც ბახის „3-მოდ ნესას“, ბეთოვენის IX სიმფონიას, მოცარტის „რეკვიემს“. 1720 წელს „აყის და გალათა“ ქენდელმა გადაამუშავა ლონდონის სცენისათვის და მოთავსებულია კრიზანდერის მე-3 ტომში; „მესია“ დაიწერა 1742 წელს დუბლინში და შედის კრიზანდერის გამოცემის 45-ე ტომში; „სამსონი“ დაიწერა 1743 წელს ლონდონში და გამოქვეყნებულია კრიზანდერის გამოცემის მე-10 ტომში. ხოლო „იუდა მაკაბელი“ დაიწერა 1746 წელს ლონდონში და მოთავსებულია კრიზანდერის გამოცემის 22-ე ტომში.

თარგმნის დროს გაკითხვალისწინე „მესიის“ პარტიტურა არნოლდ შერინგისა და კურტ ზოლდენის გამოცემით (Edition Peters, Leipzig, 11406), აგრეთვე პეტერსის ძველი კლავირი. „მესია“ თავისუფალი თარგმანია და არ არის ნოტებთან შეფარდებული, სხვა თარგმანები კი შეჯერებულია მუსიკალურ ტექსტთან და ზუსტია. „სამსონისა“ (7939) და „იუდა მაკაბელის“ (10034) პარტიტურები თარგმნილია პეტერსის კლავირიდან. მოცარტის თარგმნისას ვისარგებლე ლაიფციგის Reclam-ის გამოცემა-

ლი ტექსტით. ამ ოპერის უახლესი უცხოური და რუსული გამოცემებით. 1787 წლის 29 ოქტომბერს ეს ოპერა დაიდგა პრადაში. ლიბრეტო ეკუთვნის ლორეცო დე-პონტეს. რიპარდ ვაგნერის „ტანჰოიზერი“ დავამუშავე გერმანიაში გამოცემული პეეტერსის პარტიტურისა და ძველი რუსული კლავირით, გავითვალისწინე აგრეთვე „Reclam“-ის მიერ გამოცემული ტექსტი მისი პირველი — გერმანული, და მეორე — პარიზული რედაქციით. „ტრისტან და იზოლდას“ თარგმნის დროს გამოვიყენე პეეტერსის მიერ ლაიფციგში გამოცემული პარტიტურა (3448), რომლის რედაქციაც ეკუთვნის გამოჩენილ დირიჟორს ფელიქს შოტლს.

# გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი

## Georg Friedrich Händel

### რადამისტო (Radamisto)

### ოპერა სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

	ვარიანტი I	ვარიანტი II	ვარიანტი III <sup>1</sup> ახალი
რადამისტო — ფარსმანის ძე	სოპრანო	კონტრალტო	ბარიტონი
ზენობია — რადამისტის მეუღლე	ალტი	სოპრანო	სოპრანო
ფარსმანი — მეფე იბერიისა (ჰენდელთან — თრაკიისა)	ბანი	ბანი	ბანი
ტირიდატი — სპარსეთის გამეფებული პირი სომხეთში	ტენორი	ბანი	ბარიტონი
პოლისენა — მისი მეუღლე, ფარსმანის ასული	სოპრანო	სოპრანო	სოპრანო
ფრაარტი — ტირიდატის ძმა	ლირ. ტენორი	სოპრანო	ბანი
ტიგრანი — პონტოს მეფე	სოპრანო	სოპრანო	ტენორი

### მოქმედება I

(მეფის კარავი, პოლისენა მართო უზის მაგიდას, შემოდის ტიგრანი)

არია

პოლისენა: ღმერთო ჩემო,  
ღმერთო ჩემო,  
მხილველნო ამ წამებისა,

<sup>1</sup> III ვარიანტი პალეს ჰენდელის ფესტივალის უახლეს დადგმას ეკუთვნის, ოპერამ განიცადა საგრძნობი ცვლილება, როგორც ტექსტუალურად. ისე მუსიკალურად.

დამიმშვიდეთ გულის სევდა (2-ჯერ)  
ღმერთო ჩემო,  
ღმერთო ჩემო,  
დამიმშვიდეთ გულის სევდა.

რეჩიტატივი

ტიგრანი: გაუწყებ საზარელ ამბავს,  
დედოფალო, მისმინეთ!  
გთხოვთ, მომიტევოთ.

პოლისენა: ნუ სწუხართ,  
მივეჩვიე ამ ტანჯვა-წამებას.

ტიგრანი: ტირიდატე შეიპყრო  
ზენობიასი და რადამისტის  
ხელთ გდების სურვილმა  
ბრძოლის ქარცეცხლში ის იძელოვნებს  
ბრწყინვალე გამარჯვებას.

პოლისენა: ოჰ, მოლალატევ!

ტიგრანი: დამშვიდდი.  
ჩემო მეუფევ!  
განშორდი მოლალატეს,  
არ შემიძლია  
ვუმზირო მწუხარებას,  
როდესაც სილამაზე ითელება.

პოლისენა: წადი, ნუ შეამბოროები.  
მოსმენაც კი არ შემიძლია თქვენი,  
გაიზიარე სევდა,  
უბედურება,  
მატუთ ბედისწერას  
მაშინ გაიგებ.

ტიგრანი: ო, მოსცილდი მოლალატეს,  
ო, გაეჭეც დაუნდობელს,  
ვინც გასთელა ღირსება,  
მიენდე ჩემს სიყვარულს,  
მიენდე ჩემს სპეტაკს, სათუთ სიყვარულს.  
ო, გაეცალე ჩქარა.  
ო, მოსცილდი მოლალატეს.  
მიენდე ჩემს გრძნობას,

მიენდე ტრფიალებას,  
მოსცილდი ტირანს.  
ჩამოსცილდი მაგ ტირანს  
განვედ მტრისაგან.  
ჩემკენ, ჩემკენ  
მზერა მომაპყარი.  
ტრფობა იხილე ჩემი და  
ტრფობა გაიზიარე.  
გთხოვთ გაეცალე ტირანს.  
ჩამოეცალე!

(პოლისენა და ტირ.დატი მცველებით)

პოლისენა: შეხედეთ. მობრძანდება,  
რეჩიტატივით:

ტირიდატი: დე, მოკვდეს რადამისტი!  
განადგურეთ ქალაქი ზღუდეებით.  
მოსპეთ მისი მცხოვრებნი,  
ყველა მოსპეთ!  
არ შეკრთეთ,  
ტაძარი დაამხეთ,  
შურს მივუგებ ფარსმანს.  
ტრფიალება მაუწყებს  
ამ საზარელ განზრახვებს.

პოლისენა: ამას ველარ ავიტან,  
მეუფევე, მბრძანებელო,  
მისმენ,  
მეუღლევე ჩემო?

ტირიდატი: ჩამომეცალე!

პოლისენა: შენ გსურს ჩამოგცილდე?  
ფარსმანის მოდგმა ვარ მე!  
და იძიე შური,  
რას ელოდები?

ტირიდატი: არ მსურს შენი სიკვდილი.  
მსურს დამმორჩილდე,  
აქედან გამეცალო.  
შემისმინე!  
გელი, მომაპყარ გული.

შემოხსედე, მისმინე.  
ჩემთან იპოვი ნუგეშს  
და დაგიმშვიდებ  
შაბნელ-მწუხარე გრძნობებს  
გელი. მომაპყარ გული და  
ჩემთან იპოვი ნუგეშს.  
მე დაგიმშვიდებ მაგ სასარელ ფიქრებს.  
ო. ჯანვედ რირანისაგან.

პოლისენა: დაგტოვებ. მეუღლევ,  
მორჩილი ბრძანების,  
მისმინე მხოლოდ,  
შენ ხარ უგულო.  
მე მაქვს იმედი  
გიხილო  
ჩემზე გულმოწყალებ  
და მოსიყვარულე.  
მისმინე მხოლოდ.  
შენ ხარ უგულო.  
განრისხებულნი.  
მიხილავ ისევ შენდამი  
ერთგულს და მოსიყვარულეს.  
გაიზიარებ ჩემს ძველ გრძნობებს.  
მიხილავ ისევ შენდამი  
ერთგულს.. მოსიყვარულეს,  
გაიზიარებ სიყვარულს.


(ტირიდატის წინაშე შემოპყავთ შეპურობილი ფ:რ.სმ.ნი)

ფარსმანი: ზიზლი ვერაგი მტრისა,  
შვილო (ჩაინერგე) გულში  
და არ დანებდე!

ტირიდატი: გაჩუმდით!  
ფარსმანს  
გადავუხადოთ სამაგიერო.

არია

სისხლი! ცეცხლი!  
მოსპეთ! მტრები!  
ბუყის ხმები მოგვიხმობს ბრძოლისკენ



„რადამისტის“ 1721 წლის ლონდონის მუსიკალური  
აკადემიის აფიშა

და შურისგებისაკენ,  
მოსპეთ მტრები,  
სისხლი! ცეცხლი!  
სისხლი! ცეცხლი!  
ბუკის ხმები  
მოგვიწოდებს  
ბრძოლისაკენ.  
მოგვიხმობს ბრძოლისაკენ.

მოგვიხმობს ბრძოლისაკენ,  
განრთხმული არის ქვეყანა  
ჩემი მახვილის ძალისგან,  
ისმის გრგვინვა,  
ბრძოლის ხმები,  
აღსასრული მოახლოვდა.  
და შიშისზარს სცემს ჩემი ხმალი!  
განრთხმული არის მტერი.  
მე კვლავ ვმრისხანებ  
და შურს ვიძიებ,  
მტერს დავამარცხებ!

(რადამისტის კარ-მიდამო, ციხის კოშკი გადაჰყურებს ბრძოლის ველს.  
რადამისტი და ზენობია ციხის ქიმზე დგანან)

არია

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: უძვირფასესო მეუღლე,  
მშვენიერო,  
შენი ცრემლები გულს მიკლავს,  
სიმტკიცეს და ღონეს მართმევს.  
ჩემო კარგო,  
უძვირფასესო,  
დაიმშვიდე  
ეს გული.  
ზეცა მოწყალე არის, იმედი ფეთქავს  
ამ ჩემს სხეულში და  
მტრებზე ჩვენ გავიმარჯვებთ.  
ო, მისმინე ეს აღელვება  
კარგს არ მოგვიტანს, დამშვიდდი.  
შენი ცრემლები ხელს მიშლის,  
მაუძღურებს  
და სიმტკიცეს,  
ვაჟკაცობას  
სიმბდალეს, შიშის გრძნობით  
მიცვლის.  
მე მსურს დაგამშვიდო,  
დააგეხრო შიშის გრძნობა. (ეუბიურა ზენობიას არიამდე)  
ზ ე ნ ო ბ ი ა: ჩემი სიკვდილი გიხსნის და



გადაგარჩენს,  
დაგელოდები საიდუმლო გვირაბთან.  
მე არ მინდა  
პატივყარილი გნახო  
მეომრებთან,  
შერცხვენილი, უნუგეშო.  
დაპირებამ და მოტყუებამ,  
ცბიერებამ არ უნდა  
შეგვაცდინოს.  
მზად ვარ მოვკვდე,  
ღმერთო ჩემო!  
რომ არ ვიხილო  
ჩვენი განადგურება  
სიკვდილისაგან მაქვს შვება. (რეპრიზის შემდეგ)  
არ მინდა გიხილო  
მტრისაგან შერცხვენილი.  
სიკვდილი, სატანჯველის,  
თავის დამცირების იქნება შვება.  
შევხვდები სიხარულით  
ამდაგვარ აღსასრულს და  
მივიღებ ზეცისაგან  
შვებას სამარადისოს.  
ზეცისაგან მძიმე განაჩენს.

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: მისმინეთ, ღმერთებო,  
რასაც შეგთხოვთ!  
თქვენ გემორჩილებით!  
დაამხეთ ტირანის ძალაუფლება და  
მოგვინახეთ სიმშვიდე,  
თავისუფლება და ბედნიერება.  
მაგ შენი ცრემლები  
ვნებას მიშლიან და მაუძღურებენ.  
მიუგეთ ტირანს სამაგიერო,  
ბოლო მოუღეთ!  
თქვენ მოგიწოდებდით,  
თქვენ მოგიწოდებდით დახმარებისთვის.

მოუღეთ ბოლო ტირანის განზრახვას,  
მოიპოვეთ სიმართლე,  
ნათელი საქმენი გზას არ დაკარგავს,  
თავისუფლებისათვის ვიბრძოლებთ მარად.  
ჩვენს მტრებს დავამხოთ.  
და ბოლოს მოვუღებთ მათს თვითნებობას.

(ციხის ზღუდეს მოადგებიან ფრაარტი, ტიგრანი და ფარსმანი)  
რეჩიტატივი

ფ ა რ ს მ ა ნ ი: ფრაარტე!

მომიღეთ ბოლო,  
მე რაღას მემართლებით!

ტ ი გ რ ა ნ ი: ვერ ეღირსები!

ფ რ ა ა რ ტ ი: არ შემიძლია,  
ისევ გამოგვადგები,  
მოდო კოშკთან და  
უთხარი დაგვენებდნენ,  
დროა დაგვემორჩილონ.

ტ ი გ რ ა ნ ი: ჩვენ შეგიწყალებთ,  
არ გაგისტუმრებთ ისევ თქვენს ქვეყნისაკენ.

ფ ა რ ს მ ა ნ ი: მივალ ციხის კედლებთან

მოვუხმობ,  
სათქმელს მოვახსენებ!  
მსუბუქია ბორკილი  
ვაჟაკისათვის,  
ვიზეიმებ მარადის  
ამ წამების შემდეგ. (2-ჯერ)  
მე კვლავ ვიზეიმებ!  
მე კვლავ ვიზეიმებ!  
ვიზეიმებ.

მსუბუქია ბორკილები  
ვინც გულით არის ძლიერი,  
ვინც ძლიერია გულით.  
არ ეშინის ბედის,  
არ ეშინის სიკვდილის!  
მსუბუქია ბორკილები (2-ჯერ)  
ვინც არს გულით ძლიერი.

ვინც ძლიერია ჭირში,  
მარადის იზეიმებს,  
იზეიმების მარადის!  
იზეიმებს ის, ის მარად იზეიმებს (რეპრიზის შემდეგ)  
არ მეშინია სევდის,  
არ მეშინია ბედის,  
არ მეშინია ბედის,  
გული მტკიცეა  
სიცოცხლით და ნუგეშით.  
არ მეშინია სიკვდილის,  
არ მეშინია, არ მეშინია სიკვდილის!  
რადგანაც მარადის  
აღსავესება გული  
გამარჯვებისათვის სურვილით!

(რადამისტის სასახლის წინ მოედანია)

ფ რ ა ა რ ტ ი: ეს გაიყვანეთ! (გაჰყავთ ფარსმანი)  
ბრძოლისავენ!

ტ ი გ რ ა ნ ი: წინ! წინ!  
შევეუტიოთ მტრებს.

ფ რ ა ა რ ტ ი: დავამხოთ ზღუდეები.

ტ ი გ რ ა ნ ი: გასწით! თამამად!

ფ რ ა ა რ ტ ი: შევეუტიოთ

ტ ი გ რ ა ნ ი: ბრძოლისავენ,  
სიკვდილი მტრებს!

(ქალაქის ზღუდეებს შეანგრევენ, ქალაქიდან ტყვეები გამოჰყავთ).  
(რადამისტის სასახლის მოედანი. ტირიდატის წინაშეა ტყვეები)

ტ ი რ ი დ ა ტ ი: მე (გაეიმარჯვე მტრებზე)  
და ვიზეიმებ მათ დამარცხებას.

ჩემ წინ დაემხო მტერი.

ტყვეთა შორის

ზენობიას ვერ ვხედავ!

ფ რ ა ა რ ტ ი: ტირიდატე!

ტ ი რ ი დ ა ტ ი: აი, როგორ ასრულებ ბრძანებას ძმისას.

ფარსმანის მონა ცოცხლობს?

რად არ მოჰკალ მტერი

წყვეულთამოდგმა.

ფ რ ა ა რ ტ ი: დავემორჩილე  
სპარსთა მთავრის ბრძანებას.

ტ ი რ ი დ ა ტ ე: შენი მეუფე მე ვარ.  
ჩემი ისმინე,  
გაქცეულები მომგვარე.

ფ რ ა ა რ ტ ი: თუ შევძელ  
ხელთ გდება შენი,  
ასულო ულამაზესო!  
რისთვის შეკრთა  
ტრფობისაგან ჩემი გული,  
ვეამბორები მშვენებას  
და სილამაზეს!  
რისთვის შეკრთა ეს გული.  
ო, ზენობია ჩემო ძვირფასო,  
ულამაზესო!  
მონა ვარ შენი მშვენების,  
მონა ვარ შენი, ჩემო ძვირფასო,  
ულამაზესო,  
ჩემო საუნჯევე გულის.  
ჩემი გული იზიარებს  
უბედურებას  
და თანაგრძნობით  
შენს მწუხარებას.  
ეჰ, რომ შემეძლოს  
ვითანაუგრძნო უბედურება.

პ ო ლ ი ქ ს ე ნ ა: (მარტო) ჩემთვის ცხადია,  
არ დაინდობს რადამისტს  
მრისხანე ტირიდატი.  
მომიკლავს ძვირფას ძმას  
და გამაუბედურებს.  
ცთუნებულა  
ზენობიასგან.  
უარყო ჩემი ფიცი  
მოვითმინო ეს სირცხვილი,  
რისთვის მარგუნა ბედმა ცოდვა?  
იმედით ვცოცხლობ მარადის.

იქნებ ჩაჰქრეს მრისხანება,  
 მოლბეს გული,  
 და შეიწყალოს შერისხულნი.  
 მოლბეს გული, შეიწყალოს დამონებულნი.  
 და შეიწყალოს დამონებულნი.  
 და შეიწყალოს დამონებულნი, დამონებულნი.  
 არ შემისმენს და  
 იხილოს ზეცამ  
 გავიპობ გულს მახვილით.  
 გავიპობ ამ გულს; მახვილით.  
 ო, ვცოცხლობ მიმავლის რწმენით.  
 ნათელი დღეები მოვლენ,  
 შეიცვლება წამება.  
 დაბრუნდება მყუდროება,  
 დიდება და პატივი,  
 კვლავ ვიხილავ მშვიდობას.

## მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა II

(მღინარის ნაპირი, მიწისქვეშა გვირაბიდან მალულად ამოდიან ზენობია  
 და რადამისტი)

ზ ე ნ ო ბ ი ა: ჩემო მეგობარო,  
 მეუღლე ჩემო,  
 დავიღალე და აღარ შემიძლია.  
 ცოტა ხანს დავისვენებ.

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: ჩამოჯექი,  
 ძვირფასო.

ზ ე ნ ო ბ ი ა: ღონეს მოვიკრებ.

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: მიმოვიხედავ ირგვლივ,  
 მტერი არ იყოს აქ  
 სადმე ჩასაფრებულთ.

ზ ე ნ ო ბ ი ა: უმადურო ბედისწერავ,  
 ღმერთო რა შეგცოდე!  
 დასასრული არ უჩანს!  
 როდემდის!

უმადურო ბედისწერავ.  
ღმერთო რა დავაშავე,  
უმადურო ცხოვრებავ,  
დასრულდი,  
როდის მომასვენებ!  
მომაცილებ წამებას.

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: გაიხედე!  
მთის წვერზე  
მოცოცავენ მღევრები.  
შეგვამჩნიეს, გათავდა...

ზ ე ნ ო ბ ი ა: რა გვეშველება, უფალო!  
ღმერთო, დავიღალე!

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: ვნახოთ.

ზ ე ნ ო ბ ი ა: აღსასრულის დრო  
მოახლოვდა?

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: მტერი ახლოა.  
გაქცევა დაგვიანდა.

ზ ე ნ ო ბ ი ა: სამარცხვინო სიცოცხლეს  
სიკვდილი მიჯობს.  
გვედრები მომკალი!  
ნუ შეკრთები, რადამისტ,  
აიღე მახვილი.  
გამიპე გული.

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: ო, არასდროს!

ზ ე ნ ო ბ ი ა: რას ფიქრობ!

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: ზეცავ, როგორ მოვიქცე?

როგორ გაეთელო ჩემი ღირსება.

მეუღლე ჩემი მტრის ხელში ჩაეგდო?

ზ ე ნ ო ბ ი ა: რაღას ფიქრობ,  
დრო არ ითმენს.

(ზენობიას დაქრის და მდინარეში გადააგდებს. შემოიჭრებიან ტიგრანი  
და მცველები)

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: აქ ვარ!

შეუბრალებელი,

ძვირფას' მეუღლის მკვლელი.

იძიეთ ჩემზე შური,

არ მეშინია თქვენი,  
დასაკარგი დავეკარგე,  
გავსწორდეთ,  
შევებათ,  
იშიშველეთ ჩემზე ხმალი.

ტიგრანი: მოცილდით,  
მშიშრებო!

ერთ კაცზე მიიწევთ!  
სირცხვილი რა უყავით!?

რადამისტი: ნუ შემიბრალებთ, მოდიოთ,  
რა ელოდებით,  
გამანადგურეთ ჩქარა,  
თქვენ წინაშე ვარ  
რადამისტი, გესმით!

ტიგრანი: ენდვე ტიგრანს, მე გიხსნი,  
დამემორჩილე ჩქარა... გელი!

რადამისტი: შენ გსურს ცოცხლად ტიგრანს მიმგვარო?  
ის მე არ მიცნობს,  
არ ვუნახივარ  
მის მრისხანე თვალებს.

ტიგრანი: მისმინე. კარგი...  
იხილავ პოლისენას,  
შენს დასთან მსურს წამომყვე.

რადამისტი: გავუსწორდები  
სპარსეთიდან მოსულ ჯალათს.  
ბედისწერას ვენდობი.

ტიგრანი: მონახავს ერი ჩვენი  
საერთო გზას.

რადამისტი: ო, მოგყვები,  
გამიძეხი.. წავიდეთ!

(რადამისტი გაუსწორდება ტიგრანს)

მაპატიე, მაპატიე,  
ჩემო მეუღლე,  
განისვენე!  
განისვენე. ელოდე შურისძიებას  
და განადგურებას.

მაპატიე, მაპატიე,  
ჩემო მეუღლევ და  
ელოდე შურისგებას.  
ო, განისვენე მარტოდ,  
ელოდე შურისძიებას,  
განისვენე, განისვენე,  
განისვენე. ელოდე  
შურისძიებას, შურისძიებას ჩვენს მტრებზე.  
და მაშინვე მოვილტვი,  
რომ ვნახო შენი ლანდი (მსურს ისევ  
გეამბორო) მსურს ისევ გეამბორო.  
გეამბორო,  
მოვილტვი შენკენ. შენკენ.  
რომ გეამბორო.

(ფრაარტი მდინარიდან ამოიყვანს დაკრილ ზენობიას, რომელიც ტირის)

ფ რ ა ა რ ტ ი: ნუ სწუხარ მშვენიერო.

ნუ აფრქვევ ღამაზ თვალებიდან ცრემლებს.

ზ ე ნ ო ბ ი ა: რა დამამშვიდებს, ღმერთო!

რად არ ვაფრქვიო ცრემლი.

ფ რ ა ა რ ტ ი: შენი ცრემლები მხიბლავს.

ტრფიალებას მიღვივებს.

მშვენიერი ხარ!

მიგულე შენს დამცველად.

ზ ე ნ ო ბ ი ა: სიკვდილშიც ბედი არ მაქვს,

ფურიებო ქვესკნელის,

ნუ მიმატოვებთ, მარტო უნუგეშოდ.

გამომეცხადეთ და მომეშველენით.

სიკვდილშიც ბედი არ მაქვს,

ფურიებო, ნუ მტოვებთ უნუგეშოდ.

აქ მოდით.

გამომეცხადენით!

მომეშველენით!

სიკვდილიც კი, მენატრება, ღმერთო!

განსაცდელისგან მიხსენ,

ნუ მტოვებ უნუგეშოდ.





„რადამისტის“ ქალს საფესტივალო დადგმა.

განსაცდელისაგან მიხან. ღმერთო!  
მოჰკალი ჩემი ტირანი,  
მწვალებელი გულისა,  
მომეშველენით!  
მე მოგიხმობთ!  
მომეშველენით.. ფურიებო.  
მოუღეთ ბოლო ტირანს,  
განადგურეთ ტირანი,  
განადგურეთ მტერი!  
მოუღეთ ბოლო!  
მომეხმარეთ.

(სასახლის ბალი ხეინით)

ტ ი რ ი დ ა ტ ი: ბედი მწყალობს ბრძოლაში,  
მიზანს ვერ მივაღწიე,

გამეჭვნიენ ჩემი მტრები,  
ვერ დავმშვიდდები, ვერა,  
სანამ ხელთ არ ვიგდებ  
გულისსაწადელს.

ფ რ ა ა რ ტ ი: მეფევ!

ტ ი რ ი დ ა ტ ი: როგორ, დაბრუნდი?

ფ რ ა ა რ ტ ი: ზენობიას ხედავ?

ტ ი რ ი დ ა ტ ი: ძვირ ფასო ფრააარტ.  
როგორ მასიამოვნე.

რა ბედნიერი დღეა.

ფ რ ა ა რ ტ ი: მდინარეს გამოვტაცე.

ტ ი რ ი დ ა ტ ი: მდინარის ტალღებს?

ფ რ ა ა რ ტ ი: განგმირული  
უმოწყალოდ, მახვილით.

ტ ი რ ი დ ა ტ ი: ცაო,

ვინ დაჭრა,

ვინ გასწირა?

ფ რ ა ა რ ტ ი: თვით რადამისტის  
ხელმა.

წავალ. გაგეცლები,

მბრძანებელო, ჩემო მეფევ;

უმაღლე ბედისწერას შენსას.

წავალ. წავალ გაგეცლები,

მბრძანებელო მეუფევ.

უმაღლე...

წავალ, გაგეცლები, მბრძანებელო; მეუფევ ჩემო,

უმაღლე ბედისწერას.

დამატებო ულამაზესი სახით,

ზღაპრული მშვენიერებით,

შენ წინაშე გაბრწყინდება მშვენიერება

მომაჯადოებელი.

ზ ე ნ ო ბ ი ა: შენ წინაშე წარვსდექი,

მსხვერპლი ვარ შენი,

სიხარულის მიზეზი.

სიძულვილს ნახავ,

ვერ გაიხარებ ჩემთან.

ტ ი რ ი დ ა ტ ი: შენა ხარ

ნუგეში ჩემი,  
უძვირფასესი განძი.  
ეხედავ მშვენიერ თვალებს.  
გაგაბედნიერებ, გაგაბედნიერებ!  
შენი იქნება ძველი მამულები,  
სამეფო ამ ქვეყნის!  
გაგაბედნიერებ ჩემო უძვირფასესო,  
დედოფალო ჩემო,  
მშვენიერო!

გაგაბედნიერებ, უძვირფასესო.  
შენ დედოფალი ხარ.  
ბრწყინვალე ასული,  
დედოფალო ჩემო.  
მზეო ბრწყინვალეო,  
მზეო ბრწყინვალეო.  
გაგაბედნიერებ, დედოფალო ძვირფასო.  
დაივიწყებ ძველ დღეებს  
დაივიწყებ' ძველ წამების წუთებს მტრისას.  
მომიტევე ცოდვა,  
და მოდი, გაგაბედნიერებ.  
მშვენიერო მეუფევე:  
წარმტაცო მეუფევე-  
ჩემო ძვირფასო!  
უმშვენიერესო!

ზ ე ნ ო ბ ი ა: ნუგეში აღარ არის.

სიციოცხლე მომბეზრდა.

ფ რ ა ა რ ტ ი: ვისმინე შენგან,

ძვირფასო ზენობია,

ტირიდატის განკიცხვა.

უფრო შემეყვარდი, ჩემო ლამაზო!

ზ ე ნ ო ბ ი ა: განვედით, მომცილდით!

თავი მანებეთ,

ძლიერ მეზიზღებით.

შეხედვაც არ მსურს!

ღმერთო, მისმინე,  
მაშორე ეს ტანჯვა,  
მომეც წყალობა,<sup>1</sup>  
და მოგონება.  
ღმერთო, მისმინე,  
ერთგული ვარ ქმრისა,  
ო, სახე მისი კვლავ მომაგონე,  
ანდა მომკალი,  
წამება მაკმარე.  
ანდა მომკალი,  
და დამასვენე!  
მომკალი, ღმერთო,  
და დამასვენე. (ზენობია სტოვებს ფრაარტს)

ფ რ ა ა რ ტ ი ს ა რ ი ა : რ ა ვ ქ ნ ა ?

ღრო თავისას მოიტანს,  
შეიცვლის ფიქრებს,  
მიხილავს  
უერთგულეს მოყმეს.  
ტრფობას დამსახურება ჰკირდება!  
ვეცდები მარად  
დამიკავშირდეს  
და შემეყვაროს გულით,  
გულით, გულით.  
მიხილოს მეგობარი ერთგული.  
თვალნი მეტყველნი  
სიცოცხლეს მგვრიან.  
მაჯადოებენ,  
გრძნობას მიშლიან.  
მაჯადოებენ და მიწვევენ  
ის მხიბლავს გულით,  
ძვირფასი მშვენებით,  
უებრო სახით.  
მეტყველი თვალებით,  
ვნებას შლიან  
უნაზეს მზერით,  
მაჯადოებენ.

მიშლიან გრძნობას,  
მომხიბვლელია მისი თვალები!

(ტიგრანი პოლისენასთან შემოიყვანს გადაცმულ რადამისტს)

პოლისენა: უღრმესი მადლობა  
სამსახურისთვის.

ტიგრანი: ტრფიალი და ზეცა  
მამოქმედებს შენთვის,  
ძვირფასო პოლისენა.  
გადაივიწყე: რაც შეგემთხვა!  
ტრფიალი და ზეცა  
მამოქმედებს შენთვის,  
ძვირფასო ასულო.  
გამხიარულდი, გამხიარულდი,  
გამხიარულდი!  
გადაივიწყე წარსული შენი,  
გამხიარულდი.  
გთხოვ, გადაივიწყე,  
გთხოვ, გადაივიწყე.  
ტრფიალი და ზეცა  
შენკენ მომიხმობს!  
კარგი, გთხოვ მომიტევე!  
გადაივიწყე.  
კვლავ გამხიარულდი!

(პოლისენა და რადამისტი)

პოლისენა: საყვარელო ძმაო.  
ბედნიერი ვარ, ცოცხალი რომ ხარ.  
სიამით ჩაგიკრავდი,  
ჯავრს შეგიმსუბუქებდი,  
შიშის გამო რას იზამ,  
თაქს ვიკავებ.

რადამისტი: მიმიყვანე  
საწოლთან შენი ქმრისა.  
გაეუსწორდები ბოროტს

პოლისენა: არასდროს!

რადამისტი: წადი, უღირსო მეუღლე,

წადი, უმადურო დაო!  
იხსენი ბოროტება.  
სიკვდილისგან და  
იხსენ მოლაღატე ქმარი.  
წადი, უღირსო დაო!  
მომცილდი, უმადურო,  
ბარბაროსი იხსენი!  
ბარბაროსი იხსენი!  
მიეშველე ჩქარა!  
წადი, მომცილდი უმადურო.  
წადი, მას მიეშველე,  
ისწრაფე, უმადურო.  
ბარბაროსი იხსენი,  
მიეშველე ჩქარა.  
მიხილე განგმირული,  
არ დაღვარო ცრემლები  
და გაიხარე გულით.  
გაიხარე გულით.  
მნახავ განგმირულს მახვილით!  
არ დაღვარო ცრემლები!  
გაიხარე გულით,  
ნახავ განგმირულ გულს!  
ნახავ განგმირულ გულს! (სტოვებს)

პოლისენა: ო. რა ვქნა, არ ვიცი, რა ვქნა?!  
ვუშველო ოჯახს თუ ძმას?!  
დავიხსნი ძმას რისხვისგან,  
ვიხსნი მეუღლეს სიკვდილისგან.  
განსაცდელი მოელის  
ძმასაც და მრისხანე მეუღლესაც.  
არ ვიცი რა ვქნა და როგორ დავიხსნა ჩემი თავი,  
მიხსენი, ცაო, მოწყალეო!  
მიხსენი და მომეცი მოწყალეობა.  
აღადგინე ჭეშმარიტება.  
მიხსენ განსაცდელისგან!  
მიეშველე, იხსენ ცოდვისაგან.  
არასდროს სული ჩემი

არ ყოფილა უღმობელი.  
სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი.  
ეს არის მშველელი და შვების მომგვრელი.  
არ მინდა სიცოცხლე!

ტიგრანი: მეფე, ბატონო, მოუკლავთ რადამისტი  
(მიმართავს ზენობიას)

ტირიდატი: რადამისტი მოუკლავთ?!

ზენობია: მოუკლავთ რადამისტი?!

ტიგრანი: სამეფო სამოსელი  
ამის დამადასტურებელი არის.

ზენობია: რას ვხედავ!  
რად ვარ ცოცხალი! (არჩევს ტანისამოსს)  
მოსასხამი,  
მახვილი მისი,  
ისარი.

ტიგრანი: თქვენ წინაშე წარსდგება  
ქსახური მეუფისა,  
და თქვენ გეტყვით  
მკვლელობის ამბავს,  
ანდერძს მომაკვდავისას!

ზენობია: და მე კვლავ ცოცხალი ვარ! (გული უღონდება)

ტირიდატი: შემოიყვანეთ,  
კმაყოფილი ვარ, ტიგრან!  
დაგიფასებ სამსახურს,  
დაგაჯილდოებ.

ტიგრანი: სამსახურისთვის და ღიდებისთვის  
(შემოჰყავთ გადაცემული რადამისტი)

რადამისტი: (თავისთვის) მთავარია სიმშვიდე..  
რომ არ ავლელდე.

ტირიდატი: იცნობდი რადამისტს?  
მითხარი მართალი!

რადამისტი: მე მქვია ისმენი,  
დიდო მბრძანებლო პართიისა!

ზენობია: (ხმაზე მიხვდება) ღმერთო, რა მესმის,  
სიზმარში ვარ თუ ცხალში?!

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: შენ ხარ ტირანის ხელში,  
მაგრამ იყავი მტკიცედ.  
სიკვდილი გიჯობს  
მაგ ტირანთან სიცოცხლეს,  
ამ სიტყვებთან ერთად აღმოხდა სული!

ზ ე ნ ო ბ ი ა ს ა რ ი ა: უნდო, უნდო უგრძნობელო! (ტირიდატს):  
კარგო, კარგო ჩემო ისმენ! (რადამისტს)  
იკმარე ჩემი ტანჯვა! (ტირიდატს)  
ვიქნები ბოლომდე შენი (რადამისტს)  
მექნება რწმენა!  
ნუ ელი სიამეს! (ტირიდატს)  
მნახავ, ძვირფასო ჩემო! (რადამისტს)  
ნუ მიშლი ვიტყვით,  
ტრფიალებას ფაქიზად ვინახავ გულში.  
ნუ მიშლი ვიტყვით!  
მნახავ. ძვირფასო ჩემო.  
ტრფიალების სურვილით.  
ნამდვილ ტრფიალებას — გულში ვინახავ  
(ტირიდატი განრისხებული ტოვებს).

რ ა დ ა მ ი ს ტ ი, ზ ე ნ ო ბ ი ა: თუ გულით გიყვარვარ,  
კარგო,  
ქეშმარიტი იყოს ტრფიალება ჩვენი,  
და სამუდამო მეგობრობა და ერთგულება.  
ფიცის გამტეხი, ორგული მოღალატე  
დასაჯოს ზეცამ!  
ქეშმარიტი იყოს ტრფიალება ჩვენი,  
მარად ჟამს ვიყოთ ერთგული,  
მარად ბედნიერი!  
ჰო, მარად ჟამს ვიყოთ ერთად,  
ჭირშიც და განსაცდელშიაც. (რეპრიზასთან)  
ვიქნებით ერთგული (და)  
ჭირშიც და განსაცდელშიც  
ვიქნებით ერთად.



### მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა III

(სასახლის წინ, მოედანზე ფრაარტი და ტიგრანი)

ტიგრანი: საკმარისია ტირანის თარეში,  
ეგოდენ ცოდვების არ მსურს ატანა.  
სიმართლე მსურს  
კვლავ გამეფდეს.  
დრო არის

მოველოთ ბოლო ჩვენს მტრებს.

ფრაარტი: საჭიროა ლაშქარი, ფარული შეთქმულება.

დიდება მართალ საქმეს,

დიდება მომავალს,

დე: შუქი მოფინოს

ნათელმა ძალებმა!

დიდება ჩვენს მომავალს,

დიდება სამართალს.

დიდება ჩვენს მომავალს,

დე: შუქი მოჰფინოს

ნათელმა ძალებმა და

შუქი მოეფინოს,

დიდება ნათელ მომავალს!

დიდება ჩვენს მომავალს

და ჭეშმარიტებას.

ო. დაიცხროს გრძნობები,

და მოუღებეს შეუბრალებელი გული.

და მოუღებეს გრძნობები:

ურწმუნო გული.

ტიგრანი: ვიცი, შემცდარი ვარ და

ვიმშვიდებ გრძნობას.

განწირულია ჩემი ტრფიალება,

დავიმსახურებ მე მის სიყვარულს,

თუ შევძლებ ვიხილო

მისგან შებრალება.

ძნელია ტრფიალი,

უმიზნო, უიმედო,

გულისმკვლელი,  
თვალის ამხილველი.  
სიამით ნათელი  
შუქით გაბრწყინდება,  
როდესაც სურვილი  
აუსრულდება, აუხდება და  
კვლავ დიდება  
ძლევამოსილი დაუბრუნდება.  
მე ვიცი, შემცდარი ვარ,  
არ მედარდება,  
სატრფოს გულისათვის  
გული სიამით  
ამიძგერდება და გამიხარდება.

(რადამისტი უმღერის ზენობიას)

რ ა დ ა მ ის ტ ი: ვფიცავ გრძნობას  
და ჩემს სიყვარულს,  
ჩემს მწველ ტრფიალებას,  
ვერ, ვერ შევძლებ  
შენს მიტოვებას  
და ტირანის  
რისხვის, ვნებისათვის  
შენს ველურ დამცირებას.  
ვერ, ვერ შევძლებ, კმარა.  
არ მსურს მივცე ჩემი განძი,  
არ მინდა ჩაუფგლო მტერს.  
ვერ, ვერ მივცემ  
არ მსურს,  
არ მსურს!  
არ მსურს! მივცე ჩემი განძი,  
არ მინდა დაგტოვო მარტო.  
არ მინდა დაგტოვო მარტო.  
არ მსურს დარჩეს ტირანს ჩემი განძი.  
ვერ დაგტოვებ მარტო.  
მე ვიამაყებ შენი სიყვარულით და (რეპრიზა)  
ვიქნები მარად შენი ერთგული.  
მე მსურს ვიყო შენი დამცველი და

შენი ერთგული.  
ტრიუმფია, ტრიუმფია  
შენთან ყოფნა ჩემთვის.  
ძვირფასია, საამაყოა.

(შემოდის ტირიდატი)

ო, დედოფალო ჩემი ქვეყნისა,  
მეფევ, მეუღლევ ტირიდატის!  
მიგიძღვნი სამეფოს ტახტს;  
ხედავ, ტახტი,  
ეს სკიპტრაა,  
გვირგვინი შენი, მოდი, მომიახლოვდი!

(ტირიდატი მიიწვევს, რადამისტო მახვილს იშიშვლებს).  
(შემოიჭრებიან პოლიქსენა და ფარსმანი)

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: ტირანო, მოკვდი!

ბოლო მოგედო, მოკვდი!

პ ო ლ ი ს ე ნ ა: (გაღეფარება ტირიდატს)

მე უწინ მომკალი!

არ მსურს ვუყურო

ამ უბედურებას.

ფ ა რ ს მ ა ნ ი: შესდექ!

უღირსო, მოცილდი რადამისტს!

რისთვის უშლი განგმირვას

მაგ ტირანისას.

ტ ი რ ი დ ა ტ ი: რა მესმის!

პ ო ლ ი ს ე ნ ა: ეს რა ვქენ,

ო, რადამისტო!

მისმინეთ!

ფ ა რ ს მ ა ნ ი: მეც შევეცი, ღმერთო!

ტ ი რ ი დ ა ტ ი: შეჰკარით შეთქმულები.

სიკვდილი მოგელით.

(პოლისენა მუხლს მოიდრეკს, ტირიდატი არც შეხედავს,  
ხელით ანიშნებს წასვლას)

პ ო ლ ი ს ე ნ ა: (ტირიდატს) მოგცილდები,

მოგცილდები, მეუღლევ!

მრისხანევ, დაუნდობელო.

შეიბრალე, შეიბრალე

ჩემი ძმა და ნათესავები.  
სისხლს ნუ დაანთხევ.  
ხომ დარწმუნდი  
მეუღლის ერთგულებაში.  
შეიბრალე, ნუ მოჰკლავ!  
მოგცილდები, დაგტოვებ  
ჩემო მრისხანევ, დაუნდობელო.  
შეიბრალე, შეიბრალე  
შეიბრალე!  
ნუ მომიკლავ  
ძმას და ნათესავებს.  
ნუ მომიკლავ, გთხოვ შეიბრალე.  
ნუ მომიკლავ, შეიბრალე.  
მოჰკლავ და მეც მოგიგებ,  
მოგიგებ ძმის სისხლისთვის.  
ზიზლით შეიცვლება პატივისცემა,  
დადგება დრო შურისძიების  
და რისხვა დაგატყდება.  
მე გთხოვ გაფრთხილდი, გვედრები.  
მოვა სიმართლე,  
მოვა დრო ჭეშმარიტების!  
ახდება მუქარა! (გალის)

(შემოჰყავთ რადამისტი და ზენობია დატყვევებულნი)

რ ა დ ა მ ი ს ტ ი: ჩემო ზენობია

ზ ე ნ ო ბ ი ა: შენ ვერ გილალატებ,

მე მსურს შენთვის მოვკვდე!

პ ო ლ ი ს ე ნ ა: გადაიხვეწე,

ტირიდატე...

ტ ი რ ი დ ა ტ ი: მოხვედი?

აბეზარო მეუღლე.

პ ო ლ ი ს ე ნ ა: მოველ,

ძვირფასო.

აგიჯანყდნენ მეომრები,

ფრაარტი და ტიგრანი შეუერთდნენ

ჩვენს ვერაგ მტრებს, მოიწვევენ და

სადაც არის აქ შემოვლენ.

ტირიდატი: რასტყვი?

პოლისენა: ქალაქის კარი

გაულეს მტრებს და მოემართებიან.

ტირიდატი: რა მესმის!

პოლისენა: ტაძარი უკვე

ალყაშემორტყმულია.

ზენობია: გვეშველა!

ფარსმანი: ო, პოლისენა!

ტირიდატი: შესდექით, (მსახურები გარბიან)

ნუ გარბიხართ!

იარალისკენ!

მტერს შევებრძალოთ! (იმართება ბრძოლა)

გმირულად შევხვდეთ სიკვდილს,

გარბიხართ, მხდალებო!

მარტო დამტოვეთ,

არ დაგნებდებით, მტრებო! (თაინახავს ფრაარტს)

მოხველ, მოლალატევ!

დრო შემირჩიეთ,

დამამარცხეთ,

მე თქვენ გემორჩილებით!

ფრაარტი: შესდექით, მეომრებო,

ტიგრანი: ჭეშმარიტება აღსდგა!

ტირიდატი: თქვენ, მოლალატე ძმებო,

მოდით, განმგმირეთ!

მომკალით!!

არ დამინდოთ,

ჩქარა მომიახლოვდით,

მახვილი გნებავთ?!

მიიღეთ, რაღას ელით! (გადაუგდებს მახვილს)

ტიგრანი: ფარსმანი მობრძანდება.

ფარსმანი: ჭეშმარიტება აღსდგა და

სამართლიანობამ გზა გაიკაფა.

რადამისტო: გემორჩილები, მეფევ

და მშობელო.

ჭეშმარიტება აღსდგა.

პოლისენა: მამავ, ჩვენ მოგვიტყევთ.

ზენობია: მაღალო ღმერთო  
უკვდავო სიყვარულისა,  
მოგვეცი სიხარული და  
მოგვეც ტრფიალება.  
იფრქვევა თვალებიდან  
ცრემლები სიამის, ტრფობის და სიხარულისა,  
მაღალო ღმერთო,  
უკვდავი სიყვარულისა,  
მოგვეც სიხარული.  
მოგვეცი ტრფიალება,  
მოგვეცი ტრფიალება! (2-ჯერ)  
მაღალო ღმერთო ტრფიალების,  
მოგვეცი ლხენა,  
მოგვეცი ტრფიალება.  
ღმერთო. სიყვარულისა,  
ო, მოგვეცი სიამე.  
მოგვეცი მოლხენა  
მოგვეცი ტრფობა,  
დიდი ბედნიერება.  
ლხენა და ბედნიერება  
მოგვანიჭე, ღმერთო!

რადამისტო. მოდით, ვიმხიარულოთ,

დავივიწყოთ წარსული!

ზენობია: გააქრა ბოროტება,

მოდით ყველანის

ფინალური გუნდი: დღის უფრო ბედნიერის

სურვილიც არ არის.

საოცნებოა და

ნეტარი. დღე არის.

რადამისტო, ზენობია: ვარსკვლავი ლამაზი, ცაზე  
შეგნიშნე და

პოლისენა, ტირიდატი: ავრორა გვაგონებს  
მოვალეობას.

ფრაატო, ტიგრანი: იქ, მზე კვლავ დაჰბადებს  
სხივებს შემამკობელ!,

დღე უფრო ბედნიერი სასურველიც არ არის.

## აცის და გალათეა (Acis und Galatea)

### მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I

1

შესავალი

2

გ უ ნ დ ი: ო, ველებო მაღლი თქვენ,  
როკვა, სიმღერა ტკბილი  
ლაღად მღერა,  
სიცილი მარადის!

ს ო ლ ო: გამოგვიბრწყინდა აუ,  
გვირგვინს გვიწინავს თაუ,  
სურნელი ვარდის  
ეფინება სივრცეებს.

გ უ ნ დ ი: (სოლოს იმეორებს მოლიანად)

ს ო ლ ო: ცეკვის ხმები გვატკბობს,  
ტკბილად გვიღიმის მზის  
კაშკაშა სხივები —  
შემოდგომით ღვინო!

გ უ ნ დ ი: (იმეორებს სოლოს სიტყვებს მთლიანად).

3

რეჩიტატივი და არია:

გ ა ლ ა თ ე ა: ბნელო ტყეო,  
ფერადო რტონო,  
მჩქეფარე ხმაურა წყარო,  
მუქისფერ ბრწყინვალეობით აუ,  
მიმზიდველია მშვენება.

უძლური, უღონო — მხნეობა,  
ვეძებ ტანჯულს, ჩემს მწველს — ძვირფასს.

არია:

‘მორს, შორს თქვენ  
მროკველთა ქორო!  
თქვენი ჰანგი სულს მიშფოთებს  
ძვირფასნო აახებო.  
წადით, შეწყდეს სიმღერა,  
მომგვარეთ ჩემი აცისი!

4

ა ც ი ს ი: სად ვპოვო ის.  
ვისაც ვეტრფი?!  
მიჩვენეთ გზები ველზე, ღეთაებანო!  
ო, ბრძანეთ, სად ვპოვო სატრფო,  
ხედავთ ველზე?  
კვალს ამჩნევთ უღრან ტყეში?!

5

რეჩიტატივი და არია:

და მ ო ნ ი: სდექ, ცხვრებო, სდექ!  
ხომ ხედავ იქ  
მოფენილა ფარა?!  
რას ჰგავს სევდიანი ჰანგი,  
არ ეღერს სალამურის ხმები,

არია:

ცხვრებო, გთხოვთ გაუშვათ მწყემსი,  
უშიშრად ჰპოვებთ პატრონს.  
აქ დარჩი და იცეკვეთ,  
გვაკმარე შენი სევდა,  
ღღეს ხართ თქვენ თავისუფალნი  
ყოველგვარი ცრემლისგან.

6

რეჩიტატივი და არია:

ა ც ი ს ი: შეხედეთ!  
ო, გალათეა,





„აცის და გალათეა“, პრალის ოპერის თეატრის დადგმა

მომხედეთ აქეთ!

შენ წინაშე აციხი თავს იბრის!

არია:

აჩრდილივით შემოგყურებ.

შუქი ელვარე კრთის,

სატრფო ზის მკერდზე თავდახრილი,

მღერის სევდაზე,

გამიღიმე სიამით,

შენს ოქროს ბაგეთი,

შფოთვენ, კრთიან ტანჯვილის,

გლოვობ ტკბილ ვნებას.

7

რეჩიტატივი

გ ა ლ ა თ ე ა: მე ვიცი

წყაროვ სიყვარულისა,

გალათეას არ მიატოვებდრ!

არია:

ისე, ვით მტრედი  
მარტოკა გალიაში,  
დაესტირი სატრფოს,  
დამიბრუნდი სიხარულით სავსე!  
სად ხარ, გელი!  
გთხოვ, გთხოვ, გთხოვ!  
იყავ ლაღად,  
ჩვენთან ერთად,  
მოგიწოდებ წყევლიადშა.

8

ღუბტი:

ა ც ი ს ი, გ ა ლ ა თ ე ა: ვხარობთ! ვხარობთ სიამით!  
ა ც ი ს ი: ბრწყინავს თვალი,  
გ ა ლ ა თ ე ა: ხარობს გული,  
ნიმფებზე უკეთესი!  
ა ც ი ს ი: სინათლეო,  
საუჩუგო.

9

გ უ ნ დ ი: ვხარობთ, ვხარობთ, სიამით!  
ხარობს გული,  
ბრწყინავს თვალი.

მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა II

10

გ უ ნ დ ი: საბრალონი!  
რა მწვავედ გემუქრებათ ბედისწერა,  
საბრალო! მიჯნურანო!!  
ხედავთ, ხედავთ  
საზარელ პოლითემს.  
ის რა მტკიცედ მოიწეა!  
მთები შეკრთა.

ტყე შრიალებს,  
ტალღა მოგორავს,  
შიშით ნაპირს ასკდება,  
ჩუ! ჩუ!  
იგი მეზივით გრგვინავს!  
ჩუ, ჩუ.

11

რეჩიტატივი:

პოლითეზისი: რისხვა, რისხვა, ცოდვით ვიწვი.  
ცბიერ ღმერთს სურს  
გული დამიკოდოს,  
მწუხარე ნაძვო,  
ჩემს იარებს ხედავ?  
ჩემთანა ხარ,  
თან მოგაქვს ასჯერ  
ველურ ხმათ ჟღერა,  
ფლეიტის ხმა  
ჩემს ძალას უმღერის.  
მის შმაგ, ჯადოსნურ  
ხმებთან ვიმღერი  
უტკბეს გალათეასოვის აღზნებით.

12

პოლითეზისი: ვარდისფერლაწვიანო,  
ყოველ ნაყოფზე ტკბილო,

არია:

ნიმფა ხარ,  
მნათობი მთვარის  
მოქნილი ლერწამივით,  
მწიფე ვაზის მტევანო,  
ღუღუნებ მტრედსავით,  
მწველი ხარ ცეცხლის ალივით  
და ველურსავით დრტვინავ.

13

რეჩიტატივი:

პოლითეზისი: ჩემო კარგო.  
ეს მკლავები არ დაგთმობენ!

გ ა ლ ა თ ე ა : შენ მიირთმევ ლომებს ვახშმად,  
მაშ, გაუშვი კრავი, რად გსურს?  
პ ო ლ ი თ ე მ უ ს ი : პოლითემუსი ზევსსავით მძლეა,  
მას შენ უყვარხარ,  
გიწვევს კლდის სასახლეში,  
მისი ჯოგი სტუმრისთვის  
საამო საჭმელია.  
იქვე ქლიავია,  
ვაშლი გელოდება,  
მას შენის ხელით მოსწყვიტავ,  
გ ა ლ ა თ ე ა : ძვირი არის შენი წყალობა,  
ადამიანს მსურს დავუბრუნდე!  
სხვა მიიწვიე სტუმრად!  
ნუ დამტოვებ კარჩაკეტილს!

14

არია:

პ ო ლ ი თ ე მ უ ს ი : ტრფობით მწუხარეს გსურს წასვლა?  
სისხლი მემღვრევა რისხვისგან!  
შურს ვიძიებ და დაგთმობ!  
შურს ვიძიებ და დაგამხობ.

15

არია:

დ ა მ ო ნ ი : არ გსურს ნიმფის მოწყალება,  
იყავ ლაღად და დაემორჩილე.  
ტრფობამ უკვე დაგეტოვა მარტოდ.  
ძალა და მშვენიერება  
სიყვარულს არ მოგანიჭებს.  
იქნები გარიყული.

16

რეჩიტატივი:

ა ც ი ს ი : მრისხანება რისხვას იწვევს,  
მაძლიერებს,  
შევებმები!  
ალი აღმაგზნებს ბრძოლისთვის,  
ტრფობის ღმერთი ძალას მმატებს.

არია:

მსურს ვიბრძოლო!  
მტერს შევებე,  
ვისთვის თავს გავწირავ,  
მშვენება მიხმობს  
და მომიწოდებს,  
სიკვდილს არ გაუფრბი,  
გამოვნახავ ნამდვილ გზას —  
სითაც ვისწრაფვი.  
გავიხდები ბრძოლით —  
შენი მფარველი.

17

არია:

დ ა მ ო ნ ი: იფიქრე, ჭაბუკო,  
საშიში გზით მიხვალ!  
განსაცდელს იმკი  
მაგ შმაგ სიყვარულით.  
ტრფობისა სიამე  
შენს ირგვლივ დაგქროლებს,  
ტანჯვა მძიმეა სიყვარულისაგან.

18

რეჩიტატივი:

გ ა ლ ა თ ე ა: სდექ! დარჩი, მეგობარო!  
მწუხარება მოგელის,  
ვიბრძოლებ მთელის ძალით  
სიყვარულის მოსამკელად.

19

ა ც ი ს ი: მთებს მოეფინა ჯოგი,  
ტყეებს — მტრედები,  
წყაროზეა ნიმფები,  
მე დავრჩი უგრძნობლად.  
მთებს მოეფინა ჯოგი,  
ტყეებს მტრედები,

წყაროზეა ნიმფები,  
მე დავრჩი უგრძობლად.  
პოლითემუსი: შური, შური — მტრებს  
რისხვია!!

დიდხანს ვერ გავუძლებ!  
აცისი და გალათეა: დღისით არ ფრენს ფუტკარი,  
ღამით კენესს ბულბული,  
ისე ნაზად და ტკბილად,  
როგორც ვისმენდი.

პოლითემუსი: გაჰქრი, გაფრინდი აქედან,  
ძირს დავამზობ აცისს!

20

აცისი: მომეშველენით,  
რეჩიტატივი:  
გთხოვ, ღმერთო ჩემო!  
მე შემიწირე!  
მიიღე მსხვერპლი  
შენს სამყოფელში.

21

გუნდი: იტირე მუზა,  
იტირე ხალხო,  
დადუმდა სიმღერის ხმები!  
ცრემლს, ცრემლს, ცრემლს, ცრემლს  
მიმოაფრქვევდეთ,  
გლოვა გაისმის ზეცას!  
აჰ, აჰ! ძვირფასი აცის აღარ მყავს!!

22

გალათეა: აქ დაიმარხა აცისი,  
ამ კლდის ძირას,  
დახშულია კლდის კარები.  
ვიტანჯები!  
გუნდი: ო, გალათეა, ნუ სტირი,  
ნუ მოსთქვამ,  
სულით ამალდდი!

გ ა ლ ა თ ე ა: ძვირფასი ჭაბუკი წევს,  
რომელსაც მე შევუყვარდი,  
წევს, წევს, წევს, მას მე ძლიერ შევუყვარდი!

გ უ ნ დ ი: ო, გალათეა, ნუ სტირი.  
ნუ გლოვობ მასზე,

გიმტყუნა,  
მოგვესმის ეშმაკის სიტყვა,  
გაგპურნავს ღმერთი სევდისგან!  
გ ა ლ ა თ ე ა: ბრძანეთ, რა გსურთ, რა გითხრათ!

წყვილიადმა დაფარა ყოველივე,  
გ უ ნ დ ი: ღვთისაგან მიიღებ შველას  
წყალობას მოგივლენს უმაღვე,  
შეგიცვლის ტანჯვა-წამებას,  
ჩვენს ჭალას სიხარულს მოჰფენს!

23

რეჩიტატივი:

გ ა ლ ა თ ე ა: ეს არს ჩემი დაწყევლილი ბედი,  
იყავ უკვდავი!  
ალარ ხარ ჩემი.

არია:

შენ! ჩემო საყვარელო,  
გემშვიდობებდი მარად!  
შეწყდა მჩქეფარე სისხლი,  
ჩაგიქრა გულისცემა.  
კლდევ, ჩაიკარ საფლავში!  
წყარო გადმოდის,  
ძირს მოჩქეფს,  
და რწყავს ჭალებს ხალისით.  
რაკრაკებს ტრფობის ჰიმნი,  
ჩუხჩუხით უმღერს ჭალებს.

24

გ უ ნ დ ი: გალათეა, ჩაჰკალ დარდი,  
აცისი შენ გეკუთვნის,  
აცისი იყო ღვთის კაცი,

ის სამარხიდან მოგიხმობს!  
თავზე გადგამს ტრფობის გვირგვინს,  
ვაშა! შენ ოქროს ნაკადო!  
მწყემსთ სიამევე, მუზათ ხმაე!  
იღინე ჭალათ შორის,  
იმღერე ტრფობის ჰანგი.



## მესია (Messiah)

ნაწილი I

1

რეჩიტატივი:

ტენორი: ისმინეთ, ხალხო, ისმინეთ!  
მოგიტხოვრებ უფალი თქვენი.  
მოაქვს სასიხარულო ამბავი იერუსალემში  
და მოგიწოდებთ  
ლაშქრობა დასრულდა,  
წვლილი გაიღეთ თქვენი,  
ისმინეთ მოწოდება,  
წინასწარმეტყველი უდაბნოში  
გიჩვენებთ უფლის კვალს,  
და მიგიკვლევთ გზას—  
გზას ღვთისაჲენ!

2

არია:

ტენორი: ყოველი ჭალა ამალდა,  
მთა და მწვერვალი დადაბლდა,  
თეთრი შავად შეიცვალა,  
ქაოსად იქცა.

3

და მაშინ ღვთის ნათელი, უფლისა  
გახდა უცხადესი,  
ყოველმან ერმან იხილა ის —  
რომელ არს ღმერთი,  
ღვთაებად იწოდება იგი.

რეჩიტატივი:

ბ ა ნ ი: ასე ამბობს უფალი, უფალი სამყაროსა,  
ცოტა ხანიც და ავაღელვებ  
ცასა და მიწას,  
ზღვასა და ხმელს,  
ავურევ ხალხს.  
კრთიან ცა და მიწა,  
ზღვა და ხმელი,  
კაცობრიობა კრთის.  
მაშინ ყოველი ერი მოიკითხავს უფალს,  
რომელსაც თქვენ ეძებთ,  
მოგველინებათ უეცრივ თავის ტაძარში  
და მასთან იქნებიან ანგელოზნი ახალი აღთქმის.  
ეს არის სურვილი, აღსდექით, იხილეთ!  
ასე ამბობს ღმერთი, უფალი საბაოთ!

5

ვის ძალუძს აღუდგეს  
მის მოსვლის დღეს?  
და ვის ძალუძს უფლის ხილვა?  
ვინ გაუძღვებს მის ბრწყინვალეებას,  
იგი აღინთება, როგორც მწველი ცეცხლი..

6

გ უ ნ დ ი: იქნება იგი განწმენდილი—სულიერი ქურუმნი,  
ამისთვის მოაქვთ ღვთისადმი, თავისუფლებისადმი  
მსხვერპლი და სამართალი.

7

რეჩიტატივი:

ა ლ ტ ი: იხილეთ, ახალგაზრდა ქალმა დაჰბადა  
ბე ადამისა.  
და სახელი მისი ემანუელ,  
ღმერთი არს ჩვენთანა.

არია

ა ლ ტ ი: ო, შენ საცხოვრებლად აღირჩიე სიონი,  
 აღიმართე სიმაღლედ მთისა,  
 ო, შენ, მოიტანე სასიხარულო ამბავი იერუსალიმ,  
 აღიმადლე ხმა და ძალა.  
 მოუწოდე ხმამაღლა და უშიშრად  
 გამოუცხადე იუდეველთა ქალაქებს:  
 ის მოდის, თქვენი ღმერთი!  
 ო, შენ რომელმაც საცხოვრებლად აღირჩიე სიონი,  
 აღსდექ! შუქი, შენი ნათელისა ახლოა!  
 ღვთის ნათელი გვინათებს შენის მეშვეობით!

9

გ უ ნ დ ი: ო, შენ საცხოვრებლად აღირჩიე სიონი,  
 აღირჩიე იერუსალიმი,  
 აღსდექით, აღსდექით!  
 მოუწოდე იუდეველთ ქალაქებს,  
 ღვთის ბრწყინვალეზა  
 შენის მეშვეობით გვინათებს.

10

რეჩიტატივი

ბ ა ნ ი: იხილეთ!  
 წყვილიაღმა დაფარა სამყარო,  
 უკუნმა ღამემ — კაცობრიობა.  
 შენის მეშვეობით შეგვისმენს უფალი,  
 და მისი ნათელი შენის მეშვეობით  
 შესცვლის ურწმუნოებას,  
 მთავრებს — თავადი ბრწყინვალეობით.

11

არია

ბ ა ნ ი: ხალხი, რომელიცაა შთანთქმული წყვილიაღში,  
 ხედავს დიდ სინათლეს  
 და იქ, სადაც ცხოვრობენ მიცვალებულთა  
 ჩრდილების ქვეყანაში.  
 იმათგან იფრქვევა შუქი ნათელი.

გ უ ნ დ ი: ო, ჩვენს შორის დაიბადა ყრმა,  
 შეგვეძინა ძე,  
 უფლის განგება დააწვა მის ბეჭებს  
 და მისი სახელით იწოდება:  
 მშვენიერი,  
 ნათელი,  
 უძლეველი ღმერთი,  
 საუკუნო მამა  
 და მშვიდობის მთავარი!

პასტორალი

რეჩიტატივი

ს ო პ რ ა ნ ო: იყვენ მწყემსნი ველად თავმოყრილნი,  
 დარაჯობდნენ ჯოგს ღამით,  
 იხილეთ, მოევლინა ანგელოზი ღვთისა  
 და ნათელს უფლისა უნათებდა მათ,  
 შეშინდნენ ფრიად  
 და ღაღადყო ანგელოზმა მათ მიმართ:  
 ნუ გეშინინ!  
 მომაქვს მე შემეცნება დიადი ბრწყინვალეებისა,  
 მის წინ ქედს მოიხრის ხალხი,  
 ქალაქში დავითისა,  
 უბრწყინვალესი იშვა, უბრწყინვალესი,  
 რომელ არს ქრისტე, უფალი ჩვენი!  
 და ოდესაც მათთანა იყო ანგელოზი  
 დიადმა კრებულმა ცის ღვთაებისა  
 ღმერთს, უფალს ქება შეასხა:

გ უ ნ დ ი: დიდება ღმერთო!  
 დიდება ღმერთო სივრცისა!  
 მშვიდობა მიწაზე,  
 და ყოველ ადამიანს ვაშა!

არია

ს ო პ რ ა ნ ო: როკვა, როკვა, როკვა და გალობა!  
 როკვა, შენ ასულო! სიონისა!  
 აღსდექით ასულნო იერუსალიმისა,  
 იხილეთ მეუფე თქვენი მოვალს თქვენთანა,  
 იგი არს ჭეშმარიტი მფარველი,  
 მას მოაქვს სიხარული წარმართთა შორის.

რეჩიტატივო

ა ლ ტ ი: მან აღუხილა ბრძას ივალეზი  
 და ყრუს შეასმენინა,  
 კრავი ხტუნაობდა ირემსავიო,  
 და მუნჯმა დაიწყო სიმღერა.

ღუბო

ს ო პ რ ა ნ ო, ა ლ ტ ი: ის მწყემსავდა თავის ჯოგს  
 მწყემსსავით,  
 შემოკრიბნა კრავნი მთლიანად თავის მძლავრ  
 მკლავებში,  
 ატარებდა სათუთ საყვარულს ვულში  
 და თანაუგრძნობდა უძლურთ თავისი ხელით.  
 მოდით მასთან, რადგანაც დამაშვრალნი ხართ,  
 მოდით მასთან, რადგანაც გაჭირვებულნი ხართ,  
 ის მოგცემთ მყუდრო სავანეს,  
 მოიცილეთ უღელი თქვენი და ისწავლეთ მისგან:  
 იგი არს მოწყალე და მწყალობელი,  
 მოიპოვეთ სულის სიმშვიდე თქვენი.

გ უ ნ დ ი: უღელი მისი მსუბუქია.  
 ჯაფა — იოლი.

20

გ უ ნ დ ი: იხილეთ კრავი უფლისა,  
ეწირება ცოდვებს ქვეყნისა.

21

არია

ა ლ ტ ი: იყო ის უარყოფილი,  
უარყოფილი და შეზიზღებული,  
ყველასაგან დევნილი,  
კაცი ტკივილით და მწუხარებით შეპყრობილი,  
მხარი მისი შესთხოვა სატანჯველად,  
მიუშვირა ლოყა, და თმა დაიგლიჯა,  
არ შეიწირა ზვარაკი შერცხვენილთაგან.

22

გ უ ნ დ ი: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად მან წამება ჩვენი  
და ტკივილი გაიზიარა,  
ეზიარა ჩვენს ცოდვებს,  
შეეწირა ჩვენს ბოროტებას,  
აღმოაცენა მშვიდობა ჩვენს ზღადა.

23

გ უ ნ დ ი: მისი ჭრილობით განვიკუთრნეთ.

24

გ უ ნ დ ი: ოდესაც ჯოგი მწყემსებს ჩამოსცილდა,  
ავირიეთ და დავცილდით.  
ყოველი ჩვენთაგანი ეძიებდა თავის ვზას,  
რადგანაც უფალმა ღმერთმა გვაცილა  
ცოდვას და ბოროტებას.

25

რეჩიტატივი

ტ ე ნ ო რ ი: ყოველი მხილველი იცინოდა ზემოთგან,  
დასცინოდა უსინდისოდ და აქნევდა თავს,  
ამბობდა:

26

გ უ ნ დ ი: ის გავს ღმერთს და ის იქნება მშველელი,  
და ის არის მათი მშველელი,  
და ის იქნება შემწე მათი!

27

რეჩიტატივი

ტ ე ნ ო რ ი: ამ ცოდვამ დაუსერა გული,  
აღივსო იგი მწუხარებით.  
იყურებოდა ირგვლივ, ეძებდა შემწყალეს,  
მაგრამ იქ არვინ იყო,  
არავინ ჩანდა მანუგეშებელი.

არიოზო

28

ტ ე ნ ო რ ი: აღსდექ და შეხედე!  
ვის შეუძლია ასეთი წამების ატანა,  
ვის შეუძლია უფრო მძიმედ ეწამოს.

29

რეჩიტატივი

ტ ე ნ ო რ ი: იგი არის სულდგმულთა ქვეყნიდან  
და ხალხის ცოდვათათვის უნდა მოკვდეს!

30

არია

ტ ე ნ ო რ ი: შენ არ გსურს სიკვდილი მისი,  
არ გსურს იტანჯო,  
რადგანაც წმინდა არსს ხედავ.

31

გ უ ნ დ ი: აღიმართე,  
მარადიულო ქალაქო!  
საპატიო მეუფე მოვალს.  
ვინ არს საპატიო მეუფე?  
უფალი უძლიერესი, უძლეველი ბრძოლაში.  
ვინ არს საპატიო მეუფე?

ღმერთი საბაოთ!  
ის არის საპატიო მეუფე!!

32

რეჩიტატივი

ტ ე ნ ო რ ი: მას, ვისაც ოდესღაც ანგელოზმა მიმართა.  
შენ ხარ ძე ჩემი და ღღეს მიგაკვლია შენ.

33

გ უ ნ დ ი: ყოველნი ანგელოზნი აღიდებენ!

34

არია

ა ლ ტ ი: მიილტვი ზემოთკენ,  
აღსრულდა სიცოცხლე შენი,  
სული განუტევე,  
იმსახურე ჩვენთვის,  
თვით მტრებისათვისაც,  
უფალი ღმერთი სუფევს შენთანა.

35

გ უ ნ დ ი: უფალმა მოგანიჭა სიტყვა,  
დიდ არს ძალა ღვთის მსახურებისა.

36

არია

ს ო პ რ ა ნ ო: რა საამოა სიკეთის სამსახური,  
მას მოაქვს მშვიდობა ჩვენდა,  
მას მოაქვს სიხარული,  
გვაუწყებს ჩვენს ბრწყინვალეობას.

37

გ უ ნ დ ი: მისი ხმა აღწევს ყოველ ქვეყანას  
და სიტყვა ეფინება კილით კიდემდე.

38

არია

ბ ა ნ ი: მაშ რისთვის ბორგვენენ წარმართნი და მრისხანებენ



და რისთვის ბჭობენ ხალხნი ეგრე ულმობლად?  
მეუფენი აღზევდებიან,  
მეუფენი შფოთვენ.  
უფლის მოძღვრების წინააღმდეგ.

39

გ უ ნ დ ი: დავარღვიოთ კავშირნი ჩვენნი,  
გადავაგდოთ უღელი მონობისა,

40

რეჩიტატივი

ტ ე ნ ო რ ი: ის, ვინც ცხოვრობს ცაში, იგი დაგცინის თქვენ,  
რამეთუ ღმერთი უფალი გახდა დასაცინი თქვენი?!

41

არია

ტ ე ნ ო რ ი: შენ დაამსხვრევ რკინის ბორკილებს,  
დალეწავ, დაამსხვრევ როგორც მეჭურჭლე —  
ჭურჭელს

42

გ უ ნ დ ი: ალეღუია!  
ღმერთს, უფალს ყოვლის მმართველს,  
მეუფობა ქვეყნისა დღეიდან მისია.  
მეუფობა სამყაროსა არის ქრისტესი.  
და იგი მმართავს სამარადისოდ.  
მეუფეს მეუფეთა ამ სამყაროსა --- ღმერთს —  
ალეღუია!

ნ ა წ ი ლ ი III

43

არია

ს ო პ რ ა ნ ო: მე ვიცი ის, რომ მფარველი ჩემი ცოცხლობს.  
იგი ბრწყინავს დღეს ამ მიწაზე ახალგაზრდულის  
ძალით

თუკი შევიწროება კვლავ მემუქრება

ჩემი თვალები ღმერთს მიაპყრობენ მზერას,  
რამეთუ ქრისტე აღსდგა მკედრეთით,  
იგია უპირველესი განსვენებულთა შორის.

## რეჩიტატივი

ბ ა ნ ი: შევისმინე ცნება ესე საკვირველი,  
ჩვენ ვერ გარდვიცვლებით მისებრ,  
ჯოველივე შევიცვლებით,  
საყვირის მოწოდების ხმებზე  
უმაღვე დავმწუხრდებით.

## არია

ბ ა ნ ი: საყვირი მოგვიწოდებს: მიცვალებულნი აღსდგენენ!  
ახალი ცხოვრებისათვის  
ჩვენ შევიცვლებით,  
დევნილნი ვიქნებით მარადის,  
მიცვალებულნი არ გახდებიან უკვდავნი.

## რეჩიტატივი

ა ლ ტ ი: და მაშინ გამართლდება სიტყვა,  
რომელ დაწერილ არს:  
„მიცვალებულთათვის გზა დახშულია“!

## ლუგტი

ა ლ ტ ი-ტ ე ნ ო რ ი: ო, მიცვალებულო, სად არს ზღვარი შენი?  
ო, საფლავო, დახშულია გზა შენი?  
მიცვალებულის ზღვარია — ცოდვა მისი,  
და სირცხვილის ძალაა მისი საზღვარი.

გ უ ნ დ ი: მისთვის გმადლობთ, ღმერთო,  
რამეთუ მომეც გზა ჩუენ —  
ქრისტე მეუფის საშუალებით.

არია

ს ო პ რ ა ნ ო: ოდეს ღმერთი არს ჩვენთანა — ვის ძალუძს  
ცთუნება ჩვენი?

ვინ მიუტევებს, როდესაც მან მიუზლო უკვე?  
ის არს ღმერთი, რომელმაც სამართალი შექმნა,  
ვის ძალუძს დამხობა ჩვენი?  
ის არს ქრისტე, რომელიც გარდიცვალა  
და მკვდრეთით აღდგომილი მოგვევლინა.  
იგი მარჯვნივ უზის მეუფეს  
და წყალობას გვივლენს.

51

გ უ ნ დ ი: ჭეშმარიტ არს კრავი, რომელიც გარდიცვალა  
და თავისი სისხლით ღმერთთან დაგვაკავშირა,  
მოგვცა სიმტკიცე და სამართალი,  
სიბრძნე ძალა და გამბედაობა,  
სიღიადე და გაქანება,  
ყოვლისშემძლეს ქება-დიდება!  
მეუფეს სამყაროსა განდიდება!  
იგი ზის ტახტზე —  
ვალს უხდის კრავს — სამარადისოს!!

52

გ უ ნ დ ი: ამენ!

## ს ა მ ს ო ნ ი (Samson)

### ნ ა ჯ ი ლ ი I

#### 1

რეჩიტატივი

ს ა მ ს ო ნ ი: დღესასწაულია,  
დღეს ისინი დაგონს ადიდებენ,  
მიმსუბუქებენ ბორკილების მიძიმე დაღებს;  
ამით მორწმუნენი მაძლევენ ნუგეშს  
და ხარბად ვსუნთქავ ციურ სუფთა ჰაერს.

#### 2

გ უ ნ დ ი დ ა გ ო ნ ი ს ქ უ რ უ მ ე ბ ი ს: დაჰბერეთ  
ნესტეს დიადად და მძლავრად,  
მოვიდა დღე ნათელი სიხარულისა,  
მეუფე დაგონი ამქვეყნად გამეფდა!

#### 3

რეჩიტატივი ა ლ ტ ი ს ა დ ა ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ე ი ს

მ ი ქ ა ჰ ( ა ლ ტ ი ): შეხედეთ, გმირს შეხედეთ!  
ჰა, რა სანახავია!  
მიძიმედ ჩაურგავს დაღლილი თავი,  
ჩაუქინდრავს,  
დაუკარგავს იმედი.  
ნუთუ ისაა, უძლეველი სამსონი?  
არაადამიანური ძალის,  
არა, არა! ველურ ცხოველის  
მძინვარება გადულახავს,  
ლომებს ახრჩობდა, როგორც ხვადს. ასევე ძუს;

უაიარალოდ მეუფეს იარაღს ამსხვრევდა.  
არ ეწინოდა არავითარი რკინის სიმაგრის.  
ო, ვაჟკაცო, ისრაელის სიამაყევე  
და მისი გულის მესაიდუმლევე,  
შენკენ მოიწივეს მეგობარი,  
მოგესალმება!

ს ა მ ს ო ნ ი: სალამს გიძღვნი!

მ ი ქ ა ჰ: უხეშად მოგისპეს თავისუფლება და სინათლე?!

ს ა მ ს ო ნ ი: ო, საოცნებო სინათლევე,  
თუ მიჰკრეტ შენ ისევ —  
არ დაემწუხრდები მაშინ,  
არ დავიტანჯები, არ ვიქნები პატივყარილი,  
ოდეს შემიმსუბუქდება საშინელი სიბრმავე?!

4

ა რ ი ა ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს

ს ა მ ს ო ნ ი: უკუნია ირგვლივ! არ ბრწყინავს მზე, მთვარე.  
შუქი არ მინათებს გზაზე,  
ო, საოცნებო შუქო,  
შენ არ მიბრწყინავს;  
არ მინათებ, ოქროსფერო დღე!  
უკუნია ირგვლივ!  
არც მზეა, არც მთვარე, ვარსკვლავი არ მინათებს  
გზას,

და ფიქრით მწუხარე ვამბობ:  
არ ბრწყინავს ჩემთვის მნათობი წყველიაღში.

5

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი: ო, ყოველი სინათლის წყაროვ.  
სიტყვა შენი გაისმის,  
გაისმის სიტყვები შენი:  
იყავ ნათელ!...  
და განათდა ირგვლივ.  
ნათელი, ნათელი მოეფინა ყოველივეს!  
ოქროსფრად შეიმოსა მიწის სფერო,

ო, მიეც გმირს,  
ო, მიეც დაბრმავებულ გმირს ძალა და სინათლე!!

6

რეჟიტატივი ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

მ ა ნ ო ა ჰ ი: ღირსია შებრალების!  
ეს ის კაცია სახელგანთქმული,  
მტრის რისხვად მოვლენილი?  
რომელმაც ზეციური ძალით მეუფე თვისი  
დაამარცხა,  
თვით არს მეუფე!  
ახლა, ძირს განრთხმული,  
მფარველად—მზაკვარ მკვლელთა წინააღმდეგ  
აღმართული.

7

არია ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

მ ა ნ ო ა ჰ ი: შენი გმირული მკლავი  
ერთდროს ჰიმნი იყო ჩემი,  
ჟღერდა სივრცეში სიხარულით,  
მწუხრის საგალობელს ვიმღერი ახლა!  
ტანჯვას და მწუხარებას ვაქლერებ, როგორც  
სიმღერას!

8

რეჟიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს

ს ა მ ს ო ნ ი: განისაჯა.  
მე ვარ ფარი მხოლოდ,  
ეს ბედისწერა მიფრთხობს ტკბილ ძილს,  
არ მაქვს მყუდროება,  
აღსრულდება მალე ჩემი კამათი,  
ჩემს ნაკვალევზე გზას იკვლევს ამაყი დაგონი,  
ღმერთთან ვარ კავშირში.  
ეს საშიშროება არ განმეორდება,  
მსწრაფლ ბოროტება აღიგვება.  
ის თავის ძალას შეიგრძნობს—  
დაგონს ეზიარება, თავს გამოიხსნის,

მან გზა, შეცვლილი  
ახალგაზრდობისთვის გაიკაფა.

9

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი : და თქვენ იხილავთ!  
რომ ეს, სახელი მისთვის იეჰოვასა!  
მარტოდ, მთელს ქვეყანას მოწყემსავს  
თავისი ძალითა და ბრწყინვალეობით.

რეჩიტატივი ბ ა ნ ი ს ა თ ე ი ს

მ ა ნ ო ა ჰ : მომიახლოვდი, საყვარელო გმირო,  
მოვედ წყაროსთან, რომელიც გაგრილებდა.  
თავისუფლებას დაეწაფე!

10

ს ა მ ს ო ნ ი : ო, აქ დამტოვეთ,  
რისთვის ვიცოცხლო!  
დავხუჭავ თვალს და ორმაგად ბნელა,  
სიცოცხლის ცეცხლი დაიშრიტა,  
იმედი გამიფრინდა,  
დაღლილობამ დაისადგურა ჩემში.  
ჩემი მოდგმა ბრწყინვალე —  
ფერფლშია ჩანთქმული,  
ხშირად მოწოდებული სიკვდილი  
მომიღებს ბოლოს,  
და სიხარულით დაისადგურებს  
სიმყუდროე.

11

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი : უბრწყინვალესნო ვარსკვლავნო.  
სადაც ყოველნი კიაფობთ ასულნი ტანტზე,  
გადმოაქროლეთ სულნი თქვენნი — ჩვენს ზედა.  
მიეცით მიწიერთ თავისუფლება,  
ბრწყინვალე გვირგვინი თქვენის სახის —  
შეამკეთ მიცვალებულთა სულნი, ყოველი დროის!

12

არია და გუნდი

მ ი ქ ა ჰ: ო, ისმინე ლოცვა ჩემი, ყოვლისშემძლე ღმერთო!  
 მომხედე, მომხედე ერთგულს, ღრმად მოხრილს!!  
 წამების ტვირთმა დამიმძიმა გზა,  
 ბოროტება ვერ მოგანიჭებს სინარულს!

გ უ ნ დ ი: ისინი გემსახურებიან ფერფლში,  
 და თვლიან მათ გარდაცვლილებად!..

მ ი ქ ა ჰ: ო, ისმინე ლოცვა ჩემი, ყოვლისშემძლე ღმერთო!  
 მომხედე ერთგულს, ღრმად მოხრილს!

გ უ ნ დ ი: ისინი გემსახურებიან ფერფლში,  
 და თვლიან მათ გარდაცვლილებად!..

13

რეჩიტატივი ალტის, ტენორის და სოპრანოსათვის

მ ი ქ ა ჰ: ეს ვინ არის, რომელიც ასე მოისწრაფვის?  
 შორით, სივრცეში, ფრიალებს მისი ძვირფასი სამოსი,  
 როგორ! დალილა, შენი მეუღლე?

ს ა მ ს ო ნ ი: ჩემი მეუღლე? ო, ცაო! ამას ჰქვია ცოცხლად  
 დარჩენა!?

მ ი ქ ა ჰ: ის დგას, მოგჩერებია და თავს აქნევს,  
 ვარდია ცვარით დანამული,  
 ის ტირის, სურს ლაპარაკი,  
 ცრემლნარევია ყოველი მისი სიტყვა,  
 გამაგრდი!

დალილა: შემინდე გმირო, ეგოდენ ხანგრძლივი მოთქმა,  
 ტყვეობიდან ებრუნდები ჩემს სახლში,  
 სადაც სიყვარული და ნაზი ამბორი  
 ცოდვას მომიტყეებენ  
 და არ გაქვს სურვილი იცოცხლო ხანგრძლივად?

14

დალილას არია: ძვირფასო,  
 ო, სამსონ, ისმინე ჩემი სიტყვა,



ისმინე სიყვარულით აღსავსე მოწოდება.  
სიყვარული იმორჩილებს ყველას გულს,  
მაგრამ მას მოაქვს ჭეშმარიტი ბედნიერება.

15

რეჩიტატივი ტენორისა და სოპრანოსათვის

სამსონი: მე არ გამოგყვები!  
არც ტკბილი აღერსი,  
არც ფიცი, არც ცბიერება!!  
გინდა შემაცდინო?  
იქ არს ძალა, რომელიც ცბიერებით უღლის ქვეშ  
გსურს მოაქციო  
და ბორკილები გსურს დამადო, თავისუფლების  
ნაცვლად?!

დალილა: მომითმინე შენს გვერდით,  
აჰა, ჩემი ხელი!

სამსონი: არა, არას დროს,  
ნუ გამამძვინვარებ,  
ხელმეორედ არ გადავივდება ტრფიალების ცეცხლი,  
განვედ ჩემგან!!  
დაკმაყოფილდი?  
არ დაგაკმაყოფილა ლალატმა?  
იცოცხლე მარტო!

დალილა: შენ რჩები მარტოხელა მთხოვნელი.  
როგორც ორკანი.  
მძვინვარებს რისხვა შენი როგორც ქარიშხალი,  
რისთვის უნდა გელაპარაკო ამდენხანს მშვიდობაზე?  
მხოლოდ შეურაცხყოფაა ჩემი ღირსების დაფასების  
ნაცვლად.

16

დუეტი სოპრანოსა და ტენორისათვის

დალილა: შორს, შორს ჩემგან!  
არ მსურს ყოფნა,  
სადაც ვერ ვპოვებ სიმშვიდეს  
და სადაც შურისძიება მძვინვარებს!

ს ა მ ს ო ნ ი: განვედ, განვედ ჩემგან!  
არ მსურს ვისმინო ეშმაკის ხმა,  
რომელმაც შემაცდინა.  
და ლ ი ლ ა: განვედ, განვედ, არ მსურს ყოფნა,  
სადაც ნადირი ბინადრობს.

17

რეჩიტატივი ა ლ ტ ი ს და ს ო პ რ ა ნ ო ს ა თ ვ ი ს

მ ი ქ ა ჰ: ის თხოვს...

გველი დახოხავს იქ!  
რომ ცბიერი მოჩვენებით  
დაგონს ემსახუროს.

ს ა მ ს ო ნ ი: გაუშვი წავიდეს!  
ღმერთისკენ მიეშურება ის,  
რათა განამრავლოს ჩემი ტანჯვა-წაღება.

17ა

რეჩიტატივი ა ლ ტ ი ს, ბ ა ნ ი ს და ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს

მ ი ქ ა ჰ: არც ერთი მანუგეშებელი სიტყვა,

არც ერთი მანუგეშებელი ქება,  
მხოლოდ ყალბი ორატორობა.

ხედავ ჰარაპჰას?  
მე ვიცნობ მას —

მისი სიარულით და გმირული გამოხედვით.

ჰ ა რ ა პ ჰ ა: სამსონ, სინანულის გარეშე ვერ მოვალ შენთან!

მე გათიღან ვარ,

მქვია ჰარაპჰა!

შენ მე ვიცნობ?

ბევრი მსმენია შენს გმირულ ლაშქრობებზე,  
რაც მე მაღიზიანებდა.

მე უფრო აღმაგზნებს ის, რომ

შენთან არ მქონდა ბრძოლის საშუალება ---

რათა გამომეცადა შენი ძალა, —

და მოვედი სანახავად.

მსურს ვიცოდე

შეესატყვისები თუ არა შენს სახელს?!

ს ა მ ს ო ნ ი: გასინჯე!

ნაცვლად შენი თვალისა და მკლავისა...

ჰ ა რ ა ვ ჰ ა: ვიხილავ შენს მკლავს,

როცა დაგიბრუნდება მხედველობა და აღზევდები.

ბრმასთან მეზარება ბრძოლა.

17ბ

არია ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

ჰ ა რ ა ვ ჰ ა: უბრძოლებაზე უარის თქმა სინდისის ბრძანებაა.

დარტყმამ შენ უკვე უბედურებაში ჩაგაგდო!

ო, საბრალო გმირო, ვინც შენ წაგაქცია,

შენმა სიკვდილმა მას პატივი არ მოუტანა.

ნახევრად ნაცემო, მხდალო მონავ, შენ ჩემი

მკლავისთვის სუსტი ხარ!

17გ

რეჩიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა და ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

ს ა მ ს ო ნ ი: ამისათვის მოდიოდი, შე მკვეხარავე? მაინც  
იფრთხილე!

ჩემი ფეხები დაბორკილია, მაგრამ ხელია

თავისუფალი.

შე ბრიყვო, ვაუკაცობას მოკლებულო!

დიახ, კიდევ ერთხელ: ბრმა და ბორკილიანი

გიწვევ ბრძოლაში.

ჰ ა რ ა ვ ჰ ა: ო, დაგონ, ეს სირცხვილი, ჩემთვის უჩვეულო.  
მოვითმინო

და არ მოვკლა იგი ახლავე?!

17დ

ს ა მ ს ო ნ ი: გამშორდი, გასწი.

წადი, მხდალო, დაუყონებლივ!

ღუმიტი ტ ე ნ ო რ ი ს ა და ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

1 გასწი, გასწი, ვიდრემდის ჩემი რისხვა მოგეწეოდეს!  
ეტადე, ჩემს შურისძიებას გაექცე!

ჰ ა რ ა ვ ჰ ა: ნუ მიენდობი შენს ღმერთს, ნუ მიენდობი შენს  
ღმერთს,

რომელმაც ჩვენს სასაცილოდ — შენის ვედრებით  
გაგაწბილა.

რეჩიტატივი ა ლ ტ ი ს ა თ ვ ი ს

მ ი ქ ა ჰ : თუ დაგონი შენი ღმერთია,  
მაღალი ვედრებით სთხოვე მას შველა,  
მისი სახელი საწიშროებაშია,  
მოსპობს ის ეშმაკთა კავშირს,  
ჩვენი გმირების ძალას,  
მაშინ ვნახავ,  
ის არის, თუ არა ღმერთი.  
დაგონი ადამიანთა ქმნილებაა?  
თუ ის მეუფეა აბრამის თესლიდან აღმოცენებული?!

18

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი : ისმინე, ღმერთო, იაკობისა!  
იეჰოვა, ისმინე! იეჰოვა, ისმინე!  
გვიხსენ მტრის ძალისაგან,  
ისრაელი თაყვანს გცემს მხოლოდ შენ ერთს!!  
გვიხსენი, გვიხსენი, გვიხსენ! ხალხი შენი იხსენ!

19

რეჩიტატივი ბ ა ნ ი ს

ჰ ა რ ა ჰ ჰ ა : იხილე, დაგონ, შენს წმინდა დღესასწაულს  
გზემობთ.  
შენი ქება უღერს, ზვარაკი სამსხვერპლო გეწირება.

20

და გ ო ნ ი ს ქ უ რ უ მ თ ა გ უ ნ დ ი : როკვა-გალობა —  
ყველამ ერთად!  
შენი დღესასწაულის ბრწყინვალეებისთვის  
დაგვიფარე შენის ძლიერი ხელით!

21

ი ს რ ა ე ლ თ ა დ ა ფ ი ლ ი ს ტ ი მ ე ლ თ ა გ უ ნ დ ი : პატივი  
ეცით მის მარადიულ ტახტს!

მ ი ქ ა ჰ: იეჰოვა, ყოვლისა მწყემსო!

და ლ ი ლ ა: ღმერთო დაგონ!

ყოვლისა მწყემსო!

გ უ ნ დ ი: მისი გრგვინვა გრგვინავს, ქუხს  
და მაშინ კრთიან მიწის ნაგებობანი,  
ცა და ზღვა წყნარდებიან,  
უსმენენ და ელიან შიშით,  
ღვთაება დაგონი უწყალობებს!..  
იეჰოვა უწყალობებს!..  
მხოლოდ ის არის ღმერთი!!

### ნ ა წ ი ლ ი III

21ა

რეჩიტატივი ა ლ ტ ის, ტ ე ნ ო რ ის და ბ ა ნ ის ა თ ე ის  
მ ი ქ ა ჰ: ჰარაპჰას მოუზღვავდა მწუხარება.

აი, აქ მოეშურება,

სიჩქარე ეტყობა ნაბიჯში და გამოხედვაში.

ს ა მ ს ო ნ ი. ის არ მაშინებს,

არც მისი გიგანტი ხალხი,

ჰ ა რ ა პ ჰ ა: სამსონ, ჩემი სახით მოგიხმობს შენ ერი ჩემი,  
დაგონის სადიდებლად იმართება დღესასწაული,  
როკვა, ბრწყინვალე თამაში.

შენ გამკობს განუზომელი ძალა,

მოდის და ეჩვენე ხალხს ამ დღესასწაულის დღეს.

ს ა მ ს ო ნ ი: ებრაელი ვარ, კანონი მიკრძალავს თქვენს ღვთის-  
მსახურებაში მონაწილეობას.

ჰ ა რ ა პ ჰ ა: პასუხი ძალზე მაღიზიანებს,

იფიქრე შენს დიდებაზე!

ს ა მ ს ო ნ ი: ჩემი დიდება, იცით, შინაგანი სიმშვიდე.

დავეცი მე, გაგიხდით მონად.

მე თქვენ გამოგყვეთ?

თქვენი სამასხრო გავხდე?

თქვენი ღვთაების დღესასწაულზე?

არ წამოვალ!

ჰ ა რ ა ჰ ჰ ა : თხოვნაა. რომელიც ისმინე: ახლავე წამომყვები.

21ბ

ბ ა ნ ი ს ა რ ი ა

ჰ ა რ ა ჰ ჰ ა : მამაცო მონა, მამაცო მონა!  
ითხოვე მხოლოდ მოწყალება,  
ნუ მრისხანებ!  
დაიღვრება შენი სისხლი,  
რათა გამოისყიდო უხეში საქციელი!  
ამაყო მონა,  
აღსარებას მოანდომე ეს დრო,  
რათა მას შემდეგ სიკვდილი დაგატყდება თავს!

21გ

რ ე ჩ ი ტ ა ტ ი ვ ი ა ლ ტ ი ს ა და ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ე ი ს

მ ი ქ ა ჰ : იფიქრე სამსონ, გონს მოდი,  
ნუ გაუწევ წინააღმდეგობას,  
ის მიდის, მისი მრისხანება ალაგზნებს თავადებს,  
ს ა მ ს ო ნ ი : ბოროტად გამოვიყენებ მე ამ წმიდა ძღვენს --  
ძალას,

ამომივა თმები,  
ამაო თამაშით  
პატივსაცემად თქვენი ღმერთისა  
ხელმეორედ აღვსდგები წმიდა კერპის წინაშე?  
მ ი ქ ა ჰ : როგორ დასრულდება ეს არ ვიცი,  
ჩემი და შენი განსჯა უფალს შეუძლია!

22

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი : ქუხილში მოხვედ, ქუხილში მოხვედ!  
ო, უფალო!

მოგვევლინე, მოგვევლინე, ღმერთო!  
ისრაელის გმირი კვდება.  
მეუფევე, გვიშველე!  
შენი მფარველობის ქვეშ დაიცავი შენი მსახური:  
გვიშველე. გთხოვთ გვიშველე --- ბოროტებისაგან.

რეჩიტატივი ტენორისა და ალტისათვის  
 სამსონი: მგლეჯენ მონას ღვთის დღესასწაულზე,  
 კარგი, მოგყვებით თქვენ,  
 ძმებო, იცოცხლედ კეთილად,  
 თქვენი ცხოვრებისათვის  
 მადლობას გიძღვნით ჩემი გული!  
 მიქაჰ: ო, მეგობარო, ღვთის მსახურებისთვის

კეთილმოქმედო.

სამსონი: მიბრუნდება ძალა,  
 რომელიც მე მქონდა ერთხელ ძველად.  
 მაშინ ვიგრძენი იეპოვას ძალა.  
 მათი ყალბი ღმერთი  
 უნდა ჭეშმარიტებისგან გაჰქრეს,  
 როგორც ფერფლი ქარისგან.

არია ტენორისათვის  
 სამსონი: ნათლად მინათებს დილის სურნელი,  
 როგორ წითლად ღვივის ამომავალი მზე.  
 თამაშობს ტალღა ტბისა,  
 გაჰქრება ღამის მროკველთა ქორო,  
 შეკრთება წყვდიადი გამოქვაბულში  
 და თეთრი მოჩვენება გამოსცურავს სამარეში.

რეჩიტატივი ალტისთვის  
 მიქაჰ: ღვთის ძლიერებას ასრულებს ადამიანის მოდგმა,  
 ელვასავით სწრაფად, რაც მას დაეხედა  
 და მიუზღავს უფალს ღვთისმსახურებას,  
 ო, მანოაჰ, ფრთა შეასხი შენს სიარულს მეგობართან  
 და მოუტანე სასიხარულო ამბავი.

არია სოპრანოსათვის  
 დალილა: ღმერთმა დაგონმა მტერი დაამარცხა,  
 გაანადგურა მისი გმირული ძალა,

დიდება მის ძალას!  
აჟღერდეს სიმღერა, მსხვერპლი ღვინისა და  
განცხრომისათვის!

27

ფილისტიმელთა გუნდი: ღვთაება დაგონმა მტერი  
დაამარცხა

გაანადგურა მისი გმირული ძალა,  
დიდება მის ძალას!  
აჟღერდეს სიმღერა,  
მსხვერპლი ღვინისა და განცხრომისათვის!

28

რეჩიტატივი ბანისა და ალტიისთვის  
მიქაჰ: იცი? თავისუფლება და იმედი გვაძლევს ნიშანს,  
ამას მიკარნახებს გული,  
მე მჯერავს მისი!  
მანოაჰ: შენს სიბარულს მეც ვიზიარებ (შიშის ყვირილი)  
ჰა! რა მესმის, საშინელი ყვირილი, ეს არ არის  
განდიდების ჰიმნი.

29

ფილისტიმელთა გუნდი: მისმინე, ღმერთო, ისმინე  
ჩემი ყვირილი!

სიკვდილი, შიში, დაცემა,  
მომეცი შეველა ჩვენდა.  
სიკვდილი მიპყრობს!  
ო, მოწყალეო ღმერთო!  
სიკვდილი მიპყრობს.

30

რეჩიტატივი ბანისა და ალტიისათვის  
მანოაჰ: სადაც არ უნდა წავიდე —  
ყოველ ნაბიჯზე თან მსდევს  
საშინელი სურათი.  
საშინელებას შეუპყრია შენი მეგობრები,  
მალე შენც გაიზიარებ ამ საქმეს!



მ ი ქ ა ჰ: მომიყევი, რა გადაგხდა?  
 ჩვენ ყურს გიგდებთ  
 შიშით და დამუნჯებულნი.

მ ა ნ ო ა ჰ ი: სუნთქვა შემეკრა,  
 გული მიძგერს.

მ ი ქ ა ჰ: მოყევი მოკლედ, ნამდვილი ამბავი.

მ ა ნ ო ა ჰ: ტაძარი მათი ნანგრევად იქცა,

მ ი ქ ა ჰ: ჰა, მართალს ამბობ?  
 ვინ დააქცია,

მ ა ნ ო ა ჰ: გმირმა სამსონმა,  
 მტრის სამარე მისი სამარეც გახდა!

მ ი ქ ა ჰ: ვაი ჩვენ!

მ ა ნ ო ა ჰ ი: ღვთის ტაძარში მსახურებდა.  
 შესთხოვდა იეჰოვას ხმამაღალი ძახილით —  
 მას, ვინც ერთხელ ძალა აჩუქა.  
 შემოეჭდო მისი მკლავით, სრული ძალით ერთ-ერთ  
 ზოძს.

დაამხო იგი და მასთან ერთად ტაძარიც.  
 აღიგავა ყალბი ღმერთი,  
 დაიხოცა მისი მსახურები  
 და ისიც მათთან დაიღუპა:  
 ასეთი იყო უკანასკნელი დარტყმა  
 მარტოხელასი.  
 როგორც გმირმა იძია შური,  
 დიდება მის ძლიერ საქმეს!

### 31

არია ალტისათვის

მ ი ქ ა ჰ: იტირეთ, ძენო ისრაელისა.  
 აქ არის თქვენი მცველი,  
 თქვენი დიდება გაჰქრა...  
 სამსონს ძინავს მყუდრო სამარეში,  
 თქვენთვის დახუჭა თვალები.

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი: თქვენი ცრემლები იღვრებიან  
ნაკადულად!  
გმირი სამსონი აღარ არის.

(სამგლოვიარო მარში).

რეჩიტატივი

მ ი ქ ა ჰ: გვამი მოაქვთ, დევს ის ჩვენ წინაშე.  
პალმით და დატნით შემკულია იგი,  
ასწიეთ, საფლავისკენ წაიღეთ!..  
შემოერთყით, გზის მჩვენებელნო,  
მისი საქმე ჯილდოა  
და უმღერეთ გმირის დიდებას!  
მ ა ნ ო ა ჰ ი: და შემოიკრიბეთ ისრაელის ახალგაზრდობა,  
რადგანაც მისმა სახელმა მეტად იელვაროს,  
გმირული სიკვდილისათვის მისი ამაგი ცნობილი  
უნდა გახდეს:

ი ს რ ა ე ლ თ ა გ უ ნ დ ი: საფლავიდან მოვალს  
ტკბილი მშვიდობა და დიდი სახელი,  
შენის მძიმე ტანჯვიდან,  
სიმსუბუქის ტვირთით, (გუნდი იმეორებს)  
ო, გმირო ჩვენო!  
მ ი ქ ა ჰ: ამ დღეს ყოველწლიურად  
ახალგაზრდა ქალები დაღვრიან ცრემლებს, --  
და დაგაყრიან ყვავილებს.  
გ უ ნ დ ი: მოიტანებენ დაფნას და პალმის რტოს,  
შეამკობენ გმირის საფლავს (სიტყვები მეორდება თავიდან)

## რეჩიტატივი

მ ა ნ ა კ ი: მოვედით, მოვედით, შეწყვიტეთ გლოვა!  
 სამსონის დაცემა სამსონის აღდგომაა!  
 იგია მიცვალებულთა შორის გამარჯვებული,  
 განდიდდი, მეუფევე!!  
 გზიდან განმდგარო, გმირო!

## დასკვნითი

გ უ ნ დ ი: იქლეროს დიადად ჩვენმა ხმებმა,  
 დიალო გუნდო, აქლერე ხმამალა ჩენი ხმები,  
 დიალო გუნდო, განადიდე ღვთის ძალა და მეუფობა!

## იუდა მაკაბელი (Iudas Maccabaeus)

### ნ ა წ ი ლ ი I

#### 1

გ უ ნ დ ი: სტიროდეთ! სტიროდეთ!! სტიროდეთ!!!  
ძენო იუდეველთა.  
სტიროდეთ სიონის უბედურებას,  
ხმა შეუერთეთ მწუხარების ჰანგს,  
ობოლნი მოეშურებიან,  
მწუხარებას შეუპყრიათ,  
ობოლნი მიეშურებიან,  
მათი მხსნელი მოსთქვამს,  
ალარ ყავთ მამები და მეგობრები.

#### 2

##### რეჩიტატივი

ე რ თ ი ის რ ა ე ლ თ ა გ ა ნ ი: ჰო, ძმებო, იტირეთ თქვენი  
გარდაცვლილები.

ნაღვლით შევიწროებული მკერდით,  
შემოძარცვეთ ცეცხლით შთანთქმული სამოსი,  
გადააფინეთ სამგლოვიარო ძაძა  
და ფერფლი დაიყარეთ თავზე,  
ლაწვებზე ნაკადებად დაიღინეთ ცრემლები.  
მიაპყართ თვალნი ზეცას, ირტყით გულში,  
დაიკაწრეთ ფრჩხილებით,  
დაიგლიჯეთ თმები.  
ფერმკრთალად და ქლოშინით  
განრთხმულია მათათიასი,  
ასევეა განრთხმული ხალხი მისი.

## 3

ღუბი ტენორისათვის

ერთი ისრაელთაგანი: საგმირო 'საქმე, რომელმაც  
ჩვენ დაგვაპარცხა...

ო. ვას ძალუძს შენ გაგეჭყეს,

ო, ისრაელ!

(მეორე ისრაელთაგანი იმეორებს ტექსტს):  
სამკაულები შესცვალა სამგლოვიარო განწყობამ.

## 4

გუნდი: ჩვენ დავტირით მწუხარებას და ჭირ-ვარამს,  
მისგან ოხრავს მკერდი,  
მისგან ტირის გული.

## 5

რეჟიტატივი ბანისთვის

სიმონ: არცთუ ტყუილად მოსთქვამს,  
იმსუბუქებს გულის ვარამს.  
ო, რაგვარ ტანჯავს...  
მაგრამ არა, ნუ გამწარდებით ამ საცოდაობით,  
რომელიც ხშირად გშველით.  
თქვენი ცრემლებით, როგორც ფიქრობთ, აღსასრულს  
ხედავთ.

ასე ამბობს უფალი ჩვენი: მე ვარ მეუფე,  
სასწაულთმკმელი.

თუ შენ მე მემსახურები, ჩემზე ილოცებ  
და ჩემს სამსახურს ეძიებ,  
მაშინ შევისმენ ჩემი ხალხის ლოცვას.

## 6

არია სოპრანოსათვის: ღვთისმოშიშე ცრემლებო,  
მხურვალედ მლოცველნო,  
ხმამალლა იმღერეთ ზარი.  
მიმართეთ მეუფეს და  
მოგიგებთ თანაგრძნობას და მოწყალებას.

## 7

გ უ ნ დ ი: შენ, უფალო, მიწა და ცა დაამუნჯე,  
და ამ ძლიერებით გული დაიმორჩილე.  
ხალხმა, რომელმაც შენ წინაშე წყალობა ჰპოვა,  
ერთიანად მოექცა ბორკილებში,  
მოგვეც კაცი ძალ-ღონით სავსე,  
რომელიც ჩვენს ბორკილებს დაამსხვრევს.

## 8

რეჩიტატივი ბ ა ნ ი ს თ ვ ი ს

ს ი მ ო ნ: იამინეთ, ისმინეთ! ღმერთი ლაპარაკობს ჩემის  
სახით!

იქ, მის ქერუბიმთა შორის  
ვიხილე ღვთის ბრწყინვალება!  
მისმა ყურმა შეისმინა ხალხის ღაღადება,  
და თხოვნა შეიწყნარა!!  
თქვენ შორის არის მაკაბელი, მწყემსი თქვენი.  
მისი მკლავი დაამხობს თქვენს უღელს,  
ყოველი საქმე, მისი ნათქვამი — ნებაა უფლის.

## 9

არია ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

ს ი მ ო ნ: აღსდექით, ლაშქარნო მეუფისავ!  
აღორძინებისათვის! აღორძინებისათვის!  
ღვთის დიდებას ჰქვია შენი ვაჟკაცობა,  
მისი ხალხის ბრწყინვალება და ქეშმარიტება დიდია,  
გვაბედნიერებს იეჰოვა და განამტკიცებს შენს მკლავს.

## 10

გ უ ნ დ ი: დე, იყოს ასე! დე, იყოს ასე! დე, იყოს ასე!  
ჩვენ სიხარულით მოგყვებით,  
ო, გმირო, ღვთის ბრძოლისაკენ!

## 11

რეჩიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს თ ვ ი ს

ი უ და მ ა კ ა ბ ე ლ ი: ო. ხალხო. როგორ მადლელებს ეს  
ვაჟკაცობა,

კიდევ მეფობენ თქვენი მამათა აჩრდილები.  
იხილეთ, რა ბედნიერები არიან.  
იქ, ზემოდან ლეთისშვილებს მოუპყრიათ მზერა  
თქვენდამი,  
აღდგნენ ისინი ბრწყინვალე ფერფლიდან,  
როგორც იოზუა -- იაკობისათვის კამათობდა,  
გააკვირვა მზე და არ უარყვია,  
სანამდეს ხალხი არ დაარწმუნა.  
ჰან გამარჯვებას არ მიაღწია.

12

არია ტენორისათვის  
იუდა მაკაბელი: აღჭურვე ვაჟეაცობით ჩემი მკლავი,  
ლეთის სამართალი მიმართავს თქვენს დავას.  
გული კეთილია,  
გამარჯვებისთვის მახვილია,  
რომელსაც ფარად ოქროს თავისუფლება აქვს.

13

რეჩიტატივი სოპრანოსათვის  
ერთ-ერთი ისრაელთაგანი: ჩვენ შეევხოვეთ უფალს  
და ვლოცულობთ მის მფარველობაზე,  
გმირო, შენს მკლავზე!  
დაგვიფარე იეჰოვა!  
დაგვიფარე. მოეც შენს ისრაელს საფარველად  
თავისუფლება.

14

არია სოპრანოსათვის  
ერთ-ერთი ისრაელთაგანი: უშენოდ, ოქროს  
თავისუფლება.  
სიკეთის ქველმოქმედება. წყარო ცხოვრების,  
ბედნიერი ცხოვრება სასაცილო შეიქმნება.  
ამაო ყოველი სიკეთის მისწრაფება ჩვენთვის  
ბოძებული...

15

არია სობრანოსათვის

ერთ-ერთი ისრაელთაგანი: მოვედი, ციურო,  
უტკბესო თავისუფლებავ.  
გახარებული ბრბო შენ გეხვევა.  
ჩვენ მოგვლით შენ, შენზე ვლოცულობთ.  
მაშინ არ დაგკარგავთ სიკეთის იმედს არასოდეს.

16

რეჩიტატივი ტენორისათვის:

ო, იუდა! ეს ვაჟკაცური საქმე აცოცხლებს ისრაელს,  
ყოველი მეომრის მკერდს.

17

არია ტენორისათვის

ერთ-ერთი ისრაელთაგანი: ო, თავისუფლებავ,  
მხოლოდ შენ ერთს!  
თვით ალამაზებ მზის მწველ სინათლეს,  
რთავ სიხარულს ბუნების მშვენიერებასთან  
და ტკბილად ჩქეფს სიცოცხლე მისგან.

18

დუეტი სობრანოსა და ტენორისათვის

I — II ისრაელთაგანი: მოვედ, ტკბილო  
თავისუფლებავ.

ციურო, თავისუფლებავ, მოდი!  
ხალხი სიხარულით გეხვევა ირგვლივ,  
ჩვენ გვლით და ვლოცულობთ შენზე,  
არ ვკარგავთ იმედს ბედნიერებასა და საჭიროებაზე.

19

გუნდი: შენ, გმირო, შენ, გმირო, შენ, გმირო!  
გაგვათავისუფლე მტრის ტირანიისაგან!

20

რეჩიტატივი ტენორისათვის

იუდა მაკაბელი: ასე ბრძანა მამაჩემმა,  
რომელიც ახლა იქ ზის



და უწმინდესად გადმოგვეურებს:  
„იცით თქვენ რისი ხილვაც გპირდებათ, მონებო!  
ქირსა და საჭიროებაში იუდას აწუხებთ?!  
შეგიძლიათ იხილოთ თქვენი შეცოდება?  
და არ ფიქრობთ მის შედეგზე?  
აირჩიეთ!“ სთქვა მან  
და მისმა თვალებმა იხილა:  
„თქვენ, შვილნო, თავისუფლება ან სიკვდილი!“  
და რა გადმოგხედათ, იქ ღვას მისი ხალხი,  
ბრძოლის წყურვილით შეპყრობილნი,  
გამაგრებულნი გულით, შეიარაღებული მკლავით,  
ბედისწერისათვის, რომელსაც შენ გაძლევ.

21

ბარცაბი: შეებრძოლეთ მტრებს!  
აღჭურვილნი იარაღითა,  
ასე სურს ხალხისაგან ღვთაება იეპოვას.

22

რეჩიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ა ს  
ი უ ღ ა მ ა კ ა ბ ე ლ ი: თქვენი გულმოდგინებით  
გული აღივსო ცეცხლით,  
აღინთეთ ახლაც!  
ღვთის სახელი მოგიწოდებთ ბრძოლისაკენ.

23

არაა ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს  
ი უ ღ ა მ ა კ ა ბ ე ლ ი: არა სისხლისწყურვილი  
და არც შხამიანი ისრით მოწამვლა  
არ არის მიზანი.  
ჩვენ მშვიდობა გვინდა ჭილდოდ,  
არ გვინდა ომი — არასდროს!  
ჩვენ თავისუფლება გვსურს!!

24

რეჩიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს  
ი უ ღ ა მ ა კ ა ბ ე ლ ი: მომყევით, ძმებო,

მომყევით, ბრძოლისაკენ!  
ღმერთაა ძალა ჩვენი,  
ის არის მზე და ფარი ჩვენი!

25

გ უ ნ დ ი: გვისმინე, მეუფევ,  
ო, უფალო, მოწყალეო ღმერთო!  
მოგვეცი თავისუფლება, ან გმირული სიკვდილი!

ნ ა წ ი ლ ი 11

26

გ უ ნ დ ი: დაცემა იყო შენი საშველი,  
დაეცა მტერი შენი, ო, ღმერთო!  
ამ დაცემაშია შენი შეუდრეკელობა.  
შენი მედიდური დაცინვა.

27

რეზიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს  
ე რ თ-ე რ თ ი ის რ ა ე ლ თ ა გ ა ნ ი: წინაძღოლო გმირო.  
უგვიანესი მოწოდება  
თქვა ჭერ კიდევ შვილიშვილმა,  
აპალონიუსის დაცემისას,  
სამარიტელთა გაქცევისას,  
უკან დაღვენებისას მთები იყო გვამების  
და ზღვა იღვა სისხლის.  
როდესაც შენ მამაცურად  
გამარჯვების მახვილს კიდი-კიდე იქნევდი,  
სასწაულს ყველგან უჩვენებდი.  
დაეცნენ აგრეთვე სირიელები,  
რომლებიც ასე ამაყად ტრაბახობდნენ.  
სერონი დაეცა მის მეუფესთან ერთად.

28

არია ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს: გალესე მახვილი შენი,  
ბრძოლისათვის — ურიცხვი ხალხისა,

შენი ყოვლისშემძლე მახვილი  
გალესე დაღუპვისათვის,  
შენი მუქარის შედეგად  
ისინი გაიქცნენ  
და თავისუფლება მოგველის ყველას.

29

რეზისტანტი ტენორისათვის  
ქრთ-ერთი ისრაელთაგანი: რა ტკბილი იქნება  
ბრძოლის შემდეგ  
გაქცეული მტრისა,  
უშიშრად ყოფნა და სიმყუდროვე!

30

ღუმტი სოპრანოსა და ტენორისათვის  
გუნდი: სიონ, აღსდექი!  
ხმა გაგვაგონე,  
მადიდებლო ქორო!!  
გუნდი: ხმა გაგვაგონე.  
სიონ, აღსდექი!  
ხმა გაგვაგონე,  
მადიდებლო ქორო!!

31

რეზისტანტი სოპრანოსათვის  
ერთ-ერთი ისრაელთაგანი: შენ, გმირო უფლისა!  
თავზე დაიდგი გვირგვინი,  
ქება და დიდება  
წარმოთქვი მის შესახებ —  
რაც მოიმოქმედე.  
თქვენ ბრძანეთ:  
ის ილაშქრებდა მისი ჯავშნით როგორც გმირი  
და იცავდა მახვილით თავისუფლებას.  
უშიშრად უტევდი ბრძოლაში,  
წააგავდი ლომს  
სანადიროდ განწყობილს.

## 32

არია სოპრანოსათვის

მან აიღო ნადავლი მეფისათვის  
და იაკობმა დასცინა მის საქციელს.  
იუდას გაეხარდა ნადავლი  
და ვაბრწყინდა გამარჯვების ქებით.

## 33

ლუბი სოპრანოსა და ალტისათვის

დიდება, ვაშა, ვაშა!!  
იუდეა, ბედნიერო ქვეყანა,  
შენი განდიდება აყვავდა მის ხელებში

## 34

გუნდი: ვაშა, ვაშა, ვაშა. იუდეა!  
ბედნიერო ქვეყანა!  
შენი განდიდება აყვავდა მის ხელებში!

## 35

რეჩიტატივი ტენორისათვის

იუდა მაკაბელი: გმადლობთ, ძმანო.  
მხოლოდ ღმერთი იყო,  
მხოლოდ მან წარმოშვა გზა დიდებისა!!  
ის განადიდეთ და არა ადამიანის მკლავი,  
ნუ განადიდებთ, როგორც მამათქვენმა მიდიანში.  
მახვილი მეფისა და გედეონ!! —  
ეს არს უფალი, რომელმაც გზა გიჩვენათ  
და თქვენი არსებობა აკურთხა!

## 36

არია ტენორისათვის

იუდა მაკაბელი: რა უნაყოფოა, ვინც ბრძოლაში  
დაუზოგავად თავისი მკლავის ძალას უჩვენებს  
და დივიწყებს უფლის ხელს,  
ის განწირულია!

რეზიტატივი სოპრანოსათვის

ისრაელთა წარმოგზავნილი: ო. იუდა, ო, ჩემო  
ხალხო,

ახალი შეტევა იწყება  
ჩვენს გასანადგურებლად,  
მოიკრიბეთ ვაჟკაცობა ბრძოლისათვის,  
თორემ დავეცემით, როგორც მსხვერპლი ანტიოქიისა!  
შორეულ ეგვიპტიდან მოიწვევენ,  
სადაც პტოლემეოსმა  
ახალგაზრდობაში მემფისი და პელუზიუმი დაჰკარგა.  
აგზავნის ის ვაჟკაც გორგიას,  
ერთადერთ უძლიერეს მეუფეს,  
შენს წინააღმდეგ ხალხის მწყემსო.  
სურს დაამსხვრიოს ჩვენი ტაძარი.

## 38

არია სოპრანოსათვის

ერთ-ერთი ისრაელთაგანი: შენ დაეცი უმოწყალოდ,  
საწყალო ისრაელ!

თავისუფლების ტახტიდან —  
საზარელ სამარხამდე.

## 39

გუნდი: შენ დაეცი უმოწყალოდ, საწყალო ისრაელ!  
თავისუფლების ტახტიდან —  
საზარელ სამარხამდე.

## 40

რეზიტატივი ბანისათვის

სიმონ: ჭერ კიდევ არ ჩამკვდარა იმედი თქვენში,  
თქვენი გული ჭერ კიდევ ვაჟკაცობითაა ანთებული.  
წყალობისთვის გადმოგხედავს ზეცა.  
რომელსაც გულით მიენდეთ  
და არ დაივიწყეთ მისი მოწყალება.

მოუბრუნდით ღმერთს!  
წყალობა და თავისუფლება  
იქნება თქვენი გულმოდგინეობისათვის.

41

არია ბანისათვის

სიმონი: სასწაულისათვის გვიხმობს ჩვენი ღმერთი.  
უძლეველი ჰეჰა-ქუხილით იცავს თავის ხალხს.

42

რეჩიტატივი ტენორისათვის

იუდა მაკაბელი: თანახმა ვარ, ხელმეორედ  
შეიარაღდით ვაჟაკობით,  
ამ მტერსაც გაძლევთ უფალი თქვენს ხელებში.  
რა საცოდავია, რა ადვილად დასამარცხებელია მათი  
რწმენა,  
მათ აღვიძებთ ველური შურისგება,  
ჩვენ კი, — ღვთის მშვიდობა!

43

არია ტენორისათვის და ვუნდი

იუდა მაკაბელი: (ისმის საყვირის ხმები)  
დასცენ ნესტუსა, ისმის სამყაროს ძახილი.  
გმირებს მოუხმობს,  
ისმის სამყაროს ძახილი!  
გუნდი: ჩვენ გვაფხიზლებს საოცარი, ტკბილი ხმები;  
ჩვენ თან მოგყვებით სალაშქროდ!  
არ დავეცეთ, რა კარგია თავისუფლება!

44

რეჩიტატივი ბანისათვის

სიმონი: სამარისია, მსგავსი თქვენც გადაგზდათ,  
როდესაც მათსავით მთელი სულით შეიყვარეთ,  
და დაადექით მის გზას!

ეს მონა თქვენი იყო ო, იუდა!  
და სიწმინდე გახდა ჩემი,  
ღვთის ტაძარი დაშორებულია ღვთისმსახურებიდან.  
მასში ჰპოვებენ წარმართნი შიშს,  
როგორ შეუძლია იეპოვას ჩვენი გზა გვიჩვენოს.  
როდესაც ჩვენ ამ წარმართობას ვუყურობთ?!

45

ბ ა ნ ი ს ა ო ე ი ს

ს ი მ ო ნ: კეთილგანზრახული გულით.  
კეთილგანზრახული ვაუკაცობით,  
გავემართებით სალაშქროდ  
და არ შევეუშინდებით მტერს,  
უფალი იეპოვა განსჯის ჩვენს დავას.

46

რეჩიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა და ს ო პ რ ა ნ ო ს ა თ ე ი ს

ე რ თ-ე რ თ ი ის რ ა ე ლ თ ა გ ა ნ ი: თქვენც მის მსგავს  
ემსახურებოდით.

განადგურეთ უსულო ცრუ ღმერთები.  
ჩამოაგდეთ მათი ზევსი ოქროს ტახტიდან.  
მოპგლიჯეთ ბახუსს გვირგვინი,  
და ნუ იდღოსასწაულებთ.  
უარყავით მათი მოდგმა და წარმომაკელობა.  
თორემ თქვენც მიიღებთ ისეთსავე ცოდვებს.

მ ე ო რ ე ი ს რ ა ე ლ თ ა გ ა ნ ი: შედით სიონში,  
ღვთისმსახურება ასტორეთის.

მისი მწუხრის საგალობელი იმღერება დიაცთაგან.  
ნუ უმღერით მას!

ტანალი არის საოცარ ძალის და ბრმა მოჩვენება ღვთის  
სიტყვიანა.

რომელსაც მისი ქურუმნი ღაღადებენ.  
თქვენ, ხალხო უფლისა აღიარეთ ჭეშმარიტება.  
ნაცვლად სიტყუიანა და ცრუ გამოჩავერებისა.

არია ტენორისათვის

ყალბი სიბრძნე,  
 მოჩვენება გატუნებენ თქვენ,  
 მხიარულ ოხუნჯობით  
 ძალიან ხშირად ეშმაკურ ხელოვნებას  
 დაუავადმყოფებია გულები.  
 თქვენ უნდა ჭეშმარიტი მოწოდება შეისმინოთ  
 უფლისა,  
 ღვთის სიბრძნე მოვალს თქვენთანა.  
 მისი მოწოდება არ არის აშაო მიწიერი ცთუნება.

## 48

ღუგტი ორი სობრანოსათვის

ერთ-ერთი ისრაელთაგანი: არასდროს დაგვიჩოქავს  
 მუხლზე

კერპისა და ქვის წინაშე!!  
 მეორე ისრაელთაგანი: ო. არასდროს დაგვიჩოქები:  
 კერპისა და ქვის წინაშე!  
 არა! არა! ყოვლის შემძლე ისრაელს...  
 მხოლოდ მას შევწირავთ მსხვერპლს.

## 49

გუნდი: ო, არასოდეს მოგვიყრია მუხლი  
 მუნჯი ხისა და უმეტყველო ქვის წინაშე.  
 ჩვენ ვწირავთ უფალს მსხვერპლს, მხოლოდ მას!

## ნ ა წ ი ლ ი III!

## 50

არია სობრანოსა და ალტისათვის  
 ერთ-ერთი ისრაელთაგანი: მოგვხედე იეპოვა,  
 მოგვხედე იეპოვა, -- შენს სამეუფო ტახტიდან!  
 შეიწყალე შენი ხალხი,



შენ უკვე ქველმოქმედება მოგვეცი,  
მოგვეცი ხანგრძლივი მსახურება ჭილდოდ,  
მიიღებს მაშინ შენი ხალხის მადლობას,  
აგმოგვხვდება სიხარული ყოველ მკერდიდან  
და გაიმართება ტრიუმფი როკვა-სიმღერებისა.

51

გუნდი: მამავ და უფალო,  
მამავ და უფალო,  
შენი მოწყალე ტახტიდან  
მოგვევლინე წყალობის თვალი —  
ჩვენს სამსხვერპლოზე!

52

რეჩიტატივი ალტისთვის  
ერთ-ერთი ისრაელთაგანი: იხილეთ, იხილეთ,  
სამსხვერპლოზე  
აეღვარდა ალის ენა, მიიღო მსხვერპლი,  
კვამლი გაემართა ზეცისკენ,  
უფალმა შეისმინა მისი პირველი ლოცვა.

53

რეჩიტატივი სოპრანოსათვის  
ისმინე ღვთისა, რომელმაც ერთხელ ჩვენს  
ყრუ მსახურებას ბოლო მოუღო  
და ყოველის ლოცვაზე მწუხარე ცრემლები უსაზღვ-  
როდ დაადინა,  
სიხარულს ვტიროდით და მხურვალე ქებას!

54

არია სოპრანოსათვის  
მაშინ უღერდა ხმამალა ქნარის ხმები,  
შენი ხალხის საქებარ ჰიმნში,  
შენს ტაძართან მოვისწრაფოდით გულმოდგინედ  
და შეგთხოვდით!

რეიტატივი ალტისათვის

ერთ-ერთი ისრაელთაგანი: ქაფარსადამადან  
მოვისწრაფოდი

არწივისებური ფრენით,  
და მოგიტანეთ უსაზღვრო ბედნიერება!  
მისი ლაშქრით მოგვევლინა ლუსიასი,  
ოქროს ჯავშნით აღჭურვილი,  
მისი ფარით და მძლავრი მკლავით.  
გაიელვა ველზე  
და მას თან გამოყვა სპილოთა რიგი,  
საშინელი ლაშქარი,  
მაგრამ იუდა არ შეუერთა,  
შეებრძოლა, დასძლია მთელი მისი ძალა.  
კიდევ მეტი,  
ნიკანორი დაეცა ათასით!  
ნიკანორთან ერთად უკუაგდო მისი ჯარი;  
და ერთ წუთში მიუღწეველი გამარჯვება  
მის ამაყ გულში ჩაინერგა.  
შეხედეთ! გამარჯვებულნი მოდიან,  
მათ შუბებზე წამოგებულია ნადავლი,  
მათ მოაქვთ მტრის თავი და მკლავი!  
შენ. ხალხის მეუფევე, გაანადგურე მტერი!!

ახალგაზრდების გუნდი: შეხედეთ. მოდის დიდებით  
შემკობილი,

საყვირების ხმებია ირგვლივ,  
მხსნელს უმღერიან —  
გამარჯვებული ლაშქრის. სიმღერით!

გოგონების გუნდი: შეხედეთ, მოდის ლაშქარი,  
ფლეიტები ჟღერენ,  
ყველა როკავს,  
მირთებს და ვარდებს წნავენ —  
სადიდებელი გვირგვინებისათვის.

მ თ ლ ი ა ნ ი გ უ ნ დ ი: შეხედეთ, მოდის დიდებით  
შემკობილი  
საყვირების ხმებია ირგვლივ,  
მხსნელს უმღერიან გამარჯვებულნი — „მხედრულით“.

57

მ ა რ შ ი

58

ს ო ლ ო და გ უ ნ დ ი.  
ა ლ ტ ი ს ს ო ლ ო: უგალობდეთ ჩვენს უფალს,  
ტ ე ნ ო რ ი ს ო ლ ო: თქვენი ქება იყოს უფრო დიადი,  
გ უ ნ დ ი (რიგრიგობით): აქედნეთ სასწაულთმოქმედს.  
ადიდეთ და ადიდეთ მისი მძლავრი მკლავი.

59

რეჩიტატივი ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს  
ი უ ლ ა მ ა კ ა ბ ე ლ ი: ტკბილია ეს სიმღერა  
და თქვენი სიმთა ჟღერა,  
უტკბესად მომესმის,  
ჯერ კიდევ ომის ხმაურამდე მომესმოდა ქება,  
მაცოცხლებელი მეუფისა  
ძმებო, მოდიეთ, მოგვიწოდებს მოვალეობა  
უფლის წინაშე ვინც შეგვეწირა.  
იდღესასწაულეთ ელიაზარის სიკვდილი,  
ჩვენ ის შეგვეწირა, გვიჩვენა გზა —  
სპილოთა განდევნის,  
მასთან ერთად მოვიხსენიოთ გამირულად დაღუპული  
გმირები.

60

არია ტ ე ნ ო რ ი ს ა თ ვ ი ს  
ი უ ლ ა მ ა კ ა ბ ე ლ ი: ვინც ლაშქარს უწინასწარმეტყველა  
გამარჯვების გვირგვინი,  
დაჰკა გამაყრუებელი ხმები დოღზე!!  
მათ გაავსეს ველი იარაღით,

ძირს ეცემოდა თუ უტევდა — მიდიოდა  
და მოიპოვა გმირობა,  
რომელიც მას მიწაზე ციდან მოევლინა.

61

რეჩიტატივი ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს

ე უ პ ე ლ ე ნ უ ს ი: მშვიდობა იუდას!  
მშვიდობას და უშიშროებას  
მილოცავს რომის სენატი,  
მომაქვს კავშირი და მეგობრობა.  
თუ თქვენ კიდევ შეგაწუხებს ხალხი,  
მაშინ რომი, მსოფლიოს მფლობელი.  
თქვენ გამარჯვებას მოგიპოვებს!  
გამოგიგზავნით თავის გმირებს,  
და დაამხობენ ყველას მძლავრი მკლავით!

62

გ უ ნ დ ი: მეუფისაგან წარმოიშვა საზეიმო მადლი,  
მიწიდან ცამდე ყოველივე იძრა,

63

რეჩიტატივი ს ო პ რ ა ნ ო ს ა თ ვ ი ს

ე რ თ-ე რ თ ი ის რ ა ე ლ თ ა გ ა ნ ი: ციდან მოგვიბრუნდა  
ხელმეორედ

მადლი მიწაზე,  
წყალობაა იგი ჩვენზე,  
ჩვენი გმირი და მეგობარი!  
უმღერეთ მას, ახალგაზრდებო!  
მიუგეთ საკადრისი!  
შეამკეთ, ახალგაზრდა ქალწულნო,  
დამპყრობელის თავი,  
გულცივი ნუ იქნებით,  
გულთბილად მოეპყარით უძლეველს, —  
ვინც გვიშველა!  
ჩვენი ძლიერებით გაგვაბედნიერა.

უშიშროება და ბედნიერება გვიწყალობა,  
მოგვცა სიმშვიდე და მხიარულება.

64

ღუბტი სოპრანოსა და ალტისათვის  
ერ-ერთი ისრაელთაგანი: მშვიდობა  
ბრწყინვალეაა მეუფის.  
მეორე ისრაელთაგანი: ო, ტკბილო, ტკბილო  
მყუდროებაე!

რა დამატკბობელად გვევლინები შენ.  
იქ, სადაც მეომარმა ფეხი შეადგა,  
აღმოცენდა ოქროს სიხარული,  
საყვირთა შემზარავი ხმების ნაცვლად  
ისმოდეს ქების საგალობელი!  
როკვა-სიმღერით — ქების სადიდებელი!!

65

არია ბანისათვის  
სიმონი: ჩვენს ქოროს უერთდებიან ჰარმონიულად  
ქერუბიმები და სერაფიმები.  
გუნდი: ალელუია, ამენ!  
ჩვენს ქოროს უერთდებიან ჰარმონიულად  
ქერუბიმები და სერაფიმები.

ვოლფგანგ ამადეა მოცარტი  
Wolfgang Amadeus Mozart

დონ ჯუანი (Don Giovanni)

კომიკური ოპერა ორ მოქმედებად  
ლიბრეტო, ლორენტო და-პონტესი,

მოქმედი პირნი

დონ ჯუანი — ბარitonი

კომანდორი — ბანი

დონა ანა — მისი შვილი — სოპრანო

დონ ოტავიო — დონა ანას საქმრო — ტენორი

დონა ელვირა — სოპრანო

ლეპორელო — დონ ჯუანის მსახური — ბანი

მაზეტო — გლეხი — ბანი

ცერლინა — მისი საცოლე — სოპრანო

მსახურები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, გუნდი

მოქმედება მიმდინარეობს სევილიაში XVII საუკუნეში.

მოქმედება I

(ბალი კომანდორის სახლის წინ. მარცხნივ სახლის პორტალია ქვის კიბით, რომელიც ბაღში გამოდის. სცენის სიღრმეში ხეები და ბუჩქებია. მოჩანს ქალაქის ხედი. ღამეა, მთვარეს ღრუბლები ჰფარავს. ლეპორელო გახვეულია გრძელ მოსახამში და მოუსვენრად დადის წინ და უკან)

ლეპორელო: დღე და ღამე ერთთავად  
არა მაქვს მოსვენება,  
ცუდად ვჭამ, ცუდად მიძინავს,  
სიცხეს და ყინვას ვიტან.

მინდა ვიყო ბატონი და  
არ მსურს ვიყო მსახური (2-ჯერ)  
არ, არ, არ, არ, არ მსურს ვიყო მსახური.  
ოჰ, ეინს იკლავს ვაჟბატონი  
ქალთან ტრფობას დაჩვეული,  
მე კი, დარაჯს თავშეფარებულს.  
მტანჯავს ულმობლად ტრფობის ალი.  
მინდა ცხოვრება მეფურად,  
არ მსურს ვიყო მსახური. (2-ჯერ)  
არ, არ, არ, არ, არ მსურს ვიყო მსახური.  
მოდიან!

დროა დამალვის.

მოდიან!

დამალვის დროა,

არ მსურს, რომ შემამჩნიონ.

ო, დრო დამიდგა დამალვის,

არ მსურს ვინმემ მიხილოს,

არ, არ, არ, არ, არ, არ შემიპყროს მტრებმა.

(სახლიდან გამორბის დონ ქუანი, მას მოსდევს დონა ანა.)

დონ ანა: სად გარბი, ვერ წახვალ!

გესმის!

ველარსად გამექცევი!

დონ ქუანი: დონა, რისთვის ცდები?!

ჩამომცილდი, გზას ნუ მიღობავ!

დონ ანა: სად გარბიხარ, ვერსად წახვალ,

ველარსად გამექცევი.

ვერ წახვალ, ველარსად გამექცევი!

(მსახურებს) ჩქარა მოდიო! მომეშველეთ!!

დონ ქუანი: დონა! რას გამიმკლავდები,

თქვენ ჩემს სახელს ვერ გაიგებთ,

ვერ გაიგებთ!

კმარა, დროა ჩუმად იყოთ!!

ლევორელი: ვილუპებით, ცხადად ვხედავ.

დღეს მოგველის ფათერაკი!

→ (ერთად)

დონანა: უღირსი ხართ! | (2-ჯერ)

დონეუანი: მშვენიერო!!

დონანა: მომეშველეთ!

დონეუანი: ნუ უძახით!

დონანა: ჩემი რისხვის გეშინოდეს,

შენ ცოცხალს ვერ გაგიშვებ.

ჩემი რისხვის გეშინოდეს, გეშინოდეს!!

მე თვითონ მოგკლავ, შმაგო!

დონეუანი: ეს ქალბატონი ტურფაა,

ღირსია ტრფიალების!

ეს ქალბატონი ტურფაა,

მე მზად ვარ მოვკვდე მისთვის!

ლექორელო: ჩემი ბატონი თავს წაიხდენს,

მეც ზედ მიმაყოლებს.

დავიღუბეთ, ოჰ, ცხადი არის!

ჩემი ბატონი თავსაც წაიხდენს

და მეც ზედ მიმაყოლებს! (2-ჯერ)

ნამდვილ დავიღუბებით.

დონანა: უღირსი ხარ!

დონეუანი: მშვენიერო!!

დონანა: უღირსი ხარ!

დონეუანი: უნაზესო!!

დონანა: მომეშველეთ!

დონეუანი: ნუ უძახით!!

დონანა: ჩემი რისხვის გეშინოდეს,

აღსასრულის დრო დადგა.

ჩემი რისხვის გეშინოდეს,

შიშით ძრწოდე;

მე თვითონ მოგკლავ, შმაგო!

დონეუანი: ო, ეს ფურია

რა კარგია,

როგორ არ შეგიყვარო?!

ო, ეს ფურია ტურფაა,

მე მზად ვარ მოვკვდე მისთვის.

→ (ერთად)

(ერთად)

→ (ერთად)



ლეპორელი: ჩემი ბატონი თავსაც წაიხდენს  
 და მეც ზედ მიმაყოლებს,  
 მეც ზედ მიმაყოლებს,  
 ნამდვილ დავილუბებით.  
 ჩემი ბატონი თავსაც წაიხდენს  
 და მეც დამლუბავს...  
 დავილუბეთ!  
 ყველაფერს მივხვდი!  
 ჩემი ბატონი თავსაც წაიხდენს (მ-ჯერ)  
 და მეც დამლუბავს. } (მ-ჯერ)  
 ღმერთო, ნამდვილ დავილუბეთ,  
 ვერაფერი გვიშველის!  
 დონანა: მე თვითონ მოგკლავ, მოგსპობ! } (ერთად)  
 დონეუანი: მე მზად ვარ შენთვის მოვკვდე! }

(დონა ანა კომანდორის ხმის გაგონებაზე სახლში შედის)

კომანდორი: შურისძიება!  
 იშიშვლე დაშნა!  
 დონეუანი: თქვენ?.. არ მსურს ბრძოლა.\*  
 მოხუცს არ ვებრძვი.  
 კომანდორი: სად ვარბი, მხდალო!  
 უკვე შეკრთი?  
 ლეპორელი: სულ უნდა ბედი დავიწყევლო?!  
 დონეუანი: არ მინდა ბრძოლა... შორს!  
 კომანდორი: გაქცევა შოისურვე, მხდალო?!  
 დონეუანი: საბრალო!  
 ლეპორელი: რად ვიტანჯები, ბედს ვემდური!  
 კომანდორი: გამოდი!  
 დონეუანი: საბრალო!  
 სიკვდილს მოელი და ინებე!

(დონეუანი სასიკვდილოდ კრის კომანდორს)

ლეპორელი: რა უღმერთოდ  
 და საზარლად

დაიღუპა საცოდავი.

გული ფეთქავს განგმირულის (2-ჯერ)  
რისთვის მოკვდა საწყალი,

დაიღუპა საცოდავი.

გული ფეთქავს,

ხელი უკრთის,

დაიღუპა უბედური, საცოდავი.

დონ ეუანი: ის არ მოელოდა ჩემგან  
დაშნით ეგოდენ სწრაფ სიკვდილს.

დაიღუპა ბერიკაცი,

როცა ღონე არ ერჩოდა,

რისთვის შემომწირა თავი.

დაიღუპა ბერიკაცი, მოიკლა თავი.

კომანდორი: ო, მიშველეთ, მიშველეთ,  
მე ვკვდები მზაკვრის მახვილით!

მდის სისხლი, ვეღარ ვძებნებ,

სიცოცხლის შუქი ჰქრება,

დაბნელდა... შუქი ჰქრება!

→ (ერთად)

→ (ერთად)

(მთვარე ღრუბლებში იფარება, დონ ეუანი, როდესაც დარწმუნდება კომანდორის სიკვდილში, დაუძახებს ლეპორელოს, საუბარი მიმდინარეობს ხმადაბლად)

დონ ეუანი: ლეპორელო, სად ხარ?

ლეპორელო: სენიორ, თქვენ წინაშე ვარ. თქვენ კი?

დონ ეუანი: აქ ვარ!

ლეპორელო: ვინ მოკვდა? თქვენ თუ იგი?

დონ ეუანი: რა სისულელეს ბოდავ! იფიქრე!

ლეპორელო: ყოჩაღ! როგორ კარგად მოჰკალით!

ლამაზის მამას გაუსწორდით, ხომ მივხვდი!

დონ ეუანი: მიიღო, მას რაც სურდა.

ლეპორელო: ჰო, ქალს რაღა უნდოდა შენგან?

დონ ეუანი: კმარა! ნურას მკითხავ, წამოდი!

თორემ მე მოგიყვან ჰქუაზე... (გაიწევს)

ლეპორელო: არაფერი მინდა, ვლუმეარ, ვლუმეარ!

(ღონა ანა და ლეპორელი იმალებიან. სახლიდან გამოდიან ღონა ანა და ღონ ოტავიო, მსახურები — ჩირალდნებით ხელში).

ღონა ანა: ო, მამას საფრთხე ელის,  
ჩქარა მივეშველოთ!

ღონ ოტავიო: (იშიშვლებს დაშნას)  
თუ საჭიროა,  
შევწირავ ჩემს სიცოცხლეს.

ღონა ანა: შორს არ იქნება.  
(შეამჩნევს მამის ცხედარს)  
ღმერთო, ვინ არის იქ!  
რა უზღედურებაა!

თვალეებს არ ჯერავს!  
მამავ, მამაჩემო, ძვირფასო! ტკბილო!!

(ღონა ანა მამის გვამზე დაეშობა, ღონ ოტავიო დაიხრება ცხეფართან. ნაწილი მსახურებისა სახლში შერბის, ნაწილი კი ჩირალდნებით გარს ერტყმიან ცხედარს)

ღონ ოტავიო: სენიორა!

ღონა ანა: ვერაგმა მკვლელმა ვანგგმირა შენ!

სისხლში ხარ,

აი, ჭრილობა!

ვინ მოგკლა?!

სიკვდილის ფერი გადაჰკრავს მაგ სახეს!

ალარ ჰფეთქავს გული და დაჰკარგა გრძნობა!

მამაჩემო, მამაჩემო, უძვირფასესო!

ცუდად ვარ, ცუდად ვარ!

(ღონა ანა გრძნობას ჰკარგავს. ღონ ოტავიო ეშველება).

ღონ ოტავიო: აქ მოდიოთ, მოეშველეთ ძვირფას საცოლეს  
წყალი ჩქარა მოიტანეთ,

გრძნობაზე მოვიყვანოთ.

ღრო მიდის, მარდად!

ღონა ანა, ანა! გონს მოდიოთ.

არ ძალუძს საწყალს ამ სატანჯველს გაუძლოს.

(მსახურები საკაცეზე ფრთხილად დებენ ცხედარს)

დონა ანა: ო! (გონზე მოდის)

დონოტავიო: უკეთ ხარ? მიეციოთ ჭიქით წყალი!

დონა ანა: მამაჩემო!

დონოტავიო: მსახურნო, თქვენ აქედან დროზე წაიღეთ  
კომანდორის ცხედარი! (გააქვთ საკაცე)  
ანა, საბრალოვ,  
დაწყნარდით, იკმარეთ!

დონა ანა: გთხოვთ, ჩამომცილდეთ,  
დაე. მასთან მეც მოვკვდე.  
არ მსურს სიცოცხლე, არა,  
შენთან მოვალ ჩემო მამა!

დონოტავიო: წყნარად. აქეთ მომხედეთ.  
ნუ სტირით, კმარა ცრემლი.  
უბედურება კმარა,  
მე თქვენით ვსულდგმელობ!

დონა ანა: აქ ხართ, ჩემთან? გთხოვთ მომიტევეთ...  
ხომ ხედავთ განვიცდი...  
სად არის მამაჩემი?!

დონოტავიო: მშობელი!. ო, დამშვიდდი.  
იკმარეთ მწუხარება!  
მიგულეთ მე თქვენს მფარველად!

დონა ანა: ო, ძვირფასო, მამაჩემო სად ხარ?


დონოტავიო: კმარა ცრემლი.  
ეგ სევდა დაივიწყეთ,  
მიგულეთ მფარველად.  
კმარა ცრემლი, გთხოვთ დაწყნარდეთ.

დონა ანა: ო. დასდევთ ფიცი,  
რომ შურს იძიებ მტერზე!

დონოტავიო: მე ვფიცავ, ვფიცავ. ვფიცავ ტრფიალებას,  
დავიცავ მამის ღირსებას.

დონოტავიო. დონა ანა: რისხვავა ფიცი ჩვენი.  
დაჰკრავს შურისა წამი,  
ბრძოლის ვნების და სევდის  
დადგა დრო საზარი. } → (2-ჯერ)

დონა ანა: გთხოვთ, გავიმეოროთ, შური ვიძიოთ.



„დონ კუანი“ (ტინალი).

სახელმწიფო ოპერის ოეატრის დაღვრა

დონ ოტავიო: ჩემს ტრფიალებას შენ შემოგფიცავ!  
დონ ოტავიო, დონა ანა: რისხვია ფიცი ჩვენი,  
დაჰკრავს შურისა წამი,  
ბრძოლის, ვენების და სევდის (2-ჯერ).  
დადგა დრო საზარი. (შედიან სახლში)  
სისხლი მიდუღს, სისხლი მიდუღს,  
გული ჰფეთქავს!  
ჰო, გული ფეთქავს, ფეთქავს! (3-ჯერ)  
ვენება ფეთქავს და გული მიცემს.  
ბოლმა ჩვენ გვახრჩობს  
და სისხლი გვიდუღს,  
რისხვა ფეთქავს და გულს მიკლავს,  
აღარ მასვენებს.

(ქალაქის მოედანია ბადით, ირგვლივ სახლებია, თენდება. გამოჩნდება დონ ეუანი და ლეპორელი)

დონ ეუანი: ჰო, შენ რა გინდა, ჩქარა, შითხარი!  
ლეპორელი: გთხოვთ მომისმინოთ და ახლავე გაცნობებთ.  
დონ ეუანი: როგორმე!  
ლეპორელი: ძალზე საიდუმლოდ  
დონ ეუანი: რა გსურს ჩქარა მომახსენე!  
ლეპორელი. აღმითქვი რომ, რასაც გეტყვით ან დამსჯით.  
დონ ეუანი: ვფიცავ ჩემს ღირსებას,  
არაფერი თქვა მოხუც კომანდორზე.  
ლეპორელი: ჩვენ მართო ვართ?  
დონ ეუანი: თვით ხედავ!  
ლეპორელი: არავინ გვისმენს?  
დონ ეუანი: ჰო!  
ლეპორელი: სიმართლეს გეტყვით თქვენ,  
სენიორ! გულახდილად!  
დონ ეუანი: ჰო!  
ლეპორელი: მე მხოლოდ გეტყვით,  
რომ ყოველთვის მსურდა კარგი,  
გეტყვით, რომ თქვენი ქცევა სამარცხვინოა,  
(ჩასჩურჩულებს დონ ეუანს)

დონ ქუანი: როგორ ბედავ შე თავხედო!?

ლეპორელო: თქვენ შემომფიცეთ,

დონ ქუანი: ახლავე გაჩუმდი უღირსო, თორემ ნახავ...

ლეპორელო: ვდუმვარ, ვდუმვარ, სულსაც აღარ ვითქვამ!

დონ ქუანი: პო და ასე ჯობია, ახლა მისმინე,  
აქ რისთვის ვარ იცი?

ლეპორელო: აბა რა ვიცი,  
ყოველ დილაადრიან  
თქვენი გული, გმინავს ტრფობით მოკლული,  
სიას ვადგენ და ჩქარა მოგახსენებთ,

დონ ქუანი: კარგად აზროვნებ, ძმავ!  
ახლავ გაგანდობ, იცი რას გეტყვი!  
კვლავ შემიყვარდა ერთი ასული,  
და ის აქ მოვა,  
ამ ღამეს მოგვევლინება,  
ის ჩემი ვახდება!  
ჩუმად, არ გესმის?!  
სიამით შეეკრთი,  
გამოჩნდა!

ლეპორელო: სწორია!  
შეგრძნება, უბადლოა!

დონ ქუანი: და მგონი, ლამაზია.

ლეპორელო: თქვენი მზერა მკვეთრია!

დონ ქუანი: გვერდზე გავიწოთ, ჩქარა,  
ჩუმად ვუთვალთვალთ.

ლეპორელო: ჰე, კვლავ გამონახა! (თაეისთვის)

(ბალის ბოლოს გამოჩნდება მანტრაში გახვეული დონა ელვირა. დონ ქუანი  
და ლეპორელო ხეს ამოეფარებან).

დონა ელვირა: ო, ნეტავ ვინმემ მითხრას  
სად გაჰქრა ვერაგი,  
მას ხომ სამარადისოდ  
შევეწირე გრძნობები. (2-ჯერ)

ო, ნეტავ, შემახვედრა, (2-ჯერ)

რა ბოლმაც მაქვს გულში

პასუხად მივუგებდი

დამცირებისათვის, უბედურებისათვის.

დონ ეუანი: (წყნარად ლეპორელოს)

ხომ გესმის,

საცოდავი!

დაპკარგა თურმე ქმარი.

დონა ელვირა: პასუხად მიუღაგბდი

უბედურებისათვის!

დონ ეუანი: ო, საბრალო, საცოდავო! (წყნარად ლეპორელოს)

დონა ელვირა: ჩემს გულში ჰფეთქავს შური და

ამ გულში კრთის ზიზღი

დონ ეუანი: მე მსურს თანავუგრძნო საბრალოს.

ლეპორელი: (თავისთვის)

მან ასეთს ათასს შეუმსუბუქა ნალველი.

დონა ელვირა: ო, რა ბოლმაც მაქვს გულში,

სად გაქრა ვერაგი.

მას ხომ სამარადისოდ

შევწირე გრძნობები,

შევწირე ტრფიალი.

(დონ ეუანი მოცილდება ხეს და თავს უკრავს ელვირას)

ო, ნეტავ შემახვედრა,

რა დარდიც მაქვს გულში

პასუხად მივუგებდი დამცირებისათვის.

დონ ეუანი: ო, საწყალი, საცოდავი!

დონა ელვირა: გულში მაქვს ნალველი და

მსურს შურისძიება.

დონ ეუანი: მე მსურს თანავუგრძნო ამ საცოდავს.

ლეპორელი: ათას მაგდაგვარს გაუწიე დახმარება.

დონა ელვირა: გულში მაქვს ნალველი

და მსურს შური ვიძიო,

განმსაჯოს ზეცამ.

დონ ეუანი: სინოორინა, სინოორინა!

დონა ელვირა: ვინ ხართ?



დონ ქუანი: ღმერთო, რას ვხედავ?

ლეპორელი: ეს მგონი დონა ელვირაა.

დონა ელვირა: დონ ქუანი აქ ხარ?

სულმდაბალო, მატყუარა, ცბიერო!

ლეპორელი: (თავისთვის) ნაზი კომპლიმენტი!

ალბათ, მას ძალზე კარგად იცნობს იგი!

დონ ქუანი: ო, ჩემო დონა ელვირა

დააცხეთ ეგ მღელვარება.

ინებეთ და გათხოვთ მომისმინოთ.

დონა ელვირა: საზარელ ამბებს არ უნდა ბაასი,

ჩემს მყუდრო სახლში

მოხველ მარტოდ, ფარულად,

თქვენი ხერხებით,

მზაკვრული მოჩვენებით

ვზა ამირიეთ,

ეს შენ მოკვალი გული:

ულმერთო, ულმობელო,

შემპირდი ქორწინებას,

გაიქეც ჩუმად,

არც გრძნობა იწამე, არც კანონი

და იქცევი სულმდაბლურად,

მესამე დღეს ბურგოსიდან გაიქეც.

იქ დამტოვე ვერაგო.

დავრჩი და ვწუხდი,

ვაფრქვევ სევდის ცრემლი,

ღალატისათვის პასუხი უნდა აგო.

ლეპორელი: (თავისთვის) ისე ამბობს — თითქოს წერს!

დონ ქუანი: თქვენ რაც თქვით ყველაფერს

აქვს მიზეზი!

(ლეპორელს) ასეა?

ლეპორელი: (ირონიით) ცხადია, არსებობს მიზეზები!

დონა ელვირა: ეს ცნობილია, — თავქარიანობა,

ჩანერგილი ვერაგობა,

მომიხმობს ბედისწერა,

ღალადებს შურისძიება

და ჩავკლავ ბოროტებას!

დონ ეუანი: მმართვებს თქვენგან მხოლოდ თანაგრძნობა,  
(თავისთვის) რა ძნელია თავის შველა!

(დონა ელვირას) თქვენ აღარ გჯერავთ ჩემი დონა?

ჰკითხვით რას გეტყვით ეს სენიორი.

ლექორელი: ესეც ასე!

დონ ეუანი! (ხმაშალა) უთხარ სიმართლე!

ლექორელი: (ჩუმად დონ ეუანს)

სთქვი, რა სურს, რა ვუამბო?

დონ ეუანი: (ხმაშალა) ის, ის, ის მოუყევი!

(დონა ელვირასაგან შეუმჩნევლად იმალება).

დონა ელვირა: ჩქარა მითხარით!

ლექორელი: სენიორა... დამეთანხმეთ, როგორც მეგობარს,  
ძველთაგან ბრუნავს ამ ქვეყნის საჰე,  
კვადრატს ვერ იხილავთ წრედ

დონა ელვირა: ეს რას ბედავს!

ნუთუ ტრფიალის ისურვეთ გათელვა?

(მიმართავს დონ ეუანს, ჰგონია, რომ ის იქ არის)

თქვენ კი... ღმერთო, ისევე გამექცა

ახლა რა ვქნა? რა ვქნა? სად წავიდა?

ლექორელი: ო, იკმარეთ, სენიორა!

მართლაც, არც კი ღირს იგი მოსაგონებლად.

დონა ელვირა: იცრუა, დამტოვა, ისევე გამექცა.

ლექორელი: ეჰ, უარყავით და იცოდეთ

რომ თქვენ მისთვის პირველი არ ხართ

და არც ბოლო შეიქნებით (იღებს სიას)

იხილეთ, აბა შეხედეთ სიას!

აქ შეხვდებით მონიბლულებს და სატრფოებს,

მოვლალი გვაქვს სოფლები და ქალაქები უამრავი.

მას ყველგან ქონდა რომანი.

(დონა ელვირა ბულვარის ქვის სკამზე ჩამოჯდება)

გთხოვთ ინებოთ, აქ აღვწუხებ სატრფოებს,

ისურვეთ და თქვენთვის მზად ვიქნები,

ვწერდი ყველას განურჩევლად, ჩუმად,

გთხოვთ შეხედოთ ყურადღებით და დაკვირვებით.  
გთხოვთ მომისმინოთ:

იტალიაში ექვსას ორმოცია,  
გერმანიაში — ორას ოცდაათი.

ასი — საფრანგეთში, თათრის — ოთხმოცდაათი  
და ესპანეთში!!

ესპანეთში — სამი ათასი, სამ' ათასი, სამ' ათასი.

გლეხი გსურს, თუ მედაბური.

მაღალ წრიდან — ჰერცოგები,

გრაფინია, ბარონესა,

მარკიზები, პრინცესები,

ახალგაზრდა, მოხუცები

ყველა რკულის და ფერის.

ყველა წრის და ქონების.

ქერა ქალთან მარად ოხრავს,

ვნებას აფრქვევს შავგვრემანთან

და გრძნობით, ლაღად მისკენ ილტვის;

გულს გადუხსნის, სიტყვას ეტყვის.

ზამთარში მსუქნებს ეტრფის,

გამხდარს -- კიდევ გაზაფხულზე.

დიდებულებს თაყვანსა ცემს,

კეკლუცს გრძნობით ათამაშებს,

არც მოხუცებს აწყენინებს,

ჰკუიდან შლის საცოდავებს!

ბებრებს თვალს რომ დაუყენებს,

ახალგაზრდებს გაალაღებს.

მდიდარია, თუ ღარიბი,

ჰკვიანია, თუგინდ სულელი,

მისთვის სულერთია არ დაეძებს

ულმობელად ამასხარავებს,

ბებრებს, როცა გზას აურევს

ახალგაზრდებს დააფასებს,

მდიდარია თუ ღარიბი,

ჰკვიანია თუ სულელი.

→ (2-ჯერ)

თქვენ ხომ უკვე გამოსცადეთ,  
თქვენ ხომ უკვე შეიგრძენით.  
ხომ შეგახოთ მან ხელი,  
არ შეკრთება არასოდეს,  
არ შეკრთება, არ შერცხვება არასოდეს!

დონა ელვირა: რა გავიგონე ღმერთო,  
გამეჭვა მოლაღატე,  
სამაგიეროს  
ტრფობის და გრძნობის გაღუხდის ზეცა,  
უნდა ვიძიო შური,  
ვფიცავ, ჩემს ღირსებას.  
სად გამეჭევეა,  
ვერსად წავა უღირსი,  
დაუნდობელი,  
გრძნობა მიღულს,  
გული ჰფეთქავს  
შურს ვიძიებ.

(სოფლის მიდამო, შორს მოჩანს დონ ეუანის მდიდარი ვილა, რომელსაც პაო-  
კი ერტყმის. გამოჩნდება ცერლინა და მაზეტო, რომლებსაც მოყვებიან გლეხები  
და სოფლის მუსიკოსები)

ცერლინა: სინორჩე არასდროს ჩვენ აღარ დაგვიბრუნდება.

გაჰქრა ჩქარა!  
დრო მიდის, მიჰქრის სწრაფად.  
რაც ხელთ გვიპყრია მას ნუ დავკარგავთ,  
როდესაც იფეთქებს ტრფიალის ცეცხლი  
და აღიგზნება,  
მაშინ ოცნება უკვე კმარა,  
ლა-ლა-ლა ლა-ლა-ლა  
ტრფობისთვის ბრწყინავს ცის კამარა!

გლეხები: ლა-ლა-ლა ლა-ლა-ლა  
ტრფობისთვის ბრწყინავს ცის კამარა!  
ლა-ლა-ლა ლა-ლა-ლა ლა-ლერა!

მაზეტო: (მეგობრებს) ჰაბუქნო, გავსწიოთ ლაღად  
აღსდექით, ძილი კმარა!  
არ გირჩევთ უბრალოდ დროს კარგვას!

და უმიზეზოდ დაყოვნებას,  
მოკლუა ცხოვრების მანძილი,  
ოქროს დრო ნელა ჰქრება,  
ქაბუკი ვაჟი ობლად რჩება  
და რა ეშველება.

ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა

ტრფობისთვის ბრწყინავს ცის კამარა!

**გ ლ ე ხ ე ბ ი :** ლა-ლა-ლა-, ლა-ლა-ლა  
ტრფობისთვის ბრწყინავს ცის კამარა!  
ლალალა ლერა! ლალალა ლერა!

**ც ე რ ლ ი ნ ა . მ ა ზ ე ტ ო :** ყველა მოდით, ძმებო { → (2-ჯერ)  
მოვილხინოთ.

ცეკვით, სიმღერით ლალად გავერთოთ  
ტრფობისთვის ბრწყინავს ცის კამარა.

ლა-ლა-ლა ლა-ლა-ლა

ტრფობისთვის ბრწყინავს ცის კამარა.

**გ ლ ე ხ ე ბ ი :** ლა-ლა-ლა ლა-ლა-ლა  
ტრფობისთვის ოქროს დრო დაგვიდგა.  
ლა-ლა-ლა ლერა, ლა-ლა-ლა-ლა-ლერა!

**დ ო ნ ე უ ა ნ ი :** ხედავ, კარგ დროს მოვედით (ღებორელის)  
შეჩერდი, ნახე რამდენი არიან თვალისმომჭრელნი?  
(გლეხებს აივალღერებს)

**ლ ე პ ო რ ე ლ ო :** ჩემთვის ხეირია,  
გამოვნახავ შესაფერ ასულეებს!

**დ ო ნ ე უ ა ნ ი :** (გლეხებს) მე სალამს მოგახსენებთ!  
გთხოვთ, ისევე განაგრძოთ მხიარული ზეიმი!  
მღერა და ცეკვა-თამაში,  
აღბათ, აქ ქორწილია?

**ც ე რ ლ ი ნ ა :** დედოფალი მე გახლავართ. სენიორ!

**დ ო ნ ე უ ა ნ ი :** ო, მომილოცავს!

საქმრო კი?..

**მ ა ზ ე ტ ო :** თქვენი მორჩილი.

**დ ო ნ ე უ ა ნ ი :** ო, ყოჩაღ! თქვენი მიხვრა-მოხვრით  
ნამდვილად თავადს მაგონებთ და

**ლ ე პ ო რ ე ლ ო :** და კარგი ვაჟკაცია.

ცერლინა: ჩემი მაზეტო  
როგორი მოწყალეა!

დონჟუანი: მეც ასეთი ვარ!  
ვიყოთ ჩვენ მეგობრები!  
(ცერლინას)

თქვენი სახელი?

ცერლინა: ცერლინა

დონჟუანი: (მაზეტოს) თქვენი კი?..

მაზეტო: მაზეტო,

დონჟუანი: მაზეტო, სულზე უტკებესო ძმაო, მაზეტო და  
ცერლინა

ჩემი სურვილია პატივი გცეთ.

(ლეპორელო თამაშობს გოგობთან. ერთ-ერთი შეპკივლებს)

ლეპორელო, იცოდე პატივისცემა!

ლეპორელო: მე მსურდა თქვენნაირად მოვქცეულიყავ  
შშვენიერ ქალებთან

დონჟუანი: ჩემთან წაიყვანე,

და მიიპატიე ძვირფას სასახლეში.

შე როგორც პატრონს მათ ჩაგაბარებ,

კარგად გაუმასპინძლდი,

ტკბილი, ღვინო და ხილი,

ნამცხვარი და საჭმელი,

თან სეირნობა ბნელ ბალნარში,

ყოველივე ჩემს ძვირფას სტუმრისათვის,

მაზეტოსათვის,

მიხვდი რაც ვთქვი!?

ლეპორელო: ჰო, გავიგე (ვლებებს)

წამო.

(გაუყუთებს ხელმკლავს მაზეტოს)

მაზეტო: მოიცა...

დონჟუანი: რა გინდა?

მაზეტო: აქ ცერლინას მარტოდ ვერ დავტოვებ.

ლეპორელო: შენს მაგიერ ხომ სხვა რჩება,

აბა ნახე! მას მიენდე,

ის ხომ შენ დროებით შეგცვლის.

დონ ეუანი: ლამაზ ცერლინას დამცველი ვიქნები.  
წადით, ჩვენც თქვენთან ერთად მოვდივართ.

ცერლინა: შენ ნუ შეკრთები.

იცი, ნამდვილი დამცველი გვპატიჟებს.

მაზეტო: და ეს ნიშნავს...

ცერლინა: და ეს ნიშნავს,

რომ ღროა წაბრძანდე!

მაზეტო: შენც ჩემთან ერთად!

დონ ეუანი: ჩუმაღ! იკმარეთ! რას დავობთ!

და თუკი შენ გამიბედავ

ცერლინას უნდობლობას...

მაზეტო, მიფრთხილდი, თორემ განანებ!

მაზეტო: უკვე მივხვდი, ჰო, სენიორ, ჰო, სენიორ,

და მორჩილად გცილდებით,

თუკი, გსურთ თქვენ,

დღეიდან გავქრები, დავდუმდები.

სულ: სულ, სულ, სულ,

სულ დავდუმდები.

თქვენ გრანდი ხართ ბრწყინვალე,

როგორც გსურთ მოიხმარეთ,

საცოლით გაიხარეთ,

და მეც თან გამახარეთ,

დიდად გამაბედნიერეთ.

(ცერლინას ჩუმაღ)

დამაცადე შე ცბიერო,

მომატყუე, შემაცდინე,

მოლაღატე: უსინდისო!

(ლეპორელოს) ჰო, მოვდივარ!

(ცერლინას) დამაცადე, გსურს სასახლეში შეძრომა,

ოცნებობ თავადად ვახდომას,

დედოფლად იქეც, ქალბატონი ბრძანდები,

დამაცადე უსინდისო, მომატყუე, გამაწბილე,

მოლაღატე! გამექეცი?!

მეორდება  
ცერლინის  
სიტყვები

დონ ეუანი: ამ საცოდავ ხეპრეს ხომ ორივე მოვცილდით,

ახლა მარტო ვართ!  
(კოცნის ცერლინა!)  
რისთვის არ შემაქებთ,  
ხომ მოვახერხებთ?!

ცერლინა: სენიორ, ის ხომ საქმროა?

დონ ქუანი: ის? საქმრო?

წესიერი კაცი,  
კეთილშობილი, არ დაგთმობს!  
ეს სახე ლამაზი,  
წითელი ლოყები, და ღიმილი ბაგეზე.  
როგორ დავთმო მისთვის,  
მოუქნელ დათვისთვის!

ცერლინა: ჩემო სენიორ. მაზეტოს ხომ შეეფიცე  
ერთგულება-

დონ ქუანი: ეს კი მტკნარი სისულელეა.

შენ ხომ მისთვის არ გაჩნდი,  
რომ იყო გლეხის ქალი,  
სხვა ბედისწერა მოელის მაგ მაცდური თვალების  
ცეცხლს

მზიბლავს ხელი და ფეხი,  
უტკბესი ბაგის სიტურფე და ეშხი.  
და მსურს, რომ სილამაზე  
იქცეს ვარდებად.

ცერლინა: ო, მრცხვენია!

დონ ქუანი: რამ შეგაშინათ?

ცერლინა: მე ვშიშობ, რომ ამიხვევთ თვალებს.

ცნობილია. გაურბიხართ ჩვენს წრეს,  
ზვიადო მეუფევე, მე გთხოვთ  
სწორად გამიგოთ.

დონ ქუანი: ვინ მოიგონა, ბილწი ცილისწამება,  
გამისწორეთ თვალები!

არა ვარ პატიოსანი?  
დაე ნუ ვკარგავთ წამებს,  
დრო მოახლოვდა,  
დრო ქორწინებისა!

ცერლინა: თქვენ?



დონ უუანი: ცხადი არის (უჩვენებს თავის კოშკს)  
მე იქ მაქვს მყუდრო ბინა  
ვიქნებით მარტო  
ბედნიერად, სიამით დავექორწინდებით.  
(უთითებს თავის კოშკზე)  
გამომიწოდე ხელი.  
ჩემთან კოშკში გელი,  
იქ ჩვენ ვიცხოვრებთ ტკბილად,  
ყველასგან ფარულად!

ცერლინა: თვალს ვერ გისწორებ ვერა,  
ველარ შეეძელ მზერა,  
სინიორ, სად გაგექცე?  
როდესაც თქვენი მჯერა?!  
მიხმობს ბედისწერა,

დონ უუანი: მომენდე ძვირფასო, ნუ კრთები!

ცერლინა: მაზეტოს ცოდვა მტანჯავს!

დონ უუანი: მოგელის ბრწყინვალეობა.

ცერლინა: რა ვქნა ღმერთო, მართლაც არ ვიცი. რა ვქნა  
არ ვიცი,

დონ უუანი: კმარა, ტურფავ!

გამომიწოდე ხელი.

ცერლინა: არა, ამაოდ მელი!

დონ უუანი: ჩემთან სახლში გელი,

ცერლინა: სიტყვაც კი არ მითქვამს

დონ უუანი: იქ განემარტოვდებით

ცერლინა: ჯობს თუ გაგექცევი და

დონ უუანი: შენ, ჩემთვის ძვირფასი ხარ!

ცერლინა: მაზეტოს დარდი მტანჯავს!

დონ უუანი: მოგელის ბრწყინვალეობა.

ცერლინა: როგორ ჯობია ღმერთო!

არ ვიცი არა, არ ვიცი რა ვქნა!

დონ უუანი: წამო, გელი!

ცერლინა: (ყოყმანის შემდეგ) წამოდით!

ცერლინა და დონ უუანი: აბა, წავიდეთ ჩქარა  
ნუ ვცხარობთ. ნუ ვკამათობთ.  
გველის ტრფიალება!

(ცერლინა და დონ ეუანი გადახვეულნი მიეშურებიან სასახლისაკენ. გა-  
მოჩნდება დონა ელვირა და ულობავს გზას)

დონა ელვირა: სდექ! ვერ წამიხვალ ფლიდო.  
ხედავ, ბედმა შეგვეყარა ხელმეორედ,  
დრო კიდევ მაქვს მე,  
მსხვერპლის ვერაგ კლანჭებიდან დახსნისა,  
ბილწ ტრფობისაგან შველის!

ცერლინა: ო. ღმერთო! ეს რა მესმის!

დონ ეუანი: (საიხსოვის) უფრო თაძამად!  
(ელვირას წყნარად უჩურჩულებს)  
ანგელოზო, რისთვისღა მრისხანებთ. --  
მე ხომ ვხუმრობ!

დონა ელვირა: ხუმრობაა. მაშ ასე. ხომ მეხუმრე?  
მე ხომ ვიცი საძაგელო შენ რაც ხარ

ცერლინა: ო, სენიორ, ნუთუ მან თქვენ სიმართლე  
მოგახსენათ?

დონ ეუანი: (ცერლინას ჩუმათ) საწყალი ქალი. მას ხომ  
უყუყუარვარ მთელის გრძნობით,  
გულჩვილად თანაუფგრძნე ტრფიალებას  
სად არის სამართალი?!

დონა ელვირა: გასწი, გასწი, ჩქარა!  
ყურს ნუ უგდებ ცბიერს.  
დაგწვავს და ჩაგფერფლავს  
მიხი სიტყვის ძალა,  
ამ ვერაგ არსებას კი,  
სიამეს მოგვრის ცრემლი და მწუხარება.  
იგია მიზეზი!  
ო, ჩქარა, გასწი, გასწი,  
წადი ჩქარა,  
არ დაუგდო ყური,  
ცეცხლი მისი სიტყვების ჩაგფერფლავს და ჩაგკლავს.  
ცეცხლი მისი სიტყვის უმაღ ჩაგფერფლავს და  
დაგწვავს!

(მიდის და მიჰყავს ცერლინა)

დონ ეუანი: თითქოს თან მისდევს,

დემონი დამცინის და  
რასაც გავიფიქრებ ყველგან ხელს მიშლის,  
ვერსად ვერაფერს გავხედი!

(გამოდის ძაძით შემოსილი დონა ანა და დონ ოტავიო, დონ ჟუანს სურს  
თავი აარიდოს, დონ ოტავიო მას შეაჩერებს)

დონ ოტავიო: დრო არის ძვირფასო  
სევდას დავეხსნათ  
და ვიფიქროთ ბრძოლაზე.  
ო, დონ ჟუან!

დონ ჟუანი: (თავისთვის) მხოლოდ ესენი მაკლდნენ!  
დონა ანა: სწორედ, რომ თქვენი ხილვის დრო არის,  
თქვენ ხართ მამაცი,  
და გულით, კეთილშობილი გმირი.

დონ ჟუანი: ნუთუ იმ დემონმა ამათავ  
ჩასჩურჩულა  
(დონა ანას) რას მიბრძანებთ, ვისმენტ!

დონა ანა: გესურს დაგვეხმაროთ,  
სენიორ, ჩვენ იმედი გვაქვს

დონ ჟუანი: (თავისთვის) ღმერთო, მომეშვა გულზე.  
მხოლოდ ბრძანეთ,  
მეგობრისგან,  
ახლობლისგან,  
სინდისით,  
მკრელი დაშნით,  
სიცოცხლით,  
მარად, მზადა ვარ გემსახუროთ!  
დონა! მწუხარებაა თვალეზში?  
ვინ გაკადნიერდა  
და ვინ შეურაცხგყოთ თქვენ?  
მიბრძანეთ, ვინ შელახა ეგ ღირსება?  
(შემორბის დონა ელვირა)

დონა ელვირა: (დონ ჟუანს) შენ კიდევ აქა ხარ?  
ფლიდო, საძაგელო!

კ ვ ა რ ტ ე ტ ი

(დონა ანას) მას ნუ ენდობი საწყალო,

გასწი! ცეცხლს გაეჭეც!  
იკოდეთ რომ მოგატყუებთ.  
ჩქარა! მოგატყუებთ!

დონა ანა და დონ ოტავიო: ცაო, რა სილამაზეა,  
რა დიდებულაა,  
თვალეზი რა მწუხარეა,  
არ უცინის სახე,  
და სევდა გადაჰკრავს.  
შეიშალა საწყალი,  
შეხედეთ, დააკვირდით,  
წაბრძანდით, ნუ მოიცდით, } (2-ჯერ)  
მასთან მე დავრჩები

დონა ელვირა: ნუ ენდობით მატყუარას!

დონ ქუანი: ყურს ნუ უგდებთ, წაბრძანდით!

დონა ელვირა: არა, ნუ მომცილდებით!

დონა ანა, დონ ოტავიო: არ ვიცი ვის ვენდობთ,  
რომელს დავუჭეროთ? } (2-ჯერ)  
ვინ ვიწამოთ?

დონა ელვირა: ყურს ნუ უგდებთ,  
უთუოდ მოგატყუებთ!

დონა ანა, დონ ოტავიო: ღმერთო, რა საშინლად  
იტანჯება!

დონა ელვირა: რისხვა, სირცხვილი არ მასვენებენ!

დონა ანა, დონ ოტავიო, დონ ქუანი:

გულში გროვდება ნაღველი მწარე,  
მსურს დავეხმარო და მივეშველო!

დონა ელვირა: გულში გროვდება ნაღველი მწარე,  
მწუხარებას რა განაქარვებს  
და რა დამიმშვიდებს ამ გულის წუხილს?

დონა ანა, დონ ოტავიო: მსურს დავეხმარო და  
მივეშველო საცოდავს,  
ვერ გამიგია რატომ ვწუხვარ?

დონ ოტავიო (დონა ანას): სანამდე ყოველივეს არ  
გავიგებ, არსად წავალ.

დონა ანა (დონ ოტავიოს): მეექვსეა და ვფიქრობ, რომ  
გიჟს არ ჰგავს საცოდავი!

დონ ქუანი (თავისთვის): უნდა გავძლო, გაქცევით  
 მხოლოდ თავს გამოვამქლავნებ.

დონა ელვირა: ეს მზერა ნაცნობი არის,  
 იგი შიშსა მგვრის, მაკრთობს!

დონ ოტავიო (დონ ჟუანს): ქალბატონი...

დონ ქუანი: ავადმყოფია!

დონა ანა (დონა ელვირას): ეს ვინ არის?

დონა ელვირა: მოღალატეა!

დონ ქუანი: საცოდავი!

დონა ელვირა: შე ვერაგო, მატყუარა, მატყუარა!

დონა ანა, დონ ოტავიო: რას გადავეკიდეთ?

(ჩუმად ერთმანეთს)

დონ ქუანი (დონა ელვირას):  
 ჩუმად, ჩუმად, ფრთხილად იყავ,  
 თორემ ხალხი შეიყრება.  
 დაივიწყეთ, თუ შესძელით,  
 ყოველი(ვე) მოგვერიდება!

დონა ელვირა: შენ ნუ გაქვს იმედი ფლიდო!  
 განვედ ჩემგან ბოროტებავ!  
 ბნელ საქმეებს უნდა თხრობა  
 ყოველივეს ვამხილებ,  
 ყველას შენზე მოვუთხრობ!

დონ ქუანი: ჩუმად, ჩუმად, ფრთხილად იყავ,  
 თორემ ხალხი აღელდება,  
 დაივიწყეთ, თუ შესძელით,  
 ყოველი(ვე) მოგვერიდება!

დონა ელვირა: განვედ ჩემგან ცბიერებავ, } (2-ჯერ)  
 ბნელ საქმეებს უნდა თხრობა,  
 ყოველივეს ვამხილებ,  
 არ მაქვს ნდობა, ბოროტებავ!  
 ვერსად წახვალ, აღარ გენდობი  
 ბოროტო!  
 სიცრუისთვის, წამებისთვის —  
 პასუხს აგებ.

დონა ანა, დონ ოტავიო: რა სიმტკიცით უსაბუთებ?,  
როგორ ეცვლება სახე,  
უნებლიედ ცხადი ხდება  
ფარული ბოროტება! (დონა ელვირა მიღის)

დონ ეჟანი: საცოდავი, საწყალი.  
მას უნდა მივსდით კვალდაკვალ,  
იქნებ გაუჭირდეს, ვუშველი და მაპატიეთ,  
მე თქვენ უნდა დაგტოვოთ;  
თუ საჭირო ვიქნები  
ჩემთან დაგელოდებით,  
მზად ვარ რომ გიშველოთ (მიღის)  
რეჩიტატივი და არია.

დონა ანა: დონ ოტავიო, მან მოკლა!

დონ ოტავიო: რამ შეგაკრთოთ?!

დონა ანა: გემუდარებით, მიშველეთ!

დონ ოტავიო: რა დაგემართა ძვირფასო?

დონა ანა: ო, ღმერთო,  
ო, ღმერთო!  
ის მამის მკვლელია,  
მამის მკვლელია!

დონ ოტავიო: რა მესმის?!

დონა ანა: არც კი მეეჭვება,  
ეს მეტყველება,  
ხმა მისი უმაღვე შვეიცანი და  
ის არის ის,  
იგივე არსება,  
შემოძვრა ღამით,  
ქურდსავით...

დონ ოტავიო: ნუთუ?  
როგორ კეთილმოქმედად ცდილობდა თავის ჩვენებას!  
გთხოვთ, მიაბოთ დაწვრილებით,  
ოდნავადაც ნუ ღელავთ.

დონა ანა: ღამის წყვილიაღში,  
ბალის სარკმელიდან  
გადმოძვრა აჩრდილი,

ამ დროს მე ჩემთვის მარტო ვიყავი სასახლეში,  
გამომეცხადა ნიღბით, მოსასხამში.  
იმ მაცდურს თანავუგრძნე,  
მეგონა თქვენ იყავით.

დონოტავიო: მსწრაფლ დავრწმუნდი საბედისწერო  
შეცდომაში!

ცაო! განაგრძე,  
დონაანა: ჩუმად მიახლოვდება,  
თან ცდილობს ჩემთან ამბორს,  
მსწრაფლ გავეჩქეცი,  
ის კი მოიწევს!  
მე ვყვირი  
და ამოოდ,  
ცალ ხელს კი,  
პირზე მათარებს,  
რაც ძალა შესწევდა,  
ცალითაც წელზე მხევეს ულმობელ ძალით,  
თანდათან ვკარგავ გრძნობას,

დონოტავიო: რა მესმის, შემდეგ?

დონაანა: მხოლოდ რისხვა და შიში  
უხეშ' ძალდატანების,  
რომელმაც შელახეს პატივი,  
მაიძულებდა ბრძოლას და  
გავუსხლტი,  
სწრაფად გარეთ  
გამოვაძევე!

დონოტავიო: ღმერთო, განაგრძე!

დონაანა: მაშინ შევძახე უფრო ძლიერად.  
მსახურთ მოვეუხმე,  
მტერი გარბის,  
მე დავედევნე, მსურდა დაჭერა,  
ის ჩქარა გარბოდა,  
მე მივსდევ, თავს ვიცავ,  
თან არსად აღარ ვუშვებ  
და მამა გამორბის დასახმარებლად.  
ბოროტი კი, მოხუცსაც არ ინდობს,

ბრძოლაში ებმება,  
თაეხედობას სიკვდილით, თაეხედობას სიკვდილით  
აგვირგვინებს ის.

არია:

ახლა კი დავრწმუნდი  
ვინ არის მკვლელი,  
დამარცხდა უღირსად  
მამაჩემი, მამა საყვარელი,  
ხმა ლაღადებისა  
არ სცხრება გულში.  
აღელდა გრძნობა,  
მამის გული არ სცემს,  
არ ჰფეთქს სიყვარულით,  
სისხლი დაიდვარა  
და უდანაშაულო სისხლით  
პატივი შეიბღალა.  
შურს ვიძიებთ,  
აღვიდგენთ პატივს!  
ახლა კი დავრწმუნდი  
ვინ არის ის მკვლელი,  
დამარცხდა უღირსად  
მამაჩემი, მამა საყვარელი,  
ხმა ლაღადებისა არ სცხრება გულში,  
მამის გული კი, არ ჰფეთქავს,  
არ სცემს კვლავ მშობლიურ სითბოთი  
და ხმა ლაღადების არ სცხრება გულში,  
აღელდა გრძნობა! (მეორდება მრავალჯერ)

რეჩიტატივი

დონ ოტავიო: რა ძნელი სარწმუნოა,  
რომ ამ საქმის ჩამდენი  
გრანდია დიდებული,  
უთუოდ ხელთ ვიგდებ და  
არ დავიშურებ თავსაც,  
მე მოვალე ვარ ღირსებისთვის,  
მეგობრისთვის, ჩემი ტრფიალებისთვის  
უმალვე ვიძიო შური,  
დრო არ ითმენს.



არია:

მე შენს სულიერ სიმშვიდეს ვიცავ,  
ძვირფასის სიხარულს ვიზიარებ,  
როდესაც სწუხარ  
სევდა მიპყრობს.  
სწუხარ, სევდა მიპყრობს.  
თუ თქვენ აფრქვევთ ცრემლებს,  
მეც შენთან ვტირი, (2-ჯერ)  
ფიქრებს, ოცნებებს ვიზიარებ,  
შურის გადუხდელად არ მაქვს შვება,  
არ მსურს უშენოდ არსებობა,  
ვიძიოთ შური,

(სიმღერა მეორდება თავიდან),  
(დონ ოტაიო და დონა ანა გალიან)  
(გამოდის ლეპორელო)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: არა, ეს ზედმეტია,  
რა გაუძლებს ამის გიჟურ საქციელს?  
აი, ისიც, შეხედეთ!  
როგორ სულყოველთვის მზიარულია!

(შემოდის დონ ქუანი)

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: ძვირფასო ლეპორელო,  
საქმე მშვენიერად...

ლ ე პ ო რ ე ლ ო: არა, ძვირფასო დონ ქუან!  
ძალიან ცუდად!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: სად ხედავ ძალიან ცუდს?..

ლ ე პ ო რ ე ლ ო: იქ, თქვენ სახლში,  
როგორც თქვენ მიბრძანეთ  
წავიყვანე გლეხები!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: — ყოჩაღ!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: სხვადასხვა ოხუნჯობით,  
სიცრუით და ყბედობით,  
ყველაფერი თქვენგან შევისწავლე,  
ვეცადე მათ გართობას.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: ყოჩაღ!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ყველაზე უფრო მსურდა მაზეტოს  
დაცხრომა

და მისი მშფოთვარე ექვის ჩაქრობა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ყოჩაღ! ყოჩაღ! ძლიერ მომწონს!!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ვუმასპინძლდებოდი,

სვამდნენ კაცნი და ქალნი,

წამოიწყეს სიმღერა,

ვინ მღერის, ვინ თამაშობს,

ვინ სუფრას მიუჯდა,

მოულოდნელად იცით ვინ გამოგვეცხადა?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ცერლინა,

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ყოჩაღ, კიდევ იქ ვინ იყო?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: დონა ელვირა!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ყოჩაღ! მეტი რა გეთქმის

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ის მე მაძაგებს, როგორც შეუძლია.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ყოჩაღ, ყოჩაღ, რა კარგია!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: იდექი და ისმენდი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ჩუმად!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: დონა კი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: თქვენ გლანძღავდათ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: შენ კი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ველოდი ქალბატონს ბოლომდე ეყვირა,

შემდეგ ჩუმად ბალიდან გავაპარე

და კარები მოხერხებულად მივკეტე,

თვით გავიქეცი,

ის მარტო, კარებს იქით დავტოვე.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ყოჩაღ! ყოჩაღ!

უკეთესი არც მინდა.

შენ დაიწყე —

მე გავათავებ.

მათ შორის რამდენი ლამაზი ქალებია!

და მათ მთელ საღამოს მშვენიერად გავართობ,

გულს არ დავუწყვიტავ!

არია:

დულს ვნებით სისხლი,

სატრფოზე ფიქრით,

გაშალეთ სუფრა,  
ჩქარა ღვინო!  
ყველას შეხვდებით,  
უმალ შევეამჩნევ,  
აქეთ მომგვარეთ  
მწყობრში მდგომნი,  
აქეთ მომგვარეთ  
რიგში ჩამდგარი,  
აქ ვინც მობრძანდა  
ნუ მოაწყენთ,  
ისმოდეს სიმღერა  
ცეკვა-თამაში.  
ძვირფას(ი) სტუმრებს  
ეციტ პატივი,  
ძვირფას(ი) სტუმრებს  
გაუმასპინძლდით!  
ძვირფას სტუმრებს  
ეციტ პატივი, ძვირფას სტუმრებს — მხიარულება!  
ძვირფას სტუმრებს....  
გვერდზე გავდგები,  
ვერვინ შემამჩნევს,  
და თავს შევიქცევ!  
აქეთ და იქით  
ქალებს გავართობ,  
იცოდეთ მხოლოდ:  
ათობით შენ ჩამოწერე,  
ხვალ მოგახსენებ  
სიისათვის,  
მხოლოდ ათობით  
ჩამომიწერე,  
ჩემს სიაში ახალს თუ ნახავ  
ზუსტად ასახავ,  
ყველა მომგვარე  
თითო ცალობით.

ათზე მრავალი  
 შენ ჩამოწერე  
 ხვალ მოგახსენებ  
 სიისათვის.

დაე, ილხენდეს ეს ასულები,  
 ყველას შევარჩევთ  
 არ ვაწყენინებთ,  
 ეცით პატივი, ძვირფას სტუმრებსა და  
 მხოლოდ ათობით }  
 შენ ჩამოწერე, } (მრავალჯერ)  
 ხვალ მოგახსენებ }  
 სიისათვის!

(ღონ ეუანის ვილის წინ ბალი ორი კვირით, რომელიც დაკეტილია. მაზეტო და ცერლინა, გლეხების გუნდი, ზოგს ძინავს, ზოგიც ერთობა)

ცერლინა: მაზეტო მომხედე,  
 მაზეტო მისმენ?

მაზეტო: ო, მომცილდი!

ცერლინა: სთქვი — რისთვის?

მაზეტო: საკითხავია?

არ გეყო,

რაც დღეს გადამატანინე?

ურწმუნო მოღალატე!

ცერლინა: მე უცვლელი ვარ,..

ჰო, და საყვედურის ღირსი არა ვარ, იცი!?

მაზეტო: კიდევ თავს იმართლებ, უთუოდ ინანებ!

უცხოსთან დარჩი მარტო

და ქორწინების შემდეგ მსწრაფლ გამისხლტი,

ჩემს წმინდა სიყვარულზე, გრძნობებზე

უხეზად იცინოდი,

აღარ მსურდა რომ ჩხუბი ამეტეხა, თორემ

მე შენ...

ცერლინა: რა ჩემი ბრალია,

როცა მოტყუებით ხელში ჩამიგდო?

ნუ გეშინია,

დამშვიდდი ჩემო კარგო,

მას თითიც არ დაუქარებია და  
 ნუთუ არ გჭერავს?  
 უხეშო!  
 რა ვქნა?  
 დამარტყი!  
 სულ დამგლიჯე!!  
 და როგორც გსურდეს ისე მომეპყარ!  
 მხოლოდ ამის შემდეგ  
 ხომ მაპატიებ?

არია:

მე გთხოვ დამსაჯო მაზეტო!  
 რაც შეგიძლია დამარტყი,  
 ნამდვილ შევძლებ ავიტანო,  
 არ აღმომხდება ხმაც კი.  
 გთხოვ დამარტყა,  
 მოთმინებით შენ წინაშე  
 ერთხელაც არ დავიკვნენებ, ვლუმვარ.  
 გამონახე სატანჯველი,  
 ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა,  
 მაზეტო, მაგ შენს ტუჩზე მაკოცინე,  
 მაკოცინე,  
 მხოლოდ ერთხელ მაკოცინე, მაკოცინე.  
 მე გთხოვ დამსაჯო მაზეტო,  
 რაც შეგიძლია დამარტყი!  
 ნამდვილ შევძლებ ავიტანო,  
 გსურს, მორჩილად წარვსდგები?!  
 ჩემო მაზეტო!  
 გთხოვ დამსაჯო,  
 შენთან ვარ, მორჩილად წარმომდგარი,  
 შენი ვარ.

ხომ მომიტყევე?

ხომ გიყვარვარ, 'აპატიე? } (2-ჯერ)  
 ამოიდგი მხოლოდ ენა, }  
 სიყვარული მოფრინდება, } (3-ჯერ)  
 დღეს და ღამეს დაატკბობს. }

ამოიდგი მხოლოდ ენა,  
სიყვარული მოფრინდება,  
დღეს და ღამეს დაატკობს!

(2-ჯერ)  
(მრავალჯერ)

რეჩიტატივი

მ ა ზ ე ტ ო: კიდევ შეძლო ამ ფლიდმა  
ჩემი გულის მოღობა,  
ჯობია ქალებთან არ იკამათო!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: (სენის სიღრმიდან)  
ყველაფერი მზად არის ზემისათვის?

ც ე რ ლ ი ნ ა: ო, მაზეტო, მაზეტო  
არ გაიგონე?  
ეს ხომ მისი ხმა იყო.

მ ა ზ ე ტ ო: მერე რაა?

ც ე რ ლ ი ნ ა: მოვა!

მ ა ზ ე ტ ო: მოვა? მოვიდეს.

ც ე რ ლ ი ნ ა: ო, მომეშველე, საით დავიმალო!

მ ა ზ ე ტ ო: რამ შეგაშინა?  
სახეზე რამ გაგაფითრა?  
ა! გავიგე:  
შენ ფრთხილობ, რომ ის იტყვის  
როგორ იქცეოდი  
და მე რაგვარად  
მასულელუბდით, მივხვდი!

ფ ი ნ ა ლ ი

მ ა ზ ე ტ ო: დამაცადე  
ო, შე ფლიდო,  
აქ ჩუმად ავალ, ვერ მნახავ  
ტალავრიდან, უჩინარად  
ყველაფერს დავინახავ

ც ე რ ლ ი ნ ა: გამიგონე,  
სად მიძვრები!  
ნუთუ იმალები მაზეტო?  
დაგვინახავს და ამისთვის  
ამოიყრის ჩვენს ჯავრს

მ ა ზ ე ტ ო: რაც ისურვოს, — გაგიკეთოს!

} (2-ჯერ)

ცერლინა: გაგონებაც არ ისურვა  
 მაზეტო: აქ მოუცადე, ნუ მიხვალ  
 ცერლინა: სისულელეა, ხომ იცი } (2-ჯერ)  
 (თავისთვის)  
 ჩვენ ორივეს დაგვეჯის მწარედ  
 ახლა კი, მეშინია } (ერთად)  
 ჩვენ ორივეს დაგვეჯის მწარედ } (2-ჯერ)  
 მე ძლიერ მეშინია.

მაზეტო: თუკი მე ცერლინა მეტრფის  
 ამაში დაერწმუნდები, ვიხილავ } (2-ჯერ) (ერთად)  
 თუ როგორ გეტრფის,  
 როგორ უყვარხარ.

(ლემპორელის შემოკრახვას ახალგაზრდა გლეხები, მათ ხვდება მდიდრულად გამოწყობილი დონ ეუანი, მსახურების თანხლებით)

დონ ეუანი: მობრძანდით დღესასწაულზე,  
 მოილხინეთ და გაერთეთ,  
 იმღერეთ, ლალად იცეკვეთ,  
 მიირთვიეთ, ინებიერეთ!  
 (მსახურებს) ფართოდ გააღეთ კარები,  
 საცეკვაოდ მოუწოდეთ,  
 მიირთვიეთ რაც მოგეწონათ,  
 რაც გულს გაუხარდება } (2-ჯერ)

მსახურთა გუნდი (გლეხებს):  
 მოილხინეთ და გაერთვეთ, } (2-ჯერ)  
 მღერით, ლხინით და სიამით }  
 გულში ცეცხლია დანთებული.  
 დაე, ყველგან ილხენდნენ!

(ლემპორელო და მსახურები სტუმრებს შინ ეპატივებთან, ცერლინას ტალავარში დამალვა სურს)

ცერლინა: ჩქარა, აქ დავიმალეები,  
 უთუოდ ვერ დამინახავს!  
 დონ ეუანი (ამჩნევს და შეაჩერებს):  
 იმალეები? არ გიშველის.  
 შეგამჩნიე, ვერ წახვალ.

ცერლინა: გთხოვთ გამიშვათ, ნუ მაკავენთ  
 დონ ქუანი: მოითმინეთ და ნუ ჩქარობთ  
 ცერლინა: გთხოვთ გამიშვათ, გვედღრებით.  
 დონ ქუანი: მე თვითონ სათხოვარი მინდა,  
 რომ მოგახსენოთ,  
 ჩქარა წამოდით, რას ელით,  
 გთხოვთ!

ცერლინა: ქმარმა კვლავ რომ შემამჩნიოს, ღმერთიც კი, ვერ მიშველის, არ დამინდობს, გამაწბილებს უთუოდ, არ დამინდობს, გამაწბილებს უთუოდ.	} (ერთად)
დონ ქუანი: გთხოვთ მომყევით ტალავარში, გულის დარღს მოგიყვებით	

(დონ ქუანი შეიყვანს ტალავარში და დაიყოლებს, ეამბორება. მაზეტო თავზე წამოადგება, დონ ქუანი გაკვირვებულია)

დონ ქუანი: მაზეტო?  
 მაზეტო: ჰო, მაზეტო!  
 დონ ქუანი: შენ აქ რას აკეთებ?  
 აი, შენი ცერლინა!  
 მან მე მთხოვა, რომ შენი  
 გზა მეჩვენებინა.  
 სწრაფად, მალე, მოისურვა  
 მაზეტო (დაცინვით): ჩემი ნახვა?  
 გავიგე!

დონ ქუანი: ღმერთო, რა გამახარე,  
 მსიამოვნებს  
 თქვენი სტუმრად მიწვევა.  
 გამაბედნიერეთ!

ცერლინა: რაღას ელით, შევრიგდეთ!

ცერლინა და მაზეტო: რაღას ვუცდით, შევრიგდეთ. და ტკბილად მოვილზინოთ, ჩვენთვის საკმაოა, ჩვენ სამისათვის დრო სალზინოა. ლზინისთვის დრო დაგვიდგა!	} (ერთად)



(ღონ ქუანი, ცერლინა და მაზეტო ვილაში შედიან, გამოჩნდებიან ღონა ანა,  
ღონ ოტავიო და ღონა ელვირა ნიღბებით)

ღონა ელვირა: საჭიროა სიმტკიცე,  
და სწრაფი მოქმედება,  
საჭიროა ვერაგის სწრაფად ხელთ გდება და დასჯა.  
ღონ ოტავიო: საკუთარ თავის არ მსურს შებრალება,  
შევიპყრათ იგი, რათა ბოროტმა ვერ შეძლოს გაქცევა.  
(ღონა ანას) ანგელოზო ძვირფასო,  
ნულარ შიშობ ჩვენზე!  
ღონა ანა: უნებლიედ ვკრთები და,  
სიმშვიდეს მიფრთხობს მტერი.  
მე ბედი მაწუხებს ჩვენი,  
უცნობი არის, არ ვიცი რა გველის.  
მივენდოთ, გზას ბედისწერის,  
არ ვიცი ბედი სად მიჰქრის, რა გველის.

(ლეპორელო და ღონ ქუანი გამოჩნდებიან სახლის სარკმელთან, გაღებულ  
ფანჯრიდან მოისმის მენუეტის ხმები. ორკესტრის ძირითადი  
შემადგენლობა გაჩერებულია)

ლეპორელო: სენიორ, სენიორ, შეხედეთ!  
ნიღბებით აქ მობრძანდნენ!  
ღონ ქუანი: მათი შეცნობისათვის  
სახლში მოვიწვიოთ.  
ღონა ელვირა, ღონა ანა, ღონ ოტავიო:  
ხმით და მეტყველებითაც  
ბოროტება დადადებს!  
ლეპორელო: ნიღბებო, მე თქვენ გიხმობთ,  
გელით!  
ღონა ელვირა და ღონა ანა (ღონ ოტავიოს):  
გთხოვთ, უპასუხეთ!  
ლეპორელო: სენიორ! გაგვაბედნიერეთ!  
ღონ ოტავიო: ბრძანეთ რა გნებავეთ?  
ლეპორელო: ნება დამრთეს მოწვევის (უთითებს)  
ჩვენს დღესასწაულზე!  
ღონ ოტავიო: დიდად მადლობელი ვართ.  
ადგილი თუ იქნება?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ამ ქალების შეტანა  
სიაში ცხადია.

დ ო ნ ა ა ნ ა, დ ო ნ ო ტ ა ვ ი ო:  
ღმერთო ნუ მისცემ ვერაგს  
თავის დახსნის საშველს.  
ღმერთო ნუ მისცემ,..  
მისმინე:

(ერთად)

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ჩემი სირცხვილისათვის  
მიუგე ღმერთო,  
ბოროტი დასაჯე!

(რამდენიმეჯერ)

(სამივენი შედიან სასახლეში)

(ბრწყინვალე დარბაზი დონ ქუანის სასახლისა, მუსიკოსების ესტრადა.  
სიღრმეში არკა და ტერასები, საიდანაც მოჩანს ბალი, იქ არიან დონ ქუანი,  
მაზეტო, ცერლინა, ლეპორელო, გლეხები. ცეკვა ახალი დამთავრებულია)

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (გლეხის ქალებს):

ხომ არ ისურვებდით, ცოტა შევსვათ?

ლ ე პ ო რ ე ლ ო (გლეხის კაცებს):

ხომ არ ისურვებდით ცოტა მიგერთვათ?

დ ო ნ ქ უ ა ნ ი და ლ ე პ ო რ ე ლ ო: ცოტათი

მოვმაგრდებით ლხინისთვის,

ისევ ვიცეკვოთ, ვილხინოთ!

დრო გავატაროთ მარად (დააქვთ საქმელები და სასმელები).

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (მსახურებს): ეი, კოფე!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: შოკოლადი!

მ ა ზ ე ტ ო (ჩუმად ცერლინას): ფრთხილად იყავ ცერლინა!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: შარბათი!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ნამცხვარი!

მ ა ზ ე ტ ო: ფრთხილად იყავ ცერლინა!

ც ე რ ლ ი ნ ა და მ ა ზ ე ტ ო: (თავთავისთვის)

იწყება ზეიმი სიხარულით

და ნუ დამთავრდება ის ცრემლებით!

(2-ჯერ)

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: რა კარგი ბრძანდებით დღეს ცერლინა.

ც ე რ ლ ი ნ ა: ო, სენიორ.

მ ა ზ ე ტ ო: (ნერვიულობს) აბა, თავი ანებე!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: (პბაძავს ღონ ქუანს და სხვა ქალებს ეამბორობა)  
რა კარგი ხარ ჯიანოტა, სანდრინა!

მ ა ზ ე ტ ო: მიფრთხილდი, ხელები მექავება!

ც ე რ ლ ი ნ ა: მაზეტო ჩხუბისთვის ემზადება,  
კარგია, თუ შინ წაბრძანდება.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი და ლ ე პ ო რ ე ლ ო: (თავთავისთვის)  
მაზეტო ჩხუბისთვის ემზადება.

მ ა ზ ე ტ ო: აბა, შეწყდეს დაციწვა!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი და ლ ე პ ო რ ე ლ ო (თავთავისთვის):  
ამით საქმე დაილუპება!

ც ე რ ლ ი ნ ა: კარგია თუ გაბრძანდება.

მ ა ზ ე ტ ო: კმარა! ხელები მექავება.

ც ე რ ლ ი ნ ა (თავისთვის): მაზეტო ჩხუბისთვის ემზადება  
კარგია თუ გაბრძანდება.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი და ლ ე პ ო რ ე ლ ო (თავისთვის):  
მაზეტო ჩხუბისთვის ემზადება } (ერთად)  
ამით საქმე დაილუპება.

მ ა ზ ე ტ ო: ვის სჭირდება ცბიერება,  
ამ თამაშის მოგონება?

(ნიღბებით შემოდინან ღონ ოტაეო, დონა ანა და დონა ელვირა)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მოდით, მოდით, თამამად მობრძანდით!  
გთხოვთ, თამამად!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (შეხედება შემოსულებს):  
მზიარულებას ვაშა,  
სიცოცხლე სუფევს.

დ ო ნ ა ა ნ ა, დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა, დ ო ნ ო ტ ა ვ ი ო:  
ნება გვიბოძეთ, რომ მადლობა მოგახსენოთ, } (ერთად)  
ჩვენი მოწვევისთვის,  
თქვენ ემზადებით გულთბილი მიღებისათვის!

დ ო ნ ქ უ ა ნ ი: შევეუერთდეთ ამ ბრბოს მზიარულს და  
ვისაც სურს ლაღად ცხოვრება — ვიცხოვროთ ლაღად.  
ო თ ხ ი ვ ე რ თ ა დ: ვიცხოვრებთ სილაღით, უღარდელად.

დ ო ნ ქ უ ა ნ ი (მუსიკოსებს): დაუკარ მენუეტი,  
ჩქარა ორ-ორნი დავდგეთ!

მე თვითონ ამ ცეკვაზე

ცერლინას მოვიწყვევ (ცეკვავს ცერლინასთან ერთად).

ლ ე პ ო რ ე ლ ო: იცეკვეთ, მოილხინეთ.

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა (დონა ანას): კიდევ ის გლეხის ქალი!?

დ ო ნ ა ა ნ ა: ცუდად ვარ!

დ ო ნ ო ტ ა ვ ი ო: გაუძელით!

დ ო ნ ე უ ა ნ ი და ლ ე პ ო რ ე ლ ო (ერთმანეთს): საქმე კარ-  
გად მიდის!

მ ა ზ ე ტ ო (გაიგონა ეს გადაძახილი და ირონიით):

მშვენიერად, მშვენიერად,

კარგად მიდის საქმე!

დ ო ნ ე უ ა ნ ი (ჩუმად ლეპორელოს): ყური უგდე მაზეტოს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მაზეტო, რამ გიკბინა,

მოიწყინე?

რისთვის დარდობ ჩემო ძვირფასო?

ცეკვით სევდა წავა.

} (ერთად)

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მე შენთან მსურს ცერლინა,

ცერლინა, ვიცეკვებთ მენუეტს?

მ ა ზ ე ტ ო: არა, თავიდან მომწყდი!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: რა გპირს, იცეკვე, კარგო!

მ ა ზ ე ტ ო: არა!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: გთხოვ მაზეტო, კარგო!

მ ა ზ ე ტ ო: ჩამომცილდი ჩქარა!

დ ო ნ ა ა ნ ა: ველარ შევძლებ მოთმენას!

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა, დ ო ნ ო ტ ა ვ ი ო: გაუძელ! დრო მოვა!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ჩქარა იცეკვე კარგო,

ცეკვით დარდი წავა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი (ცერლინას): მომყევ, ჩქარა წავიდეთ,

ნუ შეკრთეწით!

ც ე რ ლ ი ნ ა: გავები მახეში! (ცეკვით მიჰყვება ცერლინა კარები-  
საკენ).

მ ა ზ ე ტ ო: (უნდა ლეპორელოსაგან თავის დახსნა)

მომცილდი, კმარა! ცერლინა!. (გაეკიდება ცერლინას)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ეს ჩვენ ფათერაკს შეგვეყრის. (ჩქარა გარბის)

დონ ანა, დონა ელვირა და დონ ოტავიო:  
თავის თავს თვითონ აბამს,

ცხადია ყოველივე!

ცერლინა (კარების ოქიდან): ჩქარა მიშველეთ! რას ელით!!

დონ ანა, დონა ელვირა, დონ ოტავიო:

ეს რა მოხდა, რა შეემთხვა?

რა მოელის, მივეშველოთ!

მაზეტო: აჰ, ცერლინა! აჰ ცერლინა, შორს ვერაგო!

ცერლინა (კარებს უკან): არ შემეხოთ!

დონ ანა, დონა ელვირა, დონ ოტავიო:

აქედან ყვირილი ისმის, ხომ გაიგეთ!

ცერლინა: არ შემეხოთ!

დონ ანა, დონა ელვირა, დონ ოტავიო:

კარები ჩქარა გააღეთ,

აბა, სწრაფად.

ცერლინა: მიშველეთ ჩქარა

ო, ჩქარა მომეშველეთ,

მიშველეთ!!

დონ ანა, დონა ელვირა, დონ ოტავიო,

მაზეტო:

ჩქარა ვუშველოთ ცერლინას } (3-ჯერ)  
ვიხსნათ ცერლინა!!

(მაზეტო შეანგრევს კარებს. მას ცერლინა გადაეხვევა, გამოდის დაშნა ამოღებული ღონ ქუანი, რომელიც ამოფარებულ ლეპორელს მოათრევს)

დონ ქუანი: უსინდისო, შემრცხვენელო!

ო, შე ვერაგო, მე შენ გადაგიხდი შერცხვენისთვის!

სიკვდილი მას!!

ლეპორელო: გთხოვთ შემიბრალოთ, } (2-ჯერ).  
გთხოვთ მაპატიოთ!

დონ ქუანი: უნდა მოკვდე!

დონ ოტავიო (ამოიღებს დაშნას და დონ ქუანს):

ნულარ ცბიერობ, გიცანით!

დონ ოტავიო, დონა ელვირა, დონ ანა: ამაოდ  
იმედოვნებდი,

ამაოდ ცდილობდი მოტყუებას!

(იცილებენ ნიღბებს)

დონ ქუანი: თქვენ ელვირა?!

დონა ელვირა: მოლალატე!

დონ ქუანი: დონ ოტავიო!

დონ ოტავიო: ვერსად წახვალ!

დონ ქუანი: (დონა ანას) გთხოვთ... მისმინეთ...

დონა ანა: შე მაცდურო!

დონა ანა, დონა ელვირა, დონ ოტავიო,  
მაზეტო:

შე მაცდურო!

ცბიერი ხარ, მოლალატე!

ყველა: მივხვდით ბოროტ განზრახვას!

ვიცი, ვიცი,

დაშნა, დაშნა, უბედურო! } (2-ჯერ)

მალე, მალე, გაიგებენ,

რომ შენს ირგვლივ ვიტანჯებით.

ბოროტი ხარ, ვერაგი, } (2-ჯერ)

დაშნა, დაშნა, უბედურო.

ისმინე ხმა შურისგების, } (2-ჯერ)

იცოდე ბნელ საქმეთათვის

განსაცდელი არ აგცდების.

გესმის ხმა ღალატების, } (2-ჯერ)

მეხი იქუხებს შენ თავზე!

→ (ერთად)

დონ ქუანი (თავისთვის): დავიბენი, ეს რა ვქენი,

რა ვაკეთო, არ ვიცი,

მოახლოვდა შურისგება, } (3-ჯერ)

სად გავუსხლტე არ ვიცი.

ნეტავ, აღსდგეს სიმშვიდე,

შიშის გრძნობა არცკი ვიცი. } (2-ჯერ)

და ახლა კი ყველას ვიწვევ

სიკვდილს აღუთქვი ფიცი! } (ერთად)

ლეპორელო: ის დაიბნა, და აღელდა,

რას აკეთებს აღარ იცის,

მოახლოვდა შურისგება,

სად გაუსხლტეს არ იცის.

ნეტავ აღსდგეს სიმშვიდე და

მიშის გრძნობა არცკი იცის,  
ყველას ბრძოლაში იწვევს  
და აღუთქვა სიკვდილს ფიცი. (ღონ ეუანი ბელიდან  
გაუსხლტება)

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა II

(ლეპორელის შემოაქვს მანდოლინა და დადებს სკამთან)

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მაკმარე ბუზღუნი ლეპორელო,  
ჰმ, გაგებუმრე!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: შენს მონა-მორჩილს  
თავი მომბეზრდა,  
არა მაქვს ძალა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მე მხოლოდ გეტყვი...

ლ ე პ ო რ ე ლ ო: არ მსურს, მივდივარ!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: გახტოვს, რა კარგად,  
ტკბილად ვცხოვრობდით,

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ცოტა ხნის წინათ  
შენ შეგეწირე!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: სისულელეა!

მე ხომ ვმასხრობდი, გაგებუმრე.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მე ვმასხრობდი,  
შენი მასხრობის არ შემწევს ძალა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ნუ ხარ სულელი,

მე მხოლოდ გეტყვი

ეს მასხრობაა!

ისმინე, კმარა,

რამ გაგაბრიყვა,

გაგემასხრე!!

და შეწყდეს, კმარა!

} (მრავალჯერ)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მასხრობის არა მაქვს ძალა  
არ სურს დარჩენა.

არ, არ, არ, არ, არც კი შევხედავ!

მე გაგირბი,  
მონას მორჩილსა  
არ მაქვს ძალა,  
შენი მასხრობის  
არ მაქვს ძალა.

(ერთად)  
(მრავალჯერ)

(ლეპორელოს წასვლა სურს, დონ ეუანი ქისას დაანახებს)

დონ ეუანი: ლეპორელო!

ლეპორელო: რა გნებავთ?

დონ ეუანი: აჰა და ვიყოთ მეგობრები! (აწვდის ქისას)

ლეპორელო: რა დევს?

დონ ეუანი: ხუთი დუბლონი.

ლეპორელო: ჰმ, ამ ერთხელ გაპატიებ,

ასე იყოს, მივიღებ ამ ფულებს.

და ნუ გაიფიქრებთ, რომ ოდესმე

თქვენ მომჭრათამავთ ასე იოლად,

იმ ქალსავით,..

წყეული ლითონებით!

დონ ეუანი: ჰო, გეყო ყბედობა,

ხომ დამეთანხმები,

ამისრულე ბრძანებას?

ლეპორელო: ხოლო ქალს ნუ მიხსენებთ!

დონ ეუანი: ქალს ნუ გიხსენებ? ბრივი!

ქალს ნუ გიხსენებ!

მე ხომ იცი როგორ მჭირდება,

როგორც კაცს ჰაერი და წყალი,

თავის საკმელით!

ლეპორელო: და ამიტომაც

ულალატებ ასულებს?

დონ ეუანი: მხოლოდ ტრფიალი,

ვინც მართო მას იწამებს,

ვისაც ვნებას უშლის და

გულში ტრფობის და გრძნობის ცეცხლს დაუნთებს,

ქალთათვის კარებს აღებს,

ვინც თავს არიდებს



- ამ გრძნობას უნაზესს  
ჩემის გაგებით  
მას ლალატს ვუწოდებ!
- ლ ე პ ო რ ე ლ ო: ვალიარებ, არასდროს  
ასეთ კეთილ განწყობას  
არ შევხვედრივარ.  
რა გსურთ ჩემო მეუფევე.
- დ ო ნ ე უ ა ნ ი: მისმენ?!  
როგორია მოსამსახურე  
დონა ელვირაში?!
- ლ ე პ ო რ ე ლ ო: არ ვიცი!
- დ ო ნ ე უ ა ნ ი: მაშინ მისურვებ  
ძვირფასო ლეპორელო,  
რომ დღეს მოვსინჯო ჩემი ბედნიერება  
და გავაბედნიერო მოსამსახურე.  
შევიპარო ოთახში  
და რომ უფრო მოვეწონო მშვენიერს,  
გადავიცვამ შენს ძვირფას ტანისამოსს.
- ლ ე პ ო რ ე ლ ო: თქვენ რატომ არ მიდიხართ  
საკუთარი სამოსით?
- დ ო ნ ე უ ა ნ ი: დაბალ წოდებაში  
ნაკლებად ენდობიან  
ძვირფას ტანისამოსებს.  
მომეცი ჩქარა.
- ლ ე პ ო რ ე ლ ო: სენიორ?  
მე ვხედავ რომ თქვენ...
- დ ო ნ ე უ ა ნ ი: (გაბრაზებულთ)  
მორჩი, ჩქარა!  
გამიბა ლაპარაკი!

(დონ ეუანი გადაიკმევს ლეპორელოს მოსასხამს და იხურავს მის ქუდს,  
ლეპორელო კი — დონ ეუანისა. აივანზე გამოჩნდება დონა ელვირა)

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: რას ფეთქავ გულო ჩემო,  
ეგრე რამ შეგაშინა? —  
ბოროტმა?!

ნუთუ შეგაკრთო?!  
მისთვის არ ღირს სევდა,  
არ ღირს მისთვის დარდი.  
ლ ე პ ო რ ე ლ ო: ჩუმად, ელვირას ხმაა,  
იმ სარკმლიდან მესმის.  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: კარგ ბოლოს ველოდები.  
გაიგონე, ჩემს გვერდზე წყნარად დადექი.

(ღონ ჟუანი ლეპორელოს ამოეფარება და მიმართავს ელვირას)

ელვირა, ჩემო მტრედო!  
ელვირა, მშვენიერო!  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: აქა ხარ, მწვალებელო?  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მე... მე შენმა ტრფიალმა  
აქ წამომიყვანა.  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ღმერთო, როგორ მიზიდავს!  
ლ ე პ ო რ ე ლ ო: (თვისთვის) ისევე გამოიდარებს!  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: გულმა დამიწყო ფეთქვა,  
გულმა დამიწყო კანკალი!  
ლ ე პ ო რ ე ლ ო: დონა მე მიყვარხარ (დაიწყებს ენის ბორძიკს)  
მე მიყვარხარ!  
აქ ვოცნებობ!  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მოდი, სულზე უტკბესო.  
მოდი, ჩემო ძვირფასო,  
შენზე დარდით აღარ ვარ,  
შენი საქმრო მოგელის,  
ძალზე მწარედ ვინანე,  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ო, არა, იმედი არ მაქვს!  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მაპატიე!  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: არა, არ მჭერავს შენი!  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მაპატიეთ!  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: არ, არ, არ გამაგონოთ!  
აღარ მჭერავს!  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: თავს მოვიკლავ! (3-ჯერ)  
ლ ე პ ო რ ე ლ ო: (ღონ ჟუანს) სიცილით ვიგულები!  
გჯერათ, გჯერათ...

დონ ეუანი: ძვირფასო მოგელი!

დონა ელვირა: ღმერთო, რა ცეცხლში ვღვევარ,  
ო, რა წყალში ჩავეარდე.

შეიძლება გაამართლო  
იმისი ქცევა?

როგორ მოვიქცე! აქ დავრჩე?

ას დამნაშავეა:

დონ ეუანი: ვიცი ჩემი იქნება,

ისევ სიაში შემაქვს,

შეცდენის ოსტატობით

ტოლიც კი არ მყავს.

(ერთად)

ლეპორელი: სიტყვები საშიშია,

იღუპება საწყალი.

ნუთუ გულმონწყალეა,

გაქრა სამართალი!

მერიდება! (დონა ელვირა გადის აივნინდან)

დონ ეუანი: (ალტაცებულ) აბა რაღას იტყვი?

ლეპორელი: რომ თქვენი გული

ქვაზე უმაგრესია!

დონ ეუანი: კიდევ ჰკუთას მასწავლი!?

აბა, მისმინე: როგორც კი გამოვა შენ

უმაღ გადაეხვიე,

ნაზი სიტყვით მიმართე,

ხმით მხოლოდ მე მომბაძე.

და შემდეგ კი, როგორმე აქედან

ჩქარა წაიყვანე.

ლეპორელი: მაპატიეთ...

დონ ეუანი: (ღაშნაზე ხელს იტაცებ) შეუშვებ თავში!

ლეპორელი: მან რომ უცებ გაიგოს?

დონ ეუანი: თუ არ მოისურვებ

ვერც კი მიხვდება.

ჩუმად! მობრძანდება.

ეცადე! (შიიმალეა გვერდზე).

დონა ელვირა: ხედავთ, მოვედი!

დონ ეუანი: (ამოფარებულ) როგორ მოიქცევა (?)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ვაი-მე, გავები!  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: მაშ შემიძლია გენდოთ,  
რომ ეს გული  
აქ მოსვლით მომიღებთ.  
ო, დონ ჟუან,  
თქვენ ისევ დამიბრუნდით.  
და როგორც გიყვარდით — გიყვარვარ?  
გელოდები.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ანგელოზო!  
დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: გულქვა ხარ,  
რომ იცოდე  
რამდენჯერ ცრემლი ვაფრქვამ,  
რა მწუხარება მქონდა.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ო, ნუთუ მართლა?

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: მართლა.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ო, საწყალო,  
როგორ მეცოდებით.

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: აღარ მიმატოვებთ?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: არა, ძვირფასო!

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ისევ ერთად ვიქნებით?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მარად.

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: მშვენიერო.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ზემო ნაზო!

(თავისთვის): გემოზე მომიყვანა.

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: უნაზესო,

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მშვენიერო!

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: გრძნობა მიდულს სხეულში.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: როგორც ცეცხლი ვიწვი.

დ ო ნ ჟ უ ა ნ ი: (თავისთვის), რაც დრო გადის, მატულობს

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: არასდროს მომატყუებთ?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ოჰ, რას ბრძანებთ!

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: შემომფიცეთ.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ვფიცავ ამ კოპწია ხელს,

რომელსაც ცხარედ ვკოცნი.

ვფიცავ მაგ თვალებს...

დონ ქუანი: (დაშნა ამოღებული ვითომ ვილაცას ებრძვის)  
ახ, ოხ, ოი, უი,  
მოკვდი!!

დონა ელვირა, ლეპორელო! ო, ცაო (ორივენი გარბიან).

დონ ქუანი: ახ, ოხ, აი, უი, ბედი თვითონ მეხმარება,  
და საქმისკენ!!...  
ამ სარკმელთან ვიმღერებ მე სერენადას.

(ხელში იღებს მანდოლინას, რომელიც ლეპორელომ დასტოვა)

ირგვლივ სიჩუმე სუფევს,  
მხოლოდ მე დავრჩი მარტოდ,  
გამოდი აქ ლამაზო  
შენ ღეთაება ხარ ჩემი.  
მსურს რომ ვუმზერდე სახეს,  
მწველ თვალთა შემოხედვას,  
მოეშვი მაგ სიმკაცრეს,  
გთხოვ ცოდვით მოტყუებას.  
შენ ჩემთვის მზე ხარ ცაზე,  
უტკბესი ბაგის მქონე,  
თუ არ განმგმირავ თვალით  
ამქვეყნად დამალონებ.  
ტრფობისთვის მზად მაქვს სიტყვა,  
სად ხარ მომინდა ხილვა,  
აღარ ხარ, ვკვდები დარდით,  
გთხოვ, სიტყვა გამაგონე.

დონ ქუანი: აქ ვილაც იყურება.  
მსახურია?  
აქ ხართ?

მაზეტო: შეჩერდით! (შემოდის გლეხებთან ერთად)  
ძმებო,  
დარწმუნებული ვარ  
მას შევხვდები და

დონ ქუანი: (თავისთვის) ნაცნობი ხმაა!

მაზეტო: მომითმინეთ,  
აქ რაღაც, საეჭვოდ მოძრაობს და

დონ ქუანი (ჩუბალ): ნამდვილად მაზეტოა.

მაზეტო (ხმაშალა): ვინ მოდის?  
(თვისიანებს) არ მპასუხობს,  
თოფები მოამზადეთ!  
ვინ მოდის?!

დონ ქუანი: სხვებთან არის...  
თვალებს ავუხვევ,  
(პბაძავს ლეპორელოს) ძვირფასო,  
ნუთუ ვერ მიცანით,  
შენ მაზეტო ხარ?

მაზეტო: (გაჯავრებული): ცხადია მე ვარ.  
შენ კი?

დონ ქუანი: ველარ მიცანი?  
მე ხომ მსახური ვარ დონ ქუანის!

მაზეტო: ლეპორელო?  
შენი ბატონი არ ღირს რომ ჩვენ ვაქოთ.

დონ ქუანი: ნამდვილ!  
მატყუარაა!!!

მაზეტო: ჰო, უცბიერესია.  
მიტხარი

სად შეიძლება მისი ნახვა.

მე მას სამაგიეროს გადაეუხზი და

დონ ქუანი (თვისთვის): როგორ მასხრობს?  
(ხმაშალა) ყოჩაღ, ჩემო მაზეტო!

მეც თქვენ შეგიერთდებით.

ანგარიში მეც უნდა გავუსწორო.

მე გირჩევთ, თუ, ის როგორ დავიჭიროთ.

არია

აქეთ წასვლა აჯობებდა. (ნაწილს მარჯვნივ უჩვენებს).

თქვენ წადით იქეთ (ნაწილს მარცხნივ მიუთითებს),

მაშინ კი, ის ვერსად წავა..

ვერ გავვექცევა.

ვერ, ვერ, ვერსად გავვექცევა იგ.

მოედანზე გახვალთ და

იქ ნამდვილად მონახავთ.

ქალგებთან დასეირნობს,

შემოერთყით, შეიპყარით!  
 არ დაინდოთ, დაჩხვლიტეთ!  
 მოჰკალით, ნუ დაინდობთ!  
 ცოდვაც კი არ არის.  
 განიერ მოსასხამში,  
 ქულზე თეთრი ბუმბულით.  
 კიდევ აქვს მას ნიშანი,  
 დაშნას ატარებს და } (4-ჯერ)  
 დაშნით არის მუდამ.  
 იქეთ წახვალ ჩქარა,  
 მაშინ უკვე ხელთ ჩაიგდებთ,  
 ხელთ ჩაიგდებთ ნამდვილად.  
 ვერა, ვერ გაგვექცევა ის,  
 წადით დამშვიდებული.  
 დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, რას ელით.  
 (მაზეტოს) შენ კი აქ მოიცა  
 საქმე მხოლოდ შენთან მაქვს,  
 სიტყვას ხომ გამიგებ?!  
 მე მსურს რომ შენთან ვიყო.  
 ყველაფერს გეტყვი!

რეჩიტატივი:

ჩუმაღ, მათ მოვუსმინოთ...

ძალიან კარგი.

ესე იგი მას დავიკერო?

მ ა ზ ე ტ ო: ცხადია.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ცემა კი, საკმარისი არ იქნება?

დავუღეწოთ ნეკნები.

მ ა ზ ე ტ ო: სიკვდილი არ აცდებია,

ახლა სისხლი მწყურია.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: იარაღი?

მ ა ზ ე ტ ო: ცხადია,

მუშკეტი წამოვიღე,

აგრეთვე ეს დამბაჩაც.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: კიდევ რა,

მ ა ზ ე ტ ო: ცოტაა (ორივეს აძლევს დონ ეუანს).

დ ო ნ ე უ ა ნ ი: საკმარისია (ურტყამს დაშნას)

მიიღე დამბაჩისთვის ბილწო!  
 ესეც მუშკეტისათვის!!  
 მ ა ზ ე ტ ო: ოი, თავი დამანებეთ.  
 დ ო ნ ე უ ა ნ ი: შემომაკვდები!  
 აი, მოკვლისათვის ბრიყვო!  
 ესეც ჩემი სისხლისთვის.  
 ხეპრე, თავხელო!  
 კარგად დაიხსომე? (მიღის)  
 მ ა ზ ე ტ ო: ვაი, ვაი, გამისკდა თავი!  
 ვაი, ვაი, ეს გვერდი და ძვალი!  
 ც ე რ ლ ი ნ ა (შემოდის ჩირალდნით):  
 მე მგონი შემომესმა  
 ძვირფასი მაზეტოს ხმა.  
 მ ა ზ ე ტ ო: ღმერთო, ცერლინა!  
 ჩქარა მიშველე.  
 რას უცდი.  
 ც ე რ ლ ი ნ ა: რა შეგემთხვა  
 მ ა ზ ე ტ ო: იმ მხცემა  
 და მოლაღატემ  
 სულ დამილეწა ძვლები.  
 ც ე რ ლ ი ნ ა: ჩემო, საცოდავო! ვინ?  
 მ ა ზ ე ტ ო: ლებორელომ,  
 თუ, ეშმაკმა, რომელიც მას ჩამოჰგავს.  
 ც ე რ ლ ი ნ ა: მითხარ, რამდენჯერ ვთქვი რომ  
 უაზრო ეჭვიანობით ფათერაკს გადაეკიდებ?  
 და მწუხარებას.  
 აბა სად გტკივა?  
 მ ა ზ ე ტ ო: აქ!  
 ც ე რ ლ ი ნ ა: კიდევ სად?  
 მ ა ზ ე ტ ო: აქ, აგრეთვე,.. აქ!..  
 ც ე რ ლ ი ნ ა: კიდევ, ჩქარა მიჩვენე!  
 მ ა ზ ე ტ ო: ფეხები მტკივა კიდევ...  
 მასთან ზურგიც...  
 ისევ მემჩნევა?  
 ც ე რ ლ ი ნ ა: კიდევ!



საცოდობაა, გაივლის!  
 შეძლებ სახლში წამოსვლას?  
 მხოლოდ შემომფიცე რომ აღარ იეჭვიანებ.  
 შევძლებ შენს მორჩენას ძალიან სწრაფად.  
 ოღონდ მიბრძანე,  
 შემოგეშველები,  
 მალამო ვიცი,  
 თავსმოგეველები!  
 ძალას შეგმატებ  
 მოგეფერები,  
 არც დაიჯერებ  
 განიკურნები.  
 მას რომ შეიცნობ  
 და დაიჯერებ,  
 ისევ აღსდგები,  
 ყველას მოარჩენს  
 ძალა ნათელი,  
 ფეხზე დადგები,  
 გაჯანსაღდები.  
 მიხვდი რა არის?  
 მომეცი ხელი,  
 ჩქარა, გელი!  
 ეს არის ძვირფასო:  
 გული ფეთქავს,  
 მისი სახელი?  
 ნუთუ ვერ მიხვდი?  
 ჩქარა!  
 ფეთქავს მარად, } (2-ჯერ)  
 აქ არის ძვირფასო,  
 სახელი მითხარ!...  
 მიხვდი,  
 უსმინე ჩქარა,  
 აბა უსმინე,  
 გესმის გული ფეთქს,  
 მალამო ვიცი

და არაფერს ამბობ.  
მალამო ვიცი! —  
ტრფიალის გრძნობაა,  
ტრფობის ფიცი...

(დონა ანას სახლის ბნელი ვესტიბული, ორი თალით, ერთი ეზოში გადის.  
მეორე — ოთახებში. ღამეა, ლეპორელოს დონ ქუანის ქუდით და მოსას-  
ხამით ეზოდან შემოჰყავს დონა ელვირა)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ცეცხლის ალები კრთიან,  
ჩვენკენ მოიწევენ  
და სანამ აქ მოვლენ  
შევისვენოთ ცოტა.

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ჩემო კარგო  
მითხარი რამ შეგაკრთო.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: არა მხოლოდ...  
არ მსიამოვნებს,  
გადავხედავ  
შორს არიან თუ არა,  
(თავისთვის) ნეტავი მათგან თავი დავიხსნა;  
(დონა ელვირას) ახლავე დავბრუნდები.

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ნუ მტოვებთ მარტო!

### ს ე ქ ს ტ ე ტ ი

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: რა საშიშია აქ ყოფნა  
გული კრთის, მიცემს, ცახცახებს,  
აქ დარჩენა სახიფათოა,  
შეეკრთი და მაკანკალებს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: დავილუპე,  
საით გავძვრე,  
საით გავჭრე,  
ისევ ვერ ვიპოვე კარი.  
ჩუმად, ჩუმად!  
ფრთხილად გადი,  
აი გზა და  
მყუდრო თავშესაფარი.

ეს როგორ უნდა გამოვადლო?

ღმერთო, როგორ უნდა გამოვადლო, არ ვიცი!?

(შემოდინან დონა ანა და დონ ოტავიო, მსახურები ჩირალდნებით, სცენა ნაოდება. დონა ელვირა ბოძს ამოეფარება, ლეპორელო სცენის სიღრმეში იმალება)

დონ ოტავიო: შეიშვრე ცრემლი,  
გთხოვ დაწყნარდე, დამშვიდდე  
ჩემო კარგო,  
მე ხომ ვალიარებ აშკარად —  
გულს მიკლავს სახე მწუხარე,  
სევდიანი.

დონა ანა: არ მაქვს სიმშვიდე ძვირფასო.

გული ტანჯვას ვეღარ უძლებს,  
ველი სიკვდილს.

მხოლოდ ბნელ სიკვდილს მოველი.

ამ ცრემლებს რა შეაშრობს.

→ (2-ჯერ)

დონა ელვირა (თავისთვის): მათ უთუოდ მოვძებნი.

ლეპორელო (თავისთვის): თუ შემამჩნევს, ნამდვილ

მომკლავს!

დონა ელვირა და ლეპორელო: ოღონდ კარები  
მოვძებნო და

აღარ დავბრუნდები.

ფეხსაც კი არ მოვდგამ!

(ორივენი ერთად გავარდებიან კარებში და შეეჩებებიან მაზეტოს, დონა ელვირა ისევ ბოძს ამოეფარება, ლეპორელოს კი მაზეტო დაიქვრს)

ცერლინა და მაზეტო: სდექ, მატყუარა!

დაიღუპები!! (ლეპორელო სახეს იფარავს)

დონა ანა და დონ ოტავიო: სდექ მოლაღატე!

დაიღუპები!!

დონ ეუანია

უთუოდ.

დონა ანა, დონ ოტავიო, ცერლინა, მაზეტო:

სიკვდილს ვერ წაუხვალ!

არ დაგინდობთ!! } (2-ჯერ)

(ღონ ოტავიო იშიშვლებს დაშნას)

დონა ელვირა (გამოვა): გთხოვ აპატიოთ,  
მე თქვენ გვეედრებით (მოიხდის მოსა.ხამს).

ოთხივე: დონა ელვირა?

თქვენ, დონა ელვირა?!

საიდან გაჩნდით?

საიდან მოხვედით?

დონა ელვირა: მიუტევეთ!

ოთხივე: არ, არ, არ, არა!

მოკვდება!!

დონა ელვირა: ნუ დასჯით!

ოთხივე: შორს!!

არასოდეს!!

მოკვდება!!!

(ღონ ოტავიოს უნდა მოკლას ლეპორელო, მაგრამ ის ქუდს მოიხდის და  
მუხლებზე დაემხობა)

ლეპორელო: ო, ბატონებო, გთხოვთ მომიტევეთ,  
მე ხომ ის არა ვარ, თქვენც კარგად ხედავთ,  
მე ხომ ის არ ვარ ვისაც დაეძებთ,  
აბა შემხედეთ, ველარ მიცანიო?

დონა ანა, დონა ელვირა, ცერლინა, დონ  
ოტავიო, მაზეტო:

ეს... ლეპორელო? } (2-ჯერ)  
სხვისი სამოსით? }

გასაგებია,

კვლავ გაგვისხლტა } (2-ჯერ)  
მივხვდით ყველაფერს, }  
უკვე ვიციოთ, გავიგეთ!

ლეპორელო: რამდენ რამეს მოიგონებს  
შიშის მომგვრელს,  
დაუნდობელს,  
გულს შეაკრთობს.  
რამდენ ფიქრებს,

შიშის მომგვრელს,  
გულს შეაკრთობს,  
ბნელი ზრახვით განცდილს  
ისევ საზარლად დაგვიბრუნებს.

(ერთად)

დონა ანა, დონა ელვირა, ცერლინა, დონ  
ოტავიო, მაზეტო:

რამდენ რამეს მოიგონებს,  
გულს შეაკრთობს ბნელი ზრახვით,  
ისევ ტანჯვა,..  
ბნელ განზრახვებს მოგვაგონებენ.  
შურს ვიძიებთ მალე,  
განკითხვის ქამი კარზე მოადგება,  
გული ნაღვლისგან კრთება.  
ისევ სევდა მოგვიახლოვდა,  
თავს დაგვატეხა შიშის ზარი.

(მეორევე  
დავიდან)

(დონა ანა აღევებული შედის ოთახში, დონ ოტავიო შეპყვირებს და  
ბრუნდება უკან, მსახურები დონა ანას მიჰყვებიან)

ცერლინა: ხედავთ, ვინ მიბეთქა ასე მწარედ ჩემი მაზეტო?  
რეჩიტატივი:

რა დაუნდობლად ცემა.

დონა ელვირა: ხედავთ, ვინ ყოფილა ეს მატყუარა,  
თავისთავს რომ დონ უჟანს უწოდებდა?

დონ ოტავიო: ხედავთ, ვისი მოსასხამით  
შემოიპარა ჩვენს გასამასხრებლად?

დონა ელვირა: ამ ბოროტს უთუოდ ვცემ!

ცერლინა: არა, მე,

დონ ოტავიო: ჯერ მე,

მაზეტო: ჩვენ ოთხივემ ერთად დავსაჯოთ ის!

ლეპორელი: ო, ბატონებო გთხოვთ მომიტყევოთ.

არია:

მე გთხოვთ, მე გთხოვთ... მე თქვენ გეტყვით,

გეტყვით ყოველივეს,

ჰო, აგიხსნით თქვენ ყოველივეს.

რომ... რომ... აქ ვარ ახლა

ამაში არ მაქვს ბრალი, ნამდვილად!

მე მოვალე ვარ ბატონის სურვილი ავასრულო,

უხმოდ დავეთანხმო.  
(დონა ელვირას) დონა ელვირა  
ეთქვი, მიზეზი, ეთქვი მიზეზი:  
რაც გითხარი გაიგებ,  
არც კი ვეჭვობ,  
რაც გითხარი უსათუოდ გამიგებ.  
შენ, მაზეტო არაფერი გაგიგია,  
არაფერი არ იცი,  
პო, გთხოვ, სინიორ დამემოწმე.  
გთხოვ, დამემოწმე!  
საათია მას შემდეგ, რაც  
წამოვედი მასთან ერთად.  
წამოვედი მასთან ერთად.  
(დონ ოტავიოს) თქვენი წყალობა... (ხმის კანკალით)  
გთხოვთ, განგიმარტავთ...  
ეს როგორ მოხდა  
საქმე ასეა: ქალაქში ცხელა,  
აქ სიგრილეა.  
იქ მზეა მწველი,  
ამ სახლში ბნელა.  
და მოვნახე კარი,  
შემოვძვერი,  
აქ შემოვძვერი.  
ხომ მიმიხვდი,  
ხომ... მიხვდი!  
არ სჯობს რომ სწრაფად გაგეცალოთ?

რეჟიტატივი:

გაგეცალოთ (4-ჯერ) (გარბის)  
დონა ელვირა: სდექ, სად გარბი საწყალო!  
მაზეტო: გაფრინდა ფრინველსავით.  
ცერლინა: მოგვატყუა და დაუსჯელი გაქრა.  
დონ ოტავიო: ახლა ვგრძნობ, რომ თქვენ ყველაფერს  
გამიგებდით

და აღარ ვეჭობ რომ  
დონ ჟუანისგან მოკვდა  
კეთილშობილი მამა დონა ანასი.

აქ დარჩით, რაღას მისდევთ ვერაგს, ძვირფასებო.  
მე მსურს, რომ მართლმსაჯულებას მივმართო.  
ღირსი არ არის ჩემთან პირისპირ ბრძოლის.  
დაე, დაისაჯოს უღმობელ კანონით.

დონოტავიო: ძვირფას სატრფოს და მეგობარს  
ვემუდარები, მშვიდად ყოფნას.  
შეიშროს ცრემლი გიშრის წამწამზე და ლაწვზე,  
უთხარით უძვირფასესს:  
შურისძიება შეეფიცე უწმინდესი ფიცით.  
შურისძიების შემდეგ დაგიბრუნდები კვლავ.  
კვლავ დავბრუნდები ტურფავ.  
ძვირფას სატრფოს და მეგობარს  
ვემუდარები მშვიდად ყოფნას.  
შეიშროს ცრემლი გიშრის წამწამზე და ლაწვზე,  
უთხარით უძვირფასეს!  
შურს ვიძიებთ ვერაგზე.  
შურისძიების შემდეგ,  
მხოლოდ ამ ბრძოლის შემდეგ  
დაგიბრუნდები კვლავ,  
დაგიბრუნდები ისევ.

რეჩიტატივი და არია

დონა ელვირა: რა ბილწ ცხოვრებას ეწევა  
დაეჩვია ჩვენს მოტყუებას მაცთური,  
მის სულში ეშმაკია,  
მაგრამ ვერ წავა მართლმსაჯულებისაგან  
ბოროტგანმზრახველი.  
მე პირქუშ ღრუბლებს ვხედავ ჩამოფარებულს  
მის მოლალატე თავზე,  
უფსკრულს, უძიროს,  
გათხრილს მის წინაშე,  
რამდენი ეჭვი,  
რამდენი ცრემლი არის  
ელვირას თავზე.  
მას რისთვის თანაუფგრძნობ?  
არ მითმენს გული?

არია:

მომივლინა უბედურება ,  
მხოლოდ სატანჯველი,  
უსულგულოდ დამტოვა მარტო. } (4-ჯერ)  
დამტოვა ფლიდმა, ვიტანჯები,  
მისადმი ტრფიალი სიბრალულს აღმიგზნებს და  
როგორ მეცოდება, მებრალება მოლალატე.  
მან მხოლოდ მარგუნა ცრემლები,  
მხოლოდ სატანჯველი, უგულობა.  
დამტოვა მარტო, ულმობელად,  
დარდისაგან ცრემლებს ვღვრი  
განმარტობით.  
გული ითხოვს შერიგებას და  
ფიქრები მიხმობენ დასჯას.  
სულ მინდა მასთან ყოფნა.  
მზად ვარ ცოდვები მივუტევეო (მეორდება თავიდან).

(სასაფლაო მორღვეული ზღუდით. სიღრმეში, კომანდორის საფლავზე —  
კომანდორის ძეგლი, დონ ეუანი ლეპორელოს ტანისამოსში გადმოვია კე-  
დელზე — მთვარე ოღნავ ანათებს)

დონ ეუანი: ხა, ხა, ხა, ხა, რა კარგია,  
დე მეძებოს მტერმა,  
ლამეა წყნარი,  
შუქი კრთის, სიგრილეა.  
ეს ღამე ტრფიალებისათვის და განცხრომისთვისაა.  
რა დროა? (უყურებს საათს)  
ო, არა, შუალამეა მხოლოდ,  
ნეტავ ვიცოდე, რა ჭირს საწყალ ლეპორელოს,  
როგორ მოუარა დონა ელვირას?  
თუკი, ჭკუას გაანძრევს...  
(გამოჩნდება ლეპორელო. დონ ეუანის ტანისამოსით).

ლეპორელო: ნეტავ აქ კისერი არ მოვიტეხო.

დონ ეუანი: აი, ისიც.

ეი, ლეპორელო!

ლეპორელო: ვინ მიძახის?

დონ ეუანი: ალბათ, ვერ მიცანი.



ლ ე პ ო რ ე ლ ო: არც მინდა რომ გიცნობდე,

დ ო ნ ე უ ა ნ ი: რა მითხარი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: თქვენ ბრძანდებით?

ბოდიში!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: სად იყავი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: სად ვიყავი? მე თქვენ გეწირობოდი!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მე მსურს, რომ მოგილოცოთ!

თქვენთვის სახელია.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: უკან წაიდე!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ახლა, ჩემთან მოდი,

დაჩქე! მოგიყვებით კარგ ამბავს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მაინც აქ რა გინდათ?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მოდი, მოგიყვები უცხო თავგადასავალს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავცილდით ერთმანეთს...

ყური დამიგდე კარგად,

მე მხოლოდ ერთ რამეზე გავჩერდები

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ალბათ, ქალებზე...

დ ო ნ ე უ ა ნ ი: უთუოდ!

ერთ გოგოს შევხვდი

ახალგაზრდას, ულამაზესს.

აი, იმ ქუჩაზე და მიუახლოვდი,

მსწრაფლ ხელი მოვკიდე.

მას შეეშინდა,

შემდეგ კი, გათამამდა

შენ ახლა მიცნობ — როგორ...

ლ ე პ ო რ ე ლ ო: არ ვიცი?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ვარ ლეპორელო!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ჩემს ნაცვლად?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: შენს ნაცვლად!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ეს მომწონს!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: თვითონვე ნაზად იღებს ჩემს ხელებს,

ლ ე პ ო რ ე ლ ო: უფრო კარგია!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ვნებთ მკოცნის, მეხვევა

„ძვირფასო ლეპორელო“,

„ლეპორელო ჩემი ხარ“,

მე უმაღ მივხვდი  
რომ შენ მას კარგად იცნობ  
ლ ე პ ო რ ე ლ ო: შემდეგ, წყევლო!  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მე შენს როლს ვთამაშობდი,  
მაგრამ შეეცრვი მიხვდა შეცდომას და  
დაიკვილა,  
უმაღვე გავეჭეცი  
და გადმოვძვერი  
ამ ლობეზე,  
აქ თავი შევაფარე.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: რა მხიარულად მიყვები  
მაგ საზარელ ამბავს?!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მერე რა?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: თქვენ, თურმე ჩემს მეუღლეს  
შეხვედრიხართ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: უფრო კარგი! (ხარხარებს)

კ ო მ ა ნ დ ო რ ი: დრო დადგა განკითხვის  
მოკვდები ღამით!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: (ლუპორლოს) ვისი ხმაა?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: (შიშით). იქ მე ვხედავ მოჩვენება დაეხეტება.  
ვფიქრობ, რომ თქვენ გიცნობთ.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მართლმსაჯულო!  
მიბრძანეთ სახელი!!

(ხელს ჰკიდებს დაშნას და სიარულს იწყებს. დაშნას ურტყამს საფლავებს).

კ ო მ ა ნ დ ო რ ი: განვედ მაცთურო,  
სუფევა მიეც მიცვალებულებს!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მოგახსენებთ...

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ჩვენდამი, ალბათ, ვინმეს სურს უღმრთოდ  
დაცინვა,  
აი, იქ ხომ კომანდორის ძეგლზე ჰკრთის მთვარის  
შუქი.

წაიკითხე რა სწერია?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: შემინდეთ, ასოებს ცუდად ვკითხულობ,  
მით უფრო მთვარის შუქზე!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: დამმორჩილდი!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: (მიღის ძეგლთან და კითხულობს)

„ვინც მე უღირსად მომკლა,  
ამ ბნელ საფლავში  
მიეგება ღვთის რისხვა.  
გაიგეთ, ვშიშობ რომ...

დონ ქუანი: მოხუცი უღმრთოთ დაგვცინის.  
მოახსენე რომ მე მას  
ამ ღამეს ლხინზე ვიწვევ.

ლექორელი: როგორ ბედავთ...  
შეხედეთ, ჩქარა შეხედეთ!  
რა მძვინვარედ იყურება ჩვენკენ.  
გვიმზერს და თითქოს უნდა  
სიტყვის თქმა, პასუხი!..

დონ ქუანი: ეახლები,  
თორემ ახლავე სულს განგიტყეებ!

ლექორელი: არა, რატომ სენიორ,  
მე თანახმა ვარ!

#### ღუმტი

ლექორელი: ო, ძეგლო პატივცემულო,  
გამოკვეთილო ქვისგან, მსურს რომ...  
შევეკრთი... რა ცეცხლში ჩავვარდე...  
სჯობს არაფერი ვთქვა!

დონ ქუანი: დაუჩქარე,  
თორემ დაშნა გაგიპობს ცბიერ გულს,  
განგმირავს ვერაგ გულს,

ლექორელი: უდროოდ მეხუმრებით!

დონ ქუანი: იკმარე თვალთმაქცობა,

ლექორელი: სისხლი გამეყინა (2-ჯერ)

დონ ქუანი: ისევ გავიცინებთ

ლექორელი: სისხლი გამეყინა!

ო, ძეგლო პატივცემულო,  
შემინდეთ უღირს მონას,  
აჰ, სენიორ!

აბა ნახეთ, შეხედეთ, შეხედეთ!

ჩვენ როგორ გვიყურებს!!

რა საზარლად გვიმზერს!!

დონ ქუანი: დაშნა, დაშნა!

ლექორელი: ჯერ შორს, შორს!!

მოითმინეთ, დამიცადეთ!

(კიდევ მიდის ძეგლთან)

სენიორ, გთხოვთ მომიტევოთ...

მე კი არა, გამიგეთ...

ამ ღამით გვეახლეთ!

(ძეგლი თავს აქნევს)

აი, აი! აი! აი! აი. რა მომდის და

აი, აი, ღმერთო, რა მჭირს

ხედავთ, თავს გიქნევთ!

დონ ქუანი: შენ როგორ არ გრცხვენია?!

რა მოგდის, შეგეშინდა, არ გრცხვენია, შეგეშინდა?

ლექორელი: შეხედეთ, შეხედეთ, ნუთუ ვერაფერს

ამჩნევთ?

დონ ქუანი: რა უნდა მივეუგო, მას რა უნდა მოვახსენო?

ლექორელი: ქვის ძეგლი თავს გვიქნევს,

შეხედეთ, შეხედეთ!

დონ ქუანი: ქვის ძეგლი თანახმაა,

ლექორელი: თავი დაგვიკრა მან!

დონ ქუანი: მიბრძანეთ,

თუკი შეძლებთ,

გვეწვევი სტუმრად?

გვეწვევი სტუმრად?!

კომანდორი: მოვალ!

ლექორელი: არ ვიცი როგორ ვდგევარ

ძლივსლა ვსუნთქავ შიშისგან. }

სენიორ, ჩქარა წავიდეთ, }

წავიდეთ თუ ღმერთი გწამთ,

ცუდი ბოლო მოგველის,

საშიშია, საშიში!

დონ ქუანი: ჩვენ ისევ დავმეგობრდით,

უთუოდ მოვა, გვეწვევა ლხინზე.

უკანვე გზას გავუდგეთ,  
დავბრუნდეთ, რაღას ველით,  
წავიდეთ ჩვენს სახლში.  
(მიდიან)

### რეჩიტატივი

(ღონა ანას სასახლე. იწვის ნათურები, ღონა ანა, ღონ ოტავიო)

ღონ ოტავიო: დამშვიდდი ჩემო კარგო,  
მოლაღატის დღეები დათვლილია,  
ის დაისჯება ნამდვილ, პასუხს აგებს.

ღონა ანა: ო, მამავ ძვირფასო.

ღონ ოტავიო: ჩემკენ დახარე თავი,  
ბედს დაემორჩილე.  
გამაგრდი, ძვირფასო,  
შენს უმძიმეს დანაკლისს  
მინდა შევეუმსუბუქო მწუხარება.  
ჩემი გული, ეს ხელები  
საუკუნო ტრფობა...

ღონა ანა: რისთვის დაგჭირდა თქმა  
ამ მძიმე წუთებში.

ღონ ოტავიო: ისევ... ჩემს ბედნიერ დღეს რისთვის  
მაშორებ?

რატომ მექცევი მკაცრად... რისთვის?

### რეჩიტატივი და არია

ღონა ანა: გაწვალე, არა ძვირფასო!  
ძალიან მიჭირს  
ჩვენი ქორწილის შორს გადატანა,  
ეს ხომ ორივეს გვსურდა...  
ძვირფასო, მადროვე,  
შევეჩვიო ამ გარემოს,  
და უდიდეს დანაკლისს,  
გთხოვ მერწმუნო მარადიულ ტრფობაში.

### რონდო:

ნუ მიწოდებ დაუნდობელს  
ნუ მეტყვი, ნუ მიწოდებ.  
და ჩვენ, რაც აგვისრულდება,

მოთმინებით ელოდე, (2-ჯერ)

დაიმშვიდე მღელვარება,

თუ კიდევ შეგებრალები (2-ჯერ)

(თუ გებრალები).

ნუ მიწოდებ დაუნდობელს,

დაიმშვიდე მღელვარება,

თუ კიდევ შეგებრალები.

მერწმუნე ტრფიალი გაიმარჯვებს (3-ჯერ)

მოგვივლენს სიამეს, მყუდროებას.

უმალვე მოგვივლენს

სიხარულს და ბედნიერებას,

სიხარულს და სიამეს. (მიღის)

დონ ოტავიო: ო, საბრალო არსება,

ვიზიარებ მწუხარებას და სევდას

შევუფრებუქებ უსაზღვრო სიყვარულით. (მიღის)

### ფი ნ ა ლ ი

(დონ ეუანის სასახლე, არკასთან ესტრადაზე ორკესტრის წინ გაწყობილი მაგიდა, კანდელაბრებით. ლეპორელო, მსახურები, მუსიკოსები. შემოდის მდიდრულ ტანისამოსში გამოწყობილი დონ ეუანი)

დონ ეუანი: ლხინი არის დიდებული,

გაიხარეთ დრო ატარეთ,

თქვენთან ერთად გამახარეთ,

უდარდელად მაცხოვრეთ!

ლეპორელო ჩქარა, ჩქარა

ლეპორელო: ბრძანეთ, გემსახურებით (2-ჯერ)

მხიარულად ძვირფასნო,

ილხინეთ, გამახარეთ.

და უდარდელად მაცხოვრეთ.

ლაღად მინდა სიცოცხლე გავატარო.

(მსახურებს მოაქვს საკმელები, ლეპორელო წასვლას აპირებს, მუსიკოსები უკრავენ, დონ ეუანი მაგიდას მიუჯდება)

ეს ხომ „კოზა რარაა?“

(ლეპორელოს) თქვენ რას ფიქრობთ ამ კონცერტზე?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: თქვენ შეგფერით, შეგფერით, უეჭველად.  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: რა კარგია ეს საკმელი,

გემოვნებით შევექცევით,  
ლ ე პ ო რ ე ლ ო (თავისთვის): უმადოდ შევექცევა,  
ისე ყლაპავს ნაჭერ-ნაჭერ  
არც კი ფიქრობს მსახურზე.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: შურით აღარ დაიძინებს, } (2-ჭერ)  
როცა მხედავს მხიარულს.

ლ ე პ ო რ ე ლ ო: თავდავიწყებით მიირთმევს  
არაფერზე აღარ ფიქრობს.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: როცა მხედავს უდარდელად.  
ჩემი ჭავრით აღარ დაიძინებს.

(მეორდება რამდენჯერმე)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: სისხლი მემღვრევა ჭავრით. (2-ჭერ)

დ ო ნ ე უ ა ნ ი: წვენი!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ახლავ (მუსიკა უკრავს),  
ნაცნობია ეს სიმღერა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ჩქარა ღვინო! (ღებორღო უვსებს თასს)  
სისხლს ძარღვებში ამიღუღებს!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: კალმახის ნარჩენებს გეახლებით მხოლოდ!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ერთობ აღრე გეახლებათ.  
ლაპარაკადაც არ ღირს.

(მუსიკა სცენაზე)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ჩემთვის ნაცნობი სიმღერაა.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: (არც უყურებს ისე უძახის) ლეპორელო!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: გეახლებით! (პირი საქმლით აქვს გამოტენილ).

დ ო ნ ე უ ა ნ ი: გაუგებრად, გაურკვეველად ლაპარაკობ!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ყბა მტკივა და გამისივდა.

ენას ძლივს ვატრიალებ,  
არ ძალმიძს ლაპარაკი.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: შეეცადე... დაუსტვინო!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ვუსტვინო?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: რა გსურს?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: შემინდე, შემინდე!  
კერძი მივირთვი, კარგია!  
ეს საჭმელები კარგია, ძალზე კარგი,  
ისევ მსურს, რომ გავსინჯო  
მშვენიერია, ძალიან კარგია.

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ასე ძალიან მოგშივდა?  
გეჭამა ჩემს ნაცვლადაც,  
საცოდავი ხარ მონავ,  
განურჩევლად შთანთქავ!  
(შემოდის დონა ელვირა).

→ (ერთად)

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: მე შენზე დარდმა  
აქ მომიყვანა,  
გთხოვ შემისმინო,  
და მერწმუნო,  
იმედით მოველ, } (2-ჯერ)  
მსურს შეგირიგდე,  
გული არ მერჩის,  
მე თქვენ მეცოდებით!

დ ო ნ ე უ ა ნ ი, ლ ე პ ო რ ე ლ ო: რა ჭირს? რა სურს?

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: მე გეფიცები წმიდა სიყვარულს,  
(დაემხობა მუხლებზე;

უარყავ ეს გზა საბედისწერო!

დ ო ნ ე უ ა ნ ი (აყენებს): გამაგებინეთ

რისთვის შეწუხდით?

რას მოისურვებთ?

გთხოვ, რომ დამართო დადგომის ნება..

(დადგება ელვირას პირდაპირ მუხლებზე)

თქვენ წინაშე! (ცოტა ხნის შემდეგ წამოდგებიან)

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ო, ისევ დასცინით ჩემს გრძნობას  
ნათელს?

დ ო ნ ე უ ა ნ ი: თქვენ ღირსი არა ხართ!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ეს საცოდავი, რა გულმონწყალეა!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: არ გსურთ ვიცინოთ?

ჩემო კარგო, (დაცინვით)

რისთვის გეცოდები?



დონა ელვირა: არ გირჩევთ მაგ გზას!  
 დონ ქუჩანი: ყოჩაღ!  
 დონა ელვირა: უსინდისო! } (2-ჯერ)  
 დონ ქუჩანი: ყოჩაღ!  
 დონა ელვირა: უმადურო!  
 დონ ქუჩანი: გთხოვთ დაგვეწვიოთ,  
 აქეთ მობრძანდით,  
 თუ მოისურვებთ გვერდზე მოგისვამთ.

დონა ელვირა: შენ შენსას არ იშლი?  
 გსურს გარყვნილება!  
 დარეკავს ჟამი აღსასრულისა.

დონ ქუჩანი: მე ქალებს ვაღმერთებ,  
 ღვინოს ვადიდებ,  
 ეს სამკაულია  
 ლალ ცხოვრებისთვის,  
 ყველაზე ძვირფასი...  
 გესმით!

→ (ერთად)

ლეპორელი: როგორ მძვინვარებს,  
 დასტირის ტრფობას,  
 რა ცხარე ცრემლებით შესთხოვს.

(დონა ელვირა გადის, ისევ შემოვარდება ყვირილით და სხვა კარებიდან გარბის)

დონა ელვირა: ა!

დონ ქუჩანი: ეს რა ხმები მოისმის საზარო?  
 ეს რა ხმები მოისმის,  
 შეხედეთ, იხილეთ, რა მოხდა ნეტავ?! } (ერთად)  
 ეს რა ხმები მოისმის?

დონ ქუჩანი: გამიგე,  
 ვინ მოგვევლინა!

(ლეპორელი მიდის. მოისმის უარესი ყვირილი).

ლეპორელი: ა!

დონ ქუჩანი: ლაღადებს საცოდავი (2-ჯერ)  
 ლეპორელი რა მოგდის?  
 ჩქარა თქვი... რა არის?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ო, სენიორ!  
ცოდვა, ცოდვა!  
არ წახვიდეთ იქითკენ!  
ქვის სტუმარი  
მობრძანდება,  
ის... თეთრია!  
სამოსით... სპეტაკით...  
მძიმედ მოაბიჯებს ჩვენკენ...

ტა, ტა, ტა, ტა,  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: არაფერი გამეგება,  
ლ ე პ ო რ ე ლ ო: ტა, ტა, ტა, ტა.  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მთვრალი ხომ არ ხარ!  
უკაკუნებს და სხვა არაფერი!!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: შემოგესმათ!  
დ ო ნ ე უ ა ნ ი: მოიწვიე (კაკუნი ისმის)  
ჩქარა!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: შიშით ვკრთი!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: მოიწვიე!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: აჰ!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: ჩქარა!!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: აჰ!

დ ო ნ ე უ ა ნ ი: თუმცა

სჯობს მოვუთავო საქმე

(დონ ეუანი სანთლით უახლოვდება კარებს).

მე თვითონ გაეუღებ კარს,

გავაღებ კარს!

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ჯერ სიცოცხლე არ მოგბეზრდა,  
საით, საით, გავიქეე ახლა? (იმალება მაგიდის ქვეშ)

(ფარდა არკიდან აიწვევა და გამოჩნდება კომანდორი, სინათლეები ჰქრება. იქუხებს მუხი, დონ ეუანს კანდელაბრი უვარდება ხელიდან და გაქევაებულ-ლი დგას, შემდეგ ნელ-ნელა იწვეს ავანსცენისაკენ).

კ ო მ ა ნ დ ო რ ი: ხმა მოწვევის  
მკვდრეთით მომესმა,  
მომიწოდეთ,  
გამოგეცხადეთ!

დონ ქუანი: თქვენი ხილვა მე მაოცებს,  
დაე... მობრძანდით, გელით.  
ლეპორელო, ჩქარა თასი!  
გაშალეთ ბრწყინვალე სუფრა!!

ლეპორელო: ო, სენიორ!.. (მაგიდის ქვემოდან, კანკალით)  
ო, სენიორ!

მოვეკვდები და ვერ გამოვალ!

დონ ქუანი: აქ გვეახლე  
(ლეპორელო გამოძვრება და უნდა გაიქცეს)

კომანდორი: შესდექ, საბრალო!  
ვინც ციურ საზრდოს ეზიარა  
მას სხვა ვალი აქვს ამ ქვეყანაზე,  
არ მსურს საკმელი,  
მე სხვა მაწუხებს,  
მისთვის მოვილტვოდი ამ მიწაზე.

ლეპორელო: ო, სენიორ შიშისგან მაკანკალებს } (2-ჯერ)  
ეი, სად გვიწია ბედისწერამ

დონ ქუანი: პასუხს ველი,  
რა გნებავთ?  
რას ელით?

კომანდორი: მისმინე მტვერო  
ჰქრება ვარსკვლავი!!

დონ ქუანი: სტუმრის  
მოსმენა სიამეს მგვრის!

კომანდორი: მისმინე მონაე,  
ჰქრება ვარსკვლავი!!

დონ ქუანი: სტუმარს ვუსმენ, მზად ვარ ყოველთვის.

კომანდორი: შენ სტუმრად მომიწოდე,  
სახლში გამოგეცხადე,  
პასუხს ველი, პასუხს ველი!  
წამოსვლას ინებებთ ჩვენთან?

ლეპორელო (შორიდან, კანკალით):  
სენიორ, სენიორ  
უთხარით არ გცალიათ!

დონ ქუანი: არვის უხილავს ჩემი

მადლობა  
არასდროს!

კომანდორი: იფიქრე!

დონ ეუანი: მე გადავწყვიტე!!

კომანდორი: წამოხვალ?

ლეპორელი: უთხარი არა, რას ელი!

დონ ეუანი: შენით, ძეგლო მრისხანე  
არ შევკრახები!

მოვალ!

კომანდორი: (ხელს უწვდის)

გამომიწოდე ხელი!

დონ ეუანი: ინებე! აჰ!

კომანდორი: იგრძენი?

დონ ეუანი: ეს ხელი ყინვაა!

კომანდორი: მოინანიე ცოდვა!

აღსრულდა შენი ბოლო.

დონ ეუანი: არა, არა, ვერ დამიმონებ

უბოროტესო ხმავე!

კომანდორი: დადგა დრო აღსასრულის!

დონ ეუანი: არ შეძრწუნდება გული!!

კომანდორი: მოინანიე!

დონ ეუანი: არა!

კომანდორი: მოინანიე,

დონ ეუანი: არა!

კომანდორი: სთქვი! } (3-ჯერ)

დონ ეუანი: არა! არა! არა!

კომანდორი: რეკს სიკვდილის ზარი.

(ისმის ქუხილი, კომანდორი ჰქრება. ელვა ანათებს დონ ეუანს, რომელიც  
ბარბაცით მოიწვევს ავანსცენისკენ).

დონ ეუანი: უხილავი შიში მოდის,

მიახლოვდება, მოიწვევს,

ცაზე იკლავნება ელვა,

ხმა მესმის ქუხილის!

გუნდი (მიწიდან, ყრულ):

სიმართლის ხმა ღაღადებს,

სიკვდილი მოგელის!!

დონ უუანი: რა მომდის, არც კი ვიცი!  
გონებას თანდათან ვკარგავ!  
ვერსად ვერ ვხედავ შველას,  
ყოველივე იწვის!!

ლეპორელი: როგორ შეკრთა,  
გაფითრდა,  
მას ვერც კი ვეხმარები!  
კენესის და ოხრავს იგი,  
შეშლილი სახით გრძნობას კარგავს!

→ (ერთად)

(მიწიდან ამოვა ცეცხლი, იგი იწვის, ლეპორელი მუხლებზე დაემხობა)

გუნდი: სიმართლის ხმა ლაღადებს!

დონ უუანი: გონებას და გრძნობას ვკარგავ,  
არსად არის საშველი,  
შთაინთქა ყოველი... აჰ... (ყვლება)

(შემოდინ დონა ელვირა, დონა ანა, დონ ოტავიო, ცერლინა, მაზეტო,  
მსახურები ჩირაღდნებით ხელში)

დონა ელვირა, ცერლინა, დონ ოტავიო,  
მაზეტო: მას ბედმა უწია,  
დროა განსჯისა,  
ბოროტება კი,  
პასუხს ელის,  
პასუხს ელის.

დონა ანა: თუ ცოცხალსაც ვერ ვიხილავ, იცოდეთ,  
დავივიწყებ რაც დავიფიცე.

ლეპორელი: გთხოვთ, ნუ შემოხვალთ,  
გეყოთ რაც მოხდა.  
და ნულარ ეძებთ,  
ის უკვე მოკვდა,  
აღსრულდა.

ხუთივე: რა მოუვიდა?  
სად გადიხვეწა?  
ჩქარა მოგვახსენეთ

} (2-ჯერ)

რა მოუვიდა,  
სად გაჰქრა?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: ქვის სტუმარისგან,  
ქვის სტუმარისგან...  
სიტყვა არ მყოფნის...  
ქვის სტუმარისგან...  
განთიადისას...  
ჩვენთან მობრძანდა...  
მას მიუგებდა  
ნათლად წარმდგარი,  
იფეთქა ალმა  
და შთანთქმულ იქნა ჯოჯოხეთისგან.

ხ უ თ ი ვ ე: რამ შთანთქა იგი?

ლ ე პ ო რ ე ლ ო: საზარელ ძალამ,

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: ო, სტუმრად იყო ჩრდილი

და ო თ ხ ი ვ ე: მოჩვენება,

ვიხილეთ!

დ ო ნ ო ტ ა ვ ი ო: (დონა ანას)

ზეცის განსჯა

უკვე აღსრულდა,

ეს გრძნობა განთავისუფლდა,

ტანჯვა გულიდან კვლავ მომშორდა.

გვეყოფა, რაც გადაგვხდა.

დ ო ნ ა ა ნ ა: ჩემო კარგო

კიდევ მადროვე,

მელოდე ერთი წელი.

დ ო ნ ო ქ ტ ა ვ ი ო: კიდევაც რომ მსურდეს — რა  
ვქნა,

მას უნდა დავეთანხმო.

დ ო ნ ა ა ნ ა: ნურც განიცდი, ნურც მწუხარებ,

მე უნდა დამეთანხმო,

ჩემო კარგო, შენ უნდა დამეთანხმო!

დ ო ნ ა ე ლ ვ ი რ ა: გული მოითხოვს სიმშვიდეს,

მონასტრის კედლებში წავალ.

ც ე რ ლ ი ნ ა: ჩვენს მყუდრო ბინაში,

სიამით მაზეტოსკენ მივილტვი.

} (ერთად)

→ (ერთად)

ლ ე პ ო რ ე ლ ო: მე, გამყიდველად სადმე ღუქანში  
შევეხიზნები.  
ც ე რ ლ ი ნ ა, მ ა ზ ე ტ ო, ლ ე პ ო რ ე ლ ო: ვერაგი  
დონ ქუანი

უკვე ველარ შეგვაცდენს,  
ჩვენი სული წმიდა არის,  
ვასრულებთ სიმღერით — ბრძნულით,  
რასაც ხალხში მოისმენთ. (მ-ჩერ)

დ ო ნ ა ა ნ ა: ცხოვრება ჩვენ გვასწავლის,  
ყ ვ ე ლ ა ნ ი: ჩვენ გვასწავლის, სულ ყველას,  
ც ე რ ლ ი ნ ა: ცხოვრება ჩვენ გვასწავლის,  
ყ ვ ე ლ ა ნ ი: ცხოვრება ჩვენ გვასწავლის,  
კეთილ მოქმედს გზას უკაფავს  
მას მიიღებ რასაც დარგავ!

# რიჰარდ ვაგნერი

Richard Wagner

## ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი (Tannhäuser)

მოქმედი პირნი:

ჰერმანი — ტიურინგიის ლანდგრაფი — ბანი  
ტანჰოიზერი — ტენორი  
ვოლფრამ ფონ-ეშინბახ — ბარიტონი  
ვალტერ ფონ-დერ-ფოგელვაიდე — ტენორი  
ბიტეროლფი — ბანი  
ჰაინრიხ მწყერალი — ტენორი  
რაინმარ ფონ-ცვეტერი — ბანი  
ელისაბედი — ლანდგრაფის ნათესავი — სოპრანო  
ვენერა — სოპრანო  
ახალგაზრდა მწყემსი — სოპრანო  
ოთხი კეთილშობილი ბიჭი — ალტი, სოპრანო

ტიურინგელი გრაფები, რაინდები და კეთილშობილი პირნი, ქალბატონები, მოხუცი და ახალგაზრდა პილიგრიმები, სირინოზები, ალები, ნიმფები, ვაკხის თანმხლებლები.

მოქმედების ადგილი: მოქმედება I — ვენერას გამოქვაბული აიზენახთან, ვარტბურგის ქალა; მოქმედება II — ვარტბურგის სასახლე; მოქმედება III — ვარტბურგის ქალა.

დრო: XIII საუკუნის დასაწყისი.

## მოქმედება I

### სცენა I

ვენერას გამოქვაბული. სცენა ასახავს ვენერას გამოქვაბულის შიდა ხედს. ფართო ხეობა იკარგება სცენის სიღრმეში. მარჯვნივ უსაზღვრო სივრცეა. მოიჩან კამკამა ტბა და შიგ მობანავე ვაკხელები. ნაპირზე წვანან სირინოზები. ავანსცენაზე მარცხნივ ბრწყინვალე საწოლზე წამოწოლილია ვენერა,



მის წინაშე მუხლი მოუყრია ტანპოიზერს, რომელსაც ვენერას მკერდში ჩაურგავს თავი. ხეობა განათებულია ვარდისფერი შუქით, შუაში ცეკვავენ ნიმფები, ირგვლივ, გორაკებზე წყვილად სხედან მიჭნურნი, ზოგიერთი იმათგან თანდათან უერთდება მოცეკვავეებს. ვაქხანალია. სცენის სიღრმიდან ველურ ცეკვაში ებმებიან ვაქხის ქალები, ევსტით ჩაუელიან ნიმფების და მიჭნურთა ჯგუფს, რომელთაც უფრო აღაგზნებენ.

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი: მოცურდით ჩვენკენ!  
მკლავებში,  
სადაც მხურვალე ვნების  
სდულს ნეტარება,  
შმაგდება ტრფობა.

(მოცეკვავეები ყურს უგდებენ სირინოზთა ხმებს, რომლებიც თანდათან სუსტდება)

(ცეკვა განახლება, თანდათან ღებულობს ველურ ხასიათს და გადადის ექსტაზში, აქ ჩაებმებიან ვაქხის ქალები)

(Presto, tempo I. უეცრივ ყველა მიეცემა ტკბილ განცხრომას. მიჭნურთა წყვილები თანდათან ცილდებიან მოცეკვავეებს და მიისწრაფვიან ხეობისაკენ, ვაქხის ქალები უჩინარდებიან, ნისლი თანდათან ფარავს სცენას. ვარდისფერი ტონია, ყოველივე ბურუსში გაეხვევა, მოჩანს მხოლოდ ვენერა და ტანპოიზერი. პოზა იგივეა. სცენა Poco più lento-ზე).

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი: (შორიდან) მოცურდით ჩვენკენ,  
მოცურდით ჩვენკენ.

## სცენა II

(ტანპოიზერი გამოერკვევა ვნებათაგან, ვენერა ცალერსება)

ვ ე ნ ე რ ა: ძვირფასო,  
სთქვი, რა გაწუხებს?

ტ ა ნ პ ო ი ზ ე რ ი: ისევ, ისევ!.....  
ო, კვლავ გამომელვიძა.

ვ ე ნ ე რ ა: რამ აგაღელვა?

ტ ა ნ პ ო ი ზ ე რ ი: სიზმრად ვიყავ,  
შემომესმა ნაცნობი ხმები წარსულის.  
შევიცან ზარის რეკვის დიადი ჰანგი.  
ბრძანე, რა დრო გავიდა მას შემდეგ?

ვენერა: საითყენ მიილტვი?

რისთვის შეკრთი?

ტანჰოიზერი: ის დრო, რაც აქ დაყავი, განუსაზღვრელი არის.

დღენი, თვენი შეუცნობელია.

ველარ ვიგრძნობ მნათობის შუქს.

ვერც ზეცის შოციმციმე ვარსკვლავთა გუნდს,

ვერც ყლორტებს მცენარის

აბიბინებულს,

მაცნეს ზაფხულისას,

ვერც გალობას ბულბულისას

მომღერალს გაზაფხულის,

ვერ მოვისმენ.

შენ ველარ მიხილავ!

ვენერა: ჰა, ეს რა მესმის!

ვისი მწუხარება!

მოგქანცა ჯადოსნურმა ტრფიალებამ,

ადგზნებულ ვნების მხურვალეზამ.

მითხარი რისთვის ღელავ,

გსურს გაღმერთება?

ნუთუ, შენ დაგავიწყდა

წარსულ ღღეთა ღღევა,

ოდეს

მხიარულობდი!

მგოსანო, გთხოვ!

მომართე შენი ჩანგი,

ადიდე ტრფობა,

რასაც გრძნობით უმღერდი,

რითაც შენ ტრფობის ღმერთი

მოაჯადოვე.

ადიდე ტრფობა,

ისევ სიყვარულს ენდე.

ტანჰოიზერი (მცირედი დაყოვნების შედეგად ტანჰოიზერა

მომართავს ჩანგს და იწყებს სიმღერას):

ხმა ღიდების,

რაც მომგვარა გრძნობებით

მაგ შენმა ძალამ,  
 სიკეთე მომცა.  
 ტკბილი გრძნობა.  
 წყალობა  
 შენგან მივიღე!  
 ეუმღერ ზეიმით  
 დიად სიყვარულს,  
 სიკეთეს!  
 ო, ნათელი გრძნობებისთვის  
 ფეთქს ეს გული,  
 მიილტვის ფიქრები.  
 ის, რაც ღმერთათთვის  
 განკუთვნილი არის,  
 მომეცა მოკვდავს  
 შენის წყალობით.  
 მოკვდავი კვლავ  
 უკვდავად დაერჩი.  
 უსაზღვროდ იქცა  
 ზეცის გრძნობა.  
 ოდეს უფალი მოწყალეა,  
 გარდავიქმნები მის წინაშე.  
 მხოლოდ გრძნობა არ მასულდგმულებს,  
 თან ახლავს ზეიმს სევდა მწველი.  
 შენს სამეფოდან მსურს წასვლა!  
 ო, ღმერთო მომეც ნება.

ვ ე ნ ე რ ა: ამას რას ვისმენ?  
 რა ჰანგებს მწუხარეს,  
 აქ რად აუღერებ?  
 აღარ გსურს ქება ტრფიალის  
 დიდების ჰიმნი წარმოთქმული...  
 რა გჭირს?  
 ვინ უკუაგდო ტრფიალება?  
 ძვირფასო, რა დაგიშავე,  
 სთქვი!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: მოწყალე ხარ!  
 მიძღვენი სიყვარული

მარადიული უკვდავებისა.  
შესაშურია სათუთ(ი) მკლავებში  
გრძნობის ჩაქსოვა,  
ღვთაების ტრფობა...  
წარმტაცი არის შენი სამყოფელი,  
მიმზიდველია შენთან ცხოვრება,  
არ არის მხარე უფრო მშვენიერი,  
მომხიბლველი,  
ტკბილ სიზმარს წააგავს...  
მაგრამ მიზიდავს ქარის ქროლვა,  
სურნელება ტყის ჰაერისა,  
ცის სივრცე ღრუბლით მოსილი,  
მობიბინე მინდორ-ველი,  
ჩიტების მღერა და გალობა,  
ზარების სივრცეში გრიალი,  
აქედან შორს გადაფრენა...  
დედოფალო,  
ღმერთო,  
მისმინე!

ვენერა: მაცთურო!  
ო, რა გნებავს მოვისმინო,  
რას მიმღერ,  
რა ჰანგზე?!  
ტრფიალება დაჰგმე,  
თავს იქებდი.  
გსურს ჩამოცილება?  
შენ მოგბეზრდა ჩემი სიყვარული?

ტანკოიზერი: ოჰ, ღმერთო ჩემო  
ნუ განმირისხდები.

ვენერა: შენ მოგბეზრდა ჩემი სიყვარული?!

ტანკოიზერი: შენს მშვენიერებას მე გავურბივარ

ვენერა: განვედ მაცთურო!

ფლიდო,  
უმაღურო,  
შორს!

ტანკოიზერი: ეს იყო ჩემი ტრფობა.

ვენერა: არ გაგიშვებ,  
შენ მე არ მიგატოვებ!  
განვედ მატურო,  
უმადურო,  
ვერ წამიხვალ,  
ალარსად გაგიშვებ,  
ვერ წამიხვალ  
არ გაგიშვებ.

→ (ერთად)

ტანკოიზერი: გევედრები,  
ახლავ გადამაფრინო,  
განშორების დროა.  
მსურს დაგტოვო მარტოდ (2-ჯერ)

(ვენერა სახეზე აიფარებს ხელებს, ცოტა ხნის შემდეგ რისხვას მატუარი ღიმილით შესცვლის)

ვენერა: გთხოვ,  
შეხედე იმ გამოქვაბულს  
ვარდის სურნელს რომ აფრქვევს,  
მოგხიბლავს ის სურნელით ტკბილით,  
სიხარულს მოგგვრის უმაღვე.  
მოცილდი ბნელ განზრახვას,  
კმარა!  
უმაღვე სევდა გაჰქრება  
და გულში სიხარული მოვა.  
გრძნობათა ცეცხლს აგიელვარებ.  
კვლავ შევესვამთ ტრფობის ნექტარს-უკვდავების!  
ჩემს მკლავებში შევიგრძნობ ვნებათ ძალას,  
ბაგეებიდან შესვამ ჭიყვარულს,  
მწველ თვალებიდან მიმზიდველობას,  
მხიარულ ზეიმს გადავიხდით დიადად,  
ტრფიალის აღზე სიამეს შევიგრძნობთ!  
არ გირჩევ წასვლას ვნებათ სარეკლიდან,  
ჩემის ტრფობით გრძნობა მოგიზღვევდება  
რაინდო, ჩემო ძვირფასო! მიმატოვებ?

სირინოზები: აქეთკენ მოდიო, მოდიო ამქვეყნად.

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: ელერს სიმები მხოლოდ შენი  
ტრფობისათვის,

ჰანგები იღვრება სიყვარულის,  
შენდამი ლტოლვა წყაროა მძვენების.  
ეს სილამაზე შენგან გადმოჩქეფს.  
ვნება, რომელიც ჩემს გულში დაანთე,  
ლამპარი იყოს მარადიული,  
ჩვენ ერთადა ვართ მფარველი მშვენების,  
იქითკენ მიწევს გრძნობა და ფიქრი  
იქით ვილტვი —

დედამიწისკენ!

აქ მხოლოდ მონას ვემსგავსები,  
მსურს შვება და სიხარული,  
მსურს შვება, თავისუფლება,  
ბრძოლა და ჭიდილი მტერთან,  
იქ სიკვდილი, განსვენება.  
ამისთვის ვითხოვთ დამცილდე,  
ო, ღმერთო ჩემო  
მისმინე!

ვ ე ნ ე რ ა: წადი,  
მომშორდი!

წადი,

მომცილდი!

განვედ ჩემგან,

შვებას გაძლეე!

წადი! წადი!

რალას უცდი!?

ინავარდე!

რას აყოვნებ!?

ჩამომცილდი,

წადი,

წადი!

იქ, შენს ადამიანებში,

ცთომილთ მხარეში,

ვისგანაც ღმერთნიც განცალკევდებიან,

და ცხოვრობენ თბილ წიაღებში,

წადი მოკვდავო!  
ენდე შენს ბედს, (2-ჯერ)  
მას ვერ კპოვებ,  
შენს სულს დაემორჩილები,  
ისევ გამომეცხადები გულგანგმირულ,  
მეძიებ მე,  
მოსვლას მთხოვ,  
გრძნეულ სიყვარულს,  
მარტოდ, ობოლი შემთხოვ შეველას,  
მოინანიებ.  
შეგინდობ!

ტ ა ნ კ ო ი ზ ე რ ი: ო, ჩემო ღმერთო,  
შენ არ გთხოვ  
უკანვე ჩემს დაბრუნებას.

ვ ე ნ ე რ ა: ჰა, მიმატოვებ და აღარ დამიბრუნდები,  
ჰა, განშვორდები და ველარ იგრძნობ  
ჩემს გრძნეულებას,  
სიყვარულს!

ჩემს გრძნეულებას ვერას დროს შეიგრძნობ, (2-ჯერ)  
იმ ქვეყანაზე გმირიდან  
მონად იქცევი,  
კვლავ ჩემკენ მოხვალ

ტ ა ნ კ ო ი ზ ე რ ი: დე, ვიყო მე უბედური,

ვ ე ნ ე რ ა: გთხოვ, დამიბრუნდე ძვირფასო!

ტ ა ნ კ ო ი ზ ე რ ი: მარადის გემშვიდობებები,

ვ ე ნ ე რ ა: როდესაც მარტო დარჩები

ტ ა ნ კ ო ი ზ ე რ ი: უფალი მიხსნის ცთუნებულს

ვ ე ნ ე რ ა: არსაიდან ხსნა არ გაქვს შენ —  
— ცთუნებულს!

დაბრუნდი ჩემთან!

ტ ა ნ კ ო ი ზ ე რ ი: ღმერთო შემიწყალე,  
მარიამ!

(ვენერა შეპკივლებს და გაქრება, გამოქვაბული ბნელდება)

### სცენა III

ტანპოიზერი, ახალგაზრდა მწყემსი, პილიგრიმები

(ტანპოიზერი უეცრივ აღმოჩნდება ვარტბურგის ქალაში, მის თავზე კრთის ცის ლურჯი კამარა და მზის სხივები, მარჯვნივ მოჩანს ვარტბურგის სასახლე, სასახლიდან ქვემოთ მოიკლავება გზა, გორაკზე საკრებულოა რამდენიმე საფეხურით: მარცხნივ, ხეობაში მოჩანს გერზელბერგი, ისმის საქონლის ევენების ქლარუნი, ხეობის ნაპირთან ზის ახალგაზრდა მწყემსი)

მწყემსი: (უკრავს სალამურს)

აქ ჰოლდა ჩამოდის მთებიდან,  
სეირნობს მომწვანო ველზე,  
უტკბესი ხმები შემომესმა,  
ამეხილა თვალები ისევ.

აქ მე მეძინა მარტოკა  
და როდესაც გამომეღვიძა,  
მანათებდა სხივი მზისა,  
მზისა, ზაფხულის...

ქლერდა სალამური,  
ლალად მაისი მოგვევლინა  
(უკრავს სალამურზე)

პილიგრიმები: (თანდათან ძლიერდება პილიგრიმების ხმები,  
რომლებიც ვარტბურგის საკრებულოდან მოეშურებიან ქალისაკენ)

მოგმართავთ შენ,  
ო, იესო ქრისტე!  
პილიგრიმთა განმკითხავო,  
ვადიდებთ უწმიდეს ქალწულს,  
მშვიდობით იყოს გზა ჩვენი.  
ო, ცოდვილნი ცთუნებისაგან  
ჩვენ მოვილტვით მშვიდობისაკენ.

მორჩილად ვლალადებთ,  
ვაქებთ სულიერ სიწმიდეს  
და ცოდვას ვინანიებთ,  
ამქვეყნიურ ცთუნებას და შეცოდებას!  
ნეტარ არს მორწმუნენი,  
ვინც ჯვრით სამოთხისაკენ ილტვიან!



ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ წ ყ ე მ ს ი : (დაუძახებს, როდესაც მლოცველები  
ქალაში გამოჩნდებიან)

მადლი ღვთისაგან!

რომში ილოცეთ ჩვენი სულისათვის!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი : (სენის სიღრმიდან, სადღესასწაულო ექსტაზით  
შეპყრობილი)

მადლი შენ, უფალო,

დიდია მოწყალეობა შენი!

პ ი ლ ი გ რ ი მ ე ბ ი : (პილიგრიმები შედიან სამლოცველოში, მწყემსი  
მიდის, თანდათან წყდება ჯევნების ელარუნის ხმები)

მოგმართავთ შენ, იესო ქრისტე,

შენ ხარ პილიგრიმთ მფარველი,

ვადიდებთ უწმიდეს ქალწულს,

მოგვეცი ძალა განწმედის!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი : (მუხლმოყრილი ლოცულობს).

ცთუნებულნი ცოდვისაგან...

მე ვითხოვ შენდობას და სიმშვიდეს

მორჩილებით ვინანიებ

და მიხსენი ბედისწერისაგან.

(გრემლი ებჯინება. განიცდის)

პ ი ლ ი გ რ ი მ ე ბ ი : (შორიდან მოისმის მათი სიმღერა და მონადირეთა  
საყვირის ხმები)

ბრწყინვალე ღღესასწაულზე დაგვიხსენ ცოდვათაგან  
ჩვენ,

გვიჩვენე ნათელი გზები.

(ტყის ბილიკზე გამოჩნდება ლანდგრაფი და რაინდები სანადიროდ აღ-  
კურვილნი)

#### სცენა IV

ლ ა ნ დ გ რ ა ფ ი : (შეამჩნევს ტანაოიზერს)

ვინ ლოცულობს გულმხურვალედ,

შეხედეთ!

ვ ა ლ ტ ე რ ი : მლოცველია!

ბ ც ტ ე რ ო ლ ფ ი : რაინდის აქვს სამოსი

(ვოლუზაში ახლოს მივა და შეიყნობს)

ვოლფრამი: ის არის, ის არის.

ვალტერი, ჰაინრიხ, ჰაინრიხ... ნამდვილად!

ბიტეროლფი, რაინმარ: სამშობლოში დაბრუნდი?

ხომ გახსოვს

დაგვეტოვე ამაყად.

ბიტეროლფი: სთქვი, დაბრუნება რას უნდა ნიშნავდეს?

ვალტერი, ჰაინრიხ, ბიტეროლფი, რაინმარ.

ლანგრაფი: ბრძანე! სთქვი!

ბიტეროლფი: მშვიდობა გინდა, თუ ბრძოლა?

ვალტერი: მტრად მოსულხარ, თუ მოყვარედ?

ყველანი: ბრძანე!

ვოლფრამი: ო, ნუ მკითხავთ. არის ეს სიდიადე,

მოგვენატრე მგოსანო ჩვენო,

დაგვეკარგე, რა ხანი გავიდა!?

ვალტერი: სალამი თქვენს მობრძანებას!

ბიტეროლფი: ვწუხდით უმეგობროდ ყოფნას.

ყველანი: ვწუხდით, ვწუხდით!

გესალმებით!

ლანდგრაფი: მიიღეთ ჩემი სალამი!

ბრძანე სად იყავ ამდენ ხანს?

ტანჰოიზერი: ემოგზაურობდი შორეულ მხარეს,

სადაც ვერ ვიპოვე სიმყუდროვე,

კმარა... ბრძოლისათვის არ მოვსულვარ.

შემირიგდით!

ნებას ვითხოვთ წასვლის!

ლანდგრაფი: არა, ჩვენი ხართ ისევ!

არ გაგიშვებთ!

ვალტერი: არ გაგიშვებთ

ბიტეროლფი: აღარსად გაგიშვებთ.

ყველანი: აქ დარჩით!

ტანჰოიზერი: მე გთხოვთ,

გამიშვით

გავემგზავრო...

ყველანი: დარჩი, დარჩი!

ტანჰოიზერი: არასდროს დაგიბრუნდებით!

ყველანი: დარჩით, დარჩით ჩვენთან,  
 შენ უნდა დარჩე,  
 არ გაგიშვებთ,  
 ვერ დაგტოვებთ!  
 ტანპოიზერი: ჩემი გზა მხოლოდ  
 წინ მიიწევს!  
 ყველანი: კვლავ მოგეძებნე,  
 რატომ დავცილდეთ?  
 ტანპოიზერი: ჩემი გზა მხოლოდ  
 წინ მიიწევს  
 ყველანი: ხანმოკლე იყო შეხვედრა.  
 ტანპოიზერი: ჩემი გზა მხოლოდ წინ მიდის,  
 ოჰ, აღარ დაგიბრუნდებით!  
 ყველანი: რისთვის დავცილდეთ?  
 ხანმოკლე იყო შეხვედრა,  
 დარჩი ჩვენთან,  
 შენ უნდა დარჩე!  
 ტანპოიზერი: არ მსურს ისევ დაბრუნება,  
 არა, შორს!  
 ყველანი: საითკენ მიიჩქარი?  
 რისთვის დავცილდეთ,  
 მოიცადე ჩვეინთან,  
 გთხოვთ დარჩე,  
 აქ დარჩი ჩვენს წრეში,  
 დარჩი, დარჩი, დარჩი!  
 ჩვენთან დარჩი.  
 ტანპოიზერი: შორს მივალ თქვენგან!  
 თქვენგან შორს, შორს, შორს!  
 ვოლფრამი, ვალტერი: დარჩი ჩვენთან,  
 აქ, ელისაბედთან!  
 ტანპოიზერი: (სახელის გავონებაზე გამოერკვევა, სახე  
 გაუნათდება)  
 ელისაბედ!  
 ო, ზეცის ძალნო!  
 მომესმა სატროფოს სახელი?!

ვოლფრამი: ნუ ჩამთვლი მისი მოხსენებისათვის მტრად.  
მოვითხოვ ნებართვას მისი სახელის წარმოთქმისათვის.  
ლანდგრაფი: სთქვი, თუ გრძნეულმა რითი მოგხიბლა,  
და ღმერთმა მოგანიჭოს, რაც გეკუთვნის მაგიერი.

ვოლფრამი: როს სიმღერაში გვეჩიბრებოდი  
და მომღერლებს ნიჭით დაგვაპარცხებოდი  
ყოველი ბგერა გულიდან მოჩქეფდა,  
შენ მარტო იყავ გვირგვინოსანი,  
ყველას მჯობნი, ზეიმობდი ლალად.  
გრძნეული ხარ, თუ კეთილი,  
გულის სიღრმეში წვდებოდი.  
ჰანგთაგან ჩვენის ცხოვრების  
ქღერდა ჯადოქრული ხმები,  
ჰანგთაგან შენის სიმღერის  
ტოკავდა გული ქალწულის.  
ოდეს ამაყად მიგვატოვე.  
ჩაიკლა ჰანგი მის გულში.  
ვხედავდით მის ფერმკრთალ(ი) სახეს,  
უარყო ჩვენთან კავშირი  
და მიგვატოვა მეგობრები.  
ო, დარჩი დიადო მგოსანო,  
დაგვიბრუნდი!  
შენის ჰანგით ჩვენს დღესასწაულს აკლდი  
დიდხანს,  
კვლავ ამობრწყინდი ვარსკვლავო.

ყველანი: დაბრუნდი ჰაინრიხ,  
გახდი ჩვენი,  
ნუ მიდიხარ!  
გათავდეს ჩვენს შორის დავა.  
ნუ მიხვალ ჩვენგან მომღერალო,  
იმღერე ისევ ჩვენი ჰანგი,  
იმღერე ძვირფასი ჰანგები,  
იმღერე ჩვენი სიმღერები  
და ძმობა იყოს მარადყამს,  
შულლსა და მტრობას მოვეშვათ.  
დავმეგობრდეთ!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: მასთან,  
 მასთან!  
 ო, მას მივაშუროთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი: დაგვიბრუნდი,  
 მოდი ლტოლვილო (შვილო),  
 დაგვიბრუნდი,

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: ჰა, ახლა შეგიცანით ძმებო!  
 სამყარო მშვენიერია


ყ ვ ე ლ ა ნ ი: სასწაულმა მოგავლინა!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: და ზემოდან კამკამა ზეცა.  
 ბიბინა ბალახით  
 ველნი ხარობს, ხარობს!  
 მომესმის ფრინველთ ხმები,  
 ჭიკჭიკი სულს ახალისებს,  
 კრთის ვნება და სიამოვნება, (2-ჯერ)  
 კვლავ მიძახის,  
 გული ხარობს,  
 სიამით ივსება სიხარულით და ვნებით,  
 მისკენ, მისკენ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი: მოგესალმებით გულმხურვალედ,  
 გეფიცებით და გადიდებთ.  
 დე, ჟღერდეს მგოსნის ჰანგი მარად (და)  
 და უკვდავების სიმბოლოდ,  
 იღეროს ისევ სივრცეში ხმამ, (2-ჯერ)  
 თქვენი ჰანგები ჟღერდეს  
 მხიარულად, დიადად,  
 იღეროს ჰანგმა მაგ თქვენი გულ. დან.

ლ ა ნ დ გ რ ა ფ ი: სასწაულმა მოგავლინა.  
 ჩვენ აქ კვლავ სალამს გრძნობით გიძღვნი.  
 გეფიცებით, გადიდებთ.  
 ჟღერდეს მგოსნის ჰანგი მარად  
 და უკვდავების სიმბოლოდ.  
 იღეროს ისევ ხმებმა, (2-ჯერ)  
 ჰანგები ჟღერდეს დიადად,  
 იღეროს უფრო ციურმა ხმებმა  
 ყველას გულიდან. (2-ჯერ)

→ (ერთად)



„ტანპოიზერის“ II მოქმედების II სურათი. „მომღერალ“  
ითის ოპერის თეატრის დაღმა

ბაირო-

ტ ა ნ პ ო ი ზ ე რ ი: ჰა, ახლა შეგიცანიო ისევ  
სამყარო მშვენიერია.

გაისმის ათაბამდე ხმები.

გალობენ. მღერიან ჩემს გულში

კვლავ უცნობი. ნეტარი ვნებებით

მიხმობს გული მისკენ.

უცნობი, ნეტარი ვნებებით მიხმობს

მეძახის მისკენ, მისკენ, მისკენ.

მიხმობს მისკენ.

→ (ერთად)

ყ ვ ე ლ ა ნ ი: დაგვიბრუნდი, ნუ მიგვატოვებ!

სასწაულმა მოგავლინა.

შეგვასმენდე შენს უკვდავ ჰანგებს

ჩვენდამი სამადლობელოდ.

ელერდეს, ელერდეს მხიარულ ჰანგიო,

დე, ელერდეს მხიარული ხმები.

დე, ელერდეს მხიარული სიმღერები.

პანგი ყველას(ი) გულიდან.  
იყდეროს მსიარულმა ხმებმა  
სამარადისოდ!  
ყველგან!!

(კლავში შემოდის მონადირეები, ლანდგრაფი ჩაბერავს რქაში, რომელიც  
საი, ეხმაურებათ ასეა საყვირები. როდესაც გაუშვრებიან ცხენებით, ღია  
და იხურება)

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა II

### სცენა I

ვის სასახლის მომღერალთა დარბაზი. სასახლიდან მოჩანს ე.არტ.  
ბურგის კალა, სცენის სიღრმეშია ელისაბედი)

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: ტაძარო წმიდავ,  
მსიამოვნებს შენი ნახვა  
გესალმები!  
თქვენ მომაგონებთ მის სიმღერას,  
მიღვიძებთ ძველ მოგონებას —  
როდესაც მიგვატოვა.  
სუფევს მღუმარება,  
შემიპყრო მწუხარებამ  
ესულდამულობ ოცნებით.  
ოდეს აღვაპყრობ თვალთა ჩემთა  
ვეუყურებ სახეს ელვარეს,  
ტრფიალება ჩვენ გვაულლებს,  
ნუ მტოვებ ძვირფასო!  
ოდეს აღვაპყრობ თვალთა ჩემთა  
გიყურებ შენ —  
უძვირფასესს!  
ტრფობამ მე და შენ შეგვაულლა,  
ნუ მტოვებ მარტოდ, ძვირფასო!  
სალამი შენდა,  
დიდება შენდა  
ოცნებავე ტყბილო!

გესალმები,  
გესალმები —  
ოცნებავ ტკბილო!  
გესალმები!

## სცენა II

ელისაბედი, ტანპოიზერი, ვოლფრამი

ვოლფრამი: აქ არის,  
მოდი ახლოს, შეხედე!

(თვითონ დარჩება სცენის სიღრმეში და მოეფარება, ტანპოიზერი მუხლს  
მოიდრეკს ელისაბედის წინაშე)

ტანპოიზერი: მეუფევე!  
ელისაბედი: (შემკრთალი)  
ო, აბრძანდით, გთხოვთ:  
აქ თქვენ ვერ შეგხვდებით!  
(მიიწევს გასასვლელად)

ტანპოიზერი: (შეაჩერებს)  
მე გთხოვთ!  
დარჩით და დამრთყით ნება აქ ყოფნას!

ელისაბედი: წამოდექით!  
არ მსურს თავმდაბლობა,  
ამ ტაძრის თალი თქვენი სამეფოა.  
წამოდექით,  
მაქვს პატივი,  
თქვენ ისევ დაგვიბრუნდით.  
სად იყავთ ეგოდენ ხანს?

ტანპოიზერი: (ნელა წამოიწევა)  
შორეულ, უხილავ, უცხო მხარეს,  
სადაც ივიწყებენ დღეიწ და ხვალის საზრუნავს.  
ძველ მოგონებებს.  
გაქრა ყოველივე,  
მანსოვდა მხოლოდ



დაგკარგე ძვირფასო!  
გაქრა მომავალი,  
ვერ გიხილავდი  
და შემოხედვას თუ გაგიბედავდი...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: რა შეგემთხვათ,  
რამ ჩამოგიყვანათ?

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: სასწაულმა!...  
შეუცნობელმა სასწაულმა!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: უხილავ ბედისწერას

მივესალმები,

ქედს ვიხრი!

მე გთხოვთ მოტევებას,

ჩემს თავს ველარ ვცნობ!

სიზმარში ვარ,

ბავშვივით ვმეტყველებ!

შენ ხარ შემწე

უცნობ გრძნობათა ძალის!

მე ჩემს თავს ველარ ვცნობ!

ო, მიშველეთ,..

ჩემს გულში ნადებს

რისთვის გაგანდობთ თქვენ!

აქ მომღერლების სამყაროა,

მეც თქვენთან ვარ მარად!

სიმღერა თქვენი,

ხოტბად გაისმის დიადად. (2-ჯერ)

სიამით ძგერდა გული,

მიხმობს ის ხმები ნეტარებისა...

კვლავ აღსდგა მწველი ტრფობის ფიქრნი,

კვლავ ვებრძვი გრძნობებს დაფარულს...

ნეტარი ტრფობის ისევ აღსდგა!

იდუმალ გრძნობებს ვიგონებ,

როდესაც წახველ ჩაკვდა ტრფობა.

გამიქრა ტკბილი ოცნება.

გადიკარგე, დაგვცილდი, წახველ,

ნათელი დღე გახდა ბნელი.

სიმღერა გულში გრძნობებს ჰკლავდა,

არ მიზიდავდა ჰანგები,  
სიზმარში ვგრძნობდი მწარე ვნებას  
და ცხადში სევდას მწუხარის.  
ჩამიქრა ტრფობის შუქი — გულში...  
ჰანრიხ, ჰანრიხ... ო, რისთვის გამწირე?

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: იქ,.. ტრფობის ღმერთი განადიდე!  
მან შენკენ მიხმო, მაუწყა!  
მან შთამაგონა შენზე ფიქრი  
და შენკენ გამომგზავნა.

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი, ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: დიდება მას ვინც  
გვიძლენა

ძვირფასი დრო, ძალა.  
მან ოქროს შუქი მომცა.  
და გრძნობა აღიარა.  
დიდება ძვირფას წუთებს,  
მან ოქროს შუქი მოგვცა  
და გრძნობა აღიარა.

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი, ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: და შენკენ მიხმო.

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: ტრფობას ისევ ვიწყებ,  
შენს გრძნობას მივენდობი,  
ო, კვლავ მივენდობი,  
სიამოვნებით დავუბრუნდები  
ახალ ცხოვრებას,  
მიმიძღვენ შენი მშვენება  
ახლად განცდილი ვნება (2-ჯერ)  
ეს მე მახალისებს,  
მოვუხმობ ნათელ ტრფობას (2-ჯერ)  
შენ ჩემო ძვირფასო!  
განცდილი გრძნობა სიყვარულისა  
მიხმობს, ძალ-ლონეს შემმატებს,  
სიცოცხლის ძალას ვგრძნობ!  
ო, ძვირფასო წუთებო...  
იდიდოს ღეთაებამ!  
გამათბო ოქროს შუქმა,  
სიახლოვემ შენმა!

დიდება, დიდება მის ძალას!  
უახლეს გრძნობას  
სიამით მივესალმები  
სიხარულს ვუხმობ,  
ვეუწოდებ ძალას დიადს,  
მის მშვენიერებას მოვეუხმობ,  
ტრფობის ძალას მოვეუხმობ,  
ტრფობას ვეძახი,  
ჩემს მოწყალებას მოვეუხმობ,  
მოვეუწოდებ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: სიცოცხლისათვის მიხმობს მზის ოქროს  
სხივები,

ნერგავს სიცოცხლის ძალას,  
ვეუწოდებ სიხარულს.  
კვლავ ვუხმობ ძალას ნათელს,  
მიცინის მზის შუქი,  
ნერგავს სიცოცხლის ძალას,  
ჩემო სიხარულო!  
სიცოცხლის ძალა მიწვევს (2-ჯერ).  
მოვეუხმობ სიხარულს,  
მახალისებს!  
ო, დიადი წუთები,.. იდიდოს ღვთაებამ!  
გამათბო ოქროს შუქმა,  
სიახლოვემ შენმა.  
დიდება, დიდება მას!  
იმ წუთებს,  
დიდება მის ძალას  
მის სამეფოდან შუქი მიცინის მნათობის,  
მიცინის მნათობი,  
აღმიგზნებს ახალ გრძნობებს,  
ვეუწოდებ სიხარულს, ნეტარ სიყვარულს!  
კვლავ შევიცანი ტრფობა,  
ახალ სიყვარულს ვაქებ,  
ვეუწოდებ გრძნობას უნაზესს,  
ვეუწოდებ სიყვარულს (2-ჯერ)  
ჩემს სიხარულს

ვოლფრამი: ცხოვრება ასე ილტვის,  
კვლავ გაქრა იმედი.

(ტანმოიზერი და ვოლფრამი მიდიან, ელისაბედი სარკმლიდან ადევნებს  
თვალს)

### სცენა III

ელისაბედი და ლანდგრაფი

(ლანდგრაფი შემოდის გვერდით კარებიდან, ელისაბედი მკერდზე მიეყრ-  
დნობა)

ლანდგრაფი: როგორ მოხდა?

შენ ამ დარბაზში რა ხანია  
არ ყოფილხარ?!

როგორც იქნა მოხველ,  
ზეიმზე მოვემზადებით.

ელისაბედი: მეუფე,  
ქვირფასო მამა!

ლანდგრაფი: მოითხოვ, რომ  
შენი საიღუმლო მითხრა?

ელისაბედი: გთხოვ შემომხედე.  
სიტყვა არ ძალმიძს

ლანდგრაფი: ნუ ჩქარობ მაგ საიღუმლოს თქმას,

შეინახე ის ცოტა ხანს  
ეშმაკმა რომ არ შეგაცდინოს.

დრო მოვა და მოესწრები,  
დრო მოვა და მაშინ მოესწრები თქმას.

გესმის საოცარი სიმღერა,  
რომელიც შეიცან ისევ

შეისმენ და მისი ხმა

კვლავ გაგაბედნიერებს.

ქეშმარიტი ხელოვნება აღსდგა!

ხედავ, მოდიან ჩემი მომღერლები,

მე მათ მოვუხმობ დღესასწაულზე

მოდიან შერავანდებით,

გესმის ხმები?

შენ აქ ხარ დედოფალი!

## სცენა IV

ლანდგრაფი, ელისაბედი, მომღერლები, ვრადები, რაინდები და კელიღშობილი ქალები

(ლანდგრაფი და ელისაბედი სხდებიან ტახტზე, ესალმებიან სტუმრებს, მათ ოთხი პაეი ემსახურებათ)

რ ა ი ნ დ თ ა გ უ ნ დ ი: (I—II ტენორი, I—II ბანი). (მარში)

ერთხმად ვესალმებით მუზების ტაძარს

აქ სიმშვიდე და მუსიკა გვართობს,

ხომ გესმით ძახილი ჩვენი,

ტიურინგის მთავარს, ლანდგრაფ ჰერმანს ვაშა!

გ უ ნ დ ი: (სოპრანო, ალტი) ერთხმად ვადიდებთ ნათელ  
სასახლესი.

აქ ხელოვნების დროშა ირხევა,

სად ისმის ჰიმნი ჩვენი ძლიერების

ტიურინგის მთავარს, ლანდგრაფ ჰერმანს ვაშა!

გ უ ნ დ ი: (ყველა ხმები ერთად)

ხომ გესმით ხმები მოწოდების (2-ჯერ)

ტიურინგის მთავარს, ლანდგრაფ ჰერმანს ვაშა!

გესმით მოწოდების ხმა ჩვენი,

ტიურინგის მთავარს, ლანდგრაფ ჰერმანს ვაშა!

ლალად ვადიდებთ გმირებს ჩვენსას მარად,

იქ, სადაც უღერს და გვესმის სიმღერა,

ხომ გესმით ჩვენი ხმები,

უღერს სიმღერა და გვიხმობს ბედისწერა.

ტიურინგის მთავარს ჰერმანს ვაშა!

ლალად ვადიდებთ უკვდავს,

მარად ვაქებთ მომღერლებს ჩვენსას.

თავისუფლებას!!

ხომ გესმით ხმები მოწოდების?!

ხომ გესმით ხმები ჩვენი მღერის?!

ხომ გესმით ჩვენი მოწოდება?!

ტიურინგის მთავარს ლანდგრაფ ჰერმანს ვაშა!! (4-ჯერ)

(სხდებიან)

(მომღერლები დგებიან, ესალმებიან დამსწრეებს, იკავებენ ადგილს. პაეები მათ უთითებენ ადგილებს)

ლ ა ნ დ გ რ ა ფ ი: (წამოდგება)

მრავალჯერ ყოფილა ამ სასახლეში სიმღერა.  
ჩემო კარგო პოეტებო გვესმოდა სიბრძნე,  
დიდების ჰანგებში სიამეს ჰფენდნენ ხმები მუსიკის.  
როდესაც სისხლიან მახვილით ჩვენს მტრებს ვებრძო-

დით მშობლიურ ქვეყნისათვის

ჩვენ დავამარცხეთ ველფნი მძაფრ ბრძოლაში.  
სახელი დიდება კვლავ მოვიპოვეთ,  
დიდება ჭილდოდ მოგვევლინათ გვირგვინო,  
სიკეთე და მშვიდობა სუფევს,  
უმღერეთ ქველის მოქმედს მარად,  
უჩვენეთ ძალა მუსიკის,  
დიდება მოგელით ყველას.

ვზეიმობთ ერთად ამ დღესასწაულს,  
ჩვენ დავგიბრუნდა ლტოლვილი ხელოვანი,  
მოსული შორი ქვეყნიდან,

ის ისევ დავგიბრუნდა, მოგვევლინა იღუმალ  
ძალთაგან,

შევიცნოთ!

ის სიმღერებით უნდა გამოვიცნოთ!  
ახლა შეგეკითხებით აქ დამსწრეთ  
იღუმალი ტრფობის შეგრძნებას თუ შესძლებთ?  
ვინც ყველაზე უკეთ ამ ძალას აღიღებს  
ჭილდოს თვით ელისაბედი გასცემს.  
სურვილისამებრ თქვენ მისგან მიიღებთ,  
გპირდებით, რაც აღვითქვით — შეგისრულებთ!  
გთხოვთ, მომღერლებო!

მომართეთ სიმები!

რაც ვთქვით ნათელია,  
ჭილდოსათვის დავიწყოთ ბრძოლა რაინდებო!

გ უ ნ დ ი: (ყვლანი)

ვაშა! ვაშა! ტიურინგის მთავარს!

ვაშა! ვაშა! ქეშმარიტ ხელოვნებას ვაშა!

ვაშა! ვაშა!!

(ოთხი პაეი მომღერლებს ჩამოართმევს ბარათებს, რომლებზედაც მათი  
გვარები წერია, დებენ მათ ოქროს ყუთში და მიართმევენ ელისაბედს,

ელისაბედი ამოიღებს ერთ ბილეთს და გადასცემს პაეს, პაეი საჯაროდ გა-  
მოაცხადებს მომღერლის გვარს)

ოთხი პაეი: ვოლფრამ ფონ-ეშინბახ, დაიწყეთ!

(პაეები ლანდგრაფის ქვემოთ დასხდებიან. ვოლფრამი წამოდგება ტანპო-  
იზერი ჩანგზე დაყრდნობილი ოცნებას მიეცემა)

მომღერალთა პაექრობა

ვოლფრამი: ოდეს ვუმზერ ამ დიად გმირთა კრებულს,  
შემმატებს თქვენი მზერა სიხარულს.  
გერმანელთ გმირნი მრავლად მოვლენილან:  
როგორც რომ მუხა მყარი, მაგარი.  
ვუმზერი ასულებს, თვალწარმტაც ქალებს  
ყვავილებს ძვირფასს -- ჩვენის გვირგვინის,  
შეხედვა მათი თვლებს ახალისებს,  
დაცხრება ჰანგი მათი შემყურე.  
მივაპყრობ თვალს იქ, ვარსკვლავს მოკამკამეს,  
მაუწყებს ის ჩემს ბედისწერას და...  
მიმოკრთის სული მარტოდ დარჩენილი,  
ვეძლევი ფიქრებს ნაზ ოცნებაში.  
ვხედავ და მეჩვენება მისი სახე  
ნათელი შუქით გაბრწყინებული,  
მისგან მივიღებ სულის თავშესაფარს  
გულით და სულით განვიწმიდები,  
შმაგ ვნებას და ცთუნებას მოვცილდები,  
მის მაცთურ გრძნობას შევებრძოლები,  
და სამსხვერპლოდ გავხდები, თავს გავწირავ!  
მისთვის დავანთხევდი წმიდა სისხლს!...  
ამგვარად მესმის გრძნობა სიყვარულის,  
ამგვარად მესმის წმიდა ტრფიალება.

გუნდი: მართლაც ღირსია ჯილდოსი.

ტანპოიზერი: (სიმღერის ბურუსით გარემოებული)

მეც მოვიხიბლე ამ სიმღერით,  
მაგრამ ვოლფრამ, ხომ ვიცით,  
ამ გრძნობას ვიცნობთ, ცხადი არის.  
მისმინე, ფიქრებს გიმღერებ:  
არ მართობს სურვილი ამგვარი,

გავურბი მიზეზს ტრფობისას,  
როდესაც მწარედ ვიგრძნობ განცდებს მწველ ბაგე-  
თაგან — დაედნები!..  
შევსრუტავ ვნებათა აღზნებით, ამ გრძნობათ ლელვას  
ავყვები,

მისი დაცხრომა ვერც კი ძალმიძს,  
როგორ ჩავიკლა ტრფიალი!?  
ო, მანამ შევსრუტავ —  
ვიდრე ძალა მეყოფა შმაგ ტრფობისათვის!  
იცოდე ვოლფრამ, რას ნიშნავს ჩემთვის ტრფობის  
ძალის ვანცლა!

კმარა!...

(ელისაბელი ამხნევებს, მაგრამ როდესაც ღარბაზში შეამჩნევს:  
უხერხულ განწყობას — თავს იკავებს);

ვ ა ლ ტ ე რ ი: ვოლფრამის გრძნობა, რაც აქ ითქვა, ვისმინე!  
მსურდა განჰვრეტა.

ვერ მივწვდი ტრფობის შემეცნებას — ჰაინრიხ!

ვისთვის ისწრაფვი,

მსურს მოგვანხენო, განგვიმარტო,

ეს გრძნობაა უნათლესი!

შენ უნდა გქონდეს მისწრაფება

და მსხვერპლი მისთვის გაილო

ოდეს შეახებ მწველ ბაგეებს,

ვნებათაგან გრძნობას ემთხვევი,..

შენ ველარ შესძლებ

ქეშმარიტი გრძნობების განცდა, გაგებას.

ვერ იგრძნობ წყაროს

გულის ვნებათ მაცნეს,

ვინ შეგისმენს უცნობი ტრფიალებას!

გ უ ნ დ ი: ვაშა, ვაშა ვალტერ!

ჩილდო მიუძღვენით!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: (წამოიჭრება)

ო, ვალტერ! რასაც იმღეროდი

ნამდვილი გრძნობა არ არის.

ოცნება შენ თუ გააღმერთე

გაჰქრება მოდგმა ამქვეყნის.



ღეთის წყალობაა დედამიწა,  
ხედავთ ცის ლურჯ კამარას?  
შეხედეთ ბედის ვარსკვლავს,  
თაყვანი ეცით წყალობას!  
რისთვისაც არ გთხოვენ პასუხს,  
რასაც შეიცნობთ ღეთისაგან,  
რასაც გულით და აზრით შეიცნობთ.  
რაც შეტყვევლია ერთი ბუნების  
და პასუხობს სიყვარულს  
დიდება მას საუკუნოდ!  
სიყვარულს ვიგრძნობ შმაგ ვნებებში.

ბ ი ტ ე რ ო ლ ფ ი: (წამოიჭრება გაშმაგებული)  
ბრძოლაში გვიწვევ ყველა აქ მყოფს?  
ვერ დაგვაშვიდებ.  
ისმინე.

ღიადი ხარ შენ!..

ნამღვილია!

სირცხვილი არის რაც ითქვა.  
მიზიდავს მხოლოდ სათნო ტრფობა,  
ბრძოლისთვის მამხნევებს მარად.  
დარჩები კვლავ მიუსაფარი!  
ბრძოლაში დავდვრი წმიდა სისხლს --  
ასულთა გრძნობის დასაცავად.  
რაინდი მედგრად ვიბრძოლებ!  
რას მოგცემს გრძნობა უშმაგე!..?  
არც კი ღირს თავისდადება!

გ უ ნ დ ი: ვაშა ბიტეროლფ!

ჰა, მახვილი!!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: (შეტის გააფთრებით)

ჰა, უმეცარო ბიტეროლფ!

სიყვარულს უმღერ მგელსავით?!

ვერ შეიცანი გრძნობა

და რასაც მე ვფიქრობ

ველარ ჩასწვდი.

გრძნობა შენ რა იცი ძმაო!

სიციოცხლეში ვინ გაღირსა?!

არასდროს განგიცდია ტრფობა,  
სიყვარულზე რას ღალადებ!?

გ უ ნ დ ი: შეწყდეს, გაჩუმდი!

როგორ გაბედა. (იშიშვლებენ მასვილებს)

ლ ა ნ დ გ რ ა თ ი: წყნარად! ჩუმად!

გთხოვთ, ჩაავით მახვილი!

(ვოლფრამის წამოდგომისთანავე ყველანი გაჩუმდებიან)

ვ ო ლ ფ რ ა მ ი: ო, ღმერთო, მოგვანიჭე ზეცით წყალობა.

ჰანგს უქვდავება!

მომეცი ძალა ცოდვით მონანიებისათვის.

შენ, სიყვარულო!

გიმღერ უწმიდეს გრძნობებით,

ანგელოზებრივ მშვენიერებას ეუმღერი.

აქ მოგავლინა ზეცამ

და სიწმიდისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ ყველას.

იმ ვარსკვლავის შუქი... (ტანპოიზერი აწყვეტინებს)

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: შენ გრძნობათა ღმერთო!

გიმღერს ჩემი ჰანგი.

სიმღერის ხმები მადლია ჩემი,

უტკბესი ვნება წყაროა გრძნობების.

ყოველი ბგერა შენი ქებაა,

ვინც მოგენდობა სათუთ მკლავებში

მას ტრფობის ძალა

ძალუძს შეიცნოს!

საბრალო არის

ვისაც არ უგვრძნია

ტრფობა ღვთაების.

გასწით ღვთისაკენ!

ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი, გ უ ნ დ ი: (ერთბაშად წამოიჭრებიან)

ჰა, გაიგონეთ?

ისმინეთ?

ისმინეთ?

გაიგეთ?!

ვენერას მთა!!

განვედ!!

განვედ!!

მოისმინეთ?  
მის ბაგეთაგან აღმოხდა ცოდვები.  
მღვიმეში მასთან ცხოვრობდა!  
არ არს შეცოდება!  
ვენერას მთაზე ცხოვრობდა,  
შესცოდა მასთან უმეცრად!  
მახვილი სისხლში შეედებოთ!!  
შორს აქედან!  
ჩამოგვეცილდეს!  
წყუელიმც იყავ ცთომილო!

(ელისაბელი გადაეფარება)

ე ლ ი ს ა ბ ე ლ ი: მისგან შორს!!  
ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი, გ უ ნ დ ი: რა გვესმის?  
ო, რას ვხედავთ?  
ელისაბელი უმანკო ქალი ცოდვილ შვილთან

ე ლ ი ს ა ბ ე ლ ი: შორს!  
ცოცხალი არ მიგიშვებთ,  
შორს!  
მახვილით მოკვლა შეება არის  
მისი საზარი ცოდვისათვის.  
რაც ვბრძანე — ისმინეთ!

ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი, გ უ ნ დ ი: ელისაბედ!  
ამას რას ვხედავთ,  
შენ როგორ ენდე  
ბილწ სიყვარულს?!  
ხომ ხედავ როგორ დაისაჯე?!  
წამება მისგან იგრძენი?

ე ლ ი ს ა ბ ე ლ ი: ეს ვიცი!  
ხომ ხარობს,  
ზეიმობს იგი, როგორც უნდა.

ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი, გ უ ნ დ ი: უარყო მან ყოველი წმიდი,  
არც კი სურს ცოდვათ შენდობა,  
ცისგან მიიღებს მისაგებელს,  
ცოდვილი წავა ზეცისკენ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი : ჩამოცილდით,  
 თქვენ არ ხართ განმსჯელები!  
 გულქვანო!  
 მისგან მახვილები შორს!  
 შეიწყნარეთ უმანკო ქალის ხმა.  
 შემისმინეთ!  
 ეს ღმერთის ნებაა.  
 მან ბნელი ცოდვა ჩაიდინა  
 მაცთურისაგან უნებლიედ.  
 თუ სურს რომ ცოდვა მიეტევოს,  
 მოსცილდეს ბნელ ბოროტებას.  
 ნუ უშლით, რისთვის ეურჩებით,  
 ხომ გესმით ცოდვილის?  
 შეიცნობთ აქ თქმულ ჩემს განზრახვას  
 სთქვით რას ჩაიდენდით თქვენ?  
 მხედავთ უმანკოს,  
 მსჯავრდებულს და ჩემს შებღალულ ღირსებას!  
 ეს გული ხარობს მისი ნახვით,  
 მიხარის მთელის არსებით!,  
 მასულდგმულებს!  
 ვილოცებ მისთვის, ჩემთვის, ტრფობისათვის.  
 ცოდვას ჩამოვაცილებ,  
 ის იგრძნობს იმედს,  
 იგრძნობს ნათელ იმედს.  
 და რაც მან შესცოდა —  
 ამგვარი ცოდვებისათვის ეწამა მწყალობელი უფალი!

ტ ა ნ ჰ კ ი ზ ე რ ი :

შორს, ბოროტნო ძალნო.

გ უ ნ დ ი , ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი :  
 ანგელოზი მოვლენილი ციდან  
 ღვთის განაჩენს ღაღადებს, ხედავ!  
 ცოდვილო მოღალატე,  
 ხედავ ცთუნებულო, ცოდვილო!  
 შენ ჩაჰკალ გრძნობა უმანკო,  
 შეარცხვინე!  
 შენთვის ითხოვს შენდობას.

ვინ არის რომ არ შეისმინოს,  
ცოდვები განიშოროს,  
განიცადოს,

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: მისთვის გიხმობ,  
ვლოცულობ, ცოდვილისათვის,  
მოტყეებისათვის,  
შენდობისათვის,  
ვლოცულობ მისთვის,  
ვლოცულობ მე მისთვის,  
ვლოცულობ ბნელ სულისათვის,  
მე ვლოცულობ ცოდვილ სულისთვის,  
შევთხოვ უფალს ზეცაში,  
მისთვის მე ვლოცულობ.  
მის ცოდვებს...

მისცემს  
ღმერთი მოწყალებას.  
მისთვის მიუზღობს

ყოველივეს  
ცოდვილ სულს.  
უფალი მოწყალეა.

ღიადია,  
მე შენთვის შევთხოვ  
წმიდანს.  
ღმერთი მას  
შეუნდობს, შეუნდობს!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: ის ცოდვებს ჩემსას  
ინანიებს.

უფალო ჩემო, შემინდე!  
ო, მე ჩემს ეერაგი საქციელით  
შევლახე ფაქიზი გრძნობა.

ო, შენ გთხოვ,  
მომიტყევე უწმიდესო,  
ნათელო ანგელოზო!

სპეტაკო!  
მე გთხოვ ზეცავ,  
ამ ჩემს ცოდვებისათვის

→ (ერთად)

შენლობას.  
(შევისმენ უფლის ხმას,  
არ ძალმიძს მისი განსჯა)  
ვერ შევიცანი ზეცის სიბრძნე.  
ვნანობ ჩემთვის, ვნანობ!  
სინდის ვიქეჯნი.  
ჩემთვის ვნანობ,  
სინდისს ვიქეჯნი.  
ვნანობ მწარედ.  
ო, რა ბნელია ცოდვა,  
ო, რა საზარია!  
ზეცისა ძალნო მისმინეო!  
გთხოვ მომიტევე!  
ღმერთო ჩემო  
აქ ვარ შენ წინაშე მდგომი მონა.  
მისმინე ზეცის ძალნო!  
შემინდე, მომიტევე ღმერთო!  
შემინდე!!

ცოდვებს მაცთურს  
ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი: ზეცის სიტყვა წარმოითქვა  
მისგან,

ცოდვებს მაცთურს  
არ შეეუნდობთ ჩვენ არვის.  
უფალის სიტყვა მოგვესმა,  
მოაკვდინებს!  
ის შესთხოვს შენს სიცოცხლეს,  
შევიწყნარებთ,  
ზეცის ხმა ხომ გესმით?  
ჩვენ მარად მას მივენდობით,  
შევისმენთ!  
უფალის სიტყვებს ვაღიარებთ.  
შესაძლო არის ცოდვათ მიტევება.  
ზეცის ხმა ხომ გესმით,  
შეისმინეთ, აღსდექით,  
არ ძალგვიძს მისი განსჯა,  
მას ვაღიარებთ მარად.

→ (ერთად)

მოწყალეა იგი,  
მოგვიტევა ცოდვა.  
შევისმენთ უფლის ხმას მარად.  
უფლის მოწოდებას,  
ღალღალდს შევისმენთ,  
ცის მოწოდებას,  
უფლის მოწოდებას შევისმენთ.  
მას მისცემს ღმერთი მოწყალეობას  
მარად, და  
სიტყვას ზეციურს,  
ჩვენ ზეცის ხმას ვისმენთ  
და დიდებას გვაუწყებს!  
ვისმენთ უფალის ხმას!

გ უ ნ დ ი: ცოდვები განიშოროს,  
განიწმინდოს.  
არ შევეუნდობთ  
ცოდვებს მაცთურს არავის.  
ანგელოზის სიტყვა კანონია,  
მას ვუსმინოთ,  
ის ითხოვს შენს სიცოცხლეს,  
შევისმენთ სიტყვებს  
ციოთ მოვლენილს,  
ვინ შეისმენს ხმას ზეცის,  
შეისმენთ ცოდვილ სულებს.  
ჩვენც შეგვისმენს ზეცა  
შეგვიწყალებს.  
ზეცის სიტყვა არ გვსურს  
შევცვალოთ.  
ჩვენ უფლის სიტყვების  
არ ძალგვიძის შეცვლა  
უფლის სიტყვებს ჩვენ  
ვადიარებთ,  
შევისმენთ უფლის ხმას  
და ვადიარებთ.  
შევისმენთ უფლის ხმას,

→ (ერთად)

ვალღარებთ მარად,  
ვალღარებთ მარად,  
შევისმენთ  
უფლის სიტყვებს  
შევისმენთ!

→ (ერთად)

ლ ა ნ დ გ რ ა ფ ი: ჩვენს თავს დაატყდა ცოდვა საზარელი,  
მოვიდა ცთუნებული,  
მოგვახვია ცოდვა  
შვილმა ლტოლვილმა ყველას.  
შორს ჩვენგან მაცთურო,  
არ გვსურს გიხილოთ,  
წადი!

ჩვენი წრე შეილახა შენით,  
მრისხანებს ზეცის ძალნი და სამყოფელი  
მისთვის რომ მიგიღეთ.  
იკოდე ხსნაა სიკეთის გზის ძებნა,  
გაჰყევი მხოლოდ მას  
მე შენ გიჩვენებ.  
წადი იმ გზით,  
ის გზა ნათელია!  
მიილტვის ამ გზით მლოცველთა გუნდი,  
ცოდვათა მოტვეებისათვის ჭალარა მოხუცები,  
ჭაბუკნი, ჭალნი მიდიან ველზე,  
თუმც ცოდვა მათი დიდი არ არის  
გული არ აძლევს შვებას,  
მიდიან ცოდვათ შენდობისათვის,  
წადი რომისკენ ხსნისათვის!

გ უ ნ დ ი, ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი: მათთან ერთად  
წადი ქალაქში ხსნისათვის,  
წადი უწმიდეს ქალაქისაკენ,  
მოინანიე, რაც შეგიცოდავს.  
მას დაემორჩილე,  
მის წინ თავი დახარე,  
ღვთის განაჩენია!  
თუ აღარ მოგიტევებს  
ნუ დაგვიბრუნდები!

→ (ერთად)



წადი, ჩამოგეცილდი!  
 არ ძალგვიცნის განსჯა შენი.  
 გვიხმობს ანგელოზი,  
 განსჯის ჰახვილი ჩვენი,  
 აღვეკეთავთ შენს ცოდვებს.  
 ღირსებას ჩვენსას ვიცავთ,  
 ანგელოზი გვიხმობს!  
 მახვილით ცოდვებს განეპჯით,  
 ბოროტებას ვებრძვით,  
 იქნები ცოდვილი,  
 არ მოგიტევებთ,  
 არ შეგიწყნარებთ,  
 ამ მახვილით პასუხს მოვითხოვთ,  
 ამ მახვილით შენ პასუხს აგებ,  
 აღვეკეთავთ შენს ცოდვებს,  
 რადგანაც ხარ ცოდვილი.

→ (ერთად)

(მეორდება)

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: ოღონდაც მომიტევეონ,

მიშველე უფალო,  
 მომფინე მოწყალება,  
 არ მაქვს არსაით შველა.  
 მიმიღე წმინდა მსხვერპლად  
 შემინდე ცოდვები,  
 ქედს ვიხრი შენ წინაშე,  
 გამათავისუფლე.

→ (ერთად)

ო, წავალ, ზეცას შევთხოვ,  
 ანგელოზს უწმიდესს  
 ეთხოვთ ჩემს მოტევენას,  
 ეს მე იმედს აღმიძრავს  
 და ძალას შემმატებს.  
 ოღონდაც მომიტევეოს  
 ანგელოზმა წმიდამ,  
 ცოდვა შემინდოს ჩემმა ღმერთმა,  
 სამსხვერპლოდ მიძახის.

შემინდოს ცოდვა, შემიწყნაროს (მრავალჯერ)  
 მე მინდა პატიება, ცოდვით მოტევენა,

ქედს ვიხრი მის წინაშე,  
მიხსენი უფალო,  
ო. შემინდე ღმერთო  
მაცილე ცოდვებს.  
ვითხოვ შენგან ცოდვათ შენდობას.  
მიმილე მსხვერპლად  
შემისმინე ღმერთო!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: უსმინე ცოდვილს ღმერთო  
უფალო მოწყალე!  
მან საზარლად შესცოდა  
და მიუგე ცოდვისთვის.  
მე კი, მისი სულისთვის,  
სიცოცხლისათვის ვილოცებ.  
მომეც წყალობა შენი,  
ის გაეშურება,  
კეთილ სურვილით მოვა,  
მიილე სამსხვერპლოდ,  
ის იქ შეისმენს ლოცვას,  
ის ჩემთან არ არის,  
გაძლევ ამ ჩემს სიცოცხლეს,  
კეთილი სურვილით მოვა შენთან  
მსხვერპლად.  
მოუსმინე!  
განსაჯე, შეუნდე!  
მან მე დამტოვა  
სამუდამოდ.

→ (ერთად)

(კალიდან შემოისმის ახალგაზრდა პილიგრიმთა ხმები)

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა პ ი ლ ი გ რ ი მ ე ბ ი: ცოდვათა მოტევები-  
სათვის

ლაღად მივემართებით,  
ვეძებთ ხსნის გზებს  
და ვაკურობებთ მას  
ვინც ჰპოვა ჭეშმარიტება!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: რომში!

გ უ ნ დ ი, ს ო ლ ი ს ტ ე ბ ი, ე ლ ი ს ა ბ ე დ ი: რომში!!

### მ ო ქ მ ე დ ე ბ ა III

(ვარტბურგის ქალა, ისევე, როგორც I მოქმედების ბოლოს, საღამოა. ელისაბედი მუხლმოდრეკილი ლოცულობს, ვოლფრამი ეშვება დაბლა, შეამჩნევს ელისაბედს და შეჩერდება)

#### სცენა I

ელისაბედი, ვოლფრამი, მოხუცი პლოცეელები

ვოლფრამი: ვიცოდი მოვიდოდა სალოცავად,  
ყოველთვის იდგა მარტო,  
ხშირად მაღლიდან მოსულს  
ვხედავდი მუხლმოდრეკილს.  
ტანჯვამ ჩაუკლა სიყვარული,  
ლოცულობს მარტო, გულმოდგინედ,  
დღედაღამ ცდილობს მის დახსნას,  
ო, წმიდა ტრფობავ, გრძნობებო:  
რომიდან ელის მოსულ პილიგრიმებს.  
მოელის მათ, ღროა დაბრუნების.  
და უკან წავა იმედის შუქით,  
დარდობს ძლიერ,  
განიცდის, ნუგეშით, იმედით,  
სულდგმულობს, მომავლის გრძნობით,  
სულდგმულობს!  
ო, მიეც ღმერთო შენდობა,  
ისმინე მისი ოცნება:

#### (ე რ თ ა დ)

ელისაბედი:  
მესმის, ბრუნდებიან,

ამ გალობაში ვეძებ ხსნას,  
ეს არის ნუგეშის ჰანგებ:

მოხუცი პილიგრიმების  
გუნდი: (ისმის ნელა და შორიდან)  
ვბრუნდებით ისევე,  
ო, ჩემო სამშობლო მხარევ,  
ვუმზერით სიამით მინდვრებს  
მოგესალმებით სამშობლოვ!  
განვიწმიდეთ ღვთისგან ცოდვილნი,  
ცოდვათ მოტევებაში შევიცანით  
მეუფის ძალა.

არ მოვა არასდროს!

მის ძალას ვუძღვნით საგალობელს,  
უფალს ვაქებდეთ მარად!  
მეუფეს გალობა ჩვენი ნათელი, ვაშა!  
ჩვენს ბნელ ცოდვათა მიმტვევებელს.  
მას ვუგალობოთ უწმიდეს ჰანგით,  
მოკვდავთ მისგან არა აქვთ შიში.  
მოწყალეა განმგებელი,  
დიდება შენ! დიდება შენ მარად!  
ვბრუნდებით ისევ!  
ო, ჩემო მხარევ'  
ვუმზეროთ სიამით შენს მინდორ-  
ველებს,  
მომეც ნება მოსალმების!

ვოლფრამი: მლოცველები!

დაბრუნებულთა გალობის ხმები...

ისმის წმინდა სიმღერები.

ცაო მისმინე, როგორ მოვიქცე?!  
ბრძანე, აღვასრულებ!

ელისაბედიის ლოცვა: ქალწულო წმიდავ, შემისმინე  
ტანჯულს.

ვლადებ შენდამი,

მომეცი ძალა შემეცნების,

მიიღე მონა ცოდვილი

და მაშორე ტანჯვას მიწიერს!

გთხოვ მომეც ძალა

მოვიდე შენს წმიდა, ნათელ მხარეში.

უწმიდეს გრძნობით მიმიღე

ბრწყინვალე, შენს სამყოფელში,

მიხსენ მიწიერ წამებისაგან,

ტანჯული გული შეგწირე,

მიწიერ შეცოდებებს, ცთუნებებს ჩამოვცილდი.

მოვშორდი, დავივიწყე ამქვეყნიური,

სამარადისოდ ჩამოვცილდი.

ქალწულო წმიდავ!

შემიწყალე!

იმედის შუქი მომაპყარ,

მიხსენ მაცთურ ცოდვათგან,  
ნათელი გრძნობით შენდა' მოვალ  
და მადლი წმიდა მომეც მე!  
წყალობას შენსას მოველი,  
შეუხდე ცოდვილს,  
მისმინე!  
მაგ შენი მადლი მომეც  
და ტანჯულ სხეულს მიუზღე!  
(ნელ-ნელა წამოდგება, შეამჩნევს ვოლფრამს)

## სცენა II

ვოლფრამი: ელისაბედ, გაგყვებით,  
ნება დამრთეთ!

ელისაბედი ნელ-ნელა გაემართება. ვოლფრამს უარს ეუბნება. მიეშურება ვარტბურგის სასახლისაკენ, ვოლფრამი თვალს ადევნებს, მომართავს ჩანგს)

რომანსი:

მღუმარებაა,  
მოეფინა ბინდი.  
წყვდიადმა მწუხრისა  
დაჰფარა მიწა!  
ისწრაფვის სული ჩემი  
სიერციკენ,  
მიილტვის მალა,  
ლამეს არ უკრთის.  
შენ გამოკრთი  
ო, ვარსკვლავო კამკამავ!  
მომფინე ტანჯულ გულში სათნოება,  
გთხოვ, მომეც ძალა სიყვარულისა,  
მიჩვენე ნათელი გზა ტრფობისა.  
ო, ვარსკვლავებო, კამკამავ!  
მოგიხმობთ, გეძებთ, მოვილტვი!  
გულს არ სურს ჩამოშორება.  
ოცნებავ ჩემო. ტკბილო,

გემზერ ოდეს მიხვალ წმიდანო,  
ნათელო ანგელოზო ტკბილის ოცნების,  
ვუმზერდი შენს ლანდს ველზე მიმავალს,  
უნაზეს გრძნობას მიღვივებდი  
(შიაპურობს ზეცისაკენ თვალებს)

### სცენა III

(ლამის წყვილია, ტანპოიზერი მლოცველის შემოძარცვულ სამოსით, გადაფითრებული, ძლივს შოდის)

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: მომესმის ჩანგის ხმა,  
მწუხარედ მღერის.  
ის ხომ არ მოსულა?

ვ ო ლ ფ რ ა მ ი: თქვენ ვინ ხართ?  
მარტო დადიხართ სალოცველად?

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: მე ვინ ვარ?  
გიცანით ნამდვილად!  
ვოლფრამი ხარ,  
ბრწყინვალე მომღერალი.

ვ ო ლ ფ რ ა მ ი: ჰაინრიხს,... შენ?!  
რამ მოგიცვანა ღამით მარტოდ?!  
აქ რად მოხველ?  
შეურაცხყავი შენის მოსვლით  
წმიდა ადგილსამყოფელი.

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: ნუ მრისხანებ მგოსანო ჩემო!  
არ გელოდი,  
შენთან არ წამოვსულვარ.  
ვეძიებ მას, ვისაც სურს მომიტევოს,  
ის გზა რომლისთვისაც მოვედი...

ვ ო ლ ფ რ ა მ ი: რა გზა არის?

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: იქეთ  
ვენერასაკენ!

ვ ო ლ ფ რ ა მ ი: ცთუნებულა!  
კვლავ შეურაცხყავი!  
მისკენ მიიწევ!

ტ ა ნ ჰ ო ი ზ ე რ ი: იცი? გაიგე?

ვოლფრამი: საბრალოვ!

გაგონებაც არ მინდა!..

სად იყავ, რომში გაეშურე?

ტანპოიზერი: ნურც მიხსენებ!

ვოლფრამი: ზეიმზე არ იყავი?

ტანპოიზერი: არ დავეძებ!

ვოლფრამი: არ იყავი? სთქვი!

ყველას გაფიცებ!

ტანპოიზერი: რომში გავემგზავრე!

ვოლფრამი! ბრძანი!

მომიყევი!

უბედურო, ძალიან ვწუხვარ

შენს ცთომილებას!

ტანპოიზერი: ეს რა სთქვი ვოლფრამ?

მტერი არ ხარ ჩემი?!

ვოლფრამი: არასოდეს!...

სანამ გაგიცნობდი...

მიტხარ გაემართე რომში?

ტანპოიზერი: თუ გსურს გეტყვი...

ო, ვოლფრამ შენ მე ჩამომცილდი,

ჩამოსცილდი მას, ვინც იცი ღვთისგან რომ წყეულ  
არს!

მისმინე ვოლფრამ, ვიწყებ!

ნაღვლიანი გულით, ცოდვით აღსაესე,

მე გავემართე წმიდა ქალაქში,

იფარველმა სულმა რომ შემიწყნარა!,

და სისხლი დუღდა თავმოყვარეობის,

წავედი აღსარებისათვის,

მსურდა პაპის ნუგეში,

მოხუცი დასტიროდა ჩემს ცოდვებს,

ის ცრემლებს აფრქვევდა ჩემს ბედზე,

ჩემს ტანჯვას იგლოვდა.

მლოცველი მსდევდა ჭლარით შემოსილი ყოველგან,

მე ფეხით მივდიოდი მინდორ-ველზე

და ფეხი შეიღება სისხლისფრად,

გრძნობა მიკლავდა წყურვილს წყაროს ცივი წყლით.

ვმთანთქავდი მწველი მზის სხივებს.  
რომ არ მეხილა ძალა ბუნებისა,  
შენდობისათვის ვასხურებდი სისხლს,  
არ მსურდა თავშესაფარი ძილისთვის,  
ლტოლვილი მივდიოდი ცინვაში,  
ის ლოცულობდა ჩვეულებრივ სიტყვით,  
მე კი, სისხლიან ცრემლებს ვასხურებდი.  
მსურდა წყალობა ჩემი საქციელით,  
ცრემლებით მსურდა მის' მოპოვება.  
რომში, წმიდანთა ქალაქში წაველ,  
ტაძრიდან ზეცის გალობა ისმოდა,  
დღე დაგვიდგა! გრიალებდნენ ზარები.  
განკითხვის დადგა დღე! ჟღერდნენ ზარები,  
მოისმოდა ზეციდან წმინდა ხმები,  
სიამით კრთოდა გული დატანჯული.  
ვიხილე კაცი, ვინც ღმერთის ნებას ჰკვრეტდა,  
მის ლოცვას ხალხი მადლით ისმენდა,  
მოწყალებას განაბნევდა, ცოდვილებს შეუწოდებდა  
და წყალობას ჰჟენდა.  
მას ვეახლე,  
მოხრილი სინანულით,  
შეველადადე,  
ბნელ ცოდვით მოტევენას ვთხოვდი,  
ვუთხარი ჩემი შეცოდება.  
სიამეს სადაც ვეწაფებოდი,  
შენდობას ვთხოვდი შმაგი სიყვარულის,  
შევჩვილე მას ტკივილი ვნებათა,  
მაგრამ უარყო მან თხოვნა,  
განვედ ცთუნებულო შვილო!  
გმთანთქამს ჯოჯოხეთის ალი!  
ვენერას მთისკენ გასწიე  
წყეულიმც იყავ მასავით!!  
ვით კვერთხი ესე, რომელიც არ გაცოცხლდება,  
არასდროს არ გამოიღებს ნაყოფს...  
არავინ მოგიტევენს! შორს!!  
უგრძნობლად,.. ზეცის განსჯისაგან გონება დავკარგე,



ოდეს ავდექ მეფობდა ღამის ბნელი წყვილიადი,  
შორიდან მომესმოდა ღალადება,  
შემზარავი იყო პანგები.  
უმეცრება და მაცდური ხმები...  
ეკლებსავით მჩხვლეტდნენ სიმღერები!  
და უმაღვე მათ გამოვექეცი,  
შევიცანი სიშმაგე ტრფობისა,  
ვენერავ, შენკენ მოვისწრაფვი,  
შენს გრძნეულ, ნათელ ბინისკენ,  
გთხოვ მიმილო შენს სამეფოში,  
სად' სუფევს ვნებათ განცხრომა,

ვოლფრამი: შესდექ!

ამას რას სჩადიხარ?!

ტანპოიზერი: ნუ მეტყვი ქალღმერთო უარს!

ვოლფრამი: შესდექ!

ტანპოიზერი: რაგვარ სიამით ვისწრაფვი!

ვოლფრამი: დადუმდი!

ტანპოიზერი: მისგან ადამიანურ გრძნობებს ვითხოვ,  
ტრფობის ღმერთო, მიმიღე!

(წყვილიადი მატულობს, სცენა ნისლით იბურება)

ვოლფრამი: გონზე მოდი!

ვის მოუხმობ!!

ტანპოიზერი: ო. ისმინე ხმები ტრფობისა!

ვოლფრამი: ჩემკენ, თორემ ვერ გიშველი!

ტანპოიზერი: ვერ შეიგრძნე სურნელი ოქროს!

(ნისლი შეიცვლება ვარდისფერი შექით)

ხომ გესმის გრძნეული ხმები!

ვოლფრამი: ველური ხმებით გული მიძგერს!

ტანპოიზერი: ნიმფები როკვენ აღზევებულნი,

ჩემკენ, ჩემკენ, ჩემკენ, ჩემკენ!!

ტრფობისათვის!!!

(გამოჩნდებიან მოცეკვავე ნიმფების ღანდები).

ვოლფრამი: სდექ! ბნელი სული მოგიხმობს!

გრძნეულთა სულებს მიჰყავთ ის!!

ტანპოიზერი: გონება ჩემი მისკენ მიხმობს,

მიზიდავს (შენი) შუქი ელვარე!

სამეფო არის ცთომილ სულთა  
ვენერას მთისკენ მივიწევ  
(გამოჩნდება ბრწყინვალეობაში ვენერა თავისი დასით)

ვენერა: მობრძანდი სულო დევნილო!  
უარგყო ხალხმა მიწაზე,  
ვერ ჰპოვე ბინა, ვერსად წახველ,  
ეძიებ ჩემს მკლავებში ტრფობას.

ვოლფრამი: ტანპოიზერი:  
ბნელ სულთა მოდგმავ ვენერა, შენ ჩემო მოწყალე,  
განვედ! განვედ!! შენგან მე ვიგრძენ სიკეთე.  
არ ძალგძის ჩემი ცთუნება

ვენერა: მოხვედი ისევ ჩემო გმირო?  
მედიდურ ზრახვებს განუდექ?  
ისევ დაეწაფე ტრფობის წყაროს  
და ჩემთან დარჩი მარადის!

ტანპოიზერი: მე ხომ მოვცილდი ნათელ გრძნობას,  
მოვდივარ ცთომილთ სამეფოში,  
განვედ, ჩამომცილდი!  
(ვოლფრამი და ტანპოიზერი შეებმებიან)  
შორს ვოლფრამ, შორს!  
მე მათთან მსურს  
განვედ!  
(გამოერკვევა უეტრად)  
ელისაბედ!!!

ვოლფრამი: ყოვლის შემძლე ღმერთო  
იხსენ ის!  
ჰაინრიხ! ღვთის სიტყვა  
დაგიხსნის შენ!  
ვხედავ შევლას!  
მაგ შეცოდებით გიხსნი!!  
მოგიხმობს ანგელოზის ხმები!  
შენს ნაცვლად მოუწოდებს  
ღმერთს!  
ელისაბედს!!

ვენერა: გელი, გელი!  
შენ მხოლოდ ჩემი ხარ!  
გელი!  
გთხოვ, მოდი!  
ჩემკენ, ჩემთან!

(ღრუბლები კვლავ შეიკრება. მათ შორის ნათელი შუქი გამოკრთის, ტან-  
პოიზერი დაატყვევა ელისაბედის ხსენებამ)

გუნდი: და იყოს მოტევება შენზე,  
წმიდავ, მარტივლო შვილო?

ვალტერი: შეგინდოს წმიდა სულმა.  
გისმინა, შეგიწყალა!  
ჰაინრიხ! მან გიხსნა შენ!!

ვენერა: (სასოწარკვეთილი) შორს, მიგატოვე!!

(ვენერა გაჰქრება. ვარტბურგის სასახლიდან ჩირაღდნებით ეშვება სამგლო-  
ვიარო პროცესია)

გუნდი: ანგელოზსავით უმანკოდ გამოგვეცხადა ის ჩვენ!

ვოლფრამი: გესმის მწუხრის ხმები?

ტანჰოიზერი: მომესმის!

გუნდი: უწმიდეს შვილად მოგვევლინა  
უფლისა სამსხვერპლო ჩვენ წინაშე!  
ცრემლიან ლოცვებს სურს შენდობა.  
ზეცისგან ელის წყალობას!

ტანჰოიზერი: წმიდაო ელისაბედ!  
შემინდე!! (გარდაიცვლება)

(ყველანი დახრიან ჩირაღდნებს და აქრობენ)

ახალგაზრდა მლოცველთა გუნდი: დიდ არს.  
დიდ არს უფლისა ძალი!  
დიდ არს წყალობა ცოდვათ განსჯისთვის.  
მოგვეცა წყალობა მისი!  
ვუმზერთ სასწაულს მის' განგების,  
მოწყალის კვერთხზე აყვავდა სიცოცხლის კვირტი,  
მოგვევლინა სასწაული უცნობი.  
ცოდვილს შეუნდო ცოდვები.  
ჩვენ ყველგან მოვფენთ სასწაულს.

ყველანი: წყალობას ღვთისას ვადიდებთ,  
არს ძალი წმიდა — უფლისა!  
და დიდ არს სახელი მისი (ღვთისა).  
მას დიდება!  
ცოდვილს მან მიუტევა!!  
გზა ხსნილია, სული ამაღლდა. მარად!!!

(დასასრული)

## ტრისტან და იზოლდა (Tristan und Isolde)

### ვ მოქმედებად

- მოქმედება I. ზღვა, მოქმედება გემის ბაჟანზე მიღის, გემი მიცუ-  
რავს ირლანდიიდან კორნუელისაკენ.  
მოქმედება II. სამეფო სასახლე კორნუელში.  
მოქმედება III. ტრისტანის სასახლე პრეტანში.


ტრისტანი — ტენორი  
მეფე მარკი — ბანი  
იზოლდა — სოპრანო  
კურენალი — ბარიტონი  
მელოტი — ტენორი  
ბრანგენა — სოპრანო  
მწყემსი — ტენორი  
მესაქე — ბარიტონი  
მეზღვაურები, რაინდები,  
საქურველთმტვირთველები.

### მოქმედება I

#### სცენა I

(გემის წინა ნაწილზე კარავია გაშლილი, იგი მორთულია მდღერული ხა-  
ლიჩით. ამ ხალიჩით მოქმედების დასაწყისში დაფარულია გემის უკანა ნა-  
წილი: გვერდზე ვიწრო კიბეა, რომელსაც ტრიუმფიკენ მივყავართ.  
იზოლდა, გაქვავებული, თავჩარგულია მუთაქებში, ბრანგენა ხალიჩას გა-  
დასწევს და ზღვისაკენ იმზირება. გემის ანძიდან შემოიხმის  
მეზღვაურის სიმღერა)

ახალგაზრდა მეზღვაური: მზის მხარეს მივალთ,  
ეუმზერთ დასავლეთს,  
სამშობლოს ქარი თამაშობს.



რ. ვაგნერის გეგმილი აშენებული ბაიროთის თეატრი

რისტების აფრქვევ ცრემლს პატარავ?  
მაგ შენი ოხვრა, დარდი  
უბერავს გემის აფრას.  
ქარო. დაჰქროლე ჩქარა!  
კვლავ მოსთქვამ პატარავ!  
მშვენიერო ყვავილო ველისა და!..

იზოლდა: ეს ვინ შეურაცხმყოფს? (იყურება გამფრხვაოებული)  
ბრანგენა, სთქვი!

სთქვი. სად მივალთ?

ბრანგენა: (იზირობა ზღუასკენ) ცისფერ სამოსში ინთქმება  
მიწა,

მიცურავს გემი სწრაფად,  
თამაშობს ტალღა,  
ღამემდე. ალბათ. მივალწვეთ ნაპირს.

იზოლდა: ვის მიწას?

ბრანგენა: კორნვალის ნაპირს.

იზოლდა: არასდროს!

არც დღეს, არც ხვალე!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა : გონს მოდი (ვარბის ისოდლასაკენ)  
გესმის. ჰა!!

ი ს ო ლ დ ა : (ველურად მიუპყრია მზერა სივრცისაკენ).

უძლურო მოდგმავ --

დიად წინაპართ!

ვის' ნადავლად მაგზავნი დედავ,

მეუფევე ზღვისა და ქარიშხლის,

რისთვისლა მიწოდებ გრძნეულს,

მხოლოდ მალამოს ვადუღებ?!?

კვლავ გამოიმაფხიზლე ყოვლის მკლეო.

გამოდი კარვიდან, ნუ იმაღვი!

გთხოვ შემისმინო!

დაჰქროლე ქარო!

მტერს დაატეხე ბრძოლის ცეცხლი,

გრიგალის რისხვა, სიკვდილის მეხი!

ჩამომაცილე ზღვის ზმანება.

მრისხანე ბოღმა ბნელ ფსკერმა შთანთქას!

მსხვერპლია მისთვის აქ გაღებულნი.

ო. შთანთქას გემი ტალღებმა,

არ დასტოვოს მოდგმა ჩვენი.

და ყოველივე რაც სულდგმულობს ცოდვით,

ძღვნად მიიღოს სტიქიონმა.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა : (შეშინებული) რა გჭირთ? ოჰ!

გული მიგრძნობს უბედობას.

იზოლდა, ჩემო ძვირფასო!

რისთვის მოსთქვამ მწარედ.

უცრემლოდ დასცილდი

შენს მშობლიურ მიწა-წყალს,

გამოესალმე ცივად შენს მახლობლებს.

კერა მიატოვე მდუმარედ,

ხმას არ იღებ,

განიცდი...

უჭმელი ხარ. უძილო,

ჩაფლული ხარ, შმაგ ფიქრში,

ვეღარ შევძელ ამის მზერა.

ახლობელი ვარ?..

გეუცხოები?..  
ო, მომისმინე!  
მითხარი,  
გულის ზრახვა გამანდღე  
ჩემო იზოლდა,  
ძვირფასო ქალო.  
მითხარი თუკი მენდობი.  
მომისმინე ბრანგენას!

იზოლდა: მცხელა, ვიწვი, სუნთქვა შეშეკრა,  
გახსენ, გახსენ ფართოდ!  
(ბრანგენა სასწრაფოდ ხსნის ხალიჩებს)

## სცენა II

(გაიხსნება გემის ბანი საკემდე, მოჩანს ზღვის კორიზონტი, მთავარ ანჰასთან შეზღავრებული შეკრებილი. საჭესთან მებაჯრენი და რაინდები, მოშორებით დგას ტრისტანი, რომელსაც გულზე დაუკრეფია ხელები და ჩაფიქრებული მისჩერებია ზღვას, მის წინაშე დამხობილია კურჯანალი.)

ახალგაზრდა მეზღვაური: (ანძიდან მღერის)  
სამშობლოს ქარი თამაშობს,  
რისთვის აფრქვევ ცრემლს პატარავ?  
მაგ შენი ოხვრა, დარდი  
უბერავს გემის აფრას,  
ქარო დაჰქროლე,  
იტირე პატარავ!

იზოლდა: (მზერას მიაპყრობს უძრავად მდგარ ტრისტანს, ყრულ წარმოთქვამს)

სულ ერთია,  
დამეკარგა...  
ღიადი და  
ამაყია!

ვხედავ სიკვდილის ძეს!  
თვითონ — სიკვდილია!  
(იცინის) რისთვის დგას მსახურებთან?

ბრანგენა: (თვალს ადევნებს) რას უმზერ?

იზოლდა: იქ, იმ ვაჟკაცს.  
გაურბის ჩემს შემოხედვას?



უხერხულია რას სჩადის.  
სთქვი, როგორ მოგწონს?  
ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ტრისტანზე მკითხავ.  
ძვირფასო!?  
უბადლო არის მართლაც.  
შემკული ყოველმხრივ  
თვალისმომჭრელი გმირი  
ყველასგან საქები.

ი ზ ო ლ დ ა: (დაცინეთ) რაც ჩაიდინა უფროსის,  
არ მიმზერს, გამობრბის,  
დედოფლის გვაში მიაქვს  
მისი პატრონისთვის.  
შენ ვერ გამიგე ლექსები?  
მაშ ჰკითხე მას.  
მამაც რაინდს,  
თუ გამეკარება?  
და არ შელახავს მის ღირება'.  
მონას, მშიშარას ღონე შესწევს?  
ნუ შეაშინებს ჩემი მზერა,  
მეახლოს ჩემი გმირი!'  
ო, ის მიგიხვდება!  
წადი რაინდთან,  
აუწყე სურვილი!  
მომემსახუროს.  
ახლავ აქ მოვიდეს

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: შევევედრები შენ გეახლოს.

ი ზ ო ლ დ ა: მოკრძალებას შიშით დავეთსავ.  
ველოდები  
მე, იზოლდა!

(იზოლდა მბრძანებლურად ანიშნებს, ბრანგენა მიდის გემბანზე მეზღვა-  
ურთა შორის, იზოლდა ნელა დაეშვება სარეცელზე, თვალყურს ადევნებს  
ბრანგენას)

(კურენალი შეაჰჩნევს ბრანგენას, ჩამოსწევს მოსახსპში წამოწოლილ  
ტრისტანს)

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ტრისტან, ხედავ?  
იზოლდასგან არის!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: (შეკრთება) რა სთქვი?  
იზოლდა? (გამოფიხიზღდება, ბრანვენა ესალმება)  
ქალბატონისგან?  
მოკრძალებით გისმენთ, რა გსურთ.  
ველოდები მის ნება-სურვილს.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ტრისტან, მეუფევე  
სურს გიხილოს.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ჩანს მობეზრდა ცურვა...  
ცოტა დარჩა,  
როდესაც მზე ჩავა  
ნახავს მიწას,  
რასაც ქალბატონი ბრძანებს  
აუსრულდება.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ბატონ ტრისტანს ასე ნებავეს,  
მანაც ეს ისურვა!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: სივრცეში, ცისფერ ცაზე,  
სადაც ვერ წვდება მზერა.  
ელის მეფე დედოფალს,  
იქითკენ მივისწრაფვით,  
იხილავს სატრფოს სახეს,  
ეს პატივი მე მერგო!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: მეუფევე ტრისტან, დრო არის,  
სურვილს მოემსახუროთ,  
ქალბატონი იქ გელით,  
დროა გამოცხადდეთ!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ყოველგან მზად ვარ,  
აეუსრულებ სურვილს.  
აქ ვუშვებ  
მის მშვენიერებას.  
ხომალდის საჭეს მე ვმართავ,  
მიცურავს გემი მარკის სამფლობელოსაკენ

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ტრისტან, მეუფევე,  
უარია?  
ვერ განვიმარტეთ მისი ნება?  
ბრძანებას ვასრულებ.  
მისმინე რასაც გეტყვი,

„აღასრულე სიტყვა მსახურო,  
გამოცხადდი, ჩემ წინაშე“,

კურვენალი: ნება დამრთე პასუხის.

ტრისტანი: აბა რას ეტყვი, ბრძანე?!

კურვენალი: გადაეცით იზოლდას:

ვინც ნათელი კორნეალისა და  
ირლანდიის ტახტი ხელში ჩაიგდო,

ის არ იქნება მონა თქვენი,

ზვიადია ტრისტან გმირი!

გესმით პასუხი ჩვენი,

თქვენ კი. — იზოლდას მსგავსნო!

(ტრისტანი ცდილობს დამშვიდებას, ბრანგენა აღშფოთებული მიდის უკან,  
კურვენალი ძალზე ხმამაღლა უმღერის)

„სურდა მოროლდს მთელი ხარკი  
კორნუელისათვის,

წალეკა ზვირთებმა მიწა და

ჩაიმარხა გმირი.

იმქვეყნად თავი წაიღეს მარტოკა,

ნაცვლად ხარკისა.

ეჰ, რაინდო ტრისტან!

განძი ხომ მიართვი!!

პამაკაცთა გუნდო: იმქვეყნად თავი წაიღეს მარტოკა.

ნაცვლად ნადავლის.

ჰეი, რაინდო ტრისტან!

ხარკი ხომ მიართვი!!

### სცენა III

(იზოლდა და ბრანგენა მარტო არიან. ფარდა ისევ ჩამოშვებულია. იზოლდა  
წამოდგება გააფთრებული, ბრანგენა ფერხთ ჩაუვარდება)

ბრანგენა: ოჰ, მძიმეა ჩვენი ბედი!

იზოლდა: (თავს იკავებს)

რა სთქვა ტრისტანმა,

ყოველივე მითხარი.

ბრანგენა: ოჰ, ნუ მკითხავ!

იზოლდა: ნუ გეშინია!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა : უარი გვითხრა ამაყად!  
ი ზ ო ლ დ ა : უთხარი, რაც გიბრძანე?  
ბ რ ა ნ გ ე ნ ა : მიუხედავად ბრძანება თქვენი.

სადაც დგას იგი  
მიპასუხა: ვემსახურები  
დედოფალს მშვენიერს;  
თუკი საჭეს მივატოვებ  
ცელარ მიაღწევს გემი  
მარკის სამეფომდე.

ი ზ ო ლ დ ა : (ირონიით)  
როგორ ისწრაფვის გემით  
მარკის სამეფოსკენ,  
მიართვას განძი მეფეს  
ირლანდიისაგან!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა : გადავეცი რაც ბრძანეთ.,  
როდესაც მას ვთხოვდი  
ჩაერია კურვენალი.

ი ზ ო ლ დ ა : გავიგონე სიმღერა,  
ჟველაფერს მივუხვდი.  
გაიგე, რაც შეემთხვა?  
მისმინე რაც შეცოდა.  
(აღზნებით) მე დამცინიან სიმღერებით,  
შემიძლია პასუხი.  
მიცურავდა ნავი საწყლად  
ირლანდიისაკენ,  
შიგ იწვა გმირი რაინდი,  
ულმობლად დაჭრილი,  
იცოდა მან ხელოვნება  
ჩემი წამლის,  
შევიფარე,  
იზოლდამ უმკურნალა,  
როგორც მეგობარმა.  
ტანტრისტად წარმომიდგინა თავი,  
ტრისტანად შევიცანი უმალვე,  
დაჭრილის ქალაში  
ნატეხი აღმოვაჩინე

მას მიერგო ნატეხი ხმლისა,  
ეს ნატეხი თავის ქალიდან  
მაროლდს ამოვუღე  
ამ გრძელ ხელებით.  
აღმომსდა კენესა გულიდან,  
მახვილ აღმართული წარვდექი,  
მსურდა მიმეზლო მისთვის.  
მაროლდის მკვლელისთვის.  
წარვდექ საწოლთან  
მომხედა —

არა ხმაღზე —  
თვალებისკენ შემომანათა მზერა,  
გული შემეკუმშა ტანჯვისაგან,  
ხმალი მსწრაფლ გამივარდა,  
მოვეუარე მაროლდის  
შურისძიების სანაცვლოდ,  
მსურდა შინ წასულიყო  
რათა მისთვის არ შემეხედა.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: რა მესმის!

სად მქონდა თვალები,  
ვისი ავადმყოფს ვკურნავდით?

ი ზ ო ლ დ ა: სადიდებელს უმღერდნენ;  
„ყოჩალი ხარ ტრისტან!“

აი, ის ვაი-გმირი!  
შემომფიცა ათასჯერ  
საუკუნოდ გახდებოდა ჩემი.  
გმირია — ცოდავს დღეს.  
ვით ტანტრისი

საბრალოდ გამოვეუშვი,  
ტრისტანად გამომეცხადა,  
დიდ ხომალდზე მომეკვლინა,  
იზლანდიის მახარობელად  
კორნვალის მეფისათვის —  
მარკისთვის მითხოვდა.  
მაროლდის დროს კი ვინ გაბედავდა  
შეთრაცხყოფას ამდაგვარს?

მონამ მეფისა... მსწრაფლ აღმართა ხელი  
ირლანდიის ტახტისკენ,  
აჰ, ცოდვა მე!  
სირცხვილი ჩემი, თვით მოვიმოქმედე,  
შევიწდე მკვლელი, ვერ გავიბეჭე,  
შევიკრთი; დავაშავე,  
და მონას დავმორჩილდი!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ფიცავდნენ მეგობრობას  
და მშვიდობას მარადის.  
ჩვენც ვდღეაასწაულობდით  
ვერ წარმომედგინა ეგ მძიმე ხვედრი.

ი ზ ო ლ დ ა: ყველა დავბრმავდით!  
შევეუშინდით,  
შიშისაგან ყველანი ვკრთოდით!  
რაც მე დავფარე ტრისტანმა განადა ნათელი,  
ჩემი დანხარებით ცოცხლობს,  
შურისძიებისგან ვფარავდი,  
სიკვდილისაგან ვიხსენი.  
ცოდვა მიეგება.  
ამაყოფს გამარჯვებით,  
მე ხმამალლა მადიდებს;  
„ჩემო მეფევ ეს განძია.  
შესაფერისია,  
ირლანდიელს აქ მოგიყვანთ;  
ჩემთვის ნაცნობია გზები,  
შევიძლებ წასვლას,  
მარტო მივალ,  
იზოლდას მე თქვენ მოგვეკრით!  
მიყვარს ასპარეზობა!“  
იყავ წყეული!  
ცოდვა შენს თავს.  
სისხლი დუღს,  
უნდა მოვეკვდეთ!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: (აღზნებული, ნაზი ხმით, ემთხვევა იზოლდას)  
ო, ტკბილო, კარგო,  
ჩემო ოქროს ქალბატონო!

მბრძანებლო!

(ართობს იზოლდას საწოლში), მისმენ, მოდი, დაჯექი  
გაცხარდრ, რისთვის მრისხანებ?

შეუპყრიხარ ცთომილებას,

ველარაფერს არჩევ?

მეუფე ტრისტან გესალმებათ,

ამბობს იგი უმალლესი ჯილდო არის გვირგვინისა.

ერთგულად ემსახურება.

მეფეს მიართმევს უძვირფასეს განძს,

ის, რაც შეეძლო გააკეთა,

შენ წინ მან ქედი მოიხარა

და პატივი გცა დედოფალს.

ქორწილით მარკმა ავამალლა,

ნუთუ ამით შენ დაგამცირა?

მოეშვი მრისხანებას!

მეფეა, დიდებულია,

მას ვინ შეედრება სიმძლავრით?

ეს გმირიც კი მას ემსახურება.

ვის არ სურს ბედნიერება —

ცოლქმრული იზეიმოს?

იზოლდა: (უძრავად გაჰყურებს)

უგრძნობლად... არც კი ღირს

ჩემს გმირს ვუმზერდე მარად!

სად არის გამოსავალი?

რისთვის ცბიერობ?!  
უგრძნობლად?..

(ბრანგენა უფრო ღმობიერად ეალერსება)

ბრანგენა: ო, ვის ძალუძს რომ არ შეგიყვაროს?

მას, იზოლდას მხილველს

და იზოლდას მშვენებით მოხიბლულს?

შენგან დამონებულს

გზა არსით აქვს.

მიიზიდე ცბიერებით,

ბოროტი გრძნობებით ხელთ იგდებ

და სტყორცნე ბადე ტრფობის.

(ფარულად ყურში ჩასჩურჩულებს)

დედის ხელოვნება გახსოვს?  
გონებით განსჭვრეტ ყველაფერს,  
მან რჩევის გარეშე გაგიშვა უცხო მხარეში?

იზოლდა: დედის რჩევა კარგად მახსოვს  
მივიღებ ჭილდოს დედისგან: —  
რისხვას მოვუვლენ მათ.  
გულს დავიმშვიდებ შურით,  
ის სკივრი მომეცი!

ბრანგენა: ეგრძნობ რომ საშველს ეძებ  
(მოაქვს ყუთი და ხსნის)

აქ შეინახა დედამ  
მალამო დასალევი.  
ბალზამია ტკივილისთვის,  
საშინელ შხამის მკურნალი.  
ეს წამალი ყველას სჯობნის.

იზოლდა: ცდები, მე უკეთ ვიცი;  
ყველაზე ძლიერი ეს არის (იღებს სხვა წამალს და უჩვენებს)  
მანყოფის ეს სასმისი.

(იზოლდა წამოიჭრება და შიშით ისმენს მეზღვაურთა გადაძახილს)

ბრანგენა (შიშით გადგება გვერდზე):  
შიგ შხამია?

მეზღვაურები (შორიდან): ჰო-ჰე-ჰა-ჰე!  
ჰო-ჰე-ჰა-ჰე-ჰო!  
ჰე-ჰო

აფრიალდეს ძლევის დროშა!  
ანძებიდან მოხსენ აფრა!

იზოლდა: რა ჩქარა მივცურავთ!  
ვაიმე! მოჩანს მიწა!

კურვენალი (გახსნის ფარდებს და შემოიჭრება):

დროა, ასულნო!

მოვედით,

მხიარულად მოემზადეთ,

ნუ აყოვნებთ. აჩქარდით!

თქვენ კი, იზოლდა,

მოგახსენებთ რაინდ ტრისტანის სურვილს:



დროშა აღემაართეთ ნიშნად ზეიმის დაწყებისა  
და მარკის სასახლე  
მოელის ჩვენს ხომალდს,  
ამისთვის ითხოვს არ აღელდეო.  
როდესაც გემი ჩავა  
ის თქვენ გამოგყვებათ,

იზოლდა (თავდაპირილი მიუგებს):

სალამი ჩემგან ტრისტან გმირს,  
მე მსურს პასუხი უთხრათ:  
არ გავიყოლებ რაინდს მეუფე მარკის წინაშე,  
ხელს არ გავუწვდი ტრისტანს  
ცოდვებს თუ არ მოინანიებს  
და პასუხს არ აგებს:  
ედებოს წყალობა!  
დაიხსომე,

გადაეცი!  
ნუ ელის გვერდზე გავლას,  
არ მჭირდება მხლებელი.  
ო, არ წავალ მასთან ერთად  
მეუფე მარკის წინაშე,  
სანამდე არ შემთხოვს  
პატიებას და ღირსებას არ აღიდგენს  
წყალობას ვერ კპოვებს:  
არ მსურს შეწყალება!

ქურვენალი: გადავცემ თქვენს ბრძანებას,  
ის თვით მოგახსენებთ. (გაღის)

(იზოლდა მხურვალედ გადაეხევა ბრანგენას და ჰკოცნის)

იზოლდა: ძვირფასო ბრანგენა  
მივალ შენგან,  
სალამი მამას და დედას

ბრანგენა: რა სთქვი?  
რას ფიქრობ?  
გსურს გაიქცე?!  
საით მოგპდიო, ბრძანე?

იზოლდა: (დამშვიდებით)

ვერ მიმიხვდრ?  
აქ ვრჩები,  
ტრისტანს დაველოდები,  
ამისრულე რასაც გეტყვი,  
მოამზადე სასმელი.  
შენ იცი რომელიც...

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: მიმითითეთ

ი ზ ო ლ დ ა: (იღებს სკივრიდან) ხომ ხედავ.  
ოქროს სასმისში, მოამზადე ჩქარა,  
სულ ჩაასხი.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: (შიშით იღებს ფლაკონებს)  
ახლა კი ვგრძნობ...

ი ზ ო ლ დ ა: შემომოციე.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ვისთვის გსურს ეს.

ი ზ ო ლ დ ა: ცბიერისთვის<sup>6</sup>

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ტრისტან!?

ი ზ ო ლ დ ა: შესვამს ჩემს ცოდვებს!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა (ფეხზე ემხვება იზოლდას):  
შეჩერდი!  
შემინდე საწილს!!

ი ზ ო ლ დ ა: მომიტევე,

წემისძინე!

არ გესმის დედის სურვილი?

მირჩია ჩემმა მშობელმა,

მეგობართან ერთად უცხო მსარეს გამოგზავნა.

ბალზამი მომცა ჭრილობისთვის,

სასმისი — შხამებისათვის, ტანჯვისათვის.

გლოვისათვის გვეახლა სიკვდილი,

სიამით მოველი.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: შიშის ზარი, მწუხარება! შესვას?!  
ი ზ ო ლ დ ა: აღსრულდეს ნება!

დამმორჩილდი!!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: მობრძანდა!

(ბრანგენა შიშით წამოიჭრება, იზოლდა თავს იკავებს)

ი ზ ო ლ დ ა: მობრძანდით ტრისტან!

## სცენა IV

(კურენალი ისევ გადის. ბრანგენა შიშით გაღვება განზე, იხოლდა ენერგიულად იმორჩილებს გრანობებს, აჰყად მილის საწოლისაკენ, დაეყრდნობა საწოლის თავს და მისჩერებია შემოსაცლელს. ტრისტანი შემოდის და შეჩერდება კარის ზღურბლთან, იხოლდა ძალზე დედას)

ტ რ ის ტ ა ნ ი: რისთვის მისმობთ მეუფევ.

ი ზ ო ლ დ ა: ვერ მიუხვდით

რა სურს დედოფალს?

თქვენ მხოლოდ შიში გამოქრავებთ

და მისთვის გამირბით.

ტ რ ის ტ ა ნ ი: კრძალვით პატივს გცემთ

ი ზ ო ლ დ ა: ძალიან ნაკლებ გაისარჯეთ,

თქვენი ვალი გადივიწყეთ,

უარყავ ნება ჩემი!

ტ რ ის ტ ა ნ ი: მხოლოდ ღირსებას ვუფრთხილდები.

ი ზ ო ლ დ ა: მაკვირვებს მეუფის სურვილი,

ჩაგაბარათ თავი და არ გასურთ

ისმინოთ ჩემი?

ტ რ ის ტ ა ნ ი: წესია ჩვენი ქვეყნის:

ვისაც მიჰყავს საცოლე სხვისი

უნდა შორს იდგეს.

ი ზ ო ლ დ ა: დაგავალათ?

ტ რ ის ტ ა ნ ი: წესებს ვიცავ!

ი ზ ო ლ დ ა: ეს შენ ხარ მორცხვი?

გმირო ტრისტან,

მაშ მოიგონე, რაც გადამხლა,

ჩემს მტერს შეუროგლი,

მეგობარი გაგიხდა.

ტ რ ის ტ ა ნ ი: მტერი ვინ მყავს?

ი ზ ო ლ დ ა: ჰკითხე შენს შიშს:

სისხლია ჩვენს შორის!

ტ რ ის ტ ა ნ ი: წარსულია,

ი ზ ო ლ დ ა: არა, მახსოვს!

ტ რ ის ტ ა ნ ი: გაშლილ ველზე დავიფიცეთ

მშვიდობა ყველას მიმართ

იზოლდა: მხოლოდ არა იქ  
სად ტანტრის ტრისტანმა შესცვალა.  
იქ იდგა გმირი ვაჟკაცი.  
ჩუმად ვიყავ მის წინაშე,  
არ შემეფიცივს მისთვის,  
ავაღპყოფი იწვა უშიშრო,  
მახვილ აღმართული ვიდექი  
მას ვუმზერდი, ათრთოლდა ხელი,  
მაგრამ, რასაც მე ფიცი აღვუთქვი  
დაფარულად ვინახავდი.  
რაც შეეფიცა აღვასრულებ.

ტრისტანი: რას ფიცავდი?

იზოლდა: სახელს მაროლდის!

ტრისტანი: იცნობდით?

იზოლდა: დაცინვას ბედავ?

დანიშნული ვყავდი  
ირლანდიის რაინდს;  
მისი მახვილი მე მიცავდა,  
ჩემთვის მტერს ებრძოდა.  
დაეცა გმირი ღირსეული  
და გულგანგმირულმა

დავიფიცე

შური მეძია მკვლელისთვის,  
განმეგმირა ჩემი მტერი,  
შენ ჩემს ხელთ ჩავარდი,  
სიკვდილისგან დაგიხსენ,  
მიხვდი რისთვის მოგიწოდე?!  
ქრილობა მორჩა,  
მსურდა რომ შეგბრძოლებოდი  
ჯანსაღ რაინდს.

ვიხ აღუდგება ჩემს სურვილს?

წესს ბედისწერას თვითონ იხილავ,  
და თუ ყველანი ჰფიცავდნენ ტრისტანს  
ვინ შეებრძოლება მას?

ტრისტანი: მაროლდი მოგიხმობს?

აიღე მახვილი

და ნუ შეკრები!

(აძლევს თავის მახვილს) კვლავ აღმართე ხელი შენი.

იზოლდა: რა ეუთხრა შენს მფარველს პასუხად.

რა ეუპასუხო მეფე მარკს?

მოვკალ უკეთესი მონა,

რომელმაც მოუპოვა

დიდების გვირგვინი:

ასე განსაჯე მისი ნდობა

ირლანდ'ელს მიჰგვრი საცოლეს,

არ განრისხდება მსახურის მკვლელზე?

მან პატივი დაგლო,

ხელი ჩაგაბარა,

ჰა მახვილი!

ეს მეც მეპყრა

ოდეს მსურდა სისხლის აღება.

ცეცხლი თვალთაგან გულს მისერავდა,

ვივარგებ მარკის სარეცლისთვის?

ხმალი ჩააგე უმაღვ!

შორს!

შევსვათ მშვიდობისთვის

(ნიშანს აძლევს ბრანგენას. ის შეკრთება, ფეხს ითრევს, იზოლდა უფრო  
მტკიცედ თხოვს, ბრანგენა ამზადებს სასმისს)

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ე ბ ი (შორიდან ისმის სიმღერა):

ჰო, ჰე, ჰა, ჰე,

ჰო, ჰე, ჰა, ჰე, ჰე, ჰა.

ანძებისკენ... იალქნები! (2-ჯერ)

ტ რ ი ს ტ ა ნ ი (გამოფხიზლდება):

ო, სად ვარ?

იზოლდა: აღსრულდეს!

ტრისტან, შენ მოგიტევებ.

ოდონდაც თუ შეძლებ?

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: მღუმარებაა ჩემი სიტყვა.

ვიცი საიღუმლო,

ჩემსას კი ვერ მიხვდები.

იზოლდა: მღუმარებაში მზაკვრობაა,

გსურს მშვიდობა ჩვენს შორის?

„ზოლდა“ (მიღის თასით ტრისტანთან, რომელიც თვალეზში  
მისჩერებია):

გესმის ხმები? — აღსასრულის:  
ვეახლებით მალე მეუფე (ირონიით) მარკს!  
წარმოიდგინე,  
ნუ შეკრები!  
ამგვარად მიუფე:  
ო, მეუფევე, ხომ ხედავთ მას,  
ულამაზესს ვერ იხილავთ,  
მე მოვკალ მისი მფარველი  
და თავი გავუგზავნე ჯილდოდ.  
მან კი, მე განმკურნა,  
მაროლდის ჭრილობისკაი მიხინა:  
სიცოცხლე მაჩუქა,  
სიცოცხლისათვის მას ვუმადლი!  
მისი ქვეყნის მძიმე ცოდვა  
თან წარიტანა მან,  
შენს გულისთვის, გესმის!  
და აჰა, ჯილდო მადლისთვის;  
სასმისი შეესვათ უტკბესი,  
რათა აღვგავოთ  
წარსულის ცოდვა საზარი.

მეზღვაურები (გარედან): ბაგირი!  
ლუზისკენ!

ტრისტანი (აღგზნებული):

ლუზისაკენ გაემართენით!  
ქარმა დაფლითოს აფრა!  
(გამოსტაცებს თასს იზოლდას)  
ირლანდიის ასულს ვიცნობ,  
(მის) ხელოვნებას სასწაულთმოქმედს!  
ბალზამმა გამომაცოცხლა,  
წყაროს ვეწაფები —  
მისთვის რომ განვიკურნო.  
პასუხად მოგიგებ მე შენ,  
შენდობას ცოდვებისთვის.  
ტრისტანს მართებს დიდება,

ტრისტანს ებრძვის ძლიერი,  
საოცნებო მოჩვენება მწუხარების,  
სასმელმა დამათრო, აღსრულდა,  
უშიშრად ვსვამ სასმელს! (სვამს)

იზოლდა: სიცრუეა... დამიტოვე!  
(გამოსტაცებს სასმისს)

მლაღატობ!!  
მეც შენთან ვსვამ. (სვამს)

(ნელა სვამს, გადაადებს სასმისს, ორივენი აღზნებულნი არიან, მისჩერებთან ერთმანეთს, სიკვდილის შეგრძნება იცვლება სიყვარულის გრძნობით, შეკრთებიან, ხელს მიიღებენ გულზე, თავზე გადაისვამენ ხელს, ისევ ეძებენ თვალებით. თავს დახრიან მორცხვად და უფრო მეტის აღზნებით შეხედავენ)

იზოლდა: ტრისტან!

ტრისტანი: იზოლდა! (ემთხვევა მკერდზე, ისინი უხმოდ გადაეხვევიან)

მამაკაცები (გარედან): დიდება მეფე მარკს! (3-ჯერ)

ბრანგენა (ის იდგა გემის აივანთან ზურგშექცევით, მოიხედავს და ხედავს ორ გადაქცობილ შეყვარებულებს):

ცოდვით თქვენ!

ბურუსში ხართ წამების —

სასიკვდილოდ!

სიზმარია ტრფობის და

მომტანი უბედურების

(ტრისტანი და იზოლდა გამოერკვევიან)

ტრისტანი: სიზმარში ვარ,

გმირი ტრისტანი?

იზოლდა: ცოდვით ზმანებაში ვარ იზოლდა!

ტრისტანი: ნუთუ დაგკარგე?

იზოლდა: ნუთუ უარმყავ?

ტრისტანი: უცნობი გრძნობა მეჩვენება.

იზოლდა: ამაოდ ვიწვი ტრფობისგან

ტრისტანი: იზოლდა! სულზე ტკბილო!

იზოლდა: ტრისტან, საოცნებო!

გრძნობათ ტალღა

გულს მიხალისებს,

სიამეს მმატებს.

ლუბი

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ეს გული ხარობს

ფაქიზ გრძნობებით

ი ზ ო ლ დ ა: ფიქრები ჩემი

ისწრაფვის შენკენ!

ნექტარში ტრფობის

ღვივდება ვნება,

გულში გიზგიზებს

ცეცხლი გრძნობისა!

ხარობს გული

აღგზნებული,

ტრისტან, ტრისტან!

შავ-ბნელ ზრახვიდან

გამომეცხადე,

ტრისტან, ჩემი შეიქენ,

ჩემი ხარ ძვირფასო —

გრძნობათა სიმბოლო!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ფიქრები ჩემი

ისწრაფვის შენკენ!

ნექტარში ტრფობის

ღვივდება ვნება.

გულში გიზგიზებს

ცეცხლი ტრფობისა.

ხარობს გული,

ხარობს სული.

იზოლდა, იზოლდა, იზოლდა, იზოლდა!

ჩემი გახდი იზოლდა!

მხოლოდ ჩემი ხარ

ტრფობის სიმბოლო!

(ფართოდ იღება ფარდა, გემბანზე თავი მოუყრიათ რაინდებს და მეზღვა-  
ურებს, ესალმებიან ზეიმიით სანაპიროზე მყოფთ. გამოჩნდება კლდე სა-  
სახლით)

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: (ანიშნებს მხლებელ ქალებს და ისინიც აღიან გემბანზე.

ტრისტან და იზოლდა გაბრუნდნენ არიან ამბოჭში და ეკრათურს

ამჩნევენ, ბრანგენა მივარდება იზოლდას):



ვაი ჩემს თავს, გონზე მოდიო!

(სემეს პორფირს, იზოლდა საქაოდ ცივად ხედება ამ ცერემონია)

ნ ა მ ა კ ა ც ე ბ ი (კეჭიკი):  
 ვაშა, ვაშა, დიდება მეფე მარკს!  
 მეფე მარკს ვაშა, ვაშა მეუფეს!

კ უ რ ც ე ნ ა ლ ი (მხიარულად მიდის ტრისტანთან):  
 ვაშა ტრისტან,  
 დიდებულო!  
 აქეთ მოცურავს ნავი,  
 ვაშა, მხიარულად მოცურავს, მეფე კმაყოფილია.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი (შეპკრთალი ამოხედავს): ეინ ხარ?

კ უ რ ც ე ნ ა ლ ი: თვით მეფე

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ჩემი მეფე?

ყ ვ ე ლ ა ნ ი: ვაშა, მეუფე მარკს!  
 ვაშა, დიდება!!!

ტრისტანი უგრანობლად იმზირება ნაპირსაკენ)

ი ზ ო ლ დ ა (უგონოდ): რა გსურს ბრაგენა?  
 ვინ უხმობს იზოლდას!?

ბ რ ა გ ე ნ ა: ცოტა გამოფხიზლდით!

ი ზ ო ლ დ ა: მე ვცოცხლობ?  
 სად ვარ?  
 ჰა, სასმისი?

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: სატრფიალო!  
 (იზოლდა აღგზნებული უმზერს ტრისტანს)

ი ზ ო ლ დ ა: ტრისტან შემიყვარდი?

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: იზოლდა!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა (მსახურებს): მიეშველე!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ო, მძიმე ცთომილებად,  
 წამებო ვერავი ტრფობის!

(ხილი გასდეს ნაპირზე, დაეშენენ, გემბანზე. სცენა ასახავს შეხვედრის წუთებს).

ყ ვ ე ლ ა ნ ი: კორნეალს ვაშა!

(ეშვება ფარდა)

## მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა II

### სცენა I

(პარკია იზოლდას სასახლის წინ, სასახლისკენ, საფეხურებზე მიემართება, ნათელი ღამეა, გაღებულ კართან კაშკაშებს ჩირაღდანი, ისმის მონადირეთა საყვირების გადაძახილი, კიბესთან მდგომი ბრანგენა უსმენს საყვირების ხმებს, შიშით შეკუყურებს სასახლიდან გამოსულ იზოლდას, იზოლდა ტრფობით აღგზნებული მოდის ბრანგენასთან)

იზოლდა: კიდევ უსმენ?

ხმა მესმის შორიდან.

ბრანგენა: ჯერ, შორსაა,

ისმის გარკვევით!

იზოლდა (უსმენს): ლელავ და ხმა გეჩვენება.

ეს ფოთოლთ შრიალია მხოლოდ,

თამაშობს სიო ლალად.

ბრანგენა: შეპყრობილი ხარ ტრფობისგან,

გრძნობებს ხედავ მარტოკა,

მე მესმის საყვირთ ხმები

იზოლდა: სივრცემ შთანთქა ხმაური,

ისმის ნაზი ჩხრიალი წყაროს,

ჩურჩულებს ტალღები,

როგორ გვიხმობს საყვირის ხმები?!  
სიამით ვისმენ წყაროს ტკბილ სიმღერას.

მღუმარებაში ველი ძვირფასს.

შენ კი, შეგაკრთო საყვირის ხმამ.

ხომ გასურს რომ აქ მობრძანდეს?

ბრანგენა: შენ ელი გმირს,

მაგრამ გაფრთხილდი,

უთვალთვალე ბენ ალბათ.

შენ ხომ ბრმა გახდი,

ოცნებებმა შთანთქა ყოველი გრძნობა.

ოდეს ხომალდიდან

ტრისტანის შემკრთალმა ხელმა

მიგვევარა ფერდაკარგული

მეფე მარკისათვის,

ოდეს ყველა შეკრთა შენს დანახვაზე,

კეთილი მეფე მსწრაფლ გეახლა,  
სწუხდა დაღლილობას,  
სწუხდა ავადმყოფობას,  
მარტო იყო,  
მე შევეამჩნიე,  
მხოლოდ ტრისტანს უყურებდა,  
სურდა შეეცნო საიდუმლო  
ვნებიან თვალეში,  
და დარწმუნებულიყო.  
მას შემდეგ სულ გითვალთვალებთ.  
სურს მახეში გაბმა  
მელოტს,  
მის მრჩეველს...

იზოლდა: უფროსიხარ მელოტს?  
ო, შემცდარიხარ,  
ის ხომ ტრისტანის ერთგულია?!  
ოდეს ის აქ არ არის  
იციოდე მელოტთანაა.

ბრანგენა: შენ რასაც აფასებ  
მე ის მაშინებს,  
ტრისტანიდან მარკთან მიდის იგი,  
ბოროტებას თესავს,  
ამ ღამით ნადირობა ისურვა —  
ჩვენთვის მოულოდნელად,  
დამერწმუნე, რომ  
მას არ იტაცებს იქ  
ტყის ცხოველები,

იზოლდა: ჩვენ გვცემს პატივს  
ჩვენთვის იღონა  
და გვეხმარება,  
ნამდვილ აბრალებ მას ორგულობას,  
შენზე უფრო ერთგულია,  
მან გრძნობათ კარი გაგვიღო,  
ო, ნუ გვალოდინებ ამდენს!  
ნიშანი, ბრაგენა!  
ნიშანი ჩქარა!

ჩააქრე შუქი ნათელი!  
უქუნმა წყვდიადმა შეგვიფაროს!  
შთაინთქის მყუდროებაში ყველა,  
გულში კრთის შიშის ტყბილი გრძნობა,  
ო, ჩააქრე სინათლე!  
არ მსურს სინათლის აღი,  
მოვიდეს მიჯნური!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: დე, ჩაქრეს ნათელი შუქი  
და სიბნელემ დაგიფაროთ,  
ო, ცოდვა ჩემს თავს!  
ო, საბრალო, უბედურის ბედისა!  
მსურდა მხოლოდ ერთხელ, შენ მომეტყუებინე,  
შემეძლო მერწმუნა,  
შენ ხომ სიკვდილი გსურს?  
გსურს შერცხვენა  
და პატივის აყრა.  
ბრალი მე მიმიძღვის,  
შემინდე!

ი ზ ო ლ დ ა: ცოდვა?  
შემისმინე,  
ტრფობის ღმერთი მოიგონე,  
ჯადოქრული ძალის,  
ვის შეუძლია ებრძოლოს?  
უსაზღვროა ძალა მისი,  
სიკვდილის და სიცოცხლის შთაქრის,  
ერთად გრეხს სევდას და სიხარულს,  
აღაგზნებს ვნებათ ნექტარს,  
მოკვდავთ მოდგმავ,  
უხეშად მოვიხსენეთ.  
ტრფობის ღმერთმა ყველგან დაგვიფარა,  
სიკვდილის წილი გამოიხსნა,  
თავის ძალას აზიარა.  
დე, მან განსაჯოს, გზა მიგვიითოთოს,  
ყველგან წავევები მის გზას გაკვლეულს.  
დე, მან გვიმფარველოს,  
მხოლოდ მისი მწამს და მჭერა!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: ო, სასმელმა ბოროტებისამ  
 გრძნობა ნათელი დაგიბნელა  
 და ყოველივე, რაც დაგარიგე  
 ტყუილი ცდაა,  
 გემუდარები ნუ ჩააქრობ ჩირაღდანს,  
 ამ ღამეს გთხოვ, კიაფობდეს სინათლე.

ი ზ ო ლ დ ა: ვინ შთაბერა გულში გრძნობები,  
 ვინ ალაგზნო გრძნობის ცეცხლი,  
 ვინ იწვის დღის სინათლეთი!  
 ტრფობის ღმერთი!  
 ვაშა წყვილიაღს!!  
 იფეთქოს ტრფობის გრძნობამ!  
 (გარბის ჩირაღდნისაყენ)  
 სად იყო ჩირაღდანი?! (ჩამოხსნის)  
 აღი ზემოთ!  
 მიღარაჯე!  
 ნეტავ სიცოცხლეც ჩაქრეს,  
 ჩაქრა!  
 ეს ცეცხლი...  
 სიხარულით ჩაეაქრობ!!

(ჩირაღდანს აგდებს მიწაზე, ცეცხლი ჰქრება. შეშფოთებული ბრანგენა კი-  
 ბით აღის სცენის სიღრმეში და თვალს ეფარება. იზოლდა ყურს უგდებს  
 ხმაურს, ზეივანს ათვლიერებს, თანდათან თამამდება გრძნობისაგან, იქნევეს  
 ცხვირსახოცს სულ უფრო ალგზნებული, მან შეამჩნია ტრისტანი, ჩქაროვს  
 შეხვედრას)

## სცენა II

ტ რ ის ტ ა ნ ი და ი ზ ო ლ დ ა

ტ რ ის ტ ა ნ ი (შემობის): იზოლდა! ძვირფასო!!  
 ი ზ ო ლ დ ა (დაღაბხვევიან ერთმანეთს): ტრისტანი! ძვირფასო!!  
 ი ზ ო ლ დ ა: შენა ხარ?  
 ტ რ ის ტ ა ნ ი: ისევ ჩემი ხარ?  
 ი ზ ო ლ დ ა: გულში ჩაგიკრავ!  
 ტ რ ის ტ ა ნ ი: ნუთუ ცხადია?  
 ი ზ ო ლ დ ა: ისევ ერთად!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ჩამეკარი!  
 ი ზ ო ლ დ ა: მართლა გიპოვე?  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ნუთუ ეს შენ ხარ?  
 ი ზ ო ლ დ ა: შენი თვალები?  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: შენი ბაგე?  
 ი ზ ო ლ დ ა: შენი ხელი?  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: შენი გული?  
 ი ზ ო ლ დ ა: აქ ვარ? შენ ხარ? ნამდვილია?  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: შენ ხარ?  
     მე ვარ? ხომ არ ვცდები?  
 ი ზ ო ლ დ ა: სიზმარია!  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ცხადი არის!!  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი, ი ზ ო ლ დ ა: ო, ტრფობავ, განცხრომავ!  
     ო, ტკბილო, ნაზო, ძვირფასო,  
     სიხარულად მოვლენილო  
     ნეტარებავ,  
     მარად უხილავო ვნებათ წყაროვ!  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: უსასრულოდ ცად გაჭრილო  
 ი ზ ო ლ დ ა: ყველა გიმღერს.  
 ი ზ ო ლ დ ა, ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ლაღად, ლხენით,  
     ზეცის სივრცე, დედამიწა!  
 ი ზ ო ლ დ ა: ვხედავ ტრისტანს!  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ჩემს იზოლდას, კარგს,  
     იზოლდას, ნაზს.  
 ი ზ ო ლ დ ა, ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ერთად ვართ მარად!  
 ი ზ ო ლ დ ა: ტრისტან და იზოლდა სიმბოლოა,  
     ტრისტან, ტრისტან! ერთად, ერთად ვართ.  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ერთად ვართ იზოლდა,  
     იზოლდა, იზოლდა, ერთად, ერთად ვართ.  
 ი ზ ო ლ დ ა: რა ხანია, რაც დავცილდით.  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: რად დავცილდით ასე მალე?!  
 ი ზ ო ლ დ ა: ო, შეუცნობო ბედისწერა,  
     შორი იყო დრო განშორების!  
 ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ო, შეუცნობო ბედისწერავ,  
     ტრფობით ვიწვი!  
     მკლავს სიშორე.

იზოლდა: ბნელაში ხარ,  
მე — ნათელში!

ტრისტანი: შუქი, შუქი!  
ო, სინათლე,  
ხანგრძლივ იფერფლოდი,  
მზის ელვარება ჩაგვიქრა,  
ჩირალდნის შუქი ბრწყინავდა,  
საშინელ ნიშნად ანათებდა.  
აღმართულიყო კარებზე  
და არ სურდა შეხვედრა...

იზოლდა: ამ სათუთ ხელით შუქი ჩაქრა.  
ვერ შეძლო ვერვინ დაცილება.  
სიყვარულს მივენდე მხოლოდ,  
შემჯავრდა დღის შუქი.

ტრისტანი: დღის შუქი!  
სინათლე,  
ბოროტო დღის შუქო!  
მე შენ მეზიზღები!!  
წყველიმც ხარ!!!  
ო, რომ შემეძლოს,  
როგორც ჩირალდნის შუქს,  
შენც ჩაგიქრობდი სინათლეს,  
მიჯნურთა წამების წყაროს.  
მოგაქვს ტანჯვა და წამება,  
შენი სხივები გულს ჰკლავს,  
თვით ლამის წყვდიადსაც აკრთობ.  
ციმციპებს კედელზე,  
გზას მიხშობს სატრფოსკენ.

იზოლდა: საყვარლის სახლში შუქი კრთოდა,  
შენ გულშიც ელვარებდა —  
ცეცხლი მწველი ვნებათ სიყვარულის.  
ერქვა მას ტრისტანი,  
იქ დღე არ იყო მაცთური,  
ოდესაც მაცნედ მობრძანდა  
და მარკისტვის თავს მთხოვდა,  
დასდო მან სიკვდილს ფიცი.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ო, ღღევ, შენ იძირებოდი,  
მე მზის ცეცხლს ვხედავდი მხოლოდ.  
ძლიერმა შექმნა აღმაგზნო,  
იზოლდა ხელთ ვიგდე!  
ჯადოსნური შუქით მხიბლავდა,  
წამებით გული ამევესო,  
ღღის სინათლეზე ჩემი ვერ გახდებოდი.

ი ზ ო ლ დ ა: შენი იყო არჩევანი,  
რისთვის მიენდე ბოროტ ღღეს,  
და თვით შენი საცოლვე  
აავიდან მოაცილვე?

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: თვალების ეშხმა შემაკრთო,  
ბრწყინვალეებამ, სიღიაღემ  
მსწრაფლ დაატყვევა გული  
და მოიხიბლა სული,  
ელვარე ცეცხლმა მწველი შუქით  
გრძნობა ამიბობოქრა....  
და ბრწყინვალეებამ ღღიადი მზის,  
მაცთური იმედის სხივებით  
დაისადგურა ჩემს გულში,  
ჩასწვდა ის სიღრმეს გრძნობათა,  
სიბნელეში მყოფი, გულში დამარხული  
ვოცნებობდი ტკბილად ტრფიალების კერპზე.  
მშვენიერებას ვერ უძლებდა ჩემი თვალები,  
შარავანდეღზე სინათლის  
წარმომიდგა მე იგი.  
მშვენიერება ვაღიარე  
და საჯაროდ განვაღიღე.  
სუყველას მოვუწოდებდი:  
ღღრსია ღღდოფლობისა,  
ღღისით შემიპყრო სიხარბემ,  
წამლავდა ამ ჩემს გულს ბოღმა,  
ეკარგავდი გმღრის პატივს,  
ღღიდებას — სამუღამოდ.  
ვებრძოდი ყველას, არ ვუფრთხლოდი,



მსურდა ღირსების დაცვა  
მხოლოდ შენთვის — იზოლდა!!  
იზოლდა: ო, დღის ბრმაო მონავ,  
გვაწამა დღემ ჩვენ ორთავე!  
მეც შენთან ერთად გავიტანჯე,  
შეიქმნა დღე წამებისათვის,  
შეგვაცდინა მატური შუქით.  
გული იწევდა სიყვარულისკენ,  
ბობოქრობდა გრძნობათ ლელვა.  
ო, მწვავე იყო ტანჯვა  
დაფარული ჩემს გულში.  
შენზე გრძნობა ფეთქდა,  
ჩემო მწამებელო,  
ღღის სინათლეზე მოხველ  
უძვირფასესო გმირო,  
მტრად გამომეცხადე შუქზე მნათობისა.  
იდგა ჩემ წინ მოლაღატე,  
შემძულდა სინათლე, გავექვეც ყველას,  
წყვიდიადს მსწრაფლ შევეფარე,  
სადაც სიმყუდროვე მოვიპოვე  
და სადაც ოცნებებს  
ფრთები შევასხი.  
ვნებათა დაოკება მსურდა,  
სიკვდილის თასს დავეწაფე შენთან ერთად.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ტკბილი სასმისი ვიგრძენი,  
შევიცან მაშინ მეგობარი,  
განსჭვრიტა იგი ჩემმა სულმა,  
ოცნებებში სიზმარსავით,  
შემაშფოთა წყვილიაღმა.  
და დღე მარად გაჰქრა

იზოლდა: შეცდი, დალიე სხვა სასმელი,  
შთაინთქა სივრცეში წყვილიაღი,  
სიკვდილისგან დაგიხსენ.  
სინათლეს დაუბრუნდი!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ო, ვაშა ამ სასმელს!

ვაშა, მის სიტკბოს!  
ვაშა, გრძნეულ გრძნობათა სხივს!  
სიკვდილის კართან ვიგრძენ ტრფობა,  
მისგან შევიცანი მხოლოდ  
საოცნებო უძვირფასესი.  
ნეტარო წყვილიადო,  
გულში იღუმალების შემნახველო,  
ნუ გაჰქრები გრძნობათა ლანდო,  
და თვალნი აპყრობილნი  
იხილვენ ნამდვილ სახეს.

იზოლდა: გამარჯვებული დღე შურს იძებს,  
განზრახვამ შენმა უშველა,  
რა მოგიტანა ბნელმა ღამემ?  
მსხვერპლი დღისთვის უნდა გაგელო,  
ყოვლის შემძლებელისთვის,  
მის ბრწყინვალეებისთვის  
ღირს ბნელი უკუვაგდო?  
რას გაუძელი?  
რა მოვითმინე?

ტრისტანი: ო, შენ მფარველო ღამევ, — ვფიცავ!  
ცბიერი დღე კი, შურით აღივსო.  
განა დაგვაცილებ?  
არ გვიღალატებ ისევ.  
შუქი ციმციმებს,  
ვინ ირწმუნებს მის შუქს —  
ნაზად მიწაზე მოკაშკაშეს?  
შენი კამკამა სხივი ძირს მოფენილი  
არ გვაბრმავებენ,  
ვინ შეიცნო სიკვდილისფერი?  
ვინ ეზიარა საიდუმლოდ?!  
იმ დღიდან ვენდობით  
სახელს, ღირსებას ძალას.  
სამყარომ თუნდაც გამრიყოს ამაოდ  
მე მტვერი ვარ მიწისა.  
ის ვინც მიწის სურვილს ჩახვდა  
მხოლოდ ოცნებით ცხოვრობს.

მოუწოდებს წმინდა წყვლიადს,  
სად მფარველი ტრფობისა  
ღამის ბურუსში კრთის.

(ტრისტანი იზოლდას მიიყვანს სავარძელთან, ყვავილებისაკენ, იგი მუხლზე  
დაემხოა იზოლდას წინაშე და თავს ჩარგავს)

ტ რ ის ტ ა ნ, ო, ტრფობის ღამევე მოგვევლინე!

ი ზ ო ლ დ ა: და განცხრომა ქვეყნის მოგვეც!

შეგვიფარე წყვლიადში,

სინათლეს დაგვაშორე,

ტ რ ის ტ ა ნ ი: ჩაქრა სინათლის ბრწყინვალება!

ი ზ ო ლ დ ა: ჩვენი ფიქრი, ჩვენი გრძნობა.

ტ რ ის ტ ა ნ ი: ამაოა!

ი ზ ო ლ დ ა: საეჭვოა!

ტ რ ის ტ ა ნ ი, მოისპობა ყოველივე,

ი ზ ო ლ დ ა: ღამის წყვლიადი

დაფარავს მიწას.

ი ზ ო ლ დ ა: სხივი მზისა ჩვენს გულში დნება,

ციმციმებენ ვარსკვლავთ კრებულნი,

ტ რ ის ტ ა ნ ი: მხიბლავ უტკბესი ტრფობის ნექტარით,

თვალები გრძნობით დამიმონებენ.

ი ზ ო ლ დ ა: მკერდს — მკერდი,

ბაგეს — ბაგე.

ორნივე ერთად ვსულდგმულობთ.

ტრფობით ვბრმავდებით,

სამყარო გაქრა ტრფობის ნიხლში.

გვიმუხთლა დღის ბრწყინვალებაშ,

ტ რ ის ტ ა ნ ი: გაქრა უკვალოდ დღის მოჩვენება,

ტ რ ის ტ ა ნ ი: ჩვენშია ცხოვრება, უკვდავების გრძნობა,

ი ზ ო ლ დ ა: უსაზღვრო ტრფიალება!!

ნამდვილი სურვილი —

უსასრულო ზმანების!

(ტრისტანი და იზოლდა ჩაფლობიან ღრმა ოცნებაში)

ბ რ ა ნ გ ე ნ ა (არ ჩანს, კედლიდან უძახის):

თენდება,

სულ გდარაჯობთ!

ტრფობის ღამე აღაგზნებთ.  
ო, გთხოვთ შეუსმინოთ მას, —  
ვინც განსაცდელს ელოდება,  
შიშით გიკრთობთ ოცნებას,  
გაფრთხილდით!  
არ ძინავთ!  
მალე ინათებს.

იზოლდა: ჩუ, ძვირფასო  
ტრისტანი: მსურს რომ მოვკვდე,  
იზოლდა (წაპოიწვეს): ჰირვეულობს?!  
ტრისტანი (ისევ გადაწვება): ვიოცნებებ!  
იზოლდა: დაგვაცილებს დღე ბოროტი.  
ტრისტანი: სიკვდილის წინ დღე შედრკება.  
იზოლდა: დღეს და სიკვდილს შეუძლია  
ბედნიერება მოგვისპოს!

ტრისტანი: ჩვენი ტრფობა?  
ჩვენი გრძნობა?  
ჩვენ განუყრელნი ვიქნებით!  
რა ძალუძს ბნელ სიკვდილს?  
დაგვაცილებს ერთურთს?  
მომეველინოს სიკვდილი!  
საშინელი, სამარადისო,  
ის განა შეძლებს ტრფობის დარღვევას?  
სიკვდილის ძალა ნამდვილ ტრფიალებას  
ვერ შელახავს.

თუ მოვკვდები ტრფობის სამოსელში,  
ნუთუ სიყვარულიც მოკვდება ჩემთან?  
ნუთუ გაჰქრება უკვდავი ძალა?  
ტრისტანის ტრფობა სამარადისო არის,  
თვით მასში ცოცხლობს!

იზოლდა: ხომ ჰქვია ტრფობას ჩვენსას  
ტრისტანი და იზოლდა?  
კავშირი ჩვენი „და“ სიტყვით ცოცხლობს.  
გრძნობა — ტრფობის ტრისტანისათვის  
სიკვდილზე მძლავრია!

ტრისტანი: ო, არა სიკვდილს არ ძალუძს, რომ

ტრისტანისთვის იზოლდას გრძნობა ჩაახშოს.

გრძნობით ვიცოცხლებ მხოლოდ!

იზოლდა: დე, კავშირი „და“ აქ დაიმარხოს,  
მეც, იზოლდა! იმწამს გავათავებ სიცოცხლეს —  
ძვირფას ტრისტანთან ერთად!

(ტრისტანი ამაყად ეალერსება იზოლდას)

ტრისტანი: მსურს ერთად მოვკვდეთ,  
მარადეჟამს ვიყოთ ერთად,  
უკუნის ზმანებაში.  
ოცნებებში რა შეგვიკრთობს  
უტკბეს გრძნობებს?!  
ვიქნებით ტკბილ გრძნობათ-  
სამყაროში მარტოკა.

იზოლდა: დავეწაფოთ მხოლოდ სიკვდილს.

ტრისტანი: ვიყოთ ერთად მარადის.

იზოლდა: ზმანებაში.

ტრისტანი: უშიშრად.

ტრისტანი, იზოლდა: სიზმრის ნეტარ სამყაროში.

ტრფიალებით ვისულდგმულებთ,

ვიქნებით მარტოდ.

(იზოლდა ტრისტანის შკერდს მიყარდნობს თავს)

ბრანგენა: თენდება,

დღე უკვე იღვიძებს

ტრისტანი (ოცნებით უყურებს): მას ვუსმინო?

იზოლდა: სიცოცხლეს დაეთმობ!

ტრისტანი: გასურს ვიცოცხლო?

იზოლდა: მსურს ვიოცნებო!

ტრისტანი: პირქუში დღე მოახლოვდა!

იზოლდა: სიკვდილის წინ დღე შეერთება:

ტრისტანი: მის ნათელ სხივებს

კვლავ შევაჩვენებ!!

იზოლდა: რადგან არ მსურს მატურო

ტრისტანი: შუქის თინათინობას არ ვუყრთი!

იზოლდა: გამეფდეს წყვდიადი! (გადაეხვეწიან)

ტრისტანი და იზოლდა: ო, ტკბილო დამევე.

ენებით აღსავსე!  
ო, წმიდა ღამეე ტრფობის  
შენ შეგვიფარე!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: მოგვიალერსე.

ი ზ ო ლ დ ა, ტ რ ი ს ტ ა ნ ი: როგორ შევძლებთ შიშით  
შეეხვდეთ ღღეს —

ცხოვრებისას?

ო, მოგვეც განცხრომა, სიმშვიდე;  
გვსურს სიკვდილი ტრფიალებით!  
შეგვიფარე შენს სამოსელში,  
უწმიდეს გრძნობით  
ზმანება ტკბილი მოგვეგვარე,  
როგორ გავიგოთ, განვსაზღვროთ,  
გრძნობათ მხარე,  
სადაც არ ჩანს მზე,  
არც ცრემლია განშორების!  
უოცნებო.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ვსრუტავ ნექტარს,

ი ზ ო ლ დ ა: გრძნობელობის,

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: სიყვარულის!

სიკვდილშია — სიტკბოება.

ი ზ ო ლ დ ა, უსიკვდილოდ ბნელს შევერწყმით

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: უტირალნი, უნუგეშოდ ერთად ვართ.

ამ სამყაროში მხოლოდ ჩვენ ვართ ზმანებაში.

ი ზ ო ლ დ ა: შენ, ტრისტან!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: შენ, იზოლდა!

ი ზ ო ლ დ ა: არ ვარ იზოლდა!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: არ ვარ ტრისტანი!

ი ზ ო ლ დ ა: უსახელოდ მარტო დავრჩი,

ახალ ფიქრით,

ახალ გრძნობით,

მსურს ვიყოთ მარად ერთად.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ერთად ვიყოთ, ერთად ვიყოთ:

მე და შენ — მხოლოდ ერთად ვიყოთ.

არ მსურს სხვა, ერთად ვიყოთ —

სამარადისოდ.

→ (ერთად)

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: უკვდავო გრძნობავ,  
ი ზ ო ლ დ ა: მარად ერთად!  
ტ რ ი ს ტ ა ნ ი, ტ რ ფ ი ა ლ ი ი წ ვ ის.  
ი ზ ო ლ დ ა: ო, გრძნობავ ნეტარო,  
სიყვარულის'!

### ს ც ე ნ ა III

(ბრანგენა შეპკივლებს, ტრისტან და იზოლდა ტრფობის ექსტაზში არიან, კურვენალი შემოიჭრება მახვილამოწვილი)

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი (შიშით ათვალეირებს სცენას):  
სასწრაფოდ წადით!

(მარკი, მელოტი და მსახურნი ხეივნიდან სასწრაფოდ შემოდიან. მონადირეთა ტანისამოსებით და შეძრწუნებული შეხედავენ ტრფობის ექსტაზში გართულებს. ბრანგენა იზოლდასკენ გამოიბის. იზოლდა სირცხვილისაგან თავს შეაბრუნებს, ტრისტანი იზოლდას მოსასხამს მოიფარებს, ორივე ჯგუფი ერთიმეორეს მისჩერებიან, რიყრაჟია)

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: წყეული დღე აღსასრულისა!  
მ ე ლ ო ტ ი (მარკს): ო, მეუფევე, მიბრძანე  
ხომ ხედავთ არ შევეციდი?  
სიმართლეს ვიცავდი,  
სიცოცხლეს გფიცავდი?  
დამნაშავეს თვითონ ხედავთ.  
სახელი და ღირსება დავიცვათ მეფე!

მ ა რ კ ი (ხმის კანკალით): ნუთუ ცხადია? არ მჯერა!  
ის იყო უერთგულესი გამირი,  
მივენდე, მის ნათქვამს ვუჭეროდი,  
გამირმა უღირს მოქცევით  
გული დამისერა უწყალოდ.  
თუ თვითონვე მილაღატა  
და მე განგმირა ტრისტანმა  
შეძლებს მელოტი შურისძიებას?

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: მოჩვენებავ გარიყრაჟის,  
ნათელი დღის —  
განვედ! წადით!

მ ა რ კ ი (აღშფოთებული): ეს მე ვარ?

რას ამბობ, მე?..

ვის უნდა ვენდო

ტრისტანმა უარმყო?

ჩაესვენა მეგობრობა —

მას შემდეგ რაც ფიცი

ტრისტანმა გასტეხა.

მას ღირსება ეპყრა ფარად,

სად დაიკარგა ის ახლა?

მეგობარი მყავდა,

ო, ტრისტან მითხარი!?

(ტრისტანი თანდათან ხრის თავს, მეფის სიტყვები გულს უკლავენ)

ნუთუ ეს მსახურია,

ღირსებაა და სახელი,

მარკისთვის იბრძოლე?

ყოველივე: ფიცი,

ბრწყინვალეობა და სახელი

სამუდამოდ შეურაცხყავი?

შენდამი მოწყალე ვიყავ,

ყოველი განძეული, ტახტი, სამეფო

შენთვის მინდოდა,

უშვილოს — ცოლი რომ მომიკვდა,

ცოლს შენ უყვარდი და ოცნებობდა შენს ქორწილზე.

როდესაც სასახლის პირნი

სთხოვდნენ მეუფე მარკს ეთხოვა

ახალი დედოფალი

გარდაცვლილის სანაცვლოდ.

შენ თვითონ მევედრებოდე,

ყველას ნაცვლად —

ამესრულებინა ხალხის სურვილი.

მე კი არ მსურდა ცოლის შერთვაზე ფიქრიც კი,

მგლოვიარედ მყოფს არ მსურდა ღვინი,

შენ, ტრისტან, დამემუქრე

სამუდამოდ მიმატოვებდი,

თუ შენ ხელის მომკიდედ მეფისა

არ აგირჩევდი,



მარკმა ნება მოგცა  
ლამაზი საცოლე  
შენი გამარჯვების ემბლემა იყო.  
მოვიხიბლე, ჩემს თავს ვგრძნობდი ბედნიერად,  
ოღონდ შენი ყოფილიყო თავიდანვე.  
ვერც ვიოცნებებდი,  
ლოცვა შემეძლო მის სახელზე,  
ციურ მშვენიერებაზე.

გული სიხარულით ცემდა,  
ყველა მოსისხლის საუბედუროდ  
სიამე მომეც....  
და სამოთხედ მიმაჩნდა ყოველივე,  
რასაც შეევეხებოდი.

რა იქნება თუ გაღებულ გულს  
ჩასწვდები ნაზად!

ჭრილობა მაქვს განუკურნებელი, მძიმე  
მახვილით რატომ არ განმიგმირე გულ?,  
რათ შეურაცხმყავ?

შხამით საწამლავისა მომკალი,  
სხეული მოიწამლა შხამით,  
ჩაიკლა გულში მეგობრობა,  
შემიბყრო მხოლოდ ბოროტებამ,  
ამ წყეულ ღამეს ჩაგისაფრდი ძველ მეგობარს,  
ფარულად ველოდი შურისძიების წამს,  
ცისგან დაწყველილმა  
ნუთუ დავიმსახურე შეურაცხყოფა?  
გაუგებარია შენი საქციელი,  
ვინ განსჯის ჩვენ შორის?

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: მეუფევ, არც კი მსურს გიპასუხოთ.  
ვერასოდეს ვერ გაიგებ საიდუმლოს!

(შეხედავს იზოლდას, რომელიც ვნებიანად მისჩერებია მას)

ტრისტანი შორს მისცურავს,  
იზოლდაც მასთან ერთად.  
იმ მშვენიერ ქვეყანაში მზე არ ნათობს,  
ჯადოსნურ ღამის სამეფოა,

სადაც დედამ წარმომშვა —  
მან სიკვდილის ქვეყნიდან დამბადა,  
„ღღეს“ თავის' სიკვდილი ანაცვალა.  
იქ მან მოიპოვა მარადიულობა,  
იქ სიბნელე მეფობს,  
მერწვევა აკვანი,  
იქ მიღის ტრისტანი, იქ დაგელოდები, (იზოლდას)  
წამოხვალ ძვირფასო სატრფოვ?  
გამომყვები? მითხარ!

იზოლდა: შენ ერთხელ უტხო მხარეს წამომიყვანე,  
ბოროტთან მეგობრად ვიყავი.

გესმის!  
ახლა მიმიხმობ შენს მშობლიურ ქვეყნისაკენ.  
სად უნდა გავექცე უსასრულო სამყაროს?  
სადაც გელის შენი კერა —  
იზოლდას გზა უჩვენე,  
უერთგულეს მეგობარს —  
მოგყვები!

(ტრისტანი გრძნობით კოცნის, მელოტი შმაგდება)

მელოტი: რას ვხედავ, შორს!

ნუთუ მეფე ამ სირცხვილს აპატიებ?

ტრისტანი: სიცოცხლეს ვინ მიპირისპირებ?

(შეხედავს მელოტს)

მეგობარო, მე მას ძმასავით ვუყვარდი,  
ჩემს ღირსებას და სახელს აღიარებდა,  
გულს სიხარულით ავსებდა,  
მეგობრისთვის — ის თავს დებდა,  
სურდა სიკეთე ჩვენი,  
დედოფლის ღირსების დაცვა!  
მზერა იზოლდას მასაც დასწევას,  
ეჭვით სავსემ მიღალატა ისევე,  
როგორც მე მეფეს!

(იზიშვლებს მახვილს, გაიწევს მელოტზე. მაგრამ დაჭრილი კურეანლის ხე-  
ლებზე დაეშვება, იზოლდა მკერდზე შემოეხვევა, მარჯი მელოტს აკავებს)

ფ ა რ დ ა

### მ ო ჭ მ ე ღ ე ბ ა III

(ციხე-დარბაზის ბაღი, მოჩანს კლდის ქიმი, ბაღს ღობე ეკვრის ალაყაფის კარით. სივრცეში ზღვის პეიზაჟია, დეკორაცია უსიციოცხლოდ უნდა გამოიყურებოდეს. ცაცხვის ქვეშ ტრისტანი წევს — მომაკვდავი სახით საწოლზე, თავთან უზის კურვენალი, რომელიც ავადმყოფს ადევნებს თვალს. შორიდან მოისმის მწყემსის სალამურის ნალვლიანი — მონოტონური მელაღია, შემოდის მწყემსი, კურვენალი ოდნავ მოხრის მისკენ თავს)

მ წ ყ ე მ ს ი: კურვენალ ჰე!  
გთხოვთ კურვენალ, მისმინე!  
ისევ ძინავს?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: არა, ღვიძავს.  
ძილი მარადის  
განუტევებდა სულს,  
შველა მისი მკურნალს ძალუძს მხოლოდ,  
მე მას ველი.  
გემი არ ჩანს?  
სივრცეში ვერ ამჩნევ?

მ წ ყ ე მ ს ი: სხვა სიმღერას დავუკრავდი მაშინ:  
მხიარულს, ტკბილად მოსასამენს.  
მითხარ სიმართლე!  
ჩემო ძმა, რა ცოდვა შეემთხვა?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჩუ! ნუ მკითხავ.  
შენ რისი გამგები ხარ?  
გახედე, იქნებ გემი ჩანს,  
მხიარულად დასტვენე!  
(მწყემსი ხელს მიიფარებს, ზღვას გაჟუერებს)

მ წ ყ ე მ ს ი: მხოლოდ სივრცე ჩანს! (ისევ ისმის სალამურის ხმა)

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: (უმოძრაოდ, ახელს თვალს და ოდნავ მოიხედავს):  
ძველი ჰანგია,  
რისთვის უსტვენს?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჰა!  
ტ რ ი ს ტ ა ნ ი: სად ვწევარ?  
კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ო, ეს ხმებია,  
ხმები!  
ტრისტან, გმირო ჩემო!  
ძვირფასო!!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ვინ არის?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ცოცხლობ?

შენ აღსდები?

დაუბრუნდი

უტკბეს სიცოცხლეს?!

ტრისტან უძვირფასესო!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: კურვენალ, სთქვი სად ვარ?

ჰო, სად ვარ?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: სადა ხარ?

მარტოკა თავისუფლად!

კარეოლში

სასახლე შენი გიფარავს!!!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ძველი კოშკი?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჰო, შეხედე.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ეს ვინ უკრავს?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჰანგია მწყემსის.

ჩვევ მოისმის,

იქ ჭალაში ჯოგია მოფენილი:

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ჩემი ჯოგი?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჰო, ცხადია!

• შენია სახლი და კარი,

ხალხი მოგაგონდა?

უდარაჯეს ამ სახლს,

რასაც ხედავ შენ, რაც დაუტოვე

მსახურთ, როგორც საჩუქარი.

ეს მაშინ, ოდეს უცხოეთში გასცურე...

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: რომელ მხარეს?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჰეი, კორნვალში გაილაშქრე —

რა ბრწყინვალედ,

უძლეველ გმირად,

ტრისტან! ძლიერთა მოდგმავ!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: მე კორნვალში?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: არა კარეოლში

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: აქ საიდან მოვხვდი?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: როგორ მოხვედი?

ცხენზე გადამჯდარი!

ხომალდმა მოგიყვანა,

მანამდე, ხომ ამ ხელებმა გატარა მხოლოდ.  
აქ მოხველ, ჩემს ბეჭებზე მწოლი,  
და შენ შენებთან ხარ,  
მშობლიურ სახლში, სამშობლოში.

ტყე და ველი  
გაშლილა მზის სხივებში.  
აქ სიკვდილი ვერ მოვა,  
კელავ გამოჯანსაღდები (მიიკრავს მკერდზე ტრისტანს).

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ასეა? მე სხვაგვარად ვიცი,  
არ შემწევს ძალა — ვთქვა.  
გაქრა ძილი,  
სხვა გავხდი,  
ო, რა მეზმანა,  
ეს ხომ შენ არც კი იცი.  
ხალხი არსად ჩანდა,  
არც სხივები მზის ჩანდა,  
და რაც ვნახე, მე არ შემწევს ძალ-ლონე,  
ვიყავ სად სავანა სულის,  
მივალთ საუქუნოდ,  
შორეულ ბნელ სამყოფელში,  
მხოლოდ ესაა ცნობილი ამ ბნელი ქვეყნის.  
გადგივიწყეთ,  
რად გავახილე თვალი?  
ამ ქვეყნის მოდგმავ,  
ეს ხომ შენ დამაბრუნე  
ამ ნათელ ქვეყანაზე!  
ერთად ერთი რაც დამრჩა  
ცეცხლი სიყვარულისა,  
ეს მდევნის უკუნ ქვეყნიდან —  
ბედჯარულ სინათლეზე,  
სიკაშკაშე ოქროს სხივთა  
და შენ იზოლდა, კრთი!  
იზოლდა, შენ რჩები მზის ქვეყნად.  
შენ ისევ დღის ბრწყინვალეობაში ხარ.  
ნეტავ განახო! ჩემო მწველო!  
მივისწრაფვი შენს დანახვას!

მესმის, ვგრძნობ სიკვდილი მიმიხმობს,  
 კარებს აკაკუნებს,  
 ისევ შობრძანდა კარებთან,  
 მზემ გააძევა,  
 სხივმა მზისამ თვალები ამიხილა,  
 ბნელისგან შუქზე მივეცურავ,  
 თვალებს ვაპყრობ, მსურს გიხილო!  
 ო, გიპოვო და საუკუნოდ ჩაგეკრა,  
 შენთან დავდნე, ვოცნებობ შენზე —  
 ფერმკრთალი სახით!  
 ღვივდება ვნება მზის შმაგ სხივებით,  
 სიყალბეა მზის ბრწყინვალეობა,  
 ჩემი გრძნობათ ღელვა.  
 წყეულო ღღევ, ელვარებავ!  
 მტანჯავ დაუნდობელად,  
 ჩირაღდან ალარ ქრება,  
 თვით ღამეშიც გვემუქრება.  
 ო, იზოლდა, საყვარელო!  
 მითხარ, სანთელს როდის ჩამიქრობ მარადის.  
 მომანიჭებ სიხარულს?  
 როდის დაბნელდება?  
 ო, ნეტავ დაღამდეს!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: მოყვარე ვარ და ვერ დაგთმობ  
 მეც შენთან ერთად მასზე ვოცნებობ:  
 დამიჯერე, ღღეს მოცურდება ის შენთან.  
 ჩემი სიტყვა სანდოა.  
 ცოცხალი იყოს მხოლოდ.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ცეცხლი თუ ანათებს?  
 ჯერ ღამე არ არის,  
 იზოლდა ხომ ცოცხლობს,  
 ხმა მომესმის ღამით.

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: თუ ცოცხლობს, რა გაქვს სადარდო ძმაო!  
 ახლა კმარა, სხვა დროს მლანძღე,  
 გვედრები მაკმარე!  
 იმ ღღეს გვამსავით დაეც,  
 ოდეს მელოტმა უღვთოდ გაძგერა მახვილი,

ამ ჭრილობისთვის მალამო მსურს.  
და გავიფიქრე, მან ვინაც გიხსნა  
ერთხელ სიკვდილისგან,  
მას შეუძლია გიხსნას, განგიკურნოს ჭრილობა.  
ის კარგი მკურნალი არის  
კორნუელს გავგზავნე მაცნე საიმედო,  
მაცნე მოვა იზოლდასთან ერთად.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: იზოლდასთან!

იზოლდა მოდის!

ო, გრძნობავ!

მოდის მეგობართან (კურვენალს ვაღერებავ)

ო, კურვენალ, ჩემო ძვირფასო,

ერთგულებისთვის

რით გადაგიხადო ეს ამაგი?

შენ იყავ ფარი ბრძოლაში,

იყოფდი ჩემთან

ლხინს და გასაჭირს,

ჩემი მტერი შენც გებრძოდა,

მოკეთეს კი, გულს უღებდი.

რაცა ერთგულად მარკს ვემსახურე

შენც ერთგული იყავ მარკის.

როდესაც მეფე მარკს ვულალატე.

შენც ჩემკენ გადმოხვედი.

ცხოვრება შემწირე!

შემიწყალე გულკეთილო,

რაც გულს მიწამლავს

ვერ მიხვდი, ვერ იგრძენ.

მწუხარება მტანჯავს,

გულს მიკლავს,

მწველი ცეცხლის ალი

ფერფლად მაქცევს!

ო, თუ გამიგებ,

თუ მიმიხვდები,

შენ აქ აღარ დარჩებოდი,

კლდის ქიმზე გაიქცეოდი.

ოცნებით ვფრინავ შორეულ მხარეს,

შენც გაიხედავდი იქეთ,  
სად აფრა ხომალდის მოჩანს,  
ქარივით ჩქარა მოისწრაფვის,  
სადაც ცეცხლით აღგზნებული  
იზოლდა მოისწრაფვის.  
მოდის, მოჩანს ოცნებათ გემი.  
ხედავ, დროშა ფრიალებს მაღლა,  
გემი, გემი, რიფს არ შეასკდეს,  
დაინახე?..  
კურვენალ გემს ხომ ხედავ?

(კურვენალი ფეხს იორევს. ტრისტანს ვერ ცილდება, ტრისტანი დაძაბული უყურებს. ისევ მოისმის მწყემსის ნაღვლიანი სალამურის ხმა)

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: არაფერი მოჩანს!  
(ტრისტანი უტრს უგდებს ნაღვლიან ჰანგებს და სევდა იპყრობს)

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: როგორ გაგიგო შენ.

ჰანგია უძველესი.

სევდისა და ტანჯვის?

ამ ჰანგებს შენს შვილს უმღერდი  
სალამოს, სიმყუდროვეში, მარტოკა.

მომაგონებს შავბნელ დილას,  
ოდეს მარტო დამტოვა დედამ,

მამა გარდიცვალა,

აქ დალია სული.

ეს ჰანგი მარად მტანჯავდა,

ფიქრებს აღმიგზნებდა შავბნელს.

აზრი ჩემთვის უცნობია:

„სინათლე რად ვიხილე,“

ბედისწერა რას მერჩის,

რა მომელინ?

ჰანგები სიბრძნეს მკარნახობენ:

„ვენებათგან ჩაიკალ“.

ო, არა — სხვა აზრია.

„მარად, მარად, დაიტანჯე სიკვდილშიც

სიკვდილით თავს ვერ იხსნი!“.

„დაიტანჯე“! აღთქმა მორჩილად მივეცე.

ვთხოვდი მეგობარს შენდობას,



ნავში უგრძობლად ვიწეჭი,  
დაჭრილი ვიყავ ვკვდებოდი,  
ჰანგი ვნებით მომესმოდა.  
გემი მიგვაცურებდა მის სამშობლოში.  
განკურნა ჭრილობა ჩემი  
და სურდა მახვილით მოკვლა,  
აღელდა. ხმალი ძირს დავარდა,  
სასიკვდილო შხამი მომართვა,  
ვოცნებობდი სრულ განკურნებაზე,  
თილისმამ შემიპყრო უბოროტესმა.  
არასდროს გარდვიცვლები,  
მარად მომელის ტანჯვა,  
ვწყველი სასმისს, წყეულიმც იყავ!  
გრძნობა, გონება მომიშხამა მან!  
ვერ ვხედავ ხსნას და აღსასრულს,  
ვინ განკურნავს მძიმე ჭრილობას,  
ვეძებ სულიერ სიმშვიდეს,  
ბნელ ღამისგან გამრიყა დღემ.  
ჩემი წამება მზის სხივმა  
კვლავ უნდა გაიზიაროს.  
ო, ბოროტებავე, მზის სხივებო,  
როგორ წვაე ჩემს გულს  
ცეცხლოვანი სხივით —  
სიმხურვალეში მწველი შუქისა.  
ო, ვეძებ საფარს გამაგრილებელს,  
დავეძებ საშველს წამებისაგან,  
ვერ მშველის ბაღზამი —  
სიმშვიდის წყარო.  
სასმელი მწველი,  
შხამით გაჟღენთილი თვით ვარ.  
მე თვით განვსაჯე ბედი,  
კვლავ მომესმის მამის კენესა,  
ვმზერ ცრემლთა ნაკადულს მდუღარეს.  
ტანჯვასა და ლხინში.  
ტანჯვას და ლხინში სასმელი ვპოვე,  
განმკურნებელი.

შევზავე, თასი ავავსე  
და დავლიე ნეტარების თასი,  
წყევლიმც არის სასმელი!  
წყევლა დამატყდეს თავზე!

კურვენალი: მეუფე! ტრისტან!  
ეშმაკის ჯადო,  
მოჩვენება!

გრძნობა ტკბილი,  
სამყარო მოგიხმობს,  
ყველასკენ მიილტვი,  
შენ აქ წევხარ

ძვირფასო ჩემო, ვის ვუყვარდი თუ არა შენ!  
სიყვარულის გრძნობას ეწირება,  
არ ჩანს მეორე მსხვერპლი.  
(ტირილით) ცოცხალი ხარ?

ხომ ცოცხლობ?

მრისხანება გტანჯავს? (სუნთქვას აკვირდება)  
ო, ცოცხლობს, არ ფეთქს მკერდი,  
ცოცხლობს, ოდნავ კრთის ბაგეები.

ტრისტანი! გემი,.. ჯერ არ მოჩანს?

კურვენალი: გემი... მოვა, მოცურდება  
ის არ დაიგვიანებს.

ტრისტანი: იქ იზოლდა... ხელს მიქნევს,  
ტრფიალების სასმისს სვამს,  
ხომ ხედავ?... ხომ დაინახე?  
ცისფერ სივრცეს ზღვისა  
ნაზად გაჰყურებს,  
აქეთ მოიწევს.

ლივლივა ტალღებში  
ღიმილის შუქს აფრქვევს...  
ისწრაფე იზოლდა!

იმედის ღიმილს მიგზავნის და  
ბალზამი მოაქვს ხსნისათვის.

ო, იზოლდა, იზოლდა რა კარგი ხარ!  
გთხოვ კურვენალ, ხომ არ ხედავ გემს?  
გასწი კლდის ქიმზე უსინათლო!

ვხედავ კრიალა სივრცეში,  
შენც უნდა დაინახო!  
ხომ გაიგე? ჩქარა წადი!  
ადი კლდის ქიმზე!  
არ წასულხარ?  
გემი, გემი იზოლდასი  
უნდა იხილო,  
უნდა ნახო!  
გემი ხომ გამოჩნდა?!

(კურვენალი ცდილობს მის დამშვიდებას, უეცრივ მოიძმის სალამურის მხი-  
არული პანგი)

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: (სიხარულით შეჰყვირებს) ო, ღმერთო!  
ხედავ! ჰა გემიც!  
მოიწვეს სამხრეთისკენ

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ვიცოდი, გამარჯვდა  
თუკი ის სულდგმულობს —  
მეც ვცოცხლობ.  
მხოლოდ იზოლდათი ვსულდგმულობ,  
მას არ ძალუძს ჩემთან დაცილება.

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ჰეი-ჰა, ჰეი-ჰა, რა სწრაფად მოიწვეს,  
უბერავს ქარი აფრას  
ტალღებს რისხვით მოაპობს!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ხომ ხედავ ბაირალს?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: იმედის დროშა ფრიალებს,  
აქეთ იწევს.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ჰეი-ჰე! ოცნებავ!  
შუქზე ღლისა — ვნახავ იზოლდას.  
იზოლდა, აქეთ!  
დაინახე?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: მოეფარა გემი კლდეებს

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: იქ რიფია!  
ფრთხილად იყოს!  
ბნელი მორევია.  
ყველაფერს შთანთქავს  
მესაჭეს ხედავ?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: საჭეს კარგად მართავს.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: გვილაღატებს!

მელოტის კაცია!!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: არა, ცდები!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: შენც მილაღატე!

საწყალო, კიდევ არ ხედავ?

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: არ ჩანს?

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: შთაინთქა!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი (მზიარულად): ჰეი-ჰა, ჰეი-ჰა-ჰა!

მოდის, ცურავს, გვერდზე გასცდა!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი (მზიარულად) ჰეი-ჰა-ჰა!

კურვენალ ძვირფასო ძმავ!

ჩემი სამეფო შენი შეიქმნება.

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: მოგვიანლოვდნენ!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ნუთუ ის არის?!

ხედავ იზოლდას?!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: მოჩანს, ხელს იქნევს!

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: სულზე უტკბესო!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: დაუშვა ლუზა,  
იზოლდა ჰა, აქეთ მოდის,  
გადმოხტა ხმელეთზე.

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: როგორ მეჩქარება,

რისთვის აყოვნებ!?

აქეთ, აქეთ ისწრაფე,

ჩქარა მიეშველე!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: მე თვითონ მოგგვრი

ახლავ მოგიყვანთ!

შენ კი ტრისტან

მშვიდად დაგველოდე.

(კურვენალი სასწრაფოდ გარბის, ტრისტანი საწოლზე წამოიწიეს!)

ტ რ ი ს ტ ა ნ ი: ო, მწველო მზეო

ნათელო დღევ!

ო, ვნებათ ლელვავ,

ნათელო დღევ!

მიდულეზ სისხლს,

ემზიარულობ,

მომეცა ლხენა,

სიაშე დიდი,  
წოლა და მოცდა  
არ შემიძლია!  
იქითკენ, სადაც  
გული შმაგად იწევს!  
ტრისტანი გმირი  
ფეხზე დგას,  
სიკვდილის კლანჭებს გაუსხლტა (წამოდგება)  
სისხლიან კრილობით  
დავძლიე — მე მოროლდი,  
სისხლიანი დალით  
გავრბივარ ჩემს იზოლდასკენ.  
ჩემო სისხლო,  
სიამით წვეთავ (მიიწვევს წინ ბარბაციოთ).  
ის ვინც განმკურნავეს საუკუნოდ  
გმირსავეთ ილტვის  
გადასარჩენად.  
გწყველი ზეტავ!  
მივიწვევ სიამით! (მიაღწევს სენის 'შუა ადგილს)

იზოლდა (კულისებიდან): ტრისტან, ძვირფასო!!

ტრისტანი: ჩანს სილამაზე,

შუქი კი ჰა!

ჩაჰქრა სინათლე!

მასთან, მისკენ!

(იზოლდა შემობრბის. ტრისტანი ტორტმანით მისკენ მიიწვევს, იზოლდა ხელით იპერს. ტრისტანი ნელ-ნელა ეშვება)

იზოლდა: ტრისტან!

ტრისტანი (მომაკვდავი ხმით): იზოლდა! (კვდება)

იზოლდა: ო! აქ ვარ შენთან

სულზე უტკბესო,

გთხოვ შეისმინოთ, აღსდექ!

იზოლდა გიხმობს,

მოველ შენთან ტრისტან.

ერთად მოვკვდეთ!

ბაგე არ კრთის

ო, ერთ წამს, რომ თვალი გაახილო,

შემომხედო!  
 ეს დღენი ტანჯვით გამიტარებია,  
 ვფიქრობდი შენთან დროს გატარებაზე.  
 რად შემაცდინე იზოლდა — ტრისტან  
 მიწიერ განცხრომას დავეწაფე,  
 ტკბილია წამი,  
 კრილობა სად გაქვს — განგიკუთრებ!  
 დე, ღამემ უტკბესი წამი მოგვცეს,  
 სიცოცხლე ჰრღობებმა  
 შენ არ მოგისპო.  
 ჩვენ ბაგე ჩაკრულნი  
 დაეხუჭავთ თვალებს.  
 გაშეშდა თვალი და გულო,  
 შეგეკრა სუნთქვა ბაგეთაგან.  
 მწარე სატანჯველია დამრჩა.  
 ბედნიერ ქორწილს შენთან  
 ვოცნებობდი.  
 რა დროს მილაღატე!  
 სასტიკი განაჩენით ვგლოვობ!!  
 შენ მარტო მარგუნე ეს გლოვა.  
 ცრემლებსაც კი ვეღარასდროს იგრძნობ,  
 კიდევ გთხოვთ, აჰ, მხოლოდ ერთხელ!  
 ტრისტან!  
 ჰა, სძინავს — საყვარელს!  
 (უგრძნობლად დაეცემა ტრისტანის ცხედარს).

### სცენა III

(კურვენალი იზოლდას შემოყვება, გაქვავებული მისჩერებია მიცვალებულის გვამს, კულისებიდან ისმის იარაღის ჟღარუნი. მწყემსი გადმოძვრება ღობეზე და გარბის კურვენალისაკენ, კურვენალი მიიჭრება კიშკართან და იყურება გაშმაგებით, მწყემსი მისჩერებია იზოლდას და ტრისტანს).

მწყემსი (ჩუმი ხმით): კურვენალ მეორე გემი!

კურვენალი: კირი მის თავს.

ყველას უხმე,

მარკსა და მელოტს უნდა დაეხვდეთ,

ჩქარა. ჰიმკრისკენ.

ქვეები, ხმლები, (ცდოლობენ კაიბჰის დაკეტვას)

მესაქე: მხლებლებითურთ მოდის მარკი.

ილიერია მისი ლაშქარი!

კურვენალი: ჩემთან დადექ!

სანამდე ვცოცხლობ

აქ ვერვინ შემოვა.

ბრანგენა (ულისებიდან): იზოლდა სადა ხარ?!

კურვენალი: ბრანგენაა?

ჩად მოვიდა?

ბრანგენა: გამიღე ჩქარა!

იზოლდას ვეძებ.

კურვენალი: მტრებთან მოხვედი?

სად გ.ონახე?!

მელოტი (სენის სიღრმიდან): უკან, ბრიყვო! შემოგვიშვი!!

კურვენალი (ისტერიული სიცილით): ჰეი, ა-ჰა-ჰა,

დიდხანს მოჩიხდა ლოდინი!

(მელოტი გამოჩნდება მხლებლებით, კურვენალი ამოწვდილი მახვილით მი-  
ვარდება და ძირს დასცემს).

სიკვდილი შენდა!

მელოტი: ცოდვა!.. ტრისტან! (ყდება)

ბრანგენა: კურვენალ, გამხეციდი,

ვინ შეგაცდინა?!

კურვენალი: მოგიწოდებთ, მე გიხმობთ. შევებრძოლოთ  
(იბრძვიან)

მარკი (სენის სიღრმიდან): ახლავე შესდექ!

რამ გაგაგოცა!

კურვენალი: მოიმკი სიკვდილს!

აღსასრულს პოვებ ჩემო მეუფეც!

თუ მისთვის მოხველ — მოდიო!

(შებშება მარკს და ნის შალას.)

მარკი: უკან, უგნურო! (ბრანგენა შემოიჭრება)

იზოლდა, ჩემო! სად ხარ?!

რას ვხედავ! ჰა, აღსდექ. იზოლდა (ცდოლობს აუკანას)

(მარკი შემოიჭრება, კურვენალი მძიმედ დაკრული ტორტმანით მოდის ავან-  
სენისაკენ)

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ის აქ წევს...

მეც მის გვერდზე (ღაიყმა)

მ ა რ კ ი: ტრისტან, ტრისტან, იზოლდა... ვაი!

კ უ რ ვ ე ნ ა ლ ი: ტრისტან ნუ შემრისხავ.

შენი, ერთგული, შენთან ვარ. (კვდება)

მ ა რ კ ი: დაიღუპა,

აღსრულდა!

ტრისტან რაინდო,

ჩემო ტკბალო,

განმიდექ, მილაღატე ხელმეორედ!

მოვედით, რომ თაყვანი გვეცა ღირსებისთვის,

აღსდექი, მოგვხედე!

იგრძენ ჩემი ცრემლები (დასტირის ცხედარს)

უღირსად კვდები გმირო!

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: (იზოლდას აკავებს. იზოლდა გრძობაზე მოდის.)

სუნთქავს, ცოცხლობს!

იზოლდა, მისმენ?

საიდუმლო გავთქვი,

მეუფე მარკს ვუთხარი

სასმელის შესახებ,

მაშინვე გამოცურდა შენკენ,

მოისწრაფოდა, სურდა განქორწინება,

თქვენი გახარება.

მ ა რ კ ი: იზოლდა, რისთვის არ იჯერებ?

ოდეს მივხვდი ყველაფერს

რასაც უწინ ვერ ვგრძნობდი

სიხარულისგან ბედნიერი ვიყავი.

ბედნიერება თქვენი მსურდა,

მოვისწრაფოდი რაც შემეძლო,

ქარიშხალმა ჩამიკლა მისწრაფება მშვენიერი

მე უბედურების გამმრავლებელი გავხდი.

ბ რ ა ნ გ ე ნ ა: შეგვისმინე იზოლდა! სიტყვა გვითხარი,

გაგვაგონე!!

(იზოლდა ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს, თანდათან აღვწებით მისჩურებიან ტრისტანის ცხედარს).



იზოლდა: ო, რა გრძნობით იღიმება,  
 გაახილა ნაზად თვალი,  
 გთხოვთ, შეხედეთ მეგობარს,  
 მოელვარე შარავანდედს,  
 ფრენს ვარსკვლავთა ციმციმში.  
 ხომ ხედავთ?  
 როგორ სჩქევს სიცოცხლის წყარო!  
 ბედნიერად ფეთქავს გული.  
 ოდნავ ისძის სუნთქვა  
 გალურჯებულ ბაგეებზე.  
 ჩუმაღ, სუ! ვერაფერს მიხვდით?  
 მარტო მე ხომ არ შევისმენ  
 ამ სიმღერის უტყბეს ჰანგებს,  
 ნეტარებას ყოვლისმთქმელს.  
 ჰანგებს, ტრფობის, მეგობრის ხმას.  
 მოფერებას მომხიბვლელს,  
 ოქროს ჰანგით აუღერებულს?  
 ხმა ირხევა, ეფინება,  
 ტალღის თამაშს მომაგონებს,  
 მღულარ ცრემლებს ზე გადმონადენს.  
 ძლიერდება ტკბილი ჰანგი;  
 როგორც ვშთანთქავ, ყურა მივუგდებ,  
 ვიძირები მის მორევში,  
 თავს მევლება სურნელებით,  
 ტალღა ჩამითრევს სიმღერის სტიქი-ინში.  
 უსაზღვრო სამყაროს სივრცეში,  
 გრძნობა, ჩაკვდება მარადის.  
 ..ღისრულდა!!

(იზოლდა ბრანგენას ხელზე დაყრდნობილი სელს ლევს ტრისტანის ცხე-  
 დარზე, იქ მყოფნი დამწუხრებულნი მისჩერებიან, მარჯი მიცვალებულთა  
 ცხედარს შეუნდობს)

შ ი ნ ა ბ რ ს ი (Inhalt)

წინასიტყვაობა	Einleitung	
ვერჯ ფრიდრიხ ჰენდელი	G. F. Händel	
რადამისტი	Radamisto	9
აცის და გალათეა	Acis und Galatea	37
მესია	Messiah	47
სამსონი	Samson	58
იუდა მაკაბელი	Judas Maccabäus	71
ვოლფგანგ ამადეი მოცარტი	W. A. Mozart	92
დონ ჟუანი	Don Giovanni	92
რიჰარდ ვაგნერი	R. Wagner	166
ტანჰოიზერი	Tannhäuser	166
ტრისტანი და იზოლდა	Tristan und Isolde.	211

რედაქტორი }  
 კორექტორი } ა. არბუსელიძე  
 მხატვარი გ. გრიგოლია  
 მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა  
 ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე

სადაცა წარმოებას 5/1 67. ხელმოწერილია დასაბუქ-  
 დად 16/X 1-67.

ქალაქის ზომ. 60X84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თ.ბ.ზი 16.5.  
 სააღრ.-საგამომც. თ.ბ.ზი 12.76.  
 ტირაჟი 1.000. შეკვ.

ფასი 74 კაპ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.  
 Комбинат печати. Тбилиси. ул. Марджанишвили 5.